

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე

„სამართალი“

„ბიზნესი და მართვა“

თბილისი 2018

სარედაქციო კოლეგია:

მამუკა თავხელიძე - მთავარი რედაქტორი (თბილისი, საქართველო)
გიორგი ლლონტი - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)
ნინო ქემერტელიძე - მთავარი რედაქტორის მოადგილე (თბილისი, საქართველო)

რუდიგერი ანდრესენი	(თბილისი, საქართველო)
მალხაზ ბაძაღვა	(თბილისი, საქართველო)
გურამ თევზაძე	(თბილისი, საქართველო)
უდო რაინჰოლდ იეკი	(ბოხუმი, გერმანია)
ტრევორ კარტლეჯი	(ნოტინჰემი, დიდი ბრიტანეთი)
მურთაზ კვიციანი	(თბილისი, საქართველო)
ტომას პაველკა	(პრაღა, ჩეხეთი)
მარიკა პირველი	(შჩეჩინი, პოლონეთი)
ევა პოდუბნიჩკოვა	(პრაღა, ჩეხეთი)
ჰელმუტ შნაიდერი	(კასელი, გერმანია)
იან ჩადილი	(პრაღა, ჩეხეთი)
დავით მამუკაშვილი	(თბილისი, საქართველო)
ელისო წიკლაური-ლამიხი	(ფრაიბურგი, გერმანია)
დევი ხვედელიანი	(თბილისი, საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი	(თბილისი, საქართველო)
პეტრ ჰაევი	(პრაღა, ჩეხეთი)
ანა ფირცხალაშვილი	(თბილისი, საქართველო)
გულნაზ გალდავა	(თბილისი, საქართველო)
ვასილ კიკუტაძე	(თბილისი, საქართველო)

ადმასრულებელი რედაქტორი:

გოგი თოდრია (თბილისი, საქართველო)
თამარ გამსახურდია (თბილისი, საქართველო)

წინამდებარე ჟურნალში „აკადემიური მაცნე“ დაბეჭდილია გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართლისა და ბიზნესის და მართვის სკოლების აკადემიური პერსონალის და სტუდენტთა ნაშრომები აქტუალურ საკითხებზე. ჟურნალში წარმოდგენილია, აგრეთვე, სხვა უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევის შედეგები.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა

ISSN 2298-0202

შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლები სისხლის სამართლის საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების ანალიზი ზაზა თავაძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	9
The Scopes of the Adversariality Principle in Criminal Cases: Analysis of the Decision of the Constitutional Court of Georgia of September 29, 2015 Zaza Tavadze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	17
ზღვარი საკანონმდებლო ხელისუფლებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს შორის ანა კუჭუხიძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	18
The Boundary between the Authorities of the Legislative Government and the Constitutional Court Ana Kuchukhidze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	30
სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით გოჩა აბუსერიძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	31
Peculiarities of Litigation Renewal According to the Administrative Law Gocha Abuseridze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	39
ადმინისტრაციული სამართლის ევროპული ტრადიციები გულნაზი გალდავა, ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო მაკა ქარდავა, დოქტორანტი იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი, იენა, გერმანია -----	41
European Traditions of the Administrative Law Gulnazi Galdava, Associate Professor Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia Maka Kardava, PhD student Friedrich Schiller University, Jena, Germany -----	52
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების თავისებურებანი მარინე კორძაძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	54
Peculiarities of Defining the Norms of Tax Law by the European Court of Human Rights Marine Kordzadze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	66

<hr/>	
სარჩელის განხილვის თავისებურებანი რომაულ სამართალში დალი ჭანიძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	67
Peculiarities of Action Proceeding in Roman Law Dali Chanidze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	77
<hr/>	
დამატებითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და თავისებურებანი ირინე როყვა, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	79
Features and Procedure of the Additional Decision-making Irine Rokva, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	89
<hr/>	
სამოქალაქო საქმეთა გაერთიანებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები მამუკა ღვინიაშვილი, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	91
Problematic Issues Related to Merger of Civil Cases Mamuka Ghviniashvili, PhD Student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	100
<hr/>	
მომრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის სამართლებრივი ასპექტები ნატო ჭითანავა, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	102
Legal Aspects of Obtaining the Property Right on Movable Subjects Nato Tchitanava, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	110
<hr/>	
ელექტრონული ხელშეკრულებები ნინო მინდიაშვილი, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	112
Electronic Agreements Nino Mindiashvili, PhD student Grigol Robkidze University, Tbilisi, Georgia -----	120
<hr/>	
ჩანასახის სამართლებრივი დაცვის რეგულაციები თამთა ტაბატაძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	121
Regulations of Legal Protection of Germ Tamta Tabatadze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia -----	127

ნარკოტიკული საშუალების - მარიხუანის შეძენა/შენახვის და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების გამიჯვნა და კვალიფიკაცია
ჯუმბერ მაილაშვილი, დოქტორანტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ----- 128

Separation and Qualification of Purchasing/Keeping of the Narcotic Drug - Marijuana and Its Illegal Use without the Doctor's Prescription
Jumber Mailashbili, PhD student
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia ----- 136

ყაჩაღობა და მომიჯნავე შემადგენლობები
ქეთევან სუპატაშვილი, დოქტორანტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ----- 137

Robbery and Neighboring Corpus Delicti
Ketevan Supatashvili, PhD student
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia ----- 146

მიზეზის პასიური ხასიათით განპირობებული მიზეზობრივიკავშირის თავისებურებები უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში
ლაშა კუხიანიძე, დოქტორანტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ----- 148

Specificity of Causation Caused by the Reason's Passive Nature in Crimes Committed under Inaction
Lasha Kukhianidze, PhD student
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia ----- 156

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები
თამთა საჯაია, დოქტორანტი
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ----- 157

National and International Standards for Determining the Minimum Age of Criminal Responsibility
Tamta Sajaia, PhD student
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia ----- 166

გაყიდვებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მაგალითზე ალექსანდრე ვასილევ, მაგისტრი საქართველოს საზოგადოებრივი ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო -----	169
Analysis of Sales Factors on the example of Tbilisi Real Estate Market Alexander Vassilev, MA Georgian Institute of Public Affairs, Tbilisi, Georgia -----	185
მენეჯმენტის მეთოდების საჯარო მმართველობაში გამოყენების შესაძლებლობები და შედარებითი ანალიზი მიხეილ აბაშიშვილი, დოქტორანტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	187
Opportunities and Comparative Analysis of Management Methods in Public Administration Mikheil Abashishvili, PhD student Georgian Technical University, Tbilisi, Georgia -----	196
საქართველოს საავადმყოფო დაწესებულებათა მოქმედების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის პირობებში ოთარ გერზმავა, პროფესორი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ანა თეგეთაშვილი, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო რომან ბოლქვაძე, დოქტორანტი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ნინო გერზმავა, პროფესორი კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	198
Features of the Functioning of Georgian Hospitals in the Conditions of Liberalization of Market Economy Otar Gerzmava, Professor Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia Ana Tegetashvili, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia Roman Bolkvadze, PhD student Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia Nino Gerzmava, Professor Caucasus International University, Tbilisi, Georgia -----	212
ხარისხის მენეჯმენტის საკითხები მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის თამაზ მაჩიტაძე, დოქტორანტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო -----	214
Quality Management Issues for Service Field Organizations Tamaz Machitidze, PhD Georgian Technical University, Tbilisi, Georgia -----	219

ადამიანური კაპიტალის მდგომარეობა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები საქართველოში
დემურ გიორხელიძე, პროფესორი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო ----- 220

State of Human Capital and Problem of Economic Growth in Georgia
Demur Giorkhelidze, Professor
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia ----- 226

სამართალი

შეჯიბრებითობის პრინციპის ფარგლები სისხლის სამართლის საქმეებში: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების ანალიზი

ზაზა თავაძე, დოქტორანტი

გიორგი რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სამართალწარმოების შეჯიბრებით მოდელს ეფუძნება, რომელიც არსებითად გულისხმობს სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობას, რა დროსაც მოსამართლე მკაცრად ნეიტრალურ როლს თამაშობს. საინტერესოა, რამდენად უნდა ჰქონდეს სასამართლოს უფლებამოსილება, გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს იმ მიზნით, რომ არ დაუშვას ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების დარღვევა. სწორედ ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაში, სადაც განიმარტა შეჯიბრებითობის პრინციპის კონსტიტუციური სტატუსი და მისი ურთიერთმიმართება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელი აუცილებელი ელემენტია და აერთიანებს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცესუალურ კომპონენტებს. ვენეციის კომისიის სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში განხილული სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპი შეიძლება თავისთავად არ გულისხმობდეს სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს და non ultra petita პრინციპისგან გადახვევა, კონსტიტუციური პრინციპების აღსრულების მიზნით, არსებითად არ მოდის წინააღმდეგობაში შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპთან. საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი, თავისი არსით, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების რეალიზების საშუალებაა, რომელიც თავისთავად გულისხმობს სასამართლოს მხრიდან პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებისა და განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების პატივისცემას.

საძიებო სიტყვები: კონსტიტუციური პრინციპები და ფუნდამენტური უფლებები; შეჯიბრებითობის პრინციპი; non ultra petita.

შესავალი

2009 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელმაც თვისობრივად ახლებურად მოაწესრიგა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ზოგიერთი ფუნდამენტური საკითხი. კერძოდ, აღნიშნული კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს სისხლის სამართლის პროცესში წმინდა შეჯიბრებითი მოდელის დამკვიდრება წარმოადგენდა, რაც სამართალწარმოების მხარეებს მისცემდა თანაბარ შესაძლებლობას, გავლენა მოეხდინათ მართლმსაჯულების განხორციელების მიმდინარეობაზე. სწორედ ხსენებული პრინციპის იმპლემენტაციის შედეგად მოხდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი ნორმების შემოღება, რომლებმაც, ერთი მხრივ, აუკრძალა საქმის განმხილველ პირველი ინსტანციის სასამართლოს მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, ხოლო სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს კი, შეუზღუდა შესაძლებლობა, გასცდნოდნენ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს.

რამდენად ემსახურება სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლოს მოქმედების ფარგლების აბსოლუტური შეზღუდვა, სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს? არსებობს თუ არა გარემოებები, როდესაც სააპელაციო ან/და საკასაციო სასამართლო უნდა იყოს უფლებამოსილი, გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, მართლმსაჯულების მაღალი ინტერესების დასაცავად? რას გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეჯიბრებითობის პრინციპი და როგორია მისი მიმართება სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების კანონმდებლობასთან?

ყოველივე ეს იმ ძირეული საკითხების ჩამონათვალია, რაზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის №3/1/608,609 გადაწყვეტილებაში იმსჯელა. აღნიშნულ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ უპასუხა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დასმულ ძირითად კითხვას, ადგენს თუ არა კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების ვალდებულებას, ძირეული კონსტიტუციური პრინციპების დაცვის მოტივით, გასცდნენ მხარეთა მიერ დაყენებულ მოთხოვნას. წინამდებარე სტატიის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს ხსენებული გადაწყვეტილების არსი და განმარტოს სამართლებრივი ლოგიკა იმ მოტივაციის მიღმა, რაც საფუძვლად დაედო საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებებს. ეს ნაშრომი, გარდა აღნიშნულ საკითხზე თეორიულ დისკურსში შეტანილი წვლილისა, ატარებს მნიშვნელოვან პრაქტიკულ დანიშნულებას, ვინაიდან იგი ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა გათვითცნობიერებას კონსტიტუციური პრინციპების მნიშვნელობაში და წახალისებს მათ, გამოსაყენებელი კანონი განმარტონ ფუნდამენტური უფლებების ჭრილში.

დავის საგანი

განსახილველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სადავოდ იყო გამხდარი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტისა და ამავე კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს ართმევს შესაძლებლობას, გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც ამას მოითხოვს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი, კანონის უკუძალით გამოყენებისა და განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპები. კერძოდ, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასება მოხდა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტით გარანტირებულ განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის პრინციპთან (*ne bis in idem*) და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებასთან მიმართებით, რომელიც განამტკიცებს პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების ვალდებულებას (*lex mitior*).

უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებებში მითითებული იყო ორ საქმეზე, სადაც ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, ცხადი ხდებოდა, რომ საქმის განმხილველი სასამართლოები იდგნენ არჩევანის წინაშე, დაერღვიათ საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები თუ დაეშვათ ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების უგულვებელყოფით პირის მსჯავრდება. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში კასატორი ითხოვდა შეფარდებული სასჯელის შემცირებას და არ ასაჩივრებდა ქვედა ინსტანციების სასამართლოების მიერ მისი დამნაშავედ ცნობის ფაქტს. უზენაესი სასამართლოს პოზიციის მიხედვით კი, პირი უდანაშაულო იყო, რადგან არ იქნა წარდგენილი მტკიცებულებათა ის ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა დაადასტურებდა მის დამნაშავეობას. მეორე საქმეზე უზენაესი სასამართლო მიიჩნევდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა ბრალდებული პირისათვის ერთი და იმავე დანაშაულისათვის განმეორებით მსჯავრდების დადება. აღნიშნული გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებისას, აპელანტი ითხოვდა მხოლოდ სასჯელის სახის შეცვლას. სააპელაციო სასამართლომ კი, იმ მოტივით, რომ არ დაეშვა ერთი და იმავე დანაშაულისათვის პირის განმეორებით მსჯავრდება, განაჩენი გააუქმა და ბრალდებული

უდანაშაულოდ სცნო, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო საჩივრით იგი გამართლებას არ ითხოვდა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდების მხარემ გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, რითაც მან დაარღვია კანონის მოთხოვნები. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმებისას, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის ნორმა, რომელიც სააპელაციო სასამართლოს ზღუდავს, გაცდეს სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უზენაესი სასამართლო აღნიშნავდა, რომ სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები უნდა იყვნენ უფლებამოსილი, გასცდნენ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების დასაცავად. კერძოდ, კონსტიტუციური წარდგინებების თანახმად, სადავო ნორმები სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის და თანასწორობის პრინციპებს განამტკიცებენ, თუმცა მოქმედი რედაქციის პირობებში, აღნიშნული ნორმებიდან გადახვევის საგამონაკლისო შესაძლებლობის გარეშე, სადავო დებულებები იძენდა არაკონსტიტუციურ შინაარსს და ვერ უზრუნველყოფდა ბალანსს, შეჯიბრებითობის პრინციპის რეალიზაციასა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს შორის.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ წარმოდგენილი წერილობითი პოზიციის შესაბამისად, თუ სისხლის სამართლის სამართალწარმოების მხარე სასამართლოს წინაშე არ აყენებს მოთხოვნას ამ თუ იმ კონსტიტუციური უფლების დარღვევის საფუძველით, საქმის განმხილველ სასამართლოს არ უნდა ჰქონდეს იმ კონსტიტუციური პრინციპების რეალიზების შესაძლებლობა, რომლებზეც არ არის მითითება სააპელაციო ან/და საკასაციო საჩივარში, რადგანაც ეს შეუთავსებელი იქნება კონსტიტუციით დაცულ შეჯიბრებითი პროცესის პრინციპთან.

შეჯიბრებითობის პრინციპის კონსტიტუციური სტატუსი და მისი მოქმედება სისხლის სამართლის პროცესში

მოცემული საქმის გადაწყვეტისას, საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა, განემარტა, საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეჯიბრებითობის პრინციპის შინაარსი და მისი მიმართება სისხლის სამართლის პროცესთან. კერძოდ, რამდენად წარმოადგენდა შეჯიბრებითობის კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნას, სისხლის სამართლის სასამართლოს ბლანკეტური შეზღუდვა სააპელაციო ან/და საკასაციო საჩივრის ფარგლებით, განუსხვავებლად ყველა შემთხვევაში.

მნიშვნელოვანია ითქვას, რომ აღნიშნული საქმის გადაწყვეტისას საკონსტიტუციო სასამართლომ, ექსპერტული დასკვნის მისაღებად, მიმართა ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიას, რომელმაც წარმოადგინა საკმაოდ ინფორმაციული სასამართლო მეგობრის მოსაზრება. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ვენეციის კომისიის დოკუმენტში მოცემულ შედარებით კვლევას, რომელიც ასახავს ზოგიერთი სახელმწიფოს მიდგომას სისხლის სამართლის კანონის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობა, მართალია, აღიარებს მხარეთა სასარჩელო მოთხოვნით სასამართლოს კომპეტენციის შემოფარგვლის წესს (*non ultra petita*), თუმცა, ამასთანავე, მას კონსტიტუციასთან თანხვედრაში განმარტავს და სასამართლოებს არ ზღუდავს, საკუთარი ინიციატივით, გასცდნენ მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს, როდესაც ადამიანის უფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე არსებობს (5, 11). ხოლო, თუკი აღნიშნულის საპირისპიროს დავუშვებთ, ხსენებული საკანონმდებლო წესი არაკონსტიტუციური იქნება.

დასახელებული მიდგომა ცნობილია, როგორც ძირითად კანონთან შესაბამისი, „თანმიმდევრული განმარტება“ (*Verfassungskonforme Interpretation*) (6, §352.1-2).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან კონსტიტუცია ერთიანი დოკუმენტია, სადაც ნორმები და პრინციპები ერთმანეთთან კავშირში უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებების უკეთ დაცვის მიზნით, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის ანალიზის პირველ ეტაპზე საჭირო იყო გარკვეულიყო, რა მოთხოვნებს აკისრებს სახელმწიფოს ძირითადი კანონით გარანტირებული შეჯიბრებითობის პრინციპი (3, II-13). ამ კონტექსტში, საკონსტიტუციო სასამართლომ გამიჯნა, ერთი მხრივ, სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითი მოდელი და, მეორე მხრივ, საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი შეჯიბრებითობის პრინციპი, როგორც სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი.

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ინკვიზიციური პროცესისგან განსხვავებით, სადაც მოსამართლე აღჭურვილია უფლებამოსილებებით, საკუთარი ინიციატივით გამოიკვლიოს საქმესთან დაკავშირებული გარემოებები, შეჯიბრებითი მოდელის ფუნდამენტურ ნიშანს წარმოადგენს მოსამართლის ნეიტრალურობის პირობებში სასამართლოში ჭეშმარიტების დამტკიცების ფუნქციის მხარეთა ინიციატივისთვის მინდობა. კერძოდ, შეჯიბრებითი პროცესი ეფუძნება მიდგომას, რომ სათანადოდ მომზადებული და დაინტერესებული მხარეები სასამართლოს წარუდგენენ საკმარის ინფორმაციასა და არგუმენტებს, ხოლო მოსამართლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მხარეთათვის ასეთი შესაძლებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენს (3, II-15). რაც შეეხება შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპს, ის, საკონსტიტუციო სასამართლომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების შემადგენელ ელემენტად მიიჩნია, რომელიც აერთიანებს როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებით სისხლის სამართლის მოდელს. საკონსტიტუციო სასამართლომ, ამასთანავე, მიუთითა სამართლიანი სასამართლოს უფლების რიგ ელემენტებზე, როგორც შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლენის მაგალითებზე. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მნიშვნელოვან ელემენტად საქმის ზეპირი განხილვის გარანტიას ხედავს (4, II-75). შეჯიბრებითობის პრინციპი, ასევე, უკავშირდება სამართლიანი სასამართლოს უფლების სხვა გარანტიებსაც, მათ შორის, მოწინააღმდეგე მხარის მტკიცებულებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, საკმარისი დროისა და შესაძლებლობის ქონას დაცვის მოსამზადებლად და დაცვის უფლებას, პირადად ან დამცველის მეშვეობით მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების დაკითხვის და საკუთარი მოწმეების გამოძახებისა და თანაბარ პირობებში დაკითხვის უფლებას, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღების უფლებას და ა.შ. (3, II-18).

საქართველოს კონსტიტუციის 85-ე მუხლის მე-3 პუნქტზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ იგი უკავშირდება შეჯიბრებითობის და თანასწორობის მჭიდროდ დაკავშირებულ პრინციპებს და არ გულისხმობს სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს. დამკვიდრებული კონსტიტუციური პრაქტიკის მიხედვით, თანასწორობის ელემენტი შეჯიბრებითობის პრინციპის აუცილებელი პირობაა, რადგან საქმის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებაზე და მტკიცებულებაზე აზრის გამოთქმის, გაქარწყლების და პასუხის მიღების უფლება თანაბრად უნდა გააჩნდეს ყველა მხარეს (3, II-19). ამასთანავე, შეჯიბრებითობის პრინციპი უკავშირდება პროცესუალური სამართლის ზოგად პრინციპებსაც; კერძოდ, გადაწყვეტილების საქვეყნოობას, სამართალწარმოების სახელმწიფო ენაზე განხორციელების და თარჯიმნით უზრუნველყოფის წესებს, და ეხება არა მხოლოდ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებას, არამედ სასამართლო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ სამართალწარმოებას, ფართო გაგებით (3, II-19).

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ კონსტიტუციით გარანტირებული შეჯიბრებითობის პრინციპი, *per se*, არ შეიზღუდება, როდესაც სისხლის სამართლის სასამართლო საკუთარი ინიციატივით აღასრულებს ისეთ კონსტიტუციურ პრინციპებს, როგორცაა პასუხისმგებლობის გამაუქმებელი კანონის უკუძალით გამოყენება ან პირის განმეორებითი მსჯავრდებისგან გათავისუფლება. უფრო მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლომ ხაზი გაუსვა შეჯიბრებითობის პრინციპის მიზანს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და აღნიშნა, რომ იგი წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის და საქმეზე “სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების” მიღების უზრუნველყოფის საშუალებას, ხოლო კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, უგულებელყოს ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ აპელირებენ მათზე, გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვის და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს (3, II-20). აღნიშნული არგუმენტაციით საკონსტიტუციო სასამართლომ უარი თქვა, გაეზიარებინა საქართველოს პარლამენტის პოზიცია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მოტივით შეიძლება გამართლდეს იმ წესის არსებობა, რომელიც ხელს უშლის ამავე პრინციპის უმთავრესი მიზნის მიღწევას.

ნიშანდობლივია, რომ ვენეციის კომისიის სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში მოცემული შედარებითი კვლევის ანალიზის მიხედვით, *non ultra petita* წესი არ წარმოადგენს სისხლის სამართლის შეჯიბრებითი მოდელის უნიკალურ მახასიათებელს, მსგავსი წესი მოქმედებს რა ინკვიზიციური სისტემის რიგ ქვეყნებშიც. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითი მოდელშიც შეიძლება არსებობდეს ზოგადი წესისგან გადახვევის შესაძლებლობა, რა დროსაც სასამართლოები უფლებამოსილი არიან მხარეების მოთხოვნებისგან დამოუკიდებლად, საკუთარი ინიციატივით, წამოჭრან და გადაწყვიტონ საკითხები, იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას საქმეში იდენტიფიცირებული უსამართლობანი. მაგალითად, იტალიაში (სადაც შეჯიბრებითი მოდელი მოქმედებს) სასამართლო არამართო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა, საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ინიციატივით წამოჭრას საკითხი, როდესაც სახეზეა: მტკიცებულებათა უკანონო მოპოვების შემთხვევა, განმეორებითი მსჯავრდების საფრთხე, ბრალდებულის დამცველის დაუსწრებლობა მაშინ, როდესაც მისი დასწრება სავალდებულო იყო, და, ასევე, ისეთ შემთხვევებში, როდესაც საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ დადასტურდება, ან არ დადასტურდება ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ფაქტი, ან ჩადენილი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულს (7, 191.2; 649.2; 179; 129). გარდა იტალიის მაგალითისა, ვენეციის კომისიის მოსაზრება მიუთითებს რამდენიმე ქვეყნის საკანონმდებლო რეგულაციაზე, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადგენენ სპეციფიკურ საგამონაკლისო შემთხვევებს, რა დროსაც საქმის განხილველი სისხლის სამართლის სასამართლო ვალდებულია გასცდეს მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს მართლმსაჯულების მაღალი ინტერესების დასაცავად (5, 24-30).

ყოველივე ზემოაღნიშნული საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გახდა საფუძველი დაესკვნა, რომ კონსტიტუციის მოთხოვნა შეჯიბრებითი სამართალწარმოების შესახებ არ გულისხმობს მოსამართლეების აბსოლუტურ შეზღუდვას მხარეთა მოთხოვნის ფარგლებით, როდესაც ადგილი შეიძლება ჰქონდეს შემამსუბუქებელი კანონის გამოყენების ან განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპების დარღვევას.

კონსტიტუციური პრინციპები და გამონაკლისი *non ultra petita* წესისგან

მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ძირეული კონსტიტუციური პრინციპების დასაცავად, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოები უფლებამოსილი, და რიგ შემთხვევებში, ვალდებულიც არიან გასცდნენ მხარეთა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს, მნიშვნელოვანი გახდა იმის განსაზღვრა, თუ რამდენად ჰქმნიდა განსახილველი კონსტიტუციური პრინციპები *non ultra petita* ზოგადი წესისგან გადახვევის ვალდებულებას.

კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებისა და განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციური პრინციპებით დაცული სფერო და, ამასთანავე, იმსჯელა, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის საკითხზე.

უპირველესად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადებაზე საუბრისას, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დასახელებული დებულება, ერთი მხრივ, ადგენს პასუხისმგებლობის დამდგენი კანონის უკუძალით გავრცელების აკრძალვას, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და გამაუქმებელი კანონის უკუძალით გავრცელების კონსტიტუციურ საფუძველს (3, II-25). აღსანიშნავია, რომ ქმედების ჩადენის შემდგომ მიღებული უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების წესს, აგრეთვე, იცავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ისიც მიიჩნევა, რომ აღნიშნული წესი ევროკავშირის წევრი ქვეყნების საერთო კონსტიტუციური ტრადიციების ნაწილს წარმოადგენს (8, §105).

საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადება, როგორც პასუხისმგებლობის დამდგენი ან დამამძიმებელი კანონის უკუძალის აკრძალვის, ისე პასუხისმგებლობის გამაუქმებელი ან შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გავრცელების ნაწილში წარმოადგენს იმპერატიულ კონსტიტუციურ მოთხოვნას. სადავო ნორმის ანალიზის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი ბლანკეტურად ზღუდავდა სასამართლოს მიერ ახალი, უფრო მსუბუქი კანონის გამოყენების შესაძლებლობას, როდესაც უშუალოდ მხარე არ მოითხოვდა ამას. ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია, ვინაიდან იგი სრულად გამორიცხავდა გამოსაყენებელი კანონის შესახებ მსჯელობას და სასამართლოს აიძულებდა, ემოქმედა შემამსუბუქებელი კანონის უკუძალით გამოყენების კონსტიტუციური მოთხოვნის სრული უგულებელყოფით (3, II-31).

მეორე კონსტიტუციურ პრინციპზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა, ერთი მხრივ, იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას [3, II-34]. ხსენებული პრინციპი ადგენს უმნიშვნელოვანეს გარანტიას ინდივიდების დასაცავად ხელისუფლების თვითნებობისგან, რამდენადაც უზრუნველყოფს, რომ, თუ პირს ერთხელ დაეკისრება მსჯავრი და მოიხდის სასჯელს ან გამართლდება კონკრეტული ქმედებისთვის, ის თავისუფალი უნდა იყოს შიშისგან, რომ ხელისუფლება იმავე ქმედების გამო კიდევ განახორციელებს მის მიმართ დევნას (3, II-35). ნიშანდობლივია, რომ კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტიც იმპერატიულ დანაწესს ადგენს, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე ვრცელდება მხარეთა მითითების გარეშეც.

სადავო ნორმის შინაარსის გააზრების შედეგად, ცხადი გახდა, რომ იგი სააკველიციო სასამართლოს ართმევდა შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით, მხარეთა მოთხოვნის გარეშე, შეემოწმებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს სადავო გადაწყვეტილება, არღვევდა თუ არა იგი განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, გაემართლებინა მსჯავრდებული. მაშასადამე, მსგავსად ზემოაღნიშნული სადავო დებულებისა, მოცემული ნორმაც სასამართლოს ართმევდა განმეორებით მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტური პრინციპის დაცვის უფლებამოსილებას და, ამგვარად, ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას (3, II-38).

დასკვნა

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის №3/1/608,609 გადაწყვეტილების შედეგად მნიშვნელოვნად გარდაიქმნა საქართველოს სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესუალური კანონმდებლობა, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებს მიეცათ რა შესაძლებლობა, საკუთარი ინიციატივით, უზრუნველყონ ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების დაცვა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი სასამართლოში, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, არ აყენებს კონკრეტულ მოთხოვნას, ვერ იქნება ძირეული კონსტიტუციური პრინციპებისა და ფუნდამენტური უფლებების გვერდის ავლის საფუძველი.

წარმოდგენილ საქმეში სადავო ნორმები სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებს უკრძალავდა, საქმის განხილვისას ან გადაწყვეტისას, მხარეთა მიერ დაყენებული საჩივრის ფარგლების გაცდენას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პირის მიმართ შერაცხულ ქმედებას ახალი, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის ამოქმედების გამო, ვეღარ მიენიჭებოდა დანაშაულის კვალიფიკაცია, ან სახეზე იყო პირის განმეორებითი მსჯავრდების ფაქტი. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპზე და აღნიშნა, რომ იგი სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს და აერთიანებს მხარეთა თანასწორობის უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცესუალურ კომპონენტებს. თუმცა, ის თავისთავად არ გულისხმობს სისხლის სამართლის შეჯიბრებით მოდელს და სასამართლოსთვის კონსტიტუციური პრინციპების აღსრულების უფლებამოსილების მინიჭება, როდესაც მხარეები მასზე არ აპელირებენ, *per se*, არ მოდის წინააღმდეგობაში შეჯიბრებითობის კონსტიტუციურ პრინციპთან. საკონსტიტუციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი, თავისი არსით, სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების რეალიზების საშუალებაა და მისი განხორციელება სწორედ ამ მიზნის მიღწევას უნდა ემსახურებოდეს. რთულად წარმოსადგენია, სამართლიანი განხილვის უზრუნველყოფა ისეთ პირობებში, როდესაც სასამართლოს მხრიდან არსებობს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი კანონის გამოყენებისა და განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის ფუნდამენტური კონსტიტუციური პრინციპების უგულებელყოფის საფრთხე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველო. პარლამენტი. 1995. კონსტიტუციური კანონი: “საქართველოს კონსტიტუცია” 31-33, 24/08/1995. თბილისი: პარლამენტის უწყებანი N786.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის #1/1/428,447,459 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.
3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე”.
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2014 წლის 23 მაისის 3/1/574 გადაწყვეტილება საქმეზე “საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ”.
5. CDL-AD(2015)016-e Amicus Curiae Brief for the Constitutional Court of Georgia on the *non ultra petita* rule in criminal cases, adopted by the Venice Commission at its 103rd Plenary Session (Venice, 19-20 June).
6. German Code of Criminal Procedure (StPO). ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/englisch_stpo/englisch_stpo.html [4.09.2017].
7. Italian Code of Criminal Procedure. ხელმისაწვდომია: <http://legalactionworldwide.org/wp-content/uploads/2014/11/Criminal-Procedure-Code.pdf> [4.09.2017].
8. Scoppola v. Italy (No. 2) (Application No. 10249/03).

**The Scopes of the Adversariality Principle in Criminal Cases:
Analysis of the Decision of the Constitutional Court of Georgia of September 29, 2015**

Zaza Tavadze, PhD student
Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

Georgia adopts adversarial model of criminal proceedings which is basically based upon an understanding that a deliberation of a criminal case to determine the truth in a court should be predicated on the party initiative, whilst the role of a judge is to remain fully neutral and impartial throughout the entire process. It is a matter of considerable interest whether a judge or a court of law should be allowed in certain circumstances to go beyond a complaint in order to protect fundamental constitutional principles. This was a major question before the Constitutional Court of Georgia in a case decided on September 29, 2015, where the Court went on to interpret constitutional status of the adversariality principle and its relation towards criminal procedure.

The Constitutional Court emphasised that the right to a fair trial, by definition, encompasses the adversarial nature of proceedings, as the latter represents an integral element of a fair hearing, along with a number of other procedural guarantees that are designed to ensure the equality of the parties. The analysis of domestic criminal laws of various countries made by the Venice Commission in its *amicus curiae* brief indicate that requirements of adversariality are not necessarily dependent upon a particular model of criminal proceedings, whether it is inquisitorial or adversarial as such, but it stem from the principle of a fair hearing and, per European understanding, ought to be the pillar of any criminal justice system. Taking the foregoing finding into account, the Constitutional Court determined that the constitutional principle of adversariality does not necessarily provide for the adversarial model of criminal proceedings and, in certain cases, the deviation from a *non ultra petita* rule for the purpose of ensuring the realisation of constitutional principles would not, *per se*, contradict with the Constitution. The Constitutional Court further pointed out that adversariality, similar to a set of other procedural safeguards in criminal law, represent a means of achieving the high objectives of the right to a fair trial, which inherently implies the respect of the fundamental principles of *lex mitior* and *ne bis in idem* and a court of law should be entitled to uphold these principles on its own behalf.

The present case was referred to the Constitutional Court by the Supreme Court of Georgia, which cast doubt on the applicable criminal law hazarding to disregard the fundamental constitutional principles in two real cases. The central issue before the Constitutional Court was to determine whether appellate courts, both the second instance and the highest court, were constitutionally allowed to remain within the scope of complaint, despite seeing a high risk of infringing fundamental principles in the absence of a party reference. The Constitutional Court declared unconstitutional the respective regulation of the Criminal Procedure Code of Georgia and paved the way for the appellate court of both instances to uphold fundamental principles *sua sponte*. The present article aims to overview the said constitutional decision in some detail in an attempt to explain the logic behind the reasoning of the Constitutional Court. In doing so, this article intends to contribute to theoretical discourse on the topic at hand, as well as it bears valuable importance for practicing lawyers and other legal professionals to help them better understand the essence of constitutional principles and facilitate interpretation of the applicable law through the prism of constitutional standards.

ზღვარი საკანონმდებლო ხელისუფლებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს შორის

ანა კუჭუხიძე, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებებით, რომლებიც მას შესაძლებლობას აძლევს გარკვეული დოზით ჩაერიოს ქვეყანაში სამართლის განვითარების კურსის განსაზღვრასა და არსებული სამართლებრივი რეალობის კორექტირებაში. თუმცა, ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს უფლება აქვს ჩაანაცვლოს საკანონმდებლო ხელისუფლება. ეს, ცხადია, უარყოფითად აისახებოდა სამართლებრივ გარემოზე და საფრთხეს შეუქმნიდა სახელმწიფოს ეფეტურ ფუნქციონირებას. ამდენად, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, სად გადის ზღვარი საკანონმდებლო ხელისუფლებასა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს შორის.

სტატიაში საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების, ასევე სხვა მასალების შესწავლის საფუძველზე გაანალიზებულია აღნიშნული საკითხი და მიღებულია კონკრეტული დასკვნები.

საძიებო სიტყვები: საკონსტიტუციო სასამართლო, საკანონმდებლო ხელისუფლება, სოციალური უფლებები, სისხლის სამართლის პოლიტიკა.

შესავალი

საქართველოში საკანონმდებლო ხელისუფლება კონსტიტუციის მიხედვით, არის მონოპოლიურად განხორციელებული პარლამენტის მიერ, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებებით, რომლებიც მას შესაძლებლობას აძლევს გარკვეული დოზით ჩაერიოს ქვეყანაში სამართლის განვითარების კურსის განსაზღვრასა და არსებული სამართლებრივი რეალობის კორექტირებაში. პირველ რიგში ის ამას ახერხებს კონკრეტულ გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსტიტუციური ნორმების განმარტების გზით. ეს განმარტებები ფაქტიურად ქმნის კონსტიტუციის შინაარსს. როგორც გერჰარდ ბაუმი მიიჩნევს სწორედ მოსამართლეებმა გახადეს კონსტიტუცია „ის რაც დღეს არის“ (9, 34). ბუნებრივია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო ანაცვლებს ან უფლება აქვს ჩაანაცვლოს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება, გადაწყვიტოს მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხები და გამოვლენილი უკანონობის შემთხვევაში საკუთარი მოსაზრებებით ჩაანაცვლოს პოლიტიკური ხელისუფლების გადაწყვეტილებები (14, 17). ეს, ერთი მხრივ, წინააღმდეგობაში მოვა ხელისუფლების დანაწილების პრინციპთან, რომლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ხელისუფლების შტოებს შორის კომპეტენციის მკვეთრი გამიჯვნა, მეორე მხრივ კი ეჭვქვეშ დააყენებს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის ეფეტურობას. უნდა დავეთანხმოთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N549 განჩინებაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სასამართლოსათვის დაკისრებული ფუნქციის წარმატებით შესრულება თანაბრად შეუძლებელი იქნება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების როგორც სრულად გამოუყენებლობის, ასევე მისი გადამეტების შემთხვევაში (11, II-5). სწორედ

ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება სად მთავრდება საკანონმდებლო ხელისუფლების უფლებამოსილება, სად არის გამყოფილ ხაზი საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებებს შორის.

მასალები და მეთოდები

საკვლევი საკითხის შესწავლის მიზნით, ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ზოგად-მეცნიერული მეთოდები. იმდენად, რამდენადაც, კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესწავლასა და ანალიზს, ნაშრომში აქტიურადაა გამოყენებული კვლევის ანალიტიკური და ლოგიკური მეთოდები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლები

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა გამოიყენოს ყველა რესურსი, რომელსაც ითვალისწინებს კონსტიტუცია მისი (საკონსტიტუციო სასამართლოს) დანიშნულების, ფუნქციის ეფექტურად და ადეკვატურად განსახორციელებლად. მაგრამ, იმავდროულად, ის თავად უნდა დარჩეს კონსტიტუციის ფარგლებში, რადგან მისი საქმიანობის საფუძველი და კომპეტენციის ზღვარი კონსტიტუციაა (11, II-5).

ამდენად, აუცილებელია, საკონსტიტუციო სასამართლომ ყოველთვის დაიცვას „გამყოფი ხაზი“ და არ შეიჭრას საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებაში. როგორც ა. შაიო აღნიშნავს, პარლამენტის უფლება - მიიღოს კანონები, თავისთავად, თითქმის არ მიაჩნდება, თუ რამდენად განსაზღვრავს პარლამენტი კანონის შინაარსს. ერთი მხრივ, კანონმდებლის თავისუფლებას შეიძლება კონსტიტუცია ზღუდავდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, კონსტიტუცია შესაძლოა იმასაც ითხოვდეს, რომ ესა თუ ის საკითხი მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონით გადაწყდეს (4, 192). ეს მუდმივად უნდა ახსოვდეს საკონსტიტუციო სასამართლოს თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ფაქტორს, როგორც წესი, ითვალისწინებენ როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოები და ცდილობენ ზედმეტად არ შეიჭრან საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებში. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ საგადასახადო წყაროების მოძიებისას კანონმდებელს აქვს მოქმედების ფართო ასპარეზი. ... ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადამოწმებას ექვემდებარება მხოლოდ საკანონმდებლო თავისუფლების გარე ზღვრის დაცვა (თვითნებობის აკრძალვა) და არა იმ საკითხების განხილვა, იპოვა თუ არა კანონმდებელმა კონკრეტულ შემთხვევაში ყველაზე მიზანშეწონილი, ყველაზე გონივრული და ყველაზე სამართლიანი გამოსავალი (5, 51-52). გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი პალატის 1959 წლის 15 დეკემბრის განჩინებაში (1 BvL 10/55) კი ვკითხულობთ: კანონმდებელი ამნისტიის შესახებ კანონის გამოცემისას, გერმანიის ძირითადი კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, არ არის ვალდებული, ამნისტია ერთნაირად გაითვალისწინოს ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის. ... კანონმდებელმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, ასევე მის მიხედულებაზეა დამოკიდებული, თუ რა მასშტაბით გაითვალისწინებს ამნისტიას ასეთი დანაშაულისათვის. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ვერ შეამოწმებს ამნისტიის შესახებ კანონს იმ კუთხით, არის თუ არა მასში გათვალისწინებული დებულებები აუცილებელი ან მიზანშეწონილი; სასამართლოს შეუძლია მხოლოდ იმის დადგენა, გადააჭარბა თუ არა კანონმდებელმა მისთვის მიკუთვნებული ფართო ასპარეზის ფარგლებს (5, 52).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაშიც ხშირია მითითება იმის შესახებ, რომ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით კანონმდებლის დისკრეცია განსაკუთრებით მაღალია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ თემებზე მსჯელობა, სასამართლოს განმარტებით, სცილდება მის კომპეტენციას. მაგალითად 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309,310,311 გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: საკონსტიტუციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ამა თუ იმ კატეგორიის საქმის განხილვისას სამართალწარმოების ფორმის შერჩევა საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დაცვის პირობებში კანონმდებლის პრეროგატივას წარმოადგენს და სახელმწიფოს არ უნდა წაერთვას უფლება, ებრძოლოს დამალულ შემოსავლებს, შეიმუშაოს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკუთარი გზა (18, 4). 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილებაში კი წერია: იმ შემთხვევაში, როდესაც კონსტიტუციით არ არის დადგენილი კონკრეტული საარჩევნო სისტემა ან მოდელი, მისი განსაზღვრა კანონმდებლის მიერ ხდება. ამ პროცესში კანონმდებელი მაღალი დისკრეციით სარგებლობს, თუმცა სასამართლომ ისიც აღნიშნა, რომ შერჩეულმა საარჩევნო მოდელმა უნდა უზრუნველყოს, რომ საქართველოს ყოველმა მოქალაქემ თავისუფალი ნების გამოვლინების საფუძველზე მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. ხელისუფლების ფორმირების პროცესში ხალხის ნება მაქსიმალურად ადეკვატურად უნდა იქნეს ასახული (21, II-33). სწორედ ეს საკითხები ექცევა საკონსტიტუციო სასამართლოს კონტროლის ქვეშ. ამდენად, სასამართლო ცდილობს არ იქცეს კვაზიკანონმდებლად, და არ დაარღვიოს უხილავი საზღვარი მასსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების ფარგლებზე საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური უფლებებისა და სასჯელის/სახდელის დამდგენი ნორმების მიმართ საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების მოცულობის განხილვას.

- **სოციალური უფლებები.** მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში დოქტრინა და სასამართლოების პრაქტიკა ერთობ წინააღმდეგობრივია ამ უფლებების დაცვის საქმეში (2, 155). გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც სოციალური უფლებების კუთხით საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების საზღვრებთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს მრავლად ვხვდებით.

როგორც ლ. ცანავა აღნიშნავს, ამის მიზეზი გარკვეულწილად თავად კონსტიტუციაში უნდა ვეძებოთ. იგი თვლის, რომ რამდენიმე სოციალური უფლება ჩამოყალიბებულია დეკლარაციული ფორმით, ისე, რომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს არ აკისრებს. ... ასევე, პრეამბულა აცხადებს, რომ ქართველი ერის ურყევი ნებაა დაამკვიდროს სოციალური სახელმწიფო, თუმცა პრეამბულა მეტაიურიდიული აქტია და მას იურიდიულად სავალდებულო ძალა არ აქვს. ... საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო რთულ ვითარებაშია სოციალური უფლებების განსაზღვრის საკითხში, ვინაიდან ... პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის საშუალებების გარდა, სამართლებრივი საფუძვლებიც ნაკლებად არსებობს (6, 127). პრეამბულის მეტაიურიდიულ აქტად მიჩნევის შესახებ მოსაზრება სადააო. მაგალითად ბ. ქანთარია მიიჩნევს, რომ პრეამბულა კონსტიტუციის ნაწილია და მის ტექსტთანაა ინტეგრირებული. ... პრეამბულა არაა მხოლოდ პოლიტიკური, სახელმწიფოებრივ-თეორიული ან საკონსტიტუციო-პედაგოგიური მნიშვნელობის, ის უფრო მეტად იურიდიული, სამართლებრივ-ნორმატიული ხასიათისაა (7, 43). პრეამბულის არაერთგვაროვან ბუნებაზე საუბრობს მარკ ტაშნეტიც თავის ნაშრომში „მედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები“, რომელშიც მიუთითებს: ხშირად პრეამბულა წარმოადგენს ეროვნული იდენტობის გაგებას. თუმცა, რიგ შემთხვევებში პრეამბულასა და ზოგად პრინციპებს შეილება ჰქონდეთ სამართლებრივი ეფექტი (8, 38). ამდენად, შესაძლოა სადაო იყოს პრეამბულის არაიურიდიულ აქტად მიჩნევის საკითხი, თუმცა ფაქტია, პრეამბულის იურიდიულ ბუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია. იგი მრავალმხრივი პრობლემაა, როგორც

ისტორიული, პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური, ისე იურიდიული თვალსაზრისით (7, 43). სწორედ ამიტომ, რთულია პრეამბულა ჩაითვალოს სოციალური უფლებების კუთხით მყარ იურიდიულ საფუძვლად. იურისტებს შორის სადაო იყო სოციალური უფლებების კონსტიტუციის 39-ე მუხლის მოქმედების ქვეშ მოქცევის საკითხიც, ვინაიდან როგორც ბ. ზოიძე აღნიშნავს არსებობდა აზრი, რომ ეს უფლებები ახალი ეპოქის უფლებებია და არ შეიძლება ისინი მივაკუთვნოთ ძირითად უფლებებს (2, 155). თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა განსხვავებული მიმართულებით განვითარდა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილებაში ჩამოაყალიბა შემდეგი პოზიცია: „სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები შეეხება მათი იმ კატეგორიის სოციალური უფლებების დაცვას, რაც მართალია, ცალკე არაა გათვალისწინებული საქართველოს კონსტიტუციით, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ მისი პრინციპებიდან. საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის ძალით, „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“ (20, III). საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებიდან და ... საერთაშორისო აქტებიდან გამომდინარე მოსარჩელეთა სოციალური უფლებები სასამართლომ მიიჩნია კონსტიტუციის 39-ე მუხლის შინაარსით გათვალისწინებულ და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ იმ უფლებებად, რომელთა დაცვის მძლავრი მექანიზმების შესაქმნელად სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა მართებული საშუალება.

თუ საკონსტიტუციო სასამართლოს მომდევნო პრაქტიკას გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ ეს მიდგომა კიდევ არაერთხელ გაჟღერდა მათ გადაწყვეტილებებში. სწორედ ამ დებულებებზე დაყრდნობით სასამართლომ კონსტიტუციის 39-ე მუხლის საფუძველზე მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით. მაგალითად, 2002 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებაში ვეტერანთა შეღავათებთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, რომ ის საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ელექტროენერგიით მომარაგების სფეროში მოხდა (მოსარჩელები ითხოვდნენ ელექტროენერგიით სარგებლობის შეღავათებით სარგებლობის მნიშვნელოვნად შემცირების არაკონსტიტუციურად ცნობას), არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლის და საერთაშორისო სასამართლებრივი აქტების მოთხოვნებს. სასამართლომ განმარტა, რომ მათი შინაარსიდან გამომდინარე, ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა ამ უფლებათა დაცვის სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც უზრუნველყოს (6, 128). 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილებაში დამატებით მიუთითა, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში სახელმწიფოს ამ ვალდებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამართლიანი სამოქალაქო ბრუნვის ჩამოყალიბებაში. ... ქვეყანა, რომელიც აშენებს სოციალურ სამართლებრივ სახელმწიფოს, ვალდებულია თავის თავზე იღებდეს არასტაბილური ეკონომიკის უარყოფით შედეგებს (19, I-8). კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი დებულება ჩამოაყალიბა საკონსტიტუციო სასამართლომ სახელმწიფოს ვალდებულებაზე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როდესაც დაადგინა, რომ სახელმწიფო არა მარტო მაშინაა ვალდებული დაიცვას მოქალაქეთა სოციალური უფლებები, როცა ამა თუ იმ მომსახურებას თვითონ ახორციელებს, არამედ მაშინაც, როდესაც ეს მომსახურება კერძო პირთა ხელშია (6, 129).

ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს აქვს გარკვეული პრაქტიკა სოციალური უფლებების კუთხით, თუმცა არ იქნება მართებული არ აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობაში გარკვეული თვითცენზურა შეინიშნება. მაგალითად, საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „კონსტიტუციურობის შეფასებისას გასათვალისწინებელია ის, რომ სადავო ნორმა, გარკვეულწილად, სოციალური დატვირთვის მატარებელია და ამ მიმართებით სახელმწიფოს საკმაოდ დიდი მოქმედების არეალი აქვს“ (15, II-7). ო. ზოიძეც მიუთითებს, რომ მოსამართლეთა შინაგანი ცენზურის არსებობა განსაკუთრებით ვლინდება ე.წ. „საბიუჯეტო“ საკითხების განხილვისას (3, 241). ამას თავისი ობიექტური საფუძვლები გააჩნია. ეს საფუძვლები ნათლად არის წარმოჩენილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქ. ერემაძისა და ბ. ზოიძის განსხვავებულ აზრში. რომელშიც ვკითხულობთ: „ზოგადად, სოციალური უფლებები მიჩნეულია, როგორც ე.წ. „ძვირი უფლებები“, რომელთა რალიზაცია პოლიტიკურ და პირად უფლებებთან შედარებით, უმეტესწილად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტზე, სახელმწიფოს მიერ ადეკვატური სახსრების ხარჯვაზე. აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში საკმაოდ ფრთხილია სახელმწიფოთა მიდგომა სოციალური უფლებების აღიარებასთან დაკავშირებით. ... სოციალური უფლებების თავისებურებების გამო, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დაურღვევლობის მიჯნაზე გავლა სასამართლოსგან მოითხოვს მეტ სიფრთხილეს და ზომიერებას (14, 17).

აღნიშნულის გათვალისწინებით, როგორც ზემოთ აღნიშნა სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით მოსამართლეთა თვითცენზურა საკმაოდ მაღალია და ხშირად ამ სახის საქმეები არსებითი განხილვის ეტაპზე საერთოდ ვერ გადადის, მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 31 მარტის N2/8/366 განჩინებაში, რომელიც შეეხებოდა მაღალმთიანი რეგიონებისათვის შეღავათების დაწესებას, უარი განაცხადა საქმის არსებითად განსახილველად მიღებაზე და დაადგინა: საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი სახელმწიფოს აკისრებს მოვალეობას იზრუნოს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ... მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველსაყოფად კანონმდებელმა დაადგინა შეღავათები, რომლებიც ასახულია „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ... ხოლო რაც შეეხება მის ოდენობას, საკონსტიტუციო სასამართლო არსებითად ვერ იმსჯელებს აღნიშნული საკითხის კონსტიტუციურობის თაობაზე, ვინაიდან შეღავათებისა და მისი ოდენობის დადგენა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ განეკუთვნება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას (16, 2). ანალოგიურად, საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 31 მარტის განჩინებით არ მიიღო საქმე არსებითად განსახილველად, ვინაიდან მიიჩნია, რომ პენსიის, დანამატების და დახმარებების დანიშვნა და მისი ოდენობის დადგენა ხდება სახელმწიფოს ეკონომიკური რესურსების გათვალისწინებით (16, 5) და აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცილდება საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას.

რასაკვირველია, ეს არ უნდა განიმარტოს ისე, თითქოს საკონსტიტუციო სასამართლომ სრულებით უარი თქვა სოციალური უფლებების განხილვაზე. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა კონსტიტუციის მიზნებთან, ვინაიდან, როგორც ქ. ერემაძე და ბ. ზოიძე აცხადებენ სოციალური უფლებების სასამართლო კონტროლიდან მთლიანად გაყვანით, პოლიტიკურ ხელისუფლებას მიეცემა აბსოლუტური თავისუფლება ამ სფეროში კონკრეტული გადაწყვეტილებების როგორც მიღება-არმიღების, ისე მათ სათანადოდ შესრულება-შეუსრულებლობასთან დაკავშირებით. თუკი პოლიტიკური ხელისუფლება თავად იქნება იმის ერთადერთი შემფასებელი, გამოიჩინოს თუ არა ძალისხმევა ადამიანების სასიცოცხლო პრობლემების გადასაწყვეტად, საექვო გახდება მის მიერ როგორც სავალდებულო გადაწყვეტილებების მიღება, ისე მათი შესრულების კანონიერება (14, 17).

ამდენად, სოციალური უფლებები რჩება საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვის ობიექტთა რიცხვში, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეთა თვითცენზურა ამ სფეროში

მაღალია, საკონსტიტუციო სასამართლო საქმეს არსებითად განსახილველად იღებს მხოლოდ მაშინ, თუ მოსარჩელე დაასაბუთებს, რომ უფლების დაცვის მინიმალური დონეც კი არ არის დაცული. ამაზე მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 29 მარტის N2/7/365,371 განჩინებაში: „ყოველი სახელმწიფო ვალდებულია არსებული რესურსების ფარგლებში მოსახლეობის სოციალური უფლებების დასაცავად მაქსიმალურ ძალისხმევას მიმართავდეს, რათა უფლების დაცვის, სულ მცირე, მინიმალურად აუცილებელი დონე მაინც უზრუნველყოს“. მაშასადამე „უფლების დაცვის ... მინიმალურად აუცილებელი დონე“ არის განმსაზღვრელი კრიტერიუმი, და მხოლოდ ამ კრიტერიუმის ხელყოფის შემთხვევაში წარმოიშობა კონსტიტუციის 39-ე მუხლით დაცვის შესაძლებლობა (17, 2).

- **საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება სასჯელის/სახდელის დამდგენი ნორმების მიმართ.** უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს უფლებამოსილება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება სასჯელის/სახდელის სახის ან ოდენობის კონსტიტუციურობას, როგორც წესი შეზღუდულია. ამ ტიპის სარჩელებში სასამართლოსათვის გადაწყვეტია დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა სადავო პასუხისმგებლობის ზომა „კონსტიტუციურ უფლებაში აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ჩარევას“. მხოლოდ ამ კრიტერიუმის დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოიშობა საკითხის კონსტიტუციურობის შეფასების შესაძლებლობა.

2010 წლის 10 ნოემბრის N4/482/483/487/502 საოქმო ჩანაწერში სასამართლომ განაცხადა, რომ ადმინისტრაციული სახდელის დამდგენი ნორმის არსებითად განსახილველად მისაღებად მოსარჩელე ვალდებულია დაასაბუთოს, რომ სახდელის კონკრეტული ზომა არის იმდენად მკაცრი, რომ ის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაინახავს პირის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებასთან ადმინისტრაციული სახდელის მიმართებას, თუ ეს უკანასკნელი კანონმდებლის მიზნის მიღწევისა და კონსტიტუციური უფლებით დაცულ სფეროში ჩარევის აშკარად არაგონივრულ და არაპროპორციულ ზომას წარმოადგენს. (13, II-8) მოგვიანებით, 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებაში სასამართლომ უკვე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ის არ არის სასჯელის ყველა ზომის კონსტიტუციურობაზე პოტენციურად მსჯელობაუნარიანი. ასეთი მიდგომა დაარღვევდა ბალანსს სასამართლოს და კანონმდებლის კომპეტენციებს შორის, შექმნიდა ცდუნებას, მართლმსაჯულებამ ჩაანაცვლოს კანონმდებელი. თუმცა, ამავე გადაწყვეტილებაში მიუთითა: „ამ სფეროში შესვლისას სასამართლოს სიფრთხილე უსაფუძვლო და უადგილო გახდება, როდესაც სასჯელის ზომა აშკარად არაგონივრული და არაპროპორციულია. სასამართლო უფლებამოსილია და ვალდებულიც, შეაფასოს იმ სასჯელთა კონსტიტუციურობა, რომელთა არაადეკვატურობის, არაპროპორციულობის დონე მნიშვნელოვან ხარისხს აღწევს, დისბალანსი მკაფიოდ, მკვეთრად გამოხატულია. რადგან ასეთ შემთხვევაში სასჯელი სცდება თავის მიზნებს და გაუმართლებლად ზღუდავს კონსტიტუციურ უფლებებს“ (23, II-34).

სასჯელის/სახდელის არაადეკვატურობის შეფასებისას საკონსტიტუციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე. კერძოდ:

- 1) მოწმდება, ხომ არ არის აშკარა არაპროპორციულობა დანაშაულის სიმძიმესა და მისთვის გათვალისწინებულ სასჯელს შორის. N1/4/592 გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს სასჯელის არაპროპორციულობაზე მსჯელობა, ... სასჯელი დანაშაულებრივ ქმედებასთან მიმართებით უნდა იყოს უფრო მეტი, ვიდრე „უბრალოდ გადამეტებული“ (23, II-38). როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი მ. ტურავა აღნიშნავს, „იგი განსაკუთრებული

სიძვარის და არაპროპორციულობის ხარისხს უნდა აღწევდეს და კონკრეტული ქმედებისათვის ასეთი სასჯელის დაწესება იმდენად უხეშად არაპროპორციული უნდა იყოს, რომ ეწინააღმდეგებოდეს ცივილიზებულ სახელმწიფოთა სამართლებრივ შეხედულებებს“ (10);

2) მოწმდება, რამდენად იძლევა კანონი შესაძლებლობას, მოსამართლემ სასჯელის დაკისრებისას გაითვალისწინოს კონკრეტული საქმის გარემოებები, ქმედებით გამოწვეული ზიანი, დამნაშავეს ბრალეულობის ხარისხი და სხვა, რათა ფაქტობრივად გამოირიცხოს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ყველა რელევანტური ფაქტორის/გარემოების გათვალისწინებლად არაპროპორციული სასჯელის შეფარდება. ... ამასთან, მოსამართლის დისკრეციის ფარგლები ასევე განჭვრეტადი უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც ერთგვაროვანი ურთიერთობების მიმართ ერთნაირი მიდგომა, ისე მოსამართლის დისკრეციის მიზნობრივი გამოყენება - გამოირიცხოს დისკრეციაზე დაყრდნობით მხოლოდ სუბიექტური შეხედულებებით გადაწყვეტილების მიღების რისკები (23, II-38).

გახმაურებულ საქმეში „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სწორედ აღნიშნულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საკონსტიტუციო სასამართლომ განსჯადად მიიჩნია საქმე, რომელიც შეეხებოდა დიდი ოდენობით (50-500გრ.) მარიხუანის შექმნა/შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთას 7-14 წლამდე და საკითხის შესწავლის შემდეგ არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალების - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისთვის შექმნის ან შენახვის გამო სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას“.

არ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს ისიც, რომ ამავე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა კონსტიტუციურობის კონკრეტული კრიტერიუმები სასჯელის დამდგენი ნორმების მიმართ. ეს მოსაზრებები შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთგვარ ორიენტირად სისხლის სამართლის სფეროში სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრისთვის. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის - ქმედების კრიმინალიზაციისა და მისი დასჯადობის ფუნქცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც ის გამოიყენება როგორც ultima ratio. საზოგადოების და ადამიანის ინტერესების დასაცავად სისხლისსამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება, როდესაც ამოწურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები. ამ პროცესის წარმატებულობას უზრუნველყოფს ხელისუფლების მხრიდან შემდეგი პირობების კუმულაციურად დაკმაყოფილება:

ა)კანონით დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედების მიჩნევა, რომელიც უმართლობის ხარისხის იმ მომეტებული რისკების მატარებელია, რომელთა განეიტრალება და ამ გზით საზოგადოების და ადამიანების დაცვა ობიექტურად სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება (23, II-37);

ბ)კანონითვე კრიმინალიზებული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის პროპორციული ზომის გათვალისწინება (23, II-37);

გ)კანონმდებლის მიერ სასამართლოს აღჭურვა შესაძლებლობით, გადაწყვეტილება მიიღოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედების სიმძიმის, დამნაშავეს პიროვნების, ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით. ... მართალია, კანონმდებელი მოკლებულია შესაძლებლობას, დეტალურად აღწეროს კანონში, ყველა შესაძლო ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით, მოსამართლემ როდის როგორი პასუხისმგებლობა უნდა

შეუფარდოს პირს, თუმცა კანონმდებელი არ თავისუფლდება ვალდებულებისგან, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, სასამართლო აღჭურვის საკმარისად მოქნილი ნორმებით, რომელიც შესაძლებელს გახდის, მოსამართლემ შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს ყველა ინდივიდუალური გარემოება და პირის მიმართ გამოიყენოს ის სასჯელი, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში ობიექტურად აუცილებელია და გარდაუვალი (23, II-100).

საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონმდებლობა არ უნდა იძლეოდეს ე.წ. „სანიმუშო“ სასჯელების გამოყენების შესაძლებლობას (23, II-102), რაც გულისხმობს იმასაც, რომ კონსტიტუციის შეუსაბამოა პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ავტორს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ (23, II-85).

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი პოზიცია დააფიქსირა თავისუფლების აღმკვეთი სასჯელების მიმართაც და განაცხადა, რომ იმდენად, რამდენადაც თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკა უნდა იყოს მისი უკიდურეს შემთხვევაში გამოყენებაზე ორიენტირებული. ... ის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მაშინ და მხოლოდ იმ ხანგრძლივობით, როდესაც და რამდენადაც ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ხელისუფლების მიმართ არის მთავარი მოთხოვნა: შედგეს ობიექტური მართლმსაჯულება. თუმცა ამისთვის, პირველ რიგში, კანონმდებელმა უნდა უზრუნველყოს სასამართლო საკმარისი ბერკეტებით, რათა მან შეძლოს, აწიოს სამართლიანი მართლმსაჯულების ტვირთი. კანონმა უნდა აღჭურვოს სასამართლო როგორც საკმარისი, ეფექტური პროცესუალური გარანტიებით, ისე - მატერიალური ნორმებით, რომლებიც თავისუფლების აღკვეთას შესაძლებელს გახდის მხოლოდ მაშინ და იმ დროით, როდესაც და რამდენადაც ეს ობიექტურად აუცილებელია (23, II-29).

ზემოთმოყვანილმა განმარტებებმა არ უნდა შექმნას შთაბეჭდილება, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ხშირად იჭრება სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებაში. პირიქით, შეიძლება არაერთი მაგალითის მოყვანა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო უარს აცხადებს იმ სარჩელების არსებითად განხილვაზე, სადაც მოსარჩელე სახდელის ან სასჯელის კონსტიტუციურობაზე დაობს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2011 წლის 13 მაისის N1/1/500 და 2016 წლის 26 თებერვლის N1/2/632 განჩინებები, რომლითაც სასამართლომ უარი თქვა საკითხის არსებითად განსახილველად მიღებაზე და განაცხადა, რომ სასჯელის ფორმის, ზომის ან სიმკაცრის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება დადგეს (12, II-2; 22, II-2). ამ საკითხებთან დაკავშირებით თვითშეზღუდვის ასეთი მაღალი დონე განპირობებულია იმით, რომ ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა, სახდელისა თუ სასჯელის დაწესება, მისი ზომისა და სიმძიმის განსაზღვრა საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით სახელმწიფოს (კანონმდებლის) ექსკლუზიურ უფლებადაა მიჩნეული. ეს არის მიზეზი, რის გამოც ყოველ ჯერზე, როდესაც სადავო ნორმა აღნიშნულ საკითხებს ეხება, საკონსტიტუციო სასამართლო ზედმიწევნით ფრთხილად აფასებს საკუთარ კომპეტენციას, რათა არ შეიჭრას კანონმდებლის ფუნქციებში და არ დაარღვიოს ხელისუფლების შტოებს შორის არსებული ბალანსი. სწორედ ამიტომ, საქმეში „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობის საკითხის გადაწყვეტამდე, პირველ რიგში, იმსჯელა იმაზე, სისხლის სამართლის პოლიტიკის სფეროში სად გადიოდა ზღვარი საკანონმდებლო ორგანოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებებს შორის.

გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, რომელი ქმედების კრიმინალიზაციას მოახდენს და როგორ სასჯელს დააწესებს კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის, ... თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვერ იქნება უსაზღვრო. ... ხელისუფლების დანაწილების პრინციპს საფრთხე შეექმნება არა მხოლოდ მაშინ, თუ საკონსტიტუციო სასამართლო ყველა საჩქეის სამართალდარღვევასთან შესაბამისობის შეფასებას დაიწყებს, არამედ მაშინაც, თუ სასჯელის სიმძიმის განსაზღვრა სრულად და უკონტროლოდ კანონმდებლის დისკრეციის იმედად დარჩება, რადგან დემოკრატიის გადარჩენას და შენარჩუნებას ხელს უწყობენ სწორედ კონსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც აბალანსებენ პოლიტიკურ ხელისუფლებას, ზღვარს უდებენ მის ძალაუფლებას, ხელს უშლიან მის თვითნებობას, ანეიტრალებენ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების რისკებს. ... შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს სასჯელთა პოლიტიკა იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც მისი შედეგი ადამიანის ამა თუ იმ უფლების დარღვევაა (23, II-34). ამ მიდგომას დაეთანხმა საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მ. ტურავაც, რომლის განსხვავებულ აზრშიც ვკითხულობთ: „ზოგადად, სახელმწიფოს, განსაკუთრებით, საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები განსაზღვრავს სისხლის სამართლის პოლიტიკას, თუ როგორი უნდა იყოს იგი - კონსერვატორული, ლიბერალური თუ შუალედური. ბუნებრივია, სახელმწიფოს აქვს ფართო მიხედულების ზღვარი სისხლის სამართლის პოლიტიკის განსაზღვრის დროს. ამასთან, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვერ იქნება უსაზღვრო (10).

ანალოგიური პოზიცია აქვს საკონსტიტუციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სახდელებთან და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის შემუშავების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. 2010 წლის 10 ნოემბრის N4/482/483/487/502 საოქმო ჩანაწერში სასამართლომ განმარტა, რომ „ქმედების სამართალდარღვევად განსაზღვრა, სახდელის დაწესება და მისი სიმძიმის განსაზღვრა სახელმწიფოს (კანონმდებლის) ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენს. კანონმდებელი უფლებამოსილია განსაზღვროს, თუ რა ურთიერთობასთან მიმართებით უნდა იქნეს გამოყენებული ესა თუ ის ადმინისტრაციული სახდელი და რამდენად ეფექტურად უზრუნველყოფს იგი იმ მიზნის მიღწევას, რაც კანონმდებელს სურს. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სახდელის ზომის, მოცულობისა და სიმძიმის დადგენისას კანონმდებელი ფართო მიხედულობით სარგებლობს, მისი დისკრეციული უფლებამოსილება არ არის უსაზღვრო. კონკრეტული სახის ადმინისტრაციული სახდელის განსაზღვრისას, კანონმდებელი ვალდებულია, მოქმედებდეს პროპორციულობის პრინციპის დაცვით. კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელი არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული სამუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევისა და შესაბამისად არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას (13, II-8).

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ იმ საკითხების პარალელურად, სადაც საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია მეტ-ნაკლებად შეზღუდულია საკანონმდებლო ორგანოს უფლებებით, არსებობს ისეთი კონსტიტუციური უფლებები, რომელთაც საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება და რომელთა მიმართაც შეფასების ფართო ზღვრით სარგებლობს. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა ადასტურებს, რომ ასეთ უფლებებს, პირველ რიგში, განეკუთვნება პირადი უფლებები. როდესაც საქმე ამ უფლებებს შეეხება, საკონსტიტუციო სასამართლო ყოველთვის ცდილობს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მაქსიმალურად ფართოდ განმარტოს ეს უფლებები. ამ გზით სასამართლომ შექმნა არაერთი უფლების კონსტიტუციური დაცვის გარანტიები (1, 72).

დასკვნა

საკონსტიტუციო იუსტიციის ორგანოებს კანონმდებლობით ენიჭებათ განსაკუთრებული უფლებამოსილება გადაწყვიტონ სამართლის საკითხები. გარდა იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო არის ნეგატიური კანონმდებელი და აუქმებს არაკონსტიტუციურ ნორმებს, ის ასევე არის კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი, კონსტიტუციურ-სამართლებრივი პოლიტიკა კი მთელი სამართლებრივი პოლიტიკის საფუძველია. ეს ნიშნავს იმას, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას შეზღუდულია საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებებით, რომელსაც ის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აყალიბებს.

ამდენად, ცხადია, საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც ნეგატიური კანონმდებელი, პოტენციური არბიტრი და სამართლის დოქტრინების ავტორი წარმოადგენს სამართლის პოლიტიკის ქმედით სუბიექტს, თუმცა მისი უფლებამოსილების ფარგლები განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა საკანონმდებლო პრობლემასთან გვაქვს საქმე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს სფეროები სადაც საკონსტიტუციო სასამართლო განსაკუთრებით აქტიურად ერთვება სამართლის ფორმირებაში და სფეროები, სადაც საკანონმდებლო ხელისუფლებას ქმედების ფართო არეალი აქვს. საკონსტიტუციო სასამართლო ცდილობს არ იმსჯელოს იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც საკანონმდებლო ორგანოს ექსკლუზიურ კომპეტენციაში შედის. მაგალითად, ამა თუ იმ სამართლებრივი საკითხის დარეგულირების მიზნით, არსებული ალტერნატივებიდან კონკრეტული სისტემების/მიდგომის შერჩევა კანონმდებლის კომპეტენციას წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს მხოლოდ იმას, კანონმდებლის მიერ შერჩეული მექანიზმები და სისტემები ხომ არ არღვევს ადამიანის კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს. თავის მხრივ, ამ შემოწმების დროს შეფასების თავისუფლების მოცულობაც დამოკიდებულია თავად უფლების შინაარსზე. მაგალითად, თუ პირად უფლებებზე მსჯელობისას საკონსტიტუციო სასამართლო შეფასების ფართო ზღვრით სარგებლობს, სოციალურ უფლებებთან დაკავშირებით წარდგენილი სარჩელები ხშირად დასაშვებობის ეტაპსაც ვერ გადის, რადგან მაღალია ამ სფეროში მოსამართლეთა თვითშეზღუდვა. კიდევ უფრო იშვიათ შემთხვევაში შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელოს ისეთ საკითხებზე, როგორცაა: კონკრეტული ქმედების სამართალდარღვევად გამოცხადების კონსტიტუციურობა, სასჯელის/სახდელის ფორმისა და ზომის კონსტიტუციურობა და სხვ. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ გამონაკლის შემთხვევებში ეს საკითხებიც შეიძლება დაექვემდებაროს კონსტიტუციურ კონტროლს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ არსებობს ნორმატიული აქტი, რომელიც მასში დაცული უფლების შინაარსიდან გამომდინარე არ ექვემდებარება კონსტიტუციურ კონტროლს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თუ ერთ შემთხვევაში საკონსტიტუციო სასამართლო მცირედი ეჭვის არსებობის შემთხვევაშიც კი განიხილავს საკითხს, სხვა შემთხვევაში სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად და ნორმის კონსტიტუციურობის შესაფასებლად საჭირო ხდება იმის დასაბუთება, რომ ადგილი აქვს ადამიანის კონსტიტუციური უფლებების არა უბრალო, არამედ ძალიან უხემ დარღვევას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ერემაძე ქ. 2013 კონსტიტუციური კანონის კონსტიტუციურობის შეფასების პერსპექტივები. *ადამიანის უფლებები და სამართლის უზენაესობა*. გვ.60-80;
2. ზოიძე ბ. 2007 *საკონსტიტუციო კონტროლი და ღირებულებათა წესრიგი საქართველოში*, თბილისი GTZ;
3. ზოიძე ო. 2000. საკონსტიტუციო სასამართლოს როლი, ტენდენციები და პერსპექტივები. *ადამიანი და კონსტიტუცია*. 4. გვ.235-244;
4. შაიო ა. 2003. *ხელისუფლების თვითშეზღუდვა*. აირის საქართველო;
5. შვაბე ი. 2011. *გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები*. GIZ;
6. ცანავა ლ. 2012. საკონსტიტუციო კონტროლი და კონსტიტუციის განმარტება. *თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალი* წიგნი I. გვ. 119-132;
7. ქანთარია ბ. 2016. კონსტიტუცია - ცნება, სტრუქტურა, ფუნქციები და კლასიფიკაცია“. *ახალგაზრდა ატვოკატები*. 5. „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ ერთობლივი გამოცემა, თბილისი
8. ტაშნეტი მ. 2016. *შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი 2016
9. ბაუმი გ. 2017. *იხსენით ძირითადი უფლებანი*“, ფრიდრიხ ნიუმანის ფონდი თავისუფლებისათვის, თბილისი
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებაზე;
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის N549 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 13 მაისის N1/1/500 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე რევაზ ჩაგუნავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
13. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 10 ნოემბრის N4/482/483/487/502 საოქმო ჩანაწერი საქმეზე: „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქე ზვიად მიმიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2009 წლის 27 აგვისტოს N1/2/434 გადაწყვეტილების მოტივაციის ნაწილთან დაკავშირებით;
15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის N2/1-392 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის N2/8/366 განჩინება საქმეზე: „იურიდიული პირები - ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი „მიზანი - 2005“-ის თავმჯდომარე ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
17. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 29 მარტის N2/7/365,371 განჩინება საქმეზე მოსარჩელები – ომარ შერაზადიშვილი, თამაზ კოღუა, ვახტანგ რაზმაძე, რევაზ

ყიფიანი, გიორგი ნადარეიშვილი და ნუგზარ სოტკილავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ;

18. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 13 ივლისის N2/5/309,310,311 გადაწყვეტილება საქმეზე „1 მოქალაქეები: ლილი თელია, არჩილ მეფარიძე და გურამ თოხაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 2 მოქალაქე სერგო გოგიტიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 3 მოქალაქე როსტომ ბოლქვაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
19. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის N1/3/136 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე შალვა ნათელაშვილი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სემეკის წინააღმდეგ“;
20. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2002 წლის 18 აპრილის N1/1/126,129,158 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - 1 ბაჭუა გაჩეჩილაძე, სიმონ თურვანდიშვილი, შოთა ბუაძე, სოლომონ სანადირაძე და ლევან ქვაცხაია, 2 ვლადიმერ დობორჯგინიძე, ნინელი ანდრიაძე, გურამ დემეტრაშვილი და შოთა პაპიაშვილი, 3 გივი დონაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
21. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის N3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“;
22. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N1/2/632 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ღვინიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
23. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.“;

The Boundary between the Authorities of the Legislative Government and the Constitutional Court

Ana Kuchukhidze, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

The Constitutional Court of Georgia is equipped with the powers which give it a possibility to interfere to some extent in determination of the course of development of the law in the country and in correction of the existing legal reality; though, naturally, it does not mean that the court substitutes or is liable to substitute the legislative or the executive government, solve the issues designated to their competence and in case of revealed illegality, substitute the resolutions (decisions) received by the political government. This, on one hand, will be in contradiction to the principle of distribution of the authorities one of the main components of which is a sharp division of the competence between the branches of the Government, and, on the other hand it will make doubtful the efficiency of the activities of the Constitutional Court. We have to agree to the idea (consideration) expressed in the resolution No. 549 of February 5, 2013 of the Constitutional Court of Georgia that the successful fulfillment of the function imposed on the Court will be equally impossible for the Constitutional Court both to completely analyze its own authorities and in case of its exceeding. That is why it is important to analyze where the boundary between the authorities of the Legislative government and the Constitutional Court lies. Studying and analysis of these very issues server the presented article.

In the present work are used both the general scientific methods. To the extent that in the research a special attention is paid to study of practice of the Constitutional Court of Georgia. The analytical and logical methods of research are actively applied in the work. While studying the issues under investigation, both the works of various scientists and the decisions and judgments of the Constitutional Court of Georgia were processed.

On the basis of these materials, the specific conclusions were received. The Constitutional Court tries not to discuss the issues the solution of which is not within the competence of the Legislative body. The goal of its assessment is not, for example, the case that whether the election system selected by the Legislation is the best alternative, specifically which lever should be put into operation by the legislator for promoting the development of the business in the country, etc. The Constitutional Court controls only the situation if the mechanisms and systems selected by the legislator violate the human rights guaranteed by the Constitution. In the process of this control, the volume of freedom of assessment depends on the content of the right itself. For instance, if while discussing the personal rights the Constitutional Court favors with wide boundaries of the court assessment, in case of suits submitted in connection to social rights very often it even cannot pass the stages of admissibility so as the limit (boundary) of self-restriction of the judges is high in this sphere. In more rare cases it is possible that the Constitutional Court issues a discussion and represents its own conclusions about such issues as: the constitutionality of declaring the specific action as a violation of law, constitutionality of the form and size of the punishment /evidence, etc. However, as we have already indicated, in exceptional cases these issues can also be subjected to the Constitutional control. Thus, there is no Constitutional Act which is not subjected to the Constitutional control. The only difference is that if in one case the Constitutional Court discusses the issue even in case of the smallest doubt, in the other case, even in case of availability of the tiny doubt, to receive the consideration and assess constitutionality of the norm it becomes necessary to prove the fact that we deal with not only mere, but very rude violation of the constitutional human rights.

**სასამართლო დავის განახლების თავისებურებანი ადმინისტრაციული
კანონმდებლობის მიხედვით**

გოჩა აბუსერიძე, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია შეეხება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული პროცესის განახლების საკითხებს ადმინისტრაციულ სამართალში, კონკრეტულად კი განხილულია საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა, ასევე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძველით. ადმინისტრაციული სამართალი, როგორც ურთიერთ დაქვემდებარების პრინციპზე აგებული სამართლის ნორმათა ერთობლიობა, საჯარო სამართლის სფეროს განეკუთვნება და ორგანულად ეფუძნება საჯარო ინტერესების რეალიზებას. ადმინისტრაციული სამართალი ადგენს მმართველობის კანონიერების უზრუნველყოფ ნორმებს, წესებს, პროცედურებსა და მექანიზმებს, თუმცა მმართველობით სფეროში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე კონტროლი სასამართლო ხელისუფლების ფუნქციას წარმოადგენს, რა მიზანსაც ემსახურება მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება, რაც სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების კომპეტენტურობასა და მის ეფექტურად აღსრულებაში გამოიხატება; აღსრულებას კი ექვემდებარება სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული მხოლოდ კანონიერი ძალის მქონე გადაწყვეტილებები. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იწვევს გადაწყვეტილების საბოლოო, სავალდებულო ხასიათს პროცესის მხარეებისა და ნებისმიერი მესამე პირებისთვის. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება დაუშვებელია, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისისა, რომელშიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 კარით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების საფუძვლები მოიაზრება. სხვა შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება არ დაიშვება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით გარკვეული სახის შეზღუდვებს აწესებენ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული პროცესის განახლების თვალსაზრისით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი მსგავსი სახის რეგულაციას (გარდა პროკურორის მიერ პროტესტის წარდგენისა) საერთოდ არ ითვალისწინებს, რაც წინამდებარე სტატიის განხილვის საგანია. მასში ასევე განხილულია ანალოგიის წესით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენების პირობებში ის თავისებურებანი, რასაც საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს.

მითითებულ სტატიაში ასევე მოკლედ მიმოხილულია ადმინისტრაციულ სფეროში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვასთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა, ასევე ის საკანონმდებლო ხარვეზები, რაც ხელს უშლის ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას, ამ ხარვეზების აღმოფხვრისა და საკანონმდებლო ნორმების დახვეწის გზები, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირის უფლების რეალიზებას – ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს მეშვეობით.

საძიებო სიტყვები: ადმინისტრაციული, ახლად აღმოჩენილი, ახლად გამოვლენილი, განახლება, კანონიერი ძალა, გადაწყვეტილება.

შესავალი

ვინაიდან მმართველობა ყოველდღიურად ზემოქმედებს ადამიანთა ცხოვრებისეულ ინტერესებზე, ამ ზემოქმედებისთვის ცივილიზებული ხასიათის მინიჭების, ანუ კანონმდებლობის მკაცრ დაცვაზე მისი დაფუძნების მიზნით, ობიექტურად წარმოიქმნება მმართველობითი საქმიანობისათვის იურიდიული ფორმის მიცემის მოთხოვნილება. სწორედ ასეთი ფორმაა ადმინისტრაციული სამართალი, რომელიც მოწოდებულია მოაწესრიგოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ანუ სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოქმნილი საზოგადოებრივი ურთიერთობები (1).

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მისი სამართლებრივი მოქმედებაა, რაც იმაში ვლინდება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხდება უფლებებისა და მათ საფუძვლად არსებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის საბოლოო დადგენა... გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვლინდება რიგ სამართლებრივ თვისებებში, ისეთი როგორცაა მაგალითად გადაწყვეტილების უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა, აღსრულებადობა და სხვ. (2).

მასალები და მეთოდები

მეთოდოლოგიის ძირითადი მიზანი ჩატარებული კვლევის დეტალური აღწერაა. იგი ერთგვარი მიდგომაა საკვლევი საგნისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს, კერძოდ კი იმას, თუ რა მეთოდებს გამოვიყენებთ, როგორ დავამუშავებთ და გავაანალიზებთ მიღებულ მონაცემებს.

მოცემულ ნაშრომში გამოყენებული იქნება ინფორმაციის შეგროვების მეთოდები გამოკითხვის, დოკუმენტების ანალიზისა და სტატისტიკური მეთოდების სახით, ემპირიული კვლევების ჩატარების მეთოდი - მონაცემების მოპოვება, დამუშავება და ანალიზი, ასევე კანონის ნორმათა კომენტარების მეთოდი და სხვა.

საქმის წარმოების განახლების საფუძვლები საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით

მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს (3), არ ითვალისწინებს საქმის წარმოების განახლების მარეგულირებელ ნორმებს, რის გამოც ამავე კოდექსის 1.2 მუხლის დანაწესის გამოყენებით ადმინისტრაციულ სამართალში ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები, რაც მოცემულია მითითებული კოდექსის მე-11 თავში. ამ ნორმების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები (4).

ზოგადად, თეორიაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული პროცესის განახლება შესაძლებელია ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებათა, ასევე გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლით. იგი წარმოადგენს ისეთ საპროცესო-

სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც უზრუნველყოფს „სასამართლო შეცდომის“ აღმოფხვრის შესაძლებლობას და ემსახურება სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების გარანტიების შექმნას.

ახლად აღმოჩენილი გარემოებები იურიდიული ფაქტებია, რომლებიც არსებობდა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის მომენტში და დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ საქმის გადასაწყვეტად, მაგრამ ეს გარემოებები არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილიყო არც განმცხადებლის და არც სასამართლოსათვის. ამ გარემოებებზე (ფაქტებზე) დამოკიდებულია მხარეთა უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა... ახლად აღმოჩენილი გარემოებები განსხვავდება იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტებისაგან, რომლებიც წარმოიშვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, შესაბამისად ამ სახის გარემოებები შეიძლება გახდეს არა სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმების, არამედ ახალი საფუძვლით სარჩელის სასამართლოში შეტანის წინაპირობა, რადგან სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეესაბამებოდეს მისი გამოტანის მომენტში არსებულ ფაქტებს და შემდგომში წარმოშობილმა ფაქტებმა არ შეიძლება დაადასტუროს გადაწყვეტილების უკანონობა (2).

ახლად აღმოჩენილ გარემოებებს მიეკუთვნება მაგალითად თუ: აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია; დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას და სხვა (5). ახლად გამოვლენილია ზოგადად სამართლებრივი გარემოებანი, მაგალითად, სამართლებრივი მდგომარეობის შეცვლა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, რაც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას (6). რაც შეეხება ბათილად ცნობის საფუძვლით სასამართლო აქტის გაუქმების საკითხს, იგი უკავშირდება მაგ.: მხარის ან დაინტერესებული პირის საქმის განხილვაზე მოუწვევლობას და სხვა (7).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში 2010 წლის 4 მაისის საქართველოს კანონით განხორციელდა ცვლილება, რომლითაც კოდექსის 423-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატა „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებად ასევე ჩაითვალა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა ამ საქმესთან დაკავშირებით, და დადგენილი დარღვევა გადასასინჯი გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს (8).

ამავდროულად, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსს დაემატა 34-ე მუხლი, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით არ გავრცელდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლში შეტანილი დასახელებული ცვლილება (9).

ზოგადად, საქმის წარმოების განახლება შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობით იყოს შექმნილი ამ

ინსტიტუტის ეფექტურად გამოყენებისთვის ადეკვატური და საკმარისი გარანტიები... უფლების შემზღვეველი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნის არსებობას (14).

მიმაჩნია, რომ კანონმდებლის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 34² მუხლის დანაწესის შემოღებით ბუნდოვანია დადგენილი შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი - რა გახდა კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევის არსებობის პირობებში, ადმინისტრაციული პროცესის მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული პირების არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება. ფაქტია, რომ სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, თუკი ეს ისახავს ლეგიტიმურ მიზნებს და თუკი არსებობს გონივრული ურთიერთკავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზნებს შორის, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის; კერძოდ, მიმაჩნია, რომ დარღვეულია ბალანსი ერთის მხრივ სახელმწიფოს ინტერესსა და მეორეს მხრივ ფიზიკური თუ იურიდიული პირის ინტერესს შორის, შესაბამისად კანონმდებლობით გათვალისწინებული ამ საგამონაკლისო რეგულაციით ილახება სასამართლოზე ხელმისაწვდომობის უფლება.

ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ დაინტერესებული პირის სასარგებლოდ სამართლებრივი ნორმის შეცვლის საფუძველით კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მიღებით დასრულებული პროცესის განახლებას საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს. გამონაკლის წარმოადგენს მხოლოდ მეწარმის საქმიანობის შემოწმების საკითხის გადაწყვეტის წესთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21³ მუხლის მე-10 ნაწილის დანაწესი, რაც მეწარმეს ან მისი წარმომადგენელს ანიჭებს უფლებას მეწარმის საქმიანობის შემოწმების თაობაზე მოსამართლის ბრძანების გაუქმების შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველით, თუმცა დასახელებული ნორმა არ აკონკრეტებს რა მოიაზრება ამ საფუძველში. მიმაჩნია, რომ ახლადგამოვლენილი გარემოების საფუძველით სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციის არარსებობა არ ემსახურება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების რეალიზებას. მაგალითად, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლში განხორციელებული ცვლილების თანახმად, 2012 წლის 1 ივნისამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული პენსია დაექვემდებარება ლეგალიზაციას, ამასთან მიეთითა, რომ 2012 წლის 1 ივნისამდე ამ კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე პენსიიდან დაკავებული თანხა არ ექვემდებარებოდა დაბრუნებას (10). ანალოგიურად, დასახელებულ საკანონმდებლო აქტში მოგვიანებით შესული ცვლილების თანახმად, ლეგალიზაციას დაექვემდებარება უკვე 2013 წლის 1 დეკემბრამდე ზედმეტად (არასწორად) გაცემული პენსია (11).

მითითებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, იმ ადმინისტრაციულ საქმეებზე, რომლებითაც პენსიონერს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დაკისრებული ჰქონდა უკანონოდ მიღებული საპენსიო თანხა და მიმდინარეობდა მისი აღსრულება, დავის განახლების მოთხოვნით მხარის (პენსიონერის) განცხადებაზე სასამართლომ მიუთითა, რომ საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტში ცვლილების შესვლა არ წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის არც „ვ“ და არც სხვა ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევას. იგი თავისი არსით მიეკუთვნებოდა არა ახლად აღმოჩენილ, არამედ ახლად გამოვლენილ გარემოებას, შესაბამისად სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას ემსჯელა წარმოდგენილ განცხადებაზე, რადგან სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, საქმის წარმოების განახლება

დასაშვები იყო მხოლოდ ახლად აღმოჩენილი გარემოებების არსებობის პირობებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა, ხოლო ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით საერთოდ არ იყო გათვალისწინებული (15).

მიმაჩნია, რომ მსგავს შემთხვევებში ზემოაღნიშნულ საკითხზე საკანონმდებლო ნორმის არარსებობა მნიშვნელოვნად ართულებს დაინტერესებული პირის უფლების რეალიზებას – ეფექტურად დაიცვას თავისი უფლებები სასამართლოს მეშვეობით.

საქმის წარმოების განახლების საფუძვლები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც თავისი იურიდიული ბუნებით რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტია, გარკვეული სახელცვლილებით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების გადასინჯვის რეგულაციას პროკურორის მიერ პროტესტის შეტანის სახით (12), ამასთან კანონმდებლის მიერ არ არის დარეგულირებული სასამართლო დადგენილების გამოტანიდან თუ რა ვადაშია შესაძლებელი პროკურორის მხრიდან პროტესტის წარდგენა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან/და სააპელაციო სასამართლოს დადგენილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნის მქონე პირების ჩამონათვალს (13), რომელშიც მითითებული არ არის სამართალდამრღვევი. მიმაჩნია, რომ მიუხედავად ამ გარემოებისა, სასამართლო აქტის გადასინჯვის უფლების მქონე პირთა ჩამონათვალი ამოწურული არ არის და სამართალდამრღვევად ცნობილ პირს, როგორც მხარეს, უფლება უნდა გააჩნდეს შესაბამისი წინაპირობების დაცვით სასამართლოს წინაშე დააყენოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების გადასინჯვის საკითხი.

აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების წესები იმ თავისებურებებით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის ვადებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების გადასინჯვა დასაშვები უნდა იყოს იმ შემთხვევაში, თუკი მხარე, მათ შორის სამართალდამრღვევად ცნობილი პირი სასამართლოს წარუდგენს ისეთ გარემოებებს და მტკიცებულებებს, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამასთან გათვალისწინებელი უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესი, რომლის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით, ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2013 წლის 5 ნოემბრის №3/1/531 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეეხება საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირებისთვის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დაუშვებლობას გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა შემდეგი: „ზოგადად, საქმის წარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, შესაბამისი საფუძვლების, პირობების არსებობისას, სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. ეს ინსტიტუტი უდავოდ ემსახურება სამართლიანი მართლმსაჯულების მიღწევის ლეგიტიმურ მიზანს, რაც, საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებების სრულყოფილ რეალიზაციას და ადეკვატურ დაცვას უზრუნველყოფს”.

„გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით საქმის წარმოების განახლების კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაძლებლობის არსებობა მიზნად ისახავს პირის უფლებების სრულყოფილად დაცვას, სამართლიანი სასამართლოს უფლების ეფექტურ რეალიზაციას და კონკრეტულ საქმეზე სამართლიანი, ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. მაგრამ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სრულყოფილად სარგებლობის ადეკვატური უფლებრივი კომპონენტების მხოლოდ საკანონმდებლო რეგლამენტაცია ვერ იქნება ამ უფლებით სარგებლობის გარანტია, თუკი კანონმდებლობით ასევე გარანტირებული არ იქნება მათზე (უფლებრივ კომპონენტებზე) ეფექტური, რეალური ხელმისაწვდომობა”.

„სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს არა მარტო სასამართლოსადმი ფორმალურ ხელმისაწვდომობას, არამედ ასევე მოითხოვს, რომ საქმის განხილველ სასამართლოს ჰქონდეს უფლების დარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტური საშუალება. ამ უკანასკნელის არარსებობის შემთხვევაში, სამართლიან სასამართლოზე ხელმისაწვდომობა იქნება თეორიული, ფიქციური და არა რეალური მექანიზმი უფლებების დასაცავად”.

„სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პირთა უფლებებს, კანონიერ ინტერესებს და, იმავდროულად, ეს პირები არა მხოლოდ არ იღებდნენ საქმის განხილვაში მონაწილეობას, არამედ ვერც შეიტყონ სასამართლოს გადაწყვეტილების თაობაზე. ერთი მხრივ, სწორედ ასეთი პირების უფლებების დაცვაზეა ორიენტირებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი, რომელიც ამლევს მათ შესაძლებლობას, განაახლონ საქმის განხილვა, მოითხოვონ იმ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, რომლის მიღებაზეც მათ გავლენა ვერ მოახდინეს და უფლების დარღვევა თავიდან ვერ აიცილეს. თუმცა, მეორე მხრივ, ეს შესაძლებლობა სადავო ნორმით შეზღუდულია 5 წლიანი ვადით, რომლის ათვლა ხდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და რომლის გასვლის შემდეგ ისინი კარგავენ ამ შესაძლებლობას”.

საბოლოოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „დაინტერესებული პირების (სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში – სათანადო მოპასუხის და დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით მესამე პირების) უფლების დაცვის საჭიროების სხვა კონკრეტული პირების ინტერესებისა და უფლებების დარღვევის საფრთხესთან დაპირისპირებისას, სადავო ნორმით გათვალისწინებული 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა დაარღვევდა ინტერესთა შორის სამართლიან ბალანსს დაინტერესებული პირების საზიანოდ, თუ ის იმდენად აშკარად, არაგონივრულად მცირე, ხანმოკლე იქნებოდა, რომ ობიექტურად არასაკმარისი აღმოჩნდებოდა უფლების გამოყენებისა და დაცვისადმი კეთილსინდისიერად განწყობილი პირებისათვის, რითაც მათ არათანაზომადად უფრო მძიმე ტვირთს დააკისრებდა იმ პირებთან შედარებით, რომელთა უფლებები ასევე საფრთხის წინაშე დგება მათ მიმართ გარკვეული ვადის შემდეგ დავის განახლების შემთხვევაში”.

მითითებული გადაწყვეტილების შემდეგ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ, გარდა ამ კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (დაინტერესებული პირები) გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის დანაწესი ითვალისწინებს იმ ადმინისტრაციულ გადაცდომათა ჩამონათვალს, რომელთა განხილვის დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუმცა სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, საქმეთა განხილვის ვადების სიმჭიდროვისა და პოტენციური სამართალდამრღვევის სასამართლო განხილვაში მოწვევის არაეფექტური მექანიზმების გამო, ყოველთვის ვერ ხერხდება სავალდებულო მოწვევის სტატუსის მქონე პირის პროცესში ჩაბმა, რაც ახალი საკანონმდებლო რეგულაციისა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში განვითარებული მოტივაციიდან გამომდინარე ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ამგვარი სტატუსის მქონე პირმა მის მიმართ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვოს განუსაზღვრელი ვადის გასვლის შემდგომაც, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე სახდელის დადების ვადების გათვალისწინებით არაეფექტურს ხდის მართლმსაჯულების განხორციელებას.

შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი შემთხვევები, მნიშვნელოვანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის სავალდებულოდ დასასწრებ საქმეებზე მისი სათანადო წესით მოუწვევლობის შემთხვევებში სასამართლოს გააჩნდეს შესაძლებლობა ამ პირის უფლებების დასაცავად თავისი ინიციატივით მოიწვიოს ადვოკატი სახელმწიფო ხარჯზე ან წარმომადგენლობითი უფლებებით აღჭურვილი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ოჯახის წევრი.

დასკვნა

ამრიგად, ჩვენ განვიხილეთ ადმინისტრაციულ სამართალში დასრულებული სასამართლო დავის განახლების მნიშვნელობა და ამ მიმართებით არსებული საკანონმდებლო რეგულაციის ხარვეზი როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, ისე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით. ვფიქრობ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული კანონმდებლობის კიდევ უფრო დახვეწა და საერთაშორისო სტანდარტებთან მისი დაახლოება ხელს შეუწყობს იმ მნიშვნელოვანი უფლების რეალიზებას, რასაც სამართლიანი სასამართლოს უფლება ჰქვია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადვიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ. 2005. *ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: ბონა კაუზა.
2. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. 2012. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
3. ნორმატიული აქტი №2352. 1999. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. მუხლი 1.1.
4. ნორმატიული აქტი №1106-ის. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 421.1.
5. ნორმატიული აქტი №1106-ის. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 423.1.
6. ნორმატიული აქტი №2186-ის. 1999. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მუხლი 102.1.
7. ნორმატიული აქტი №1106-ის. 1997. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 422.1.
8. ნორმატიული აქტი №3046 - ის. 2010. საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ. მუხლი 1.3.
9. ნორმატიული აქტი №3035 – ის. 2010. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. მუხლი 1.2.
10. ნორმატიული აქტი №6540-ის. 2012. საქართველოს კანონი საქართველოს ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილების შეტანის შესახებ. მუხლი 1.
11. ნორმატიული აქტი N1490-ის. 2012. საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. მუხლი 2.
12. ნორმატიული აქტი №161. 1984. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 274.
13. ნორმატიული აქტი №161. 1984. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. მუხლი 279.
14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის გადაწყვეტილება. საქმე №3/1/531. 05.11.2013. http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22&id=810&action=show (22.09.2014)
15. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება. საქმე №ბ-121-2(ა-12). 30.01.2012. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx> (29.09.2014)

Peculiarities of Litigation Renewal According to the Administrative Law

Gocha Abuseridze, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

The presented paper deals with the issues of the renewal of the project completed with a valid decision in the administrative law, more specifically, with the possibility of the renewal of the proceedings in accordance with the Administrative Procedure Code and Administrative Offences Code of Georgia on the basis of newly discovered or newly revealed circumstances as well as annulment of decision.

The administrative law, as a set of legal standards based on the principle of hierarchy, belongs to the field of the public law and is essentially based on the realization of public interests. The administrative law establishes the standards, rules, procedures and mechanisms of the legality of government. Control of the legality of the decisions made in the field of government is the function of the judicial branch. This implies effective justice - efficiency of the court decision and its effective enforcement. Only valid decisions of the judicial branch are subject to enforcement. Validity of the court decision leads to a final, obligatory nature of the decision for the parties of the process and any third persons. A valid decision shall not be abolished, except for the statutory exception which implies the basics of renewal of the proceedings within the scope of the Chapter 11 of the Civil Procedure Code of Georgia. Otherwise, a valid decision shall not be abolished.

It should be noted that the Administrative Procedure Code and Administrative Offences Code of Georgia as opposed to the Civil Procedure Code provide some kind of restrictions in terms of the renewal of the process completed with a valid decision. The Administrative Offences Code of Georgia does not imply this kind of regulation (except for the prosecutor's protest), which is the subject of the paper. The paper also discusses the peculiarities covered by the Administrative Offences Code of Georgia during the usage of the Civil Procedure Code of Georgia based on the principle of analogy.

The current Administrative Procedure Code of Georgia, which defines the procedural rules of discussing and resolving administrative cases by the general courts of Georgia, does not imply the standards regulating the renewal of proceedings. As a result, based on the Article 1.2 of this Code, in particular cases of the administrative law legal standards regulating this relationship are applied. These standards are covered by the Civil Procedure Code of Georgia and are included in the Chapter 11 of this Code. According to these standards, a valid decision shall be cancelled and the proceedings shall be renewed only in case there are preconditions for the annulment of the decision (Article 422) or renewal of the proceedings for newly discovered circumstances (Article 423).

Georgian Administrative Offences Code which by its legal nature is a repressive type of legislative act with certain changes follows the regulation of revising a decision made upon administrative offences, which is done in the form of the procurator's objection. Moreover, the legislature has not regulated the terms when the procurator can state his protest after the court's decision. It is also worth mentioning that Georgian Administrative Offences Code lists the persons asking for the cancelation or change of the resolution made by the Regional (City) Court or/and Appeal Court in which no offender is mentioned. I believe that in spite of this fact, the list of the persons who have the right to request the reopening of a court act is not complete and the person who is known as the offender, as the party, should have the right, according to the pre-conditions, to ask the court to revise the resolution made on an Administrative Offence case.

It should be noted that Georgian Constitutional Court, according to the №3/1/531 decision made on November 5, 2013, and the first paragraph of the Article 42 of Georgian Constitution, declared the content of the Georgian Civil Procedure Code, part 4 of the Article 426 as unconstitutional. It is about the people whose case reopening request according to 'c' sub-paragraph of the 1st part of the Article 422 of Georgian Civil Procedure Code, is considered invalid in 5 years' time after the court makes a decision.

In general, in theory, the renewal of the process completed with a valid decision is possible through newly discovered or newly revealed circumstances as well as the annulment of the decision. It is a procedural-legal institute which ensures the possibility of eliminating the "court error " and aims at creating guarantees for realization of the right of the fair court.

The article also briefly discusses the court practice concerning the revision of a valid decision in the administrative field; legal drawbacks that deter effective justice; the ways of eliminating these drawbacks and improving the legal standards, which will contribute to the realization of the right of the interested persons to effectively protect their rights with the help of the court.

ადმინისტრაციული სამართლის ევროპული ტრადიციები

გულნაზი გალდავა, ასოცირებული პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

მაკა ქარდავა, დოქტორანტი

იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი, იენა, გერმანია

აბსტრაქტი

სტატია ეძღვნება ევროპული ადმინისტრაციული სამართლის ძირითად ტიპებს (ფრანგული, გერმანული და ბრიტანული სამართლებრივი მოდელები) და მათ გავლენას სხვა ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის სისტემებზე.

ადმინისტრაციული სამართლის ზემოაღნიშნულ სისტემებზე არჩევანი გაკეთდა იმის გათვალისწინებით, რომ: საფრანგეთი განიხილება კლასიკური ადმინისტრაციული სამართლის სამშობლოდ; გერმანიაში სამართლის ამ დარგის მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ პრაქტიკულად ქვეყნის ყველა სოციალურ - ეკონომიკური მმართველობითი ურთიერთობა ამ სამართლის ფარგლებში რეგულირდება; დიდ ბრიტანეთში კი ადმინისტრაციული სამართალი განიხილება თანამედროვე ხელისუფლების ფუნქციონირების ქვაკუთხედად.

ხაზგასასმელია, რომ ევროპაში თითქმის იმდენივე ადმინისტრაციულ - სამართლებრივი სისტემაა, რამდენი სახელმწიფოცაა, რადგან მათ შეიმუშავეს საკუთარი უნიკალური მოდელები, რომელთა სპეციფიკურობა განისაზღვრება ორი კატეგორიით: პირველი, ეხება მმართველობითი სისტემის ორგანიზებას, მეორე, ეხება ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობებს იურიდიულ პირებთან და მოქალაქეებთან.

მნიშვნელოვნად წარმომადგენლობითია იმ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა ადმინისტრაციული სამართლებრივი სისტემების ფორმირება ზემოაღნიშნული მოდელების გავლენით განხორციელდა. მათ შორის: ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდნენ: ნიდარლანდები, ბელგია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი.

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის ტიპმა უდიდესი გავლენა იქონია გერმანულენოვანი ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის სისტემების ფორმირებასა და განვითარებაზე. კერძოდ, ამ სამართლის რეცეფცია განხორციელდა ავსტრიაში, შვეიცარიაში, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში.

ბრიტანული ადმინისტრაციული სამართლის მოდელის გავლენა თვალნათლივ იკვეთება ირლანდიის, დანიის, ნორვეგიის ადმინისტრაციული სამართლის სისტემებში.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, დასახელებული სისტემები, თავისი ქვეყნების ტრადიციებისა და სპეციფიკურობის გათვალისწინებით, მაინც ინარჩუნებენ განსხვავებულ მიდგომებსა და საკუთარ პრინციპულ პოზიციებს.

ევროპის რიგი ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის თავისებურებათა ანალიზმა და გამოცდილებამ, შესაძლებელია დააფიქროს ქართველი კანონმდებელი, ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმირებასა და ადმინისტრაციული სამართლის ბევრად უფრო რაციონალური სისტემის ფორმირებაზე. მითუმეტეს, რომ ჯერ კიდევ არც თუ ისე იშვიათად, გვხვდება ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების დარღვევის ფაქტები.

საძიებო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართლის სისტემა, ადმინისტრაციული იუსტიცია, ფრანგული, გერმანული და ბრიტანული.

შესავალი

საქართველოში, ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, განხორციელებული რეფორმების მიუხედავად, რჩება განცდა, რომ რეფორმირების პროცესი არ უნდა დასრულდეს და ბევრი საკითხის ახლებურად გააზრებას თვით რეალობა გვთავაზობს. ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილებამ, ბუნებრივია, ჩვენი ტრადიციებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია დააფიქროს ქართველი კანონმდებელი თუ როგორ უნდა წარმართოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის რეფორმირების პროცესი.

ევროპის რიგი ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის თავისებურებათა ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია ითქვას, რომ ევროპაში იმდენივე ადმინისტრაციულ - სამართლებრივი სისტემაა, რამდენი სახელმწიფოცაა, რადგან მათ შეიმუშავეს საკუთარი უნიკალური მოდელები. ამ სისტემების სპეციფიკურობა განისაზღვრება სტრუქტურული ნიშნების ორი კატეგორიით: პირველი, ეხება მმართველობითი სისტემის ორგანიზაციას ფართო გაგებით, რომელშიც მოცემულია მმართველობის ორგანოები კორპორატიული და ვერტიკალური სტრუქტურებით, ადმინისტრაციული პერსონალი და შიდა ორგანიზაციული პროცედურები. მეორე, ეხება სახელმწიფოს ტერიტორიაზე დისლოცირებული ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთობებს იურიდიულ პირებთან და პირველ რიგში მოქალაქეებთან.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციული სამართლის ევროპულ ტრადიციებზე მსჯელობისას, უმნიშვნელოვანესია სამი ისეთი განსახვავებული ევროპული მოდელის წარმოჩენა, როგორცაა: საფრანგეთის, გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლის სისტემები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე ეტაპზე ევროკავშირი აწარმოებს მეოთხე მიდგომის ფორმირებას, რაც ძალიან საინტერესოა ევროპის სამართლებრივ სისტემაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, რადგან ევროკავშირის სამართალი - ეს კანონმდებლობის განსაკუთრებული სახეობაა, რომელიც შექმნილია მონაწილე ქვეყნების იურიდიული სისტემების პრინციპების ერთიანობისა და იმ ახალი მიდგომებისაგან, რომელთაც ახასიათებს თანამეგობრობის მართლწესრიგს.

სტატიაში ევროპული ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის მოდელები განხილული და გაანალიზებულია როგორც ზოგადმეცნიერული, ასევე კერძომეცნიერული მეთოდების გამოყენებით.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართლის სისტემა

ადმინისტრაციული სამართლის ფრანგული სისტემა, არის ყველაზე განვითარებული და საინტერესო სისტემა ევროპაში. საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი შემუშავდა სახელმწიფო საბჭოს მიერ, რომლის დამფუძნებელიც თვით ნაპოლეონ ბონაპარტე იყო. ისტორიულად, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, სახელმწიფო საბჭო ითვლებოდა ერთადერთ ადმინისტრაციულ ორგანოდ საფრანგეთში. ადმინისტრაციული სამართლის სისტემის სხვა სტრუქტურები შეიქმნა საკმაოდ მოგვიანებით, სწორედ დიდი რაოდენობის ადმინისტრაციული დავებისაგან სახელმწიფო საბჭოს განტვირთვის მიზნით.

საფრანგეთის კონსტიტუციის ყველაზე გამოკვეთილი დამოკიდებულება ადმინისტრაციულ სამართალთან მიმართებაში, გამოიხატება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მკაცრ გამიჯვნაში.

საფრანგეთის სასამართლო ხელისუფლებისათვის დამახასიათებელია ტრადიციული დუალიზმი. დღეისათვის, საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოადგენს მართლმსაჯულების განცალკევებულ შტოს, რომელიც ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების ფრანგულ კონცეფციას და საერთო იურისდიქციის სასამართლოებს (გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა), ეკრძალებათ ადმარულელები ხელისუფლების საქმიანობაში ჩარევა.

ამდენად, ამ კონცეფციის თანახმად, ფუნქციონირებს ორი სახის სასამართლო სისტემა: საერთო იურისდიქციის სასამართლო სისტემა (უმაღლესი საფეხურია საფრანგეთის საკასაციო სასამართლო) და ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემა (უმაღლესი საფეხურია - საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო). ხაზგასასმელია, რომ დავები, საერთო იურისდიქციის სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ სასამართლოებს შორის კომპეტენციის განსაზღვრასთან დაკავშირებით, წყდება კონფლიქტების ტრიბუნალის მიერ.

საფრანგეთში არ მოქმედებს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. საფრანგეთის ადმინისტრაციული სასამართლოების მიერ, გადაწყვეტილებების მიღების პროცესი რეგლამენტირებულია საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის კოდექსით.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ იუსტიციას საფუძველი საფრანგეთში, კლასიკური ადმინისტრაციული სამართლის სამშობლოში ჩაეყარა. რეფორმირების პროცესში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, 1953 წლიდან, საქმეები სახელმწიფო საბჭოზე განხილვამდე, ექვემდებარებოდა განხილვას ადმინისტრაციულ სასამართლოებში (tribunaux administratifs), ხოლო 1987 წლიდან სააპელაციო ადმინისტრაციულ სასამართლოებში (cours administratives d'appel) (10).

მიმდინარე ეტაპზე, საფრანგეთის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები წარმოდგენილია ორი სახით:

ა) ადმინისტრაციული იუსტიციის საერთო ორგანოები (ადმინისტრაციული სასამართლოები, ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოები, სახელმწიფო საბჭო);

ბ) ადმინისტრაციული იუსტიციის სპეციალური კომპეტენციის ორგანოები (8).

ადმინისტრაციული სასამართლოები (დღეისათვის 42 სასამართლო), ადმინისტრაციული სფეროს საერთო კომპეტენციის სასამართლო ორგანოებია, რომელთა განსჯადია ყველა ადმინისტრაციული დავა (გარდა კანონით განსაზღვრული სხვა შემთხვევებისა).

ადმინისტრაციული საქმეების განხილვა ხორციელდება ტერიტორიული პრინციპის შესაბამისად. დავის წარმოშობის შემთხვევაში, კომპეტენტურ ადმინისტრაციულ სასამართლოდ მიიჩნევა სადავო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს გეოგრაფიულ რაიონში დისლოცირებული სასამართლო.

სააპელაციო ადმინისტრაციული სასამართლოები (დღეისათვის 8 სასამართლო), შედგება სხვადასხვა სპეციალიზაციის პალატებისაგან.

საფრანგეთის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოა სახელმწიფო საბჭო, რომელსაც შეთავსებული აქვს საკონსულტაციო ფუნქციებიც. მას, როგორც პირველი, ისე ბოლო ინსტანციით, გამოაქვს გადაწყვეტილებები ისეთ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე, როგორცაა: საჩივრები, რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ გამოცემული დეკრეტების და ორდონანსების (მთავრობის აქტები) კანონიერების შესახებ; მინისტრების სამართლებრივი აქტები, გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა გამოცემა შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო საბჭოს დასკვნის

არსებობის შემთხვევაში; დავები, სახელმწიფო მოხელეებისა და სამხედროების კომპეტენციასა და სტატუსებთან დაკავშირებით.

ამასთან, სახელმწიფო საბჭო წარმოდგენილია, როგორც სააპელაციო და საკასაციო ინსტანცია ადმინისტრაციული სასამართლოების, ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოებისა და სპეციალიზებული ადმინისტრაციული ორგანოებისათვის (საანგარიშო სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა სასამართლოები, დევნილთა საჩივრების განმხილველი კომისია, დისციპლინური სასამართლოები).

ფრანგული ადმინისტრაციული იუსტიციის თავისებურებად, შესაძლებელია ჩაითვალოს ადმინისტრაციულ სასამართლოებში განცხადებით მიმართვის შესაძლებლობა, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განმარტების თაობაზე, რაც ხელს უწყობს ადმინისტრაციული სამართლის ნორმების პრაქტიკაში სწორად გამოყენებას.

საფრანგეთის ადმინისტრაციული სამართლის სისტემისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული ურთიერთობის დეტალური რეგულირება, მატერიალური და პროცესუალური ნორმების ურთიერთშეხამება და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების რეგლამენტაცია.

საფრანგეთის თანამედროვე ადმინისტრაციული სამართალი სახელმწიფო მმართველობის სისტემის ორასწლიანი განვითარების რეალური სახეა. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი რეგულირების ძირითად ნიშნებად შესაძლებელია მივიჩნიოთ: მმართველობის დეცენტრალიზაცია, ადმინისტრაციული სასამართლოების დამოუკიდებელი შტოს არსებობა, მაღალი სამართლებრივი კულტურა.

მნიშვნელოვნად წარმომადგენლობითია იმ სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელთა ადმინისტრაციულ - სამართლებრივი სისტემების ფორმირება ფრანგული მოდელის გავლენით განხორციელდა. ამ ჯგუფში შედიან: ნიდერლანდები, ბელგია, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი.

ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის გავლენა აღნიშნული ქვეყნების ადმინისტრაციული იუსტიციის ფორმირებაზე შემდეგი სახით აისახა:

ნიდერლანდებში სახელმწიფო საბჭო, ხაზგასმით საკონსულტაციო ფუნქციებით, 1815 წელს შეიქმნა. 1976 წლიდან იგი აღიჭურვა სასამართლო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უფლებამოსილებით. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო საბჭო კვლავ დარჩა ადმინისტრაციული იუსტიციის უმაღლეს ორგანოდ, დამატებით განხორციელდა სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლოების ფორმირება. ამასთან, ქვედა საფეხურის სასამართლოებში შეიქმნა ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზებული პალატები.

სახელმწიფო საბჭოს ინსტიტუტმა დაიწყო ასევე ფუნქციონირება სხვადასხვა ქვეყნებში: ბელგიაში (1946 წელს შეიქმნა სასამართლო ფუნქციებით), იტალიაში (1889 წლიდან შეუდგა სასამართლო ფუნქციების შესრულებას, ქვედა რგოლის ადმინისტრაციული სასამართლოები ამოქმედდა 1971 წლიდან), საბერძნეთში (1927 წლიდან აღიჭურვა სასამართლო ფუნქციებით, მოგვიანებით, დამატებით შეიქმნა ადმინისტრაციული სასამართლოების ორი საფეხური).

შესაძლებელია ითქვას, რომ ნიდერლანდები, ბელგია, იტალია და საბერძნეთი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, კვალდაკვალ არ მიჰყვებოდნენ ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის სისტემას. ეს სახელმწიფოები ასევე ითვალისწინებდნენ საკუთარ ტრადიციებს და საჭიროებისამებრ, ახდენდნენ უცხოეთის სხვა ქვეყნების გამოცდილების გამოყენებას.

ესპანეთი და პორტუგალია, თავდაპირველად, განიცდიდნენ ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის ზეგავლენას. დღეისათვის, გერმანიის საჯარო სამართლის ინსტიტუტების გამოცდილების ათვისების საფუძველზე, ისინი ფრანგულ - გერმანულ (შერეულ) ჯგუფს წარმოადგენენ. ამასთან, ამ ქვეყნებში მოქმედი ინდივიდუალური სამართლებრივი დაცვის სისტემა გერმანულ მოდელთან მსგავსებაზე მიგვანიშნებს, მაგრამ მატერიალური ადმინისტრაციული სამართლის სისტემა კვლავინდებურად, მოქცეულია ფრანგული ადმინისტრაციული სამართლის ძლიერი გავლენის ქვეშ.

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის სისტემა

გერმანიაში, ადმინისტრაციული სამართლის, როგორც დამოუკიდებელი დარგის, ფორმირება მე -19 საუკუნის პირველ ნახევრიდან იწყება. ამჟამად, აღნიშნული დარგის მნიშვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ პრაქტიკულად ქვეყნის ყველა სოციალურ - ეკონომიკური მმართველობითი ურთიერთობა ამ სამართლის ფარგლებში რეგულირდება.

გერმანულ იურისტ - მეცნიერთა აზრით, ადმინისტრაციული სამართალი არის საკონსტიტუციო სამართლის ერთგვარი გაგრძელება, მისი პრინციპებისა და დებულებების რეალიზაციის თვალსაზრისით.

გერმანიის თანამედროვე ადმინისტრაციული სამართლის გაგება, რომელიც საჯარო მმართველობის გაგებას უკავშირდება, განიხილება, როგორც სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ფუნქცია და საქმიანობა თავისი მიზნების განსახორციელებლად.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დღეისათვის, გერმანია დასრულებული სამართლებრივი სახელმწიფოა, რომელიც განუხრელად იცავს ადამიანის უფლებებს, საჯარო მმართველობის მხრიდან მოსალოდნელი დარღვევებისგან. ასე, რომ გერმანიაში, თითოეული მოქალაქის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებთან სამართლებრივი დავის შემთხვევაში, კანონით არის განმტკიცებული საქმის დადებითად გადაწყვეტის მიღწევის შესაძლებლობა.

უკანასკნელი 60 წლის განმავლობაში, გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მიმართ საზღვრარეთის ქვეყნების უდიდესი ყურადღება, განპირობებული იყო სამი მიზეზით;

1. გერმანულ ადმინისტრაციულ სამართალში, პრეცედენტული სამართალი არ ასრულებს მნიშვნელოვან როლს და მთლიანობაში დიდი გავლენა აქვს სწორედ დაწერილ კანონებს. გერმანული ადმინისტრაციული სამართალი ეფუძნება თანამედროვე სამართლებრივ საფუძვლებს, ხაზგასმით: გერმანიის კონსტიტუციას, ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესახებ კანონს (VwvFG.) და ადმინისტრაციული სასამართლო წესრიგის შესახებ კანონს (Verwaltungsgerichtsordnung).
2. ფრანგული სისტემისაგან განსხვავებით, რომელიც, გარკვეულწილად, შეიცავს ურთიერთსაპირისპირო პრინციპებს, ადმინისტრაციული სამართლის გერმანული სისტემა, შესაძლებელია ითქვას, რომ წარმოადგენს ერთგვარ მონოლითს, ხელისუფლების დანაწილების პრინციპებისა და ინდივიდის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.
3. გერმანული ადმინისტრაციული სამართლის პოპულარობა საზღვრარეთის ქვეყნებში განისაზღვრება იმით, რომ ეფექტურად გამოიყურება სასამართლო სისტემა ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის თვალსაზრისით, ამას ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვის მუდმივად განვითარებადი პროცესი გერმანიაში.

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის დღევანდელი სისტემა ხასიათდება ასევე სხვა თავისებურებებით, ეს არის, ერთი მხრივ, ინსტიტუციონალური დიფერენციაციის მაღალი ხარისხი ფედერალური მიწების დონეზე, რომლებიც, შესაძლებელია ითქვას, რომ აღიქმებიან

როგორც ცალკეული სახელმწიფოები, მეორე მხრივ, კარგად განვითარებული თვითმმართველობის ინსტიტუტები.

დღეისათვის, გერმანიაში შექმნილია ადმინისტრაციული ხელისუფლებისა და საერთო იურისდიქციის სასამართლოებისაგან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული იუსტიციის რაციონალური სისტემა, რომელიც წარმოადგენს გერმანიის სასამართლო ხელისუფლების განცალკევებულ შტოს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სასამართლო პრაქტიკის ერთ-გვაროვნების უზრუნველსაყოფად, გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები შესაძლებელია გადაიხედოს უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გაერთიანებული სენატის მიერ, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მართლმსაჯულების ერთიანობა.

ხაზგასასმელია, რომ გერმანიის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები, რომლებიც წარმოდგენილია სასამართლო ხელისუფლების საერთო სისტემაში, შედგება სამი საფეხურისაგან:

პირველ ინსტანცია - წარმოდგენილია მიწების ადმინისტრაციული სასამართლოებით (Verwaltungsgericht), მცირე ფედერალური მიწების ფარგლებში ფუნქციონირებს ერთი სასამართლო, მსხვილი მიწები წარმოდგენილია 7-მდე სასამართლოთი.

მეორე ინსტანცია - მიწების უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოებია (Oberverwaltungsgericht), ზოგ მიწებზე ის იწოდება ადმინისტრაციულ სასამართლო პალატად (Verwaltungsgerichtshof). თითოეულ მიწაზე მოქმედებს ერთი ასეთი სასამართლო, ხოლო ორ მიწაზე (ბერლინი და ბრანდენბურგი) ფუნქციონირებს ერთი უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლო.

მიწების უმაღლესი სასამართლოები, პირველი ინსტანციით, განიხილავენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებს, ასევე, ისინი მიწების ადმინისტრაციული სასამართლოებისათვის წარმოადგენენ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს.

პირველ ინსტანციაში, საქმეების განხილვისათვის შექმნილია პალატები სამი პროფესიონალი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით. მეორე ინსტანციის ფარგლებში, ფუნქციონირებენ სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარი სენატები.

უმაღლეს საფეხურს წამოადგენს გერმანიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლო (Bundesverwaltungsgericht), რომლის რეზიდენცია, 2002 წლიდან, წარმოდგენილია ლაიფციგში. ზემოაღნიშნული სასამართლოს 10 საკასაციო სენატის ფარგლებში, მოღვაწეობს 56 მოსამართლე (7).

სხვადასხვა სახის საჯარო - სამართლებრივი დავების განსახილველად ფუნქციონირებენ ასევე, სპეციალური ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოები (საფინანსო, შრომის, სოციალური საკითხების და ა.შ.).

ადმინისტრაციული სასამართლოების კომპეტენციაში შედის საჯარო - სამართლებრივი ხასიათის ყველა დავა, ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული საქმეების გარდა. გერმანიაში, ადმინისტრაციულ - სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით, მოქმედებს სარჩელების აღძვრის მწყობრი სისტემა. ხაზგასასმელია, საჯარო - სამართლებრივი სარჩელების სამი სახეობა: ა) სარჩელი სამართალურთიერთობის ცვლილებასთან დაკავშირებით (Anfechtungsklage), მათ შორის, სარჩელი უკანონო ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის გაუქმების შესახებ; ბ) მავალდებულებელი სარჩელი (Verpflichtungsklage), მათ შორის, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით ან/და სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე; გ) სარჩელი

ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის ფაქტის არსებობა - არარსებობის დადგენის შესახებ (Feststellungsklage).

გერმანიის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოები, ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმების საფუძველზე, უზრუნველყოფენ მმართველობის ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის წარმოქმნილი დავების გადაწყვეტას. რაც შეეხება, დავებს ხელშეკრულებებსა და სახელმწიფო საკუთრებასთან მიმართებაში, ამ თვალსაზრისით, მათ აქვთ შეზღუდული კომპეტენცია.

ხაზგასასმელია ასევე, რომ გერმანიის ადმინისტრაციული პროცესი ორიენტირებულია უპირველესად მოსარჩელის სუბიექტური უფლებების დაცვაზე. ადმინისტრაციული სამართალწარმოების სუბიექტურ - სამართლებრივი ხასიათი მიგვანიშნებს, რომ სასამართლოები მოწოდებულნი არიან დაიცვან სწორედ ინდივიდის სუბიექტური უფლებები და უზრუნველყონ ბალანსი მმართველობის ორგანოების მიერ წარმოდგენილ საზოგადოებრივ ინტერესებსა და მოსარჩელის კერძო ინტერესებს შორის.

გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის ტიპმა, მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით ჩამოყალიბდა, უდიდესი გავლენა იქონია გერმანულენოვანი ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლის სისტემის ფორმირებასა და განვითარებაზე. კერძოდ, ამ სამართლის რეცეფცია განხორციელდა ავსტრიაში, შვეიცარიაში, ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებში.

მიუხედავად იმისა, რომ ავსტრიის ადმინისტრაციული სამართალი ერთგვარად დაშორდა გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის ტიპს, ორივე სისტემაში შენარჩუნებულ იქნა ისეთი მსგავსების ნიშნები, როგორცაა: ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების სასამართლო ხელისუფლების ორგანოებისადმი კუთვნილება; ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სუბიექტურ - სამართლებრივი ორიენტაცია; მმართველობითი ორგანოების საქმიანობის ადამიანის უფლებებთან ურთიერთკავშირი და ძლიერი, დამოუკიდებელი სახელმწიფო აპარატი.

გერმანიის სამართლებრივი დოქტრინის ზემოქმედება, მე-20 საუკუნეში, შვეიცარიის სამართლებრივ სისტემაზე მნიშვნელოვნად აისახა. ეს გამოიხატა, მმართველობის ორგანოების დამოუკიდებლობასა და განსაკუთრებული საჯარო ფუნქციების კონსტრუქციის აღიარებაში. ამასთან, შვეიცარიულ სამართლებრივ სისტემას შენარჩუნებული აქვს მნიშვნელოვანი თავისებურება, შვეიცარიის ფედერალური ადმინისტრაციული სასამართლოს ფართო მაკონტროლებელი უფლებამოსილებების სახით.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა, სოციალიზმის სრული კრახის შემდეგ, გერმანული ადმინისტრაციული სამართლის მიმდევარი გახდა. ეს ხაზგასმით შეეხო იმ სახელწიფოებს, რომლებმაც ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში განიცადეს გერმანული მოდელის გავლენა (უნგრეთი, პოლონეთი) .

მიუხედავად, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში, ფრანგული და გერმანული ადმინისტრაციული სამართლის ერთგვარი დაახლოებისა, ეს სისტემები კვლავინდებურად ინარჩუნებენ განსხვავებულ მიდგომებს. ადმინისტრაციული იურისდიქციის თვალსაზრისითაც, ამ სახელმწიფოების მიერ შენარჩუნებული იქნა საკუთარი კონცეფციები.

დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლის სისტემა

სტაბილურობის ხანგრძლივმა პერიოდმა, დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით, დიდ ბრიტანეთს მისცა ადმინისტრაციული სამართლის სისტემის თანდათანობით შემუშავების შესაძლებლობა.

წარსულში, დიდ ბრიტანეთში, არ მოქმედებდა ადმინისტრაციული სამართლის სისტემა. აღმასრულებელი ხელისუფლება, ჩვეულებრივ, ექვემდებარებოდა ქვეყნის კანონმდებლობას. ამჟამად, ადმინისტრაციული სამართალი განიხილება თანამედროვე ხელისუფლების ფუნქციონირების ქვაკუთხედად და ამასთან, სასამართლოები ავლენენ უპრეცედენტო მზადყოფნას ამ მიმართულებით კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით.

დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლის ფორმირებასა და განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინეს ანგლოსაქსური სამართლის სისტემის თავისებურებებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ნეგატიური იყო ინგლისელ სამართალმცოდნეთა დამოკიდებულება მმართველობის აპარატის სტრუქტურული და ორგანიზაციული საკითხების რეგლამენტაციის მიმართ, მაგრამ მოგვიანებით, საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში, სახელმწიფოს მონაწილეობის გააქტიურებამ და საჯარო ადმინისტრაციის როლის გაძლიერებამ, განსაზღვრა შესაბამისი სამართლებრივი რეგლამენტაციის აუცილებლობა.

დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ორიენტირებული არ არის დაწერილ კონსტიტუციაზე, როგორც საბაზო კანონზე. არ აქვს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი და მოსამართლეები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეყრდნობიან პრეცედენტებს.

ადმინისტრაციული სამართლის განსაკუთრებულობას მმართველობის სისტემის სპეციფიკა განსაზღვრავს. ქვეყნის ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელია პარლამენტის უზენაესობა, რადგან იგი ითვლება დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სახელმწიფო ორგანოდ. გამოსცემს რა კანონებს, ის ახდენს ქვეყნის სამართლებრივი სისტემის ფორმირებას, მათ შორის, ადმინისტრაციული სამართლისას.

დიდ ბრიტანეთში ადმინისტრაციული იუსტიცია წარმოდგენილია ტრიბუნალებისა და სამინისტროების გამოძიებით, რომელთა საქმიანობის ორგანიზაცია და პროცედურები მოწესრიგებულია კანონით – „ტრიბუნალებისა და გამოძიების შესახებ“. ქვეყანაში მიიჩნევენ, რომ მინისტრების საქმიანობის სფეროა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების სფერო, სასამართლო საქმიანობის სფერო კი ეს არის არა პოლიტიკა, არამედ სამართალი.

რეალურად, სამინისტროების მიერ გამოძიება წარმოებს სწორედ იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა და აუცილებელია, გადაწყვეტილების მიღებამდე, საზოგადოების დაინტერესებული პირების მოსაზრებების მოსმენა. ყოველწლიურად, სამინისტროების მიერ ხორციელდება ათასობით საჯარო გამოძიება ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა: აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევა სათანადო კომპენსაციის უზრუნველყოფით; გზების მშენებლობის, ტრანსპორტირების ლიცენზირების, მილსადენების და სხვა საკითხები.

ამდენად, დიდი ბრიტანეთისათვის დამახასიათებელი ნიშნებია: ა) პარლამენტის უზენაესობა; ბ) ადმინისტრაციასა და სასამართლოებს შორის უფლებამოსილების გამიჯვნა; გ) მინისტრთა მაღალი პასუხისმგებლობა, თავისი სფეროების მიმართ, რადგან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისადმი გამოთქმული ყველა პრეტენზიის ადრესატებად სწორედ ისინი განიხილებიან; დ) სამართლის გაბატონებული მდგომარეობა, რაც თავისთავად მოიცავს კანონის

უზენაესობასა და სასამართლო ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის უზრუნველყოფას (13).

დღეისათვის, დიდ ბრიტანეთში ფუნქციონირებს ადმინისტრაციული ტრიბუნალების, სხვადასხვა სახის, 67 სისტემა (კომიტეტები, კომისიები/სასამართლოები/ტრიბუნალები). თითოეული მათგანი მოქმედებს საკუთარი რეგლამენტით, რომელიც მიღებულია პარლამენტის ან/და მინისტრის მიერ, ამ ორგანოთა როლი დავების გადაწყვეტაშიც სხვადასხვაგვარია: ზოგი აწარმოებს საქმის არსებითად განხილვას, ზოგი ახორციელებს მონიტორინგს ადმინისტრაციის მიერ გადაწყვეტილებების მიღების კანონიერებასა და კვაზისასამართლო ორგანოების მიერ მართლმსაჯულების პრინციპების დაცვაზე.

დიდი ბრიტანეთის სამართლის სისტემაში თვალნათლივ იკვეთება კვაზისასამართლო ორგანოების აქტიური ადმინისტრაციისაგან თანდათანობით გამოჯვინისა და ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სპეციალიზირებულ ორგანოებად მათი გარდაქმნის ტენდენციები. ისეთი ორგანოები, როგორცაა: რკინიგზის ტრიბუნალი, მიწის სასამართლო, სააპელაციო საპენსიო ტრიბუნალი, თანდათანობით უახლოვდებიან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემას.

საერთო სამართლის სასამართლოების გარდა, კვაზისასამართლო ორგანოებზე კონტროლს ახორციელებს ადმინისტრაციული ტრიბუნალების ეროვნული (ნაციონალური) საბჭო, რომელიც ასევე წარმოადგენს მთავრობის საკონსულტაციო ორგანოს. საბჭო უფლებამოსილია, არამხოლოდ განახორციელოს კონტროლი ქვედა საფეხურის სასამართლოებზე, არამედ სარჩელით მიმართოს უმაღლეს სასამართლოს, სპეციალური სასამართლოების საქმიანობაში წარმოქმნილ რთულ სამართლებრივ პრობლემებთან დაკავშირებით.

მთლიანობაში, პროცესუალური მოწესრიგება ემთხვევა სამოქალაქო პროცესს, უფრო გამარტივებული სახით. იმის გამო, რომ საქმეთა განხილვის ხარჯი არ ექვემდებარება ანაზღაურებას, კვაზისასამართლო პროცესები ბევრად ხელმისაწვდომი ხდება მოქალაქეთათვის.

ბოლო პერიოდში, ბრიტანული ადმინისტრაციული სამართალი მნიშვნელოვნად დაუახლოვდა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას. ხშირ შემთხვევაში, სასამართლოები, რომლებიც განიხილავენ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ დავებს, შესაძლებელია ითქვას, რომ სპეციალიზირდებიან აგრეთვე ადმინისტრაციული სამართლის სფეროში. თანამედროვე ეტაპზე, უმაღლესი სასამართლოს (High Court) სისტემის ფარგლებში შექმნილია სპეციალური ადმინისტრაციული სასამართლო (Administrative Court). გარდა ამისა, ჩამოყალიბდა პირველი დონის ტრიბუნალი (First - tier Tribunal), რომელმაც ფაქტიურად გააერთიანა თითქმის ყველა არსებული ადმინისტრაციული ტრიბუნალი.

ევროპაში, ადმინისტრაციული სამართლის სხვა ტიპებთან შედარებით, ბრიტანული ადმინისტრაციული სამართლის ზეგავლენა შეზღუდული აღმოჩნდა. თუმცა ხაზგასასმელია, სამი ევროპული ქვეყნის - ირლანდიის, დანიისა და ნორვეგიის ადმინისტრაციული სამართლის სისტემების მსგავსება ბრიტანულ მოდელთან. ამასთან, შესაძლებელია განსხვავებების გამოკვეთაც, რადგან სამივე ქვეყანას აქვს ფორმალური კონსტიტუციები. ირლანდიურ სისტემაში, ბრიტანულ მოდელთან სიახლოვე იგრძნობა უფრო მძაფრად, საერთო სამართალი კვლავ რჩება სამართლის წყაროდ, ოღონდ იერარქიულად ექვემდებარება კონსტიტუციას. დანიასა და ნორვეგიაში ბრიტანული სისტემისაგან განსხვავებით უცნობია საერთო სამართლის კონცეფცია.

დასკვნა

ევროპის სახელმწიფოების ადმინისტრაციული სამართლის სისტემების სპეციფიკა იურისტ-კომპარატივისტების დიდ ინტერესს იწვევს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი აწარმოებენ მნიშვნელოვან კვლევებს შედარებითი სამართლის სფეროში. შესაძლებელია ითქვას, რომ ამ სისტემების თავისებურებები განპირობებულია კონტინენტის ტერიტორიული და ინტელექტუალური ფრაგმენტაციით. მოგვიანებით, ამ ფაქტორებს დაემატა ნაციონალიზმიც, რამაც თავის მხრივ, ნაციონალური ადმინისტრაციული მართლწესრიგის განვითარება განაპირობა.

მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, შეინიშნება ევროპის ადმინისტრაციული სამართლის სისტემების დაახლოების ტენდენციები, ეს სისტემები მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რაც ქმნის ერთგვარ ბარიერს, ევროპის სამართლებრივ სივრცეში, ერთიანი სამართლებრივი პრინციპების/მიდგომების ფორმირებისა და განვითარების თვალსაზრისით.

ევროპული ადმინისტრაციული სამართლის მრავალმხრივი გამოცდილების გაზიარებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, არა მარტო ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობის სრულყოფის, არამედ ზოგადად ახალი კანონების შემუშავების თვალსაზრისით. ყოველივე ზემოაღნიშნული, შესაძლებელია ეფექტურად იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული სამართლის ბევრად უფრო რაციონალური სისტემის ფორმირებისათვის, რათა ჩვენს ქვეყანაში არამხოლოდ მინიმუმამდე შემცირდეს, არამედ სრულად აღმოიფხვრას, რიგი პრობლემები, რომელიც უკავშირდება, მოსამართლეთა მიერ, გარკვეულ შემთხვევებში: დიდი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე, პროცედურული წესების დარღვევას, სახელმწიფო მხარის სასარგებლოდ; ინკვიზიციური უფლებამოსილების გამოყენებისაგან თავის შეკავების ან/და ამ უფლების ბოროტად გამოყენებისა და ზოგადად ადმინისტრაციული სამართლის პრინციპების დარღვევის ფაქტებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., ტურავა პ. 2008. *ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: სიესტა.
2. ტურავა პ., წკეპლაძე ნ. 2013. *ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: იურისტების სამყარო.
3. სამწლიანი მონიტორინგის შედეგების მიმოხილვა ადმინისტრაციულ საქმეებზე - საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო - დეკემბერი 2014 წ. ქ. თბილისი (აღნიშნული მონიტორინგის პროექტი განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ფოლკე ბერნადოტეს სახელობის აკადემიის ფინანსური მხარდაჭერით).
4. *Административное право зарубежных стран*. 2003. Под ред. Козырина А.Н и М. А. Штатиной. Москва: СПАРК.
5. Брэбан Г. 1988. *Французское административное право*. Пер. с франц. к.ю.н. Д.И. Васильева и В.Д. Карповича. Москва: Прогресс.
6. Кикоть В.Я., Румянцев Н.В., Василевич Г.А. и др. 2012. *Административное право зарубежных стран*. Учебник для студентов вузов, обучающихся по специальности «Юриспруденция». Москва: ЮНИТИ-ДАНА.
7. Соловьев А.А. 2014. *Зарубежный опыт организации административной юстиции*. Москва: Финансового университета при Правительстве Российской Федерации.
8. Соловьев А.А. 2014. *Французская модель административной юстиции*. Москва: Финансового университета при Правительстве Российской Федерации.
9. Fleiner F. 1922. *Institutionen des deutschen Verwaltungsrechts*. Tübingen: Mohr.
10. Fromont M. 2003. Die Annäherung der Verwaltungsgerichtsbarkeiten in Europa. *Festgabe 50 Jahre Bundesverwaltungsgericht*. Schmidt-Aßmann (Hg.), S. 93.
11. Maurer O. 2004. *Allgemeines Verwaltungsrecht*. 15 Auflage.
12. Neidhardt S. 2008. *Nationale Rechtsinstitute als Bausteine europäischen Verwaltungsrechts*. Tübingen: Mohr.
13. Schneider Jens-Peter (Hg.). *Verwaltungsrecht in Europa*, Bd. 1. (2007); Bd. 2 (2009).
14. Schwarze J. 2005. *Europäisches Verwaltungsrecht*.
15. *Verwaltungsverfahrensgesetz* /<http://www.gesetze-im-internet.de/vwvfg/index.html/>
16. *Verwaltungsgerichtsordnung* /<http://www.gesetze-im-internet.de/vwgo/index.html/>

European Traditions of the Administrative Law

Gulnazi Galdava, Associate Professor

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Maka Kardava, PhD student

Friedrich Schiller University, Jena, Germany

Summary

The article reviews the main types of the European administrative law: French, German and British law models and their influence over the administrative legal systems in other states.

The aforementioned systems of the administrative law were chosen because of several factors: France is considered to be the homeland of the classic administrative law, significance of the administrative law has increased so much in Germany that all social-economic management relations of this country are regulated under the administrative law; administrative law is viewed as a milestone for the functioning of the modern governance in Great Britain.

It should be underscored that there are almost as many administrative-legal systems in Europe as many states are included in it because these states elaborated their unique models which are specified according to two categories: the first of them refers to organizing the management system and the second one – to relationship of administrative bodies with legal entities and citizens.

The group of the states which formed the administrative legal systems according to the aforementioned models is utmost significant. Among them are the Netherlands, Belgium, Italy, Spain, Portugal and Greece that were under the influence of the French administrative law.

The French system of administrative law is the most developed and interesting system in Europe. The uniqueness of the French administrative law is that it was developed by the State Council which was first established by Napoleon Bonaparte. Historically, during a long period, the State Council was the only administrative body in France. Other structures of the administrative law system were created later enough in order to discharge the State Council from the large number of administrative disputes.

The administrative law of Germany had a huge influence over the formation and development of administrative law systems in German speaking states. Namely, the reception of this law took place in Austria, Switzerland, and other states of the Central and Eastern Europe.

Modern understanding of the administrative law of Germany, which is related to the understanding of the public governance, is viewed as an organized function and activity of the state to implement its purpose.

It is significant that nowadays, Germany is a completely formed legal state which steadfastly protects human rights from possible violation by public authority. So, each citizen of Germany has a guarantee under the law to achieve positive judgment of the court if he/she sues the administrative body.

The influence of the British administrative law model is very vivid in the administrative law systems of Ireland, Denmark and Norway.

Specifics of Anglo-Saxon legal system had a huge impact on the formation and development of the administrative law of Great Britain. It must be noted that during a long period, English lawyers had negative opinion on regulations of structural and organizational issues of administrative apparatus but

later, in various spheres of society, activity of state participation and reinforced role of public administration determined the necessity of legal regulations.

Regardless the aforementioned, the systems in different states still maintain different approaches and principle positions considering their own traditions and peculiarities.

Analysis and experience of administrative laws of some European States might encourage Georgian law-makers to form more rational system of administrative laws and administrative justice. Moreover, we frequently observe cases of violation of the administrative law principles.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ
საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების თავისებურებანი

მარინე კორძაძე, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება, ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან - სამართლებრივ სივრცეში ძალზე აქტუალურია. ამ მიზნით, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა გადაწყვეტილებების ნაწილი, რომელიც შეეხება საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების თავისებურებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ახდენს ევროპული კონვენციის დებულებათა ავტორიტეტულ განმარტებას. ეს განაპირობებს სახელმწიფოების, ამასთან ეროვნული სასამართლოების, მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იმ გადაწყვეტილებების (პრეცედენტების) გამოყენებას, რომლებიც ეხება კონვენციის სხვა მონაწილე სახელმწიფოებს მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ საქმეზე, ის ამ გადაწყვეტილების (პრეცედენტის) მეშვეობით განმარტავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსს. კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით ევროპული სასამართლო ადგენს სტანდარტს, რომლის მნიშვნელობა სცილდება კონკრეტულ სასამართლო საქმეს. ევროპული სასამართლო ახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტების დადგენის ფუნქციას. კონვენციაში ჩამოყალიბებული მრავალი ნორმა ძალზე ზოგადად არის ფორმირებული. კონვენციით გათვალისწინებული დებულებების შინაარსი გამოიხატება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალში. საქართველოს როგორც საერთო, ისე საკონსტიტუციო სასამართლოები აქტიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები გახდა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი, შიდასახელმწიფოებრივი სამართლის წყარო, რომელსაც სასამართლოები გამოიყენებენ საქმის გადაწყვეტის სამართლებრივ საფუძველად. ამ გარემოების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია, საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების თავისებურებანი, რათა საქართველოს სასამართლოებმა სამართლის ნორმები განმარტონ იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩამოყალიბებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის ამ ნაწილში განიხილება, როგორც საგადასახადო სამართლის ზოგიერთი ნორმების განმარტების ზოგადი პრინციპები, ასევე ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა, რომლის ანალიზის საფუძველზე გაკეთდება დასკვნა—საქართველოს სასამართლოების მიერ საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების პრაქტიკის სრულყოფასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო სამართალი, საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, პრეცედენტული სამართალი, სასამართლოს განმარტება.

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს სამართლებრივი ნორმების და დებულებების განმარტების მნიშვნელობაზე, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ეტაპებზე გასათვალისწინებელია.

სასამართლო პრეცედენტზე, როგორც სამართლის წყაროზე, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ მაშინ, როცა სასამართლოს მიერ იქმნება ახალი ნორმა, რომელსაც არ შეიცავენ გამოქვეყნებული ნორმატიული აქტები.

სასამართლო პრაქტიკა შეიძლება ასრულებდეს სამართლის წყაროს როლს, ან მნიშვნელოვანი იყოს მხოლოდ სამართლებრივი ნორმების განმარტების, მათი ერთგვაროვანი გამოყენების პრაქტიკის დამკვიდრებისთვის.

სასამართლოს ნორმაშემოქმედებითი საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ სამართლის ანალოგიის პრინციპი _ როცა ნორმატიული აქტები კონკრეტული ან მსგავსი საზოგადოებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელ ნორმას არ შეიცავს, სასამართლო, ავსებს რა საკანონმდებლო ხარვეზს, თავად ქმნის ასეთ ნორმას `სამართლის ზოგადი პრინციპების, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნათა შესაბამისად.

ცალკეულ შემთხვევაში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სამართლებრივი ტერმინების გამოყენებისას პირდაპირ ეყრდნობა შესაბამისი სახელმწიფოს კანონს. ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, სახელმწიფოს კანონი, იმისათვის, რათა მან დააკმაყოფილოს ევროპული კონვენციის მოთხოვნა, უნდა იყოს ხელმისაწვდომი და განჭვრეტადი. რაც შეეხება კანონის განჭვრეტადობას, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, კანონი რომ ასეთად ჩაითვალოს, იგი უნდა იყოს „ფორმულირებული საკმარისი სიღრმადით, რაც მოქალაქეს მისცემს შესაძლებლობას, შეუსაბამოს მას თავისი მოქმედება: მოქალაქეს უნდა შეეძლოს განჭვრეტა, შექმნილი გარემოებებისათვის გონივრულ ფარგლებში, იმ შედეგებისა, რომლებიც ასეთ მოქმედებას შეიძლება მოჰყვეს“ (1, 83).

საგადასახადო საკითხები-როგორც სახელმწიფოს უფლებამოსილების საჯარო სფერო ევროპული სასამართლო კონვენციის მუხლებს განმარტავს დამატებით ოქმებთან ერთობლიობაში და მიუთითებს პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოს რჩება უფლება შემოიღოს კანონები გადასახადების გადახდევნების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ასევე არ შედის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სფეროში მე-6 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად ის მიეკუთვნება საჯარო სფეროს (2, 1-5). ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო საკითხები – წარმოადგენს სახელმწიფოს უფლებამოსილების საჯარო სფეროს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი ითვალისწინებს ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრების უფლების დაცვას, რომელიც დაკავშირებულია საგადასახადო სამართლის რიგ საკითხებთან. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი არის კონვენციის განუყოფელი ნაწილი და სავალდებულოა შესასრულებლად ყველა სახელმწიფოსთვის, რომელმაც მისი

რატიფიცირება მოახდინა. ევროპის საბჭოს უმეტეს ქვეყანაში კონვენციის დებულებები ეროვნული კანონმდებლობის მალე მდგომი ნორმატიული აქტია.

კვლევის საგანი

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ევროპული სასამართლოს მიერ საგადასახადო სამართლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნორმების განმარტების განხილვა, კერძოდ ა) საგადასახადო სამართალურთიერთობის დროს, სახელმწიფოს დისკრეციის ფარგლები, და ბ) ზოგიერთი გადასახადის დაკისრების დროს საგადასახადო სამართლის ნორმის შინაარსის განსაზღვრა.

კვლევის ამოცანა

კვლევის ამოცანაა საგადასახადო სამართალურთიერთობის დროს სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებების პრინციპების დადგენა და საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტების მნიშვნელობა. კვლევისთვის გამოყენებული იქნება ადამიანის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რომელიც ეროვნულ დონეზე საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილების ფარგლების შესაფასებლად და განმარტებული სამართლის ნორმების გასათვალისწინებლად შეიძლება იქნას გამოყენებული. სტატიაში წარმოდგენილი საკითხები დაეფუძნება კონკრეტული მაგალითების განხილვასა და განზოგადებას.

მასალები და მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია სამართლებრივ-შედარებითი, მიდგომების თვისებრივი და შედარებითი მეთოდი, ასევე ეკონომიკური, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, საექსპერტო შეფასებები და სხვა.

სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების მნიშვნელობა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღნიშნავს სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, კერძოდ მიუთითებს სახელმწიფოს/ადმინისტრაციული ორგანოს ფართო დისკრეციაზე, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ გადასახადების გადახდისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებადი მექანიზმები არაა შეუზღუდავი. ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება ექვემდებარება ისეთი საფუძვლებით შეზღუდვას, როგორცაა კერძო და საჯარო ინტერესების სამართლიანი ბალანსის დადგენა და გამოყენებულ საშუალებათა პროპორციულობა. სრულიად გასაგებია ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადასახადების ეფექტიანად აკრეფის მნიშვნელობა, თუმცა, ამასთან იგი არ უშვებს, რომ ამ მოტივით არ მოხდეს უფლებამოსილების გადამეტება ან ბოროტად გამოყენება. დაუშვებელია პირისთვის საგადასახადო პასუხისმგებლობის დაკისრება, თუკი სამართალდარღვევა არ არის დიდი რისკის შემცველი საზოგადოებისთვის. ევროპული სასამართლოს ხედვა, კონვენციისა და დართული ოქმების სავალდებულო ხასიათიდან გამომდინარე, ექვემდებარება წევრ სახელმწიფოთა მიერ კანონმდებლობაში ასახვასა და მის პრაქტიკაში გამოყენებას (7, 4–5).

საგადასახადო ჯარიმები – ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საგადასახადო ჯარიმების დაკისრებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეში, ფერაზინი იტალიის წინააღმდეგ, განმარტა, რომ ინდივიდს

შესაძლოა გააჩნდეს სახელმწიფოს წინაშე ფულადი ვალდებულებები, რომელიც ერთ-მნიშვნელოვნად მიეკუთვნება საჯარო სამართლის სფეროს და სამართლიანი სასამართლოს მიზნებისთვის მასზე არ ვრცელდება კონვენციის დაცვის სფერო. სასამართლო მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღების შემდეგ საგადასახადო სფეროში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საგადასახადო ვალდებულების ფუნდამენტური ბუნება არ შეცვლილა. საგადასახადო საკითხები კვლავ რჩება სახელმწიფოს უფლებამოსილების სფეროდ, რომელშიც საჯარო ბუნება და ხასიათი გადასახადის გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის რჩება დომინანტური. ამასთან, სასამართლო კონვენციის მუხლებს განმარტავს დამატებითი ოქმებთან ერთობლიობაში და მიუთითებს პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად, სახელმწიფოს რჩება უფლება შემოიღოს კანონები გადასახადების გადახდევნების უზრუნველსაყოფად, რომლების ასევე არ შედის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაცულ სფეროსი მე-6 მუხლის მიზნებისთვის. შესაბამისად ის მიეკუთვნება საჯარო სფეროს (7, 1-5).

სახელმწიფოს უფლებამოსილებაა, უზრუნველყოს გადასახადების, სხვა მოსაკრებლების ან ჯარიმების გადახდა (პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის მესამე წესის ფარგლებში), სასამართლოს განმარტებით განსაკუთრებით ფართოა. ამასთან, საგადასახადო ღონისძიებები აუცილებლად ექვემდებარება პროპორციულობის პრინციპს.

მესამე პირის მფლობელობაში ქონების დაყადაღების უფლება – „გასუს დოზია უნდ ფორდერტეჰნიკ ნიდერლანდების წინააღმდეგ“

საქმეში „გასუს დოზია უნდ ფორდერტეჰნიკ ნიდერლანდების წინააღმდეგ“, განმცხადებელი „გასუსი“ წარმოადგენდა გერმანულ კომპანიას, რომელმაც გააფორმა ბეტონის ამრევი მანქანის გაყიდვის შეთანხმება ჰოლანდიურ კომპანია „ატლასთან.“ „გასუსის“ ნასყიდობის ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას წარმოადგენდა „დებულება საკუთრების შენარჩუნების შესახებ“, რომელიც ნიშნავდა, რომ გამყიდველი ინარჩუნებდა ბეტონის ამრევი მანქანის საკუთრებას მანამ, სანამ ის არ მიიღებდა ანაზღაურებას სრული მოცულობით (7, 1-20).

„ატლასს“ წარმოეშვა გარკვეული ფინანსური სირთულეები და ბეტონის ამრევი მანქანა დაყადაღებულ იქნა ნიდერლანდების საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლის მიერ საგადასახადო დავალიანების დასაფარავად. „გასუსმა“ ნიდერლანდების სასამართლოების წინაშე ეს მოქმედება გაასაჩივრა და გრძელვადიან სასამართლო პროცესებში ჩაება, თუმცა, უშედეგოდ. ამის შემდეგ „გასუსმა“ საჩივრით სტრასბურგის სასამართლოს მიმართა.

თავდაპირველად სახელმწიფო ამტკიცებდა, თითქოს კომპანიას აღარ ჰქონდა ამრევი მანქანის მესაკუთრეობა შენარჩუნებული და მას ამ ქონებაში მხოლოდ გარკვეული წილობრივი კაპიტალი გააჩნდა, შესაბამისად, „გასუსს“ არ გააჩნდა აღნიშნული ქონება. თუმცა, მაგრამ სასამართლომ ეს არგუმენტი დაუყოვნებლივ უარყო და განმეორებით განაცხადა, რომ ქონებას პირველი მუხლის მიზნებისათვის „ავტონომიური“ მნიშვნელობა ჰქონდა და ის უდავოდ არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ქონებრივი ნივთების მფლობელობით - მნიშვნელობა არ ჰქონდა, ინარჩუნებდა „გასუსი“ საკუთრების უფლებას, თუ, უბრალოდ, წილობრივი კაპიტალი გააჩნდა ქონებაში. ორივე შემთხვევაში ის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დაცვის ქვეშ იმყოფებოდა.

სამი წესის გამოყენებასთან დაკავშირებით „გასუსი“ ამტკიცებდა, რომ მას ქონება მეორე წესის შესაბამისად ჩამოერთვა. სასამართლომ დაადგინა, რომ ბეტონის ამრევი მანქანის დაყადაღება წარმოადგენდა სახელმწიფოს მიერ გადასახადების შეგროვების მექანიზმს და უნდა განიხილებოდა პირველი მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რომელიც სახელმწიფოს

„გადასახადის ან სხვა მოსაკრებლის ან ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის“ უფლებამოსილებას ანიჭებს.

ამ კონტექსტში, სასამართლომ მხარეებს შეახსენა, რომ კონვენციის ტექსტის შემუშავებისას მონაწილე სახელმწიფოებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს პირველი მუხლის მეორე ნაწილის შემდეგ ასპექტს - ეს ფრაზა ჯერ ტექსტში არც იყო ასახული, თუმცა, ყველა დაინტერესებულ მხარეს უკვე ჰქონდა გააზრებული, რომ სახელმწიფოს მისთვის სასურველი ნებისმიერი ფისკალური კანონის მიღება შეუძლია იმ პირობით, რომ ეს კანონი არ წარმოადგენს „თვითნებურ კონფისკაციას“. მოცემულ საქმეში, როგორც სასამართლომ განაცხადა, ადგილი არ ჰქონია თვითნებურ კონფისკაციას. თუმცა, კანონი საგადასახადო ორგანოებს მესაკუთრის კუთვნილ ტერიტორიაზე თუნდაც მესამე პირის მფლობელობაში მყოფი ქონების დაყადაღების უფლებას ანიჭებდა. ამგვარი პრაქტიკა ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში დაშვებული იყო, ამიტომაც სასამართლომ ამ საკითხზე მხარდაჭერა მოიპოვა.

სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ სახელმწიფოს გააჩნდა შეფასების ფართო ზღვარი საგადასახადო ღონისძიებებთან დაკავშირებით. ამასთან, სახელმწიფოს თვალსაზრისი ყოველთვის მიიღება მხედველობაში იმ პირობით, რომ ის „არ არის გონივრულ საფუძველს მოკლებული“. მან მოახდინა „სპორონგის და ლონორთის“ 58 საქმის ციტირება და გააკეთა მითითება სამართლიანი ბალანსისა და პროპორციულობის პრინციპებზე. მან ასევე დასვა შეკითხვა, დაეკისრა თუ არა „გასუსს“ ინდივიდუალური და განსაკუთრებული ტვირთი.

ამ შეფასებითი სტანდარტების გამოყენებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ ბეტონის ამრევი მანქანის დაყადაღება შესაბამისობაში იყო პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან. კერძოდ, მან მხედველობაში მიიღო, რომ: 1) „გასუსი“ მონაწილეობდა კომერციული ხასიათის საქმიანობაში, რომელსაც გარკვეული რისკი გააჩნდა; 2) დებულება საკუთრების შენარჩუნების შესახებ მას იცავდა სხვა კრედიტორებისაგან და არა სახელმწიფოს საგადასახადო ორგანოებისაგან; 3) „გასუსს“ შეეძლო რისკის საერთოდ თავიდან აცილება, თუ ის უარს ეტყოდა „ატლასს“ კრედიტის გაცემაზე; 4) მას შეეძლო დამატებითი გარანტიების მოპოვება, მაგალითად, დაზღვევის გზით; 5) „გასუსმა“ ნება დართო „ატლასს“, განეთავსებინა ბეტონის ამრევი მანქანა ამ უკანასკნელის კუთვნილ ტერიტორიაზე.

მამსადამე, იმისდა მიუხედავად, რომ სასამართლო საგადასახადო ზომების მიმართ იყენებს სამართლიანი ბალანსის იმავე შეფასების სტანდარტს, როგორც საკუთრების სხვაგვარი ხელყოფის მიმართ, ამ ტიპის საქმეებში სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებით ფართო შეფასების ზღვარი.

ამრიგად, ევროპული სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პირველი დამატებითი ოქმის უპირველეს და ყველაზე მთავარ მოთხოვნას წარმოადგენს, რომ საჯარო ხელისუფლების ორგანოს მიერ განხორციელებული ქონებით მშვიდობიანი სარგებლობის ნებისმიერი ხელყოფა კანონიერი უნდა იყოს: პირველი ნაწილის მეორე წინადადება ნებას რთავს ქონების ჩამორთმევას მხოლოდ კანონით დადგენილი პირობების დაცვით და მეორე ნაწილი აღიარებს სახელმწიფოს უფლებას, განახორციელოს ქონებით სარგებლობის კონტროლი კანონის მიღებით. უფრო მეტიც, კანონის უზენაესობა, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი, გამომდინარეობს კონვენციის ყველა მუხლის ფორმულირებიდან... და ითვალისწინებს სახელმწიფოს ან სხვა საჯარო ხელისუფლების ორგანოს ვალდებულებას, შეასრულოს მის წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლო ბრძანება ან გადაწყვეტილება... შესაბამისად, საზოგადოების საერთო ინტერესსა და პირის ფუნდამენტური უფლებების დაცვის აუცილებლობას შორის სამართლიანი ბალანსის დადგენის საკითხი... შეიძლება გახდეს განხილვის საგანი მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც დადგინდება, რომ

გასაჩივრებული ხელყოფა პასუხობდა კანონიერების მოთხოვნას და არ იყო თვითნებური“ (პ. 58).

მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლოს მიერ საგადასახადო სამართალურთიერთობის დროს გამოყენებული საგადასახადო სამართლის ზოგიერთი ნორმების განმარტება, რომელიც სტატიაში განიხილება შემდეგი საკითხების სახით: საწევრო შენატანების დღგ-თი დაბეგვრა, თუ როდის მიიჩნევა პირის მიერ მიღებული თანხა (დღგ-ის მიზნებისათვის) გაწეული მომსახურების კომპენსაციად (დასაბეგრი ოპერაციის თანხად) და სასაქონლო კრედიტისათვის გადახდილი პროცენტების განმარტების თაობაზე.

ევროპის სასამართლოს 21.03.2002 C-174/00 გადაწყვეტილება საწევრო შენატანების დაბეგვრის საკითხი დღგ-თი (7, 14)

ევროპის სასამართლოს განსახილველად წარედგინა ნიდერლანდების კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, გოლფის მოყვარულთა არასამეწარმეო გაერთიანების - Kennemer Golf & Country Club-ის (შემდეგში - გოლფკლუბი) საჩივარი ჰოლანდიის Staatssecretaris van Financiën-ის (ჰოლანდიის ფინანსური ადმინისტრაცია) წინააღმდეგ. 2002 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით (21.03.2002 C-174/00) ევროპის სასამართლომ (სხვა საკითხებთან ერთად) განმარტა მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, რამდენად შეიძლება წარმოადგენდეს საწევრო შენატანები გაწეული მომსახურებისათვის გადახდილ კომპენსაციის თანხას და შესაბამისად ექვემდებარება თუ არა აღნიშნული თანხები დღგ-ით დაბეგვრას.

ფაქტობრივი გარემოებები:

გოლფკლუბი წარმოადგენდა გოლფის მოყვარულთა 800 კაციან გაერთიანებას, რომლის მიზანი იყო მისი წევრებისათვის სპორტული ცხოვრების წესის ხელშეწყობა, რის განსახორციელებლად გაერთიანება ფლობდა გოლფის მოედანსა და კლუბის შენობას.

გოლფკლუბის წევრები წლიურ საწევრო შენატანებთან ერთად, ვალდებულები იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ გოლფკლუბის მიერ გამოცემულ უპროცენტო ობლიგაციებში და ამასთან გოლფის მოედნით სარგებლობისას (თითოეულ ჯერზე) გადაეხადათ დამატებითი თანხა (შესვლის ღირებულება). გოლფის მოედნის გამოყენება კლუბის წევრების გარდა ხდებოდა სხვა პირების მიერ, რომლებიც გოლფის მოედნით სარგებლობის სანაცვლოდ იხდიდნენ გოლფის მოედნით სარგებლობის ღირებულებას (ყოველდღიურ გადასახადს).

ევროპის სასამართლოსადმი დასმული კითხვა (სხვა კითხვებთან ერთად) მდგომარეობდა შემდეგში:

წარმოადგენს თუ არა წევრების მიერ გადახდილი წლიური საწევრო შენატანები გოლფკლუბის მიერ წევრებისათვის გაწეული მომსახურების კომპენსაციას და შესაბამისად, ექვემდებარებოდა თუ არა გოლფკლუბის მიერ გაწეული მომსახურების გაწევა დღგ-ით დაბეგვრას? (მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ წლიური საწევრო შენატანის განხორციელების ,მაგრამ კლუბის წევრს კლუბის მომსახურებით [გოლფის მოედანი და სხვა ინფრასტრუქტურა] არ უსარგებლია?).

გადაწყვეტილებამდე არსებული სასამართლო პრაქტიკა:

წინამდებარე გადაწყვეტილებამდე ევროპის სასამართლოს ჩამოყალიბებული პრაქტიკით, გადახდილი თანხის გაწეული მომსახურების კომპენსაციად მიჩნევისთვის უნდა არსებობდეს ერთის მხრივ სამართლებრივი ურთიერთობა (გარიგება) მომსახურების გაწევასა და მიმღებს

შორის, მეორეს მხრივ კი უშუალო კავშირი გადახდილ თანხასა და გაწეულ მომსახურებას შორის. აღნიშნული წინაპირობების არ არსებობის გამო ევროპის სასამართლომ თავის 1994 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით (03.03.1994 C-16/93 Tolsma) „გამვლელი მსმენელების“ მიერ ქუჩის მუსიკოსისათვის ნებაყოფილობით (სამართლებრივი ურთიერთობის გარეშე) გადახდილი თანხა (რომელიც ნებაყოფილობითი ხასიათის იყო და სხვადასხვა მსმენელის მიერ არსებითად განსხვავებული ოდენობით შეიძლება ყოფილიყო გადახდილი, რაც რაიმე კავშირს გადახდილ თანხასა და მიღებულ მომსახურებას შორის გამორიცხავდა) არ ჩათვალა მომსახურების (შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების) კომპენსაციად და დღგ-ს დასაბეგრ თანხად არ მიიჩნია. რამდენიმე წლით ადრე, 1988 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით (08.03.1988 102/86 Apple and Pear Development Council) კი, ევროპის სასამართლომ უელსსა და ინგლისში ვაშლისა და მსხლის ფერმერული მეურნეობების ხელშეწყობის, რეკლამირებისა და ნაწარმოები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სპეციალურად შექმნილ განვითარების სააგენტოსათვის (ვაშლისა და მსხლის) მწარმოებლების (ფერმერული მეურნეობების) მიერ გადახდილი სავალდებულო შენატანიც არ მიიჩნია გაწეული მომსახურების კომპენსაციად (გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადახდილ თანხად), რადგან მან მიიჩნია, რომ ერთისმხრივ არ არსებობდა უშუალო კავშირი ფერმერების მიერ გადახდილ თანხებსა და სააგენტოს მიერ განხორციელებულ საქმიანობას შორის, ხოლო მეორეს მხრივ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა ფერმერთა საერთო ინტერესს ემსახურებოდა და ამით ეკონომიკურ სარგებელს არა კონკრეტული ფერმერი არამედ მთლიანად დარგი ღებულობდა (ე.ი. არ ხდებოდა მომსახურების მიმღების იდენტიფიცირება, რაც [მომსახურების მიმღების არსებობა] მომსახურების გაწევის ფაქტის არსებობის ერთ-ერთი წინაპირობაა) და ის ფაქტი, რომ თითოეული მწარმოებლის (ფერმერის) მიერ მიღებული ეკონომიკური სიკეთე უშუალოდ დარგის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებლიდან გამომდინარეობდა, არ არის საკმარისი წინაპირობა, რომ მწარმოებლები (ფერმერები) ჩათვლილიყვნენ მომსახურების მიმღებად.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება:

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით სპორტული გაერთიანების (გოლფკლუბის) სავალდებულო საწევრო შენატანები წარმოადგენენ გაწეული მომსახურების კომ-პენსაციას (და შესაბამისად დაექვემდებაროს დღგ-ით დაბეგრას) იმ შემთხვევაშიც კი, როცა კლუბის წევრ(ებ)ის მიერ საერთოდ არ ხდება ან/და რეგულარულად არ ხდება გოლფკლუბის ინფრასტრუქტურით სარგებლობა, რადგან მოცემულ შემთხვევაში მომსახურების გაწევა გამოიხატება გოლფკლუბის მზადყოფნაში, ნებისმიერ დროს კლუბის წევრს მისცეს შესაბამისი ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება, შესაბამისად ისარგებლებს თუ არა კლუბის წევრი შესაბამისი უფლებით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის (მომსახურების გაწევის) არსებობის კუთხით არაფერს ცვლის.

მანვე განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაშია სახეზე არსებული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კავშირი გაწეულ მომსახურებასა და წევრების მიერ გადახდილ საწევრო შენატანებს შორის, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ წევრების მიერ საწევრო შენატანების გადახდა ხდება ერთიანი სახით და ის წევრის მიერ კლუბის ინფრასტრუქტურით სარგებლობის ინდივიდუალურ (თითოეულ) შემთხვევას არ უკავშირდება, რადგან როგორც უკვე აღინიშნა მოცემულ შემთხვევაში მომსახურების გაწევა გამოიხატება გოლფკლუბის მზადყოფნაში მთელი პერიოდის მანძილზე მისცეს კლუბის წევრს კლუბის ინფრასტრუქტურით სარგებლობის უფლება და საწევრო შენატანიც წარმოადგენს ამ მზადყოფნისთვის (და არა კლუბის ინფრასტრუქტურით სარგებლობისათვის) გადახდილ თანხას.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება (03.03.1994 C-16/93 “Tolsma”), პირის მიერ მიღებული თანხის მიჩნევა (დღგ-ის მიზნებისათვის) გაწეული მომსახურების კომპენსაციად (დასაბეგრი ოპერაციის თანხად) (7,12)

ევროპის სასამართლოს განსახილველად წარედგინა ქუჩის მუსიკოსისა და ჰოლანდიის ქალაქ ლეეუვარდენის საგადასახადო ინსპექციის საქმე (03.03.1994 C-16/93 “Tolsma”), სადაც ევროპის სასამართლომ განმარტა, თუ როდის მიიჩნევა პირის მიერ მიღებული თანხა (დღგ-ის მიზნებისათვის) გაწეული მომსახურების კომპენსაციად (დასაბეგრი ოპერაციის თანხად).

ფაქტობრივი გარემოებები:

ფ/პ ტოლსი საკუთარი არღანით რეგულარულად ასრულებდა სხვადასხვა მუსიკალურ ნაწარმოებს საჯაროდ ქუჩაში, რის სანაცვლოდაც გამვლელები ნებაყოფილობით უხდიდნენ მას ფულად თანხებს. ჰოლანდიის ქალაქ ლეეუვარდენის საგადასახადო ინსპექციის მიერ ქუჩის მუსიკოსის მიერ გამვლელებისაგან მიღებული თანხები ჩაითვალა მუსიკოსის მიერ გამვლელებისათვის გაწეული მომსახურების (მუსიკალური ნაწარმოების შესრულება) სანაცვლოდ მიღებულ კომპენსაციის თანხად და დაექვემდებარა დღგ-ით დაბეგვრას.

ქ. ლეეუვარდენის სასამართლოში წარდგენილ სარჩელში ქუჩის მუსიკოსი მიუთითებდა, რომ გამვლელების მიერ მისთვის გადახდილი თანხები წარმოადგენდნენ ნებაყოფილობით, ყოველგვარი იურიდიული ვალდებულების გარეშე გადახდილ თანხებს, რომელთა ოდენობას გამვლელები თვითონ განსაზღვრავდნენ, რაც იმას უსვამდა ხაზს, რომ არანაირი პირდაპირი კავშირი გამვლელების მიერ გადახდილ თანხასა ქუჩის მუსიკოსის მიერ შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებს შორის არ არსებობდა, შესაბამისად გადახდილი თანხები ვერ ჩაითვლებოდა გაწეული მომსახურების კომპენსაციად.

ქ. ლეეუვარდენის საგადასახადო ინსპექციის პოზიციით გადახდილ თანხებსა და შესრულებულ მუსიკალურ ნაწარმოებებს შორის პირდაპირი კავშირი სახეზე იყო და ის გარემოება, რომ გამვლელი წინასწარ რაიმე თანხის გადახდას არ ივალდებულებდა, დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის არაფერს ცვლიდა.

ქ. ლეეუვარდენის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში (საქმის გადასაწყვეტად) ევროპის სასამართლოსათვის დასმული კითხვა მდგომარეობდა შემდეგში:

- 1) რამდენად წარმოადგენდა ქუჩის მუსიკოსის მიერ საჯაროდ ქუჩაში მუსიკალური ნაწარმოების შესრულება, რომლისთვისაც ის გამვლელებისაგან იღებდა თანხებს, სასყიდლიან მომსახურებას?
- 2) გასათვალისწინებელი იყო თუ არა ის გარემოება, რომ მიუხედავად იმისა, რომ ანაზღაურებაზე წინასწარი შეთანხმება არ ხდებოდა, ქუჩის მომღერლის მიერ გამვლელი მსმენელებისაგან ხდებოდა თანხების მოთხოვნა, რომლის ოდენობაც მართალია არ იყო განსაზღვრული, მაგრამ სტატისტიკის გათვალისწინებით ქუჩის მომღერლის მიერ საშუალოდ მისაღები თანხა შეიძლება ნავარაუდები ყოფილიყო.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება:

ევროპის სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში ხაზი გაუსვა მის მიერ ჩამოყალიბებულ პრაქტიკას (28.10.1987 102/86 “Apple and Pear Development Council”), რომლის თანახმადაც გადახდილი თანხის მომსახურების კომპენსაციად მიჩნევისათვის საჭიროა პირდაპირი კავშირის არსებობა გადახდილ თანხასა და გაწეულ მომსახურებას შორის, შესაბამისად

კომპენსაციის სანაცვლოდ მომსახურების(სასყიდლიანი მომსახურების) გაწევას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა მხარეებს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს, რომლის საფუძველზეც გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მეორე მხარე იხდის მომსახურების შეთანხმებულ ღირებულებას.

ქუჩის მუსიკოსის მიერ ქუჩაში საჯაროდ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების სანაცვლოდ გამვლელებისაგან მიღებული შემოსავლები ვერ ჩაითვლება გაწეული მომსახურების კომპენსაციად, რადგან ერთის მხრივ მხარეებს შორის არ არსებობს რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა და თანხების გადახდა წარმოებს ნებაყოფილობით, მეორეს მხრივ კი უშუალო კავშირი გაწეულ მომსახურებასა და გადახდილ თანხებს შორის მოცემული არ არის, რადგან გამვლელი მსმენელის მიერ გადახდილი თანხის ოდენობას (რომლებიც არსებითად შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან) არა შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები, არამედ გამვლელის პიროვნული ხასიათი (დაეხმაროს ქუჩის მუსიკოსს) განაპირობებდა, სწორედ ამიტომაც გამვლელთა ნაწილი მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის გარეშე უხდიდნენ მუსიკოსს თანხას, ხოლო მეორე ნაწილი ხანგძლივი დროით მუსიკალური ნაწარმოების სმენის მიუხედავად, არ იყვნენ მზად ქუჩის მუსიკოსისათვის გადაეხადათ რაიმე თანხა.

ევროპის სასამართლომ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქუჩის მუსიკოსის მოლოდინი, რომ ის მუსიკალური ნაწარმოების შესრულების სანაცვლოდ გარკვეული ოდენობის თანხას მიიღებს, არ ცვლის გადახდილი თანხების ნებაყოფილობით ხასიათს, რომლის ოდენობის განსაზღვრაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ ქუჩის მუსიკოსის მიერ გამვლელი მსმენელებისაგან მიღებული თანხები არ უნდა ჩაითვალოს, შესრულებული მუსიკალური ნაწარმოების (გაწეული მომსახურების) სანაცვლოდ გადახდილ თანხად (კომპენსაციად).

ევროპის სასამართლოს 27.10.1993 C-281/91 გადაწყვეტილება საქონლის/მომსახურების მიწოდებისას თუ რამდენად წარმოადგენს სასაქონლო კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები სასესხო/საკრედიტო (ფინანსური) მომსახურებისათვის გადახდილ თანხას და დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის, უნდა მომხდარიყო თუ არა მათი შეტანა საქონლის/მომსახურების ღირებულებაში (ე.ი. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში) (7,17).

ევროპის სასამართლოს განსახილველად წარედგინა Muys' en De Winter's Bouw- en Aannemingsbedrijf BV-ის (შემდეგში – სამშენებლო კომპანია) საჩივარი ჰოლანდიის Staatssecretaris van Financien (ჰოლანდიის ფინანსური ადმინისტრაცია) წინააღმდეგ. 1993 წლის 27 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (27.10.1993 C-281/91) ევროპის სასამართლომ განმარტა მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, საქონლის/მომსახურების მიწოდებისას რამდენად წარმოადგენს სასაქონლო კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები სასესხო/საკრედიტო (ფინანსური) მომსახურებისათვის გადახდილ თანხას და დღგ-ით დაბეგვრის მიზნებისათვის, უნდა მომხდარიყო თუ არა მათი შეტანა საქონლის/მომსახურების ღირებულებაში (ე.ი. დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხაში).

სამშენებლო კომპანიის ძირითად ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენდა ჰოლანდიის ტერიტორიაზე სამშენებლო მომსახურების გაწევა ან/და დასრულებული(აშენებული) უძრავი ქონების რეალიზაცია. სამშენებლო კომპანია მოცემულ შემთხვევაში მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მომხმარებლის დაკვეთით აწარმოებდა შენობა-ნაგებობის მშენებლობას და დასრულებისას გადასცემდა მას უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას.

გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, დამკვეთი სამშენებლო მომსახურების ღირებულებას იხდიდა სამშენებლო კომპანიის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამშენებლო სამუშაოების მიხედვით ეტაპობრივად, ხოლო მიწის ნაკვეთის ღირებულებას ის იხდიდა უძრავ ქონებაზე საკუთრების მიღებამდე რამოდენიმე დღით ადრე ან მიღების მომენტში. დამკვეთს უფლება ქონდა სამშენებლო სამუშაოების ღირებულებასთან ერთად ეტაპობრივად ეხადა მიწის ნაკვეთის ღირებულებაც.

ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ დამკვეთს შეეძლო როგორც მიწის ნაკვეთის ღირებულება, ისე სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ერთიანად გადაეხადა უძრავ ქონებაზე საკუთრების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე ან საკუთრების მიღების მომენტში, ამისათვის დამკვეთს სამშენებლო კომპანიისათვის უნდა ჰქონოდა სამშენებლო და მიწის ნაკვეთის მთლიანი ღირებულების 10% გადახდილი და გადახდის გადავადების გამო დამკვეთს სამშენებლო კომპანიისათვის(სამშენებლო სამუშაოებისა და მიწის ნაკვეთის ღირებულების გარდა) დამატებით უნდა გადაეხადა გადავადებულ თანხაზე დარიცხული პროცენტები.

ჰოლანდიის ფინანსურმა ადმინისტრაციამ სამშენებლო სამუშაოებისათვის გადასახდელი თანხების გადავადებისათვის დამკვეთის მიერ გადახდილი პროცენტის თანხები ჩათვალა სასესხო/საკრედიტო (ფინანსური) მომსახურებისათვის გადახდილ თანხად და არ შეიყვანა დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციის თანხაში, ხოლო მიწის ღირებულების გადავადებისათვის გადახდილი პროცენტის თანხა განიხილა უძრავი ქონების ღირებულების ნაწილად (ჩართო დასაბეგრი ოპერაციის თანხაში) და დაუქვემდებარა დღგ-ით დაბეგვრას.

ევროპის სასამართლოსადმი დასმული კითხვა მდებარეობდა შემდეგში, რამდენად წარმოადგენდა გადახდას გადავადებულ მიწის ღირებულების თანხებზე დარიცხული პროცენტი უძრავი ქონების ღირებულების ნაწილს (დასაბეგრი ოპერაციის თანხის ნაწილს) და ხომ არ იყოს აღნიშნული პროცენტი სასესხო/საკრედიტო (ფინანსური)მომსახურებისათვის გადახდილი და დღგ-ით დაბეგვრისაგან გათავისუფლებული თანხა.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება:

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებით საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევისას, მომსახურების/საქონლის გადახდის ვადის გადავადებისათვის გადახდილი პროცენტი, ძირითადად, წარმოადგენს (დამოუკიდებელი) სასესხო/საკრედიტო (ფინანსური) მომსახურებისათვის გადახდილ თანხას (ე.ი. გადახდილი/გადასახდელი თანხა არ წარმოადგენს საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილს და ის დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციის თანხაში არ ჩაირთვება), წინააღმდეგ შემთხვევაში არათანაბარ პირობებში ჩადგებოდა საქონლის/მომსახურების შემძენი, რომელიც საქონელს/მომსახურებას შეიძენდა გამყიდველისაგან მიღებული სასაქონლო კრედიტით (და დღგ-ს გადახდა მოუწევდა მთლიანი თანხიდან, რომელშიც შევიდოდა საპროცენტო თანხებიც) და ის შეიძენი, რომელიც საქონელს/მომსახურებას შეიძენდა სხვა პირისაგან აღებული სესხით/კრედიტით (და დღგ-ს გადახდა მოუწევდა მხოლოდ საქონლის/მომსახურების თანხიდან, საპროცენტო თანხების ჩაურთველად), რაც დაარღვევდა გადამხდელების თანასწორობის ყოვლადღიარებულ პრინციპს (equal treatment for taxable persons). თუმცა ევროპის სასამართლო მიიჩნევს, რომ, თუ საქონლის/მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის გადავადება ხდება ამ საქონლის/მომსახურების მიწოდების/გაწევის მომენტამდე, აღნიშნული გადავადებისათვის გადახდილი პროცენტის თანხები წარმოადგენენ საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილს და ჩაირთვებიან დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების თანხაში, შესაბამისად მოცემულ სადაო შემთხვევაში სასამართლომ გადახდილი საპროცენტო თანხები განიხილა მიწოდებული უძრავი ქონების (მიწა მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით) ღირებულების ნაწილად და

არა სასესიო/საკრედიტო მომსახურებისათვის გადახდილ ანაზღაურებად.

ევროპის ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკა:

ევროპის ქვეყნების საგადასახადო პრაქტიკაში (ზემოხსენებული პრეცედენტული გადაწყვეტილების საფუძველზე) საქონლის/მომსახურების ღირებულების გადახდის ვადის გადავადებისათვის გადახდილი/გადასახდელი პროცენტის თანხები განიხილება (დამოუკიდებელი) სასესიო/საკრედიტო მომსახურების ანაზღაურებად, თუ გადახდის გადავადება არ ხდება საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის მომენტამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში (თუ გადავადება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდებამდე) პროცენტის თანხა წარმოადგენს საქონლის/მომსახურების ღირებულების ნაწილს.

შედეგები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ, საგადასახადო სამართლის ზოგიერთი ნორმების ზემოაღნიშნული განმარტების საპირისპიროდ მოქმედებს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 73-ე მუხლით მინიჭებული უფლებები, დაბეგვრის არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციის უფლების გამოყენების ფართო და უსაზღვრო შესაძლებლობას ანიჭებს, კერძოდ ეს არის ცალკეულ შემთხვევაში დაბეგვრის ობიექტისა და საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრის არსებული წესი, რომლის მიხედვით:

1. შემოსავალი გადასახადით იბეგრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მისი კანონიერება სადავოა.
2. საგადასახადო სამართალდარღვევით მიღებული შემოსავალი ან განხორციელებული სხვა ოპერაცია იბეგრება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილებით შემოსავალი სრულად ექვემდებარება ბიუჯეტის სასარგებლოდ ამოღებას, იგი არ იბეგრება.
4. თუ რაიმე თანხა გამოიყენება კონკრეტული პირის ინტერესებისათვის, ჩაითვლება, რომ ეს თანხა მიღებული აქვს ამ პირს.
5. საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, პირის საგადასახადო ვალდებულებები განსაზღვროს არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (აქტივების სიდიდის, საოპერაციო შემოსავლებისა და ხარჯების, პირის შესახებ ინფორმაციის მისი საქმიანობის სხვა საგადასახადო პერიოდთან ან სხვა ამგვარი გადასახადის გადამხდელის შესახებ მონაცემების შედარების, აგრეთვე სხვა მსგავსი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე)“. ამჟამინდელი საკანონმდებლო ბაზა არ იცნობს არაპირდაპირი დაბეგვრის მეთოდოლოგიას.

ასევე აღსანიშნავია 2017 წლის პირველი იანვრიდან გატარებული საგადასახადო რეგორმა, რომელიც დაბეგვრის ესტონურ მოდელს გულისხმობს. საქართველოს კანონმდებლობა და მოგების გადასახადის სისტემა ძირითადად ეფუძნება საერთაშორისო გამოცდილებას, რაც ქვეყანას საშუალებას აძლევს სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე განახორციელოს ცვლილებები. შემოთავაზებული მოდელი მხოლოდ ესტონურ გამოცდილებას ეფუძნება და გაამართლებს თუ არა იგი საქართველოში გარკვეული რისკის ქვეშ დგას, რადგან მოდელის დანეგვასთან დაკავშირებული გამოწვევების და რეფორმის შემდგომი მდგომარეობის შეფასება შემოიფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილებით.

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და დამატებითი ოქმების განმარტებასთან დაკავშირებით, საგადასახადო ორგანოებმა და საქართველოს სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ, როგორც საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული განმარტების წესები და სხვა ევროპულ სახელმწიფოთა პრაქტიკა საგადასახადო სამართლის ნორმების განმარტებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, ეროვნულმა სასამართლოებმა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული პრინციპებისა და ტერმინების განმარტებისას უნდა გამოიყენოს არა ეროვნულ, არამედ საერთაშორისო (ევროპულ) დონეზე დამკვიდრებული მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კორკელია ვ. 2002. *ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლი საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში*. თბილისი.
2. კორკელია ვ. 2010. (რედ) *ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური და საერთაშორისო მექანიზმები, სტატიათა კრებული*. თბილისი.
3. ნადარაია ლ., როგავა ზ., რუხაძე ვ., ბოლქვაძე ბ. 2014. *საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი*. თბილისი, GIZ.
4. ნაჭყებია ა. 2015. *ადმინისტრაციულსამართლებრივი ნორმების განმარტებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში (2005-2014)*. თბილისი, GIZ.
5. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები: „გასუს დოზია უნდ ფორდერტექნიკ ნიდერლანდების წინააღმდეგ“, Ferrazzini v. Italy, 2001, ECHR, <Hhttp://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-59589H> [11.09.2012]. 24 ix. D. D. Bobek, R. C. Hatfield and S. S. Kramer, Professional liability suits against tax accountants: Some empirical evidence regarding case merit. (Journal) “Advances in Taxation”, Emerald Group Publishing Limited. Volume 16, pp. 3-23. 25 ix. W. Vermeend, R. van der Ploeg, J. W. Timmer, Ed. Elgar, Taxes and Economy; A Survey of the Impact of Taxes on Growth, Employment, Investment, Consumption and the Environment. Published by Ed. Elgar Publishing Limited; Glensanda House; Montpellier, Parade, Cheltenham UK. 2008, pp. 12 26 ix. iqve, pp. 12.
6. ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა, კონსტიტუციის 42-ე მუხლი. 2012, თბილისი.
7. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებები: 21.03.2002 C-174/00, 03.03.1994 C-16/93 “Tolsma”), 27.10.1993 C-281/91) *Gasus Dosier und Fördertechnik GmbH v. the Netherlands, 1995 wlis 24 ianvris gadawyvetileba, ganacxadi №15375/89*.
8. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 2016. თბილისი, საქართველოს პარლამენტის სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. კოდიფიცირებული, www.matsne.gov.ge
9. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.
10. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2017. თბილისი, საქართველოს პარლამენტის სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. კოდიფიცირებული, www.matsne.gov.ge
11. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი. 2016, თბილისი. - www.taxdisputes.gov.ge
12. ინტერნეტ წყაროები mof.ge; rs.ge; Supremecourt.ge; tcc.gov.ge

Peculiarities of Defining the Norms of Tax Law by the European Court of Human Rights

Marine Kordzadze, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

Application of the European Convention on Human Rights in Georgia, synchronizing the national legislation and court practices with European standards are extremely significant in the legislative sphere. Therefore, part of decisions has been studied and analyzed with this view which applies to the peculiarity of defining the norms of tax law.

The European Court of Human Rights provides the authoritarian definition of the provisions of the European Convention. This determines application of those decisions (precedents) of the European Court of Human Rights by the states as well as national courts which apply to other participatory states of the convention. Despite the fact that it is the European Court of Human Rights which takes decisions regarding a specific case, through this decision (precedent) it defines the content of the rights and freedoms envisaged by the convention. By taking a specific decision, the European Court sets the standard whose significance exceeds the specific court case. The European Court carries out the function of defining the standard of protecting human rights. The convention outlines numerous norms that are formulated in a rather general manner. The content of provisions envisaged by the convention is expressed in the precedent law of the European Court. Both common and constitutional courts of Georgia actively use the precedent law of the European Court of Human Rights.

Decisions of the European Court of Human Rights became part of the legislation of Georgia, source of the inter-state law which courts will use as the legislative basis for solving the case. Taking into consideration this piece of circumstance, peculiarities of definitions of legislative norms of the tax law are significant for the courts of Georgia to define them on the basis of those principles that have been stated by the European Court of Human Rights.

Therefore, envisaging the above-stated, this part of work discusses both some general principles of certain norms of the tax law and practice of European states. The conclusion will be made on the basis of this - in respect with finalizing the practice of defining the norms the tax law by courts of Georgia.

სარჩელის განხილვის თავისებურებანი რომაულ სამართალში

დალი ჭანიძე, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში მსჯელობა გვექნება სამოქალაქო სამართლის განვითარებაზე, მის წარმომავლობაზე და ურთიერთშესაბამისობაზე დღევანდელ სამოქალაქო სამართალთან მიმართებაში. განხილული იქნება რომაულ სამართალში არსებული სამოქალაქო დავის მოგვარების სპეციფიკა და შეგანალიზება იმის, თუ როგორ იცვალა და დაიხვეწა სამოქალაქო სამართალი დღეს.

მცდლობა გვექნება გავშალოთ რომის სამართლის განვითარების ძირითადი ეტაპები, საჯარო და კერძო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ჩამოყალიბების და ევოლუციის პროცესები, რომის სამართალში არსებული სარჩელის ინსტიტუტი, მოსარჩელისა და მოპასუხის როლი, სასამართლო გადაწყვეტილების თავისებურებები.

ყოველივე აღნიშნულის განხილვის შედეგად მიღებული იქნება დასკვნა, თუ რა სახით არსებობს რომის სამართლის მონაპოვარი დღეს, რამდენად შემორჩა ის ინსტიტუტები და იურიდიული ტერმინები რომლებიც მოქმედებდნენ ძველი რომის სამართალში. რა აუცილებელი საკანონმდებლო კრიტერიუმები არსებობდა სამოქალაქო დავის დაწყებისთვის და შემდგომ ამ დავაზე გადაწყვეტილების მიღებისთვის. რამდენად იყო დაცული მოსარჩელე რომის სამართალში და რამდენად დაცულია ის დღეს. როგორ ხდებოდა სარჩელის უზრუნველყოფა და რა განსხვავებები არსებობს ამ მიმართებით დღევანდელ სამოქალაქო სამართალში, თუმცა აქვე ავღნიშნავთ, რომ წინამდებარე საათის მიზანს არ წარმოადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის როგორც ინსტიტუტის ზოგადი დახასიათება და ან მისი ცალკეული სახეების განხილვა.

სადიებოსიტყვები: სამოქალაქო, სარჩელი, საჯარო, კერძო, რეცეპცია.

შესავალი

სამოქალაქო საპროცესო სამართალს განვითარების თავისი ისტორია გააჩნია. ამ ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რომაულ სამართალს, რომელიც მოიაზრება მრავალი ევროპული სახელმწიფოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძვლად. რომის სამართალი სამყაროს უდიდესი მონაპოვარია, რომლის გარეშეც წარმოდგენილია თანამედროვე ცივილიზაციების კერძო სამართლის არსებობა.

რომის სამართალი შედგებოდა საჯარო სამართლისა და კერძო სამართლისაგან. საჯარო სამართალი არეგულირებდა რომის სახელმწიფოებრივ საკითხებს, კერძო სამართალი კი ემსახურებოდა ცალკეულ მოქალაქეთა ქონებრივი სიკეთეების მოწესრიგებას.

საზოგადოების განვითარების ვერც ერთ ეტაპზე ვერ შევხვდებით კერძო სამართლის სხვა სისტემას, რომელშიც მიღწეულია ისეთი დეტალიზება, იურიდიული ფორმისა თუ იურიდიული ტექნიკის ისეთი მაღალ დონე, როგორც რომაულ კერძო სამართალშია წარმოდგენილი.

რომაულ კერძო სამართალზე საუბრისას, აუცილებელია გავარკვიოთ, თუ რასგულისხმობდა იგი.რომაული „საჯარო სამართალი“, რომელი იურისტების მხრიდან განიხილებოდა როგორც საერთო ნორმა, რომელსაც გააჩნდა უცილობელი ძალა და რომლის შეცვლაც შეუძლებელია იყო კერძო პირთა შეთანხმებით.

„კერძო სამართალი“ კი- წარმოადგენდა სამართლის ნორმებს, რომლებიც იცავდა ცალკეული პირის ინტერესებს სხვა პირთან მიმართებაში. კერძო სამართლის სფეროში შედიოდა - ოჯახური ურთიერთობები, ქონებრივი, მემკვიდრეობითი, ვალდებულებებითი საკითხები და ა.შ.

კერძო სამართალი საფუძველშივე ემიჯნებოდა საჯარო სამართალს და წარმოადგენდა სფეროს, რომელშიც შეზღუდული იყოსახელმწიფოს მხრიდან უშუალო ჩარევა და მარეგულირებელი ქმედებები. ის ერთგვარ სივრცეს ანიჭებდაცალკეულიპირების ავტონომიურობას (ოჯახის უფროსებს, ბაზარზე მონაწილე საქონელმეწარმეებსა თუ მოვაჭრეებს და მათ მსგავს კერძო პირებს).

ტერმინი „კერძო სამართალი“ შენარჩუნებულია ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით იქ, სადაც განასხვავებენ სამოქალაქო და სავაჭრო სამართალს.(მაგალითად, საფრანგეთსა და გერმანიაში კერძო სამართალი ძირითადად შედგება:სამოქალაქო და სავაჭრო სამართლისაგან.)

რომის სამართლის მიხედვით სამოქალაქო სამართალში შედიოდა ნორმები, რომლებიც არეგულირებდნენ ავტონომიურ სუბიექტთა ქონებრივ ბრუნვებს, მაგრამ არასავაჭრო ურთიერთობებს, ასევე საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებსა და ზოგიერთ პირად უფლებებს.

რომაული სამართლის სისტემა არ დამუშავებულა და დამკვიდრებულა ერთდროულად, არამედ ჩამოყალიბდა ხანგრძლივი იურიდიული პრაქტიკის ტრადიციისა და იურისპუდენციის დამუშავებათა შედეგად. ამიტომ ის განსხვავდება თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში დამკვიდრებული დარგობრივი განყოფილებებისაგან.

რომის სამართალში არსებობდა რეცეფციის პრინციპი. რომელიც დასავლეთ ევროპის შუა საუკუნეების ერთ - ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისტორიული პროცესი იყო. იგი მე-12 საუკუნიდან ფიქსირდება. რეცეფცია (reception -მიღება) – რომაული სამართლის იმ ნორმატიულ, იდეურ-თეორიული შინაარსის მოქმედებების აღდგენას (შერჩევა, გადმოღება, გადამუშავებასა და ათვისებას) აღნიშნავდა, რომელიც გამოსადეგი აღმოჩნდა საზოგადოების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ურთიერთობათა დარეგულირებისათვის.

რეცეფციის საგნად იქცა მხოლოდ რომის კერძო სამართალი, რომის საჯარო სამართალმა არსებობარომის დაცემასთან ერთად შეწყვიტა.

რომაული სამართლის რეცეპციის მიზეზთა შორის სახელდება :

- რომაული სამართლის მაღალი დონე - მზა სახით იმსამართლებრივ ინსტიტუტთა არსებობა, რომლებიც ზუსტი და მკაფიო სამართლებრივი ნორმებით არეგულირებს განვითარებულსაქონლო ბრუნვებსა და სავაჭრო ურთიერთობებს.

კლასიკური რომაული სამართალი მრავალი კუთხით თავისუფალია ეროვნული შეზღუდვები-საგან, გააჩნია უნივერსალურობა და განიხილება, როგორც "ზოგადი, უზენაესი, მეცნიერული კანონი".

ზოგადად, რომაულსამართლისადმიყურადღების მიპყრობა აღორძინების ეპოქაში, ერთგვარად განპირობებული იყო ანტიკური შემოქმედებითი მემკვიდრეობისადმი ფართო ინტერესით. რომაულ სამართალს ახასიათებ და ყველა არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის თუ სასაქონლო მფლობელის (მყიდველი და გამყიდველი, კრედიტორი და მოვალე, ხელშეკრულება, ვალდებულება და ა.შ.) განსაკუთრებით ზუსტად შემუშავებული განსაზღვრებები. ამ გარემოებამ დიდი მნიშვნელობა შეიძინა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში წარმოებისა და ვაჭრობის მკვეთრად განვითარების პირობებში(6, 25).

კერძო სამართლის რეცეფციამ შემდგომში განაპირობა უკვე სამოქალაქო სამართლის ნორმების რომაული სამართლის ნორმებით კოდიფიცირებაც.

თემის აქტუალურობა

თემაქტუალურია, ვინაიდანსამოქალაქო სამართლის სრულყოფილად ფლობა შეუძლებელია რომაული სამართლის ათვისების გარეშე. მთელი რიგი ტერმინებისა და მცნებებისა, რომლებიც გამოყენებულია იურიდიულ თეორიასა და პრაქტიკაში (მაგალითად - რესტიტუცია, ვინდიკაცია, უნივერსალური მემკვიდრეობა, მემკვიდრეობითი ტრანსმისია და ა.შ.), რომაული სამართლიდან არის დამკვიდრებული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე პირობებში გაჩნდა ახალი ტერმინები, ხშირად რომაული სამართლის ტერმინოლოგიისა და ცნებების ცოდნა აუცილებელია ამა თუ იმ იურიდიულ საკითხში სრულად გარკვევისათვის.

რომაული სამართალი გამოირჩევა მკაფიო განსაზღვრებებით, კარგი იურიდიული ტექნიკით, რომლის ათვისება მნიშვნელოვანია თანამედროვე იურისტისათვის, რათა მას ჩამოყალიბებული ჰქონდეს იურიდიულ კატეგორიათა მკვეთრი განსაზღვრისა და ფორმულირებისა უნარები.

იურიდიული ტექნიკის დაუფლება აუცილებელია კანონშემოქმედებით და კანონთა გამოყენების პროცესში.

მასალადამეთოდები

წინა მდებარე კვლევის ძირითად მასალას წარმოადგენს ქართული და უცხოური ლიტერატურა რომის სამართალთან მიმართებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი (დამატებებითა და ცვლილებებით, ბოლოვერსია).

იმისათვის, რომ სამართლებრივად სწორად განვსაზღვროთ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არსებული პრობლემური საკითხები მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის გამოყენება, რომელიც დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით განსაზღვრავს, თუ, როგორია სამართლებრივი დავების გადაჭრა ახლა და როგორ ხდებოდა რომაულ სამართალში. არის თუ არა შემორჩენილი ის მიდგომები, რომლებიც დამახასიათებელი იყო რამაული სამართლისთვის, რამდენადდაიხვეწა და და სრულყოფილი გახდა სამოქალაქო საპროცესო სამართალი დღეს.

სარჩელის განხილვის თავისებურებანი რომაულ სამართალში

რომაულ სამართალში სარჩელი მოპასუხის პიროვნების შესაბამისად იყოფოდა **actiones in rem**-ად (ნივთიერი სარჩელი) და **actiones in personam**-ად (პირადი სარჩელი). პირველი (*actiones in rem*)-მიმართული იყო გარკვეული საგნის ფლობაზე (მაგალითად - ნივთის მფლობელის მხრიდან ნივთის მოთხოვნა იმ პირისაგან, ვისთანაც არის ნივთი); ასეთ სარჩელზე მოპასუხე შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი პირი, რომელიც არღვევდა მოსარჩელის უფლებებს, რადგან ნივთზე უფლების დამრღვევი შეიძლება აღმოჩენილიყო ყოველი მესამე პირი (9, 58).

მეორე (**actiones in personam**) კი -მიმართული იყო მოვალის მხრიდან გარკვეული ვალდებულების შესრულების მოთხოვნაზე (მაგალითად, მოთხოვნა ვალის გადახდაზე). ვალდებულება ყოველთვის გულისხმობს ერთ ან რამდენიმე განსაზღვრულ მოვალეს; მხოლოდ მათ შეუძლიათ დაარღვიონ მოსარჩელის უფლებები და მხოლოდ მათ მიმართ არის მიმართული სარჩელი. თუმცა, რომის სამართალში ზოგჯერ მოპასუხე პირადი სარჩელით განისაზღვრებოდა არა პირდაპირ, არამედ გარკვეული შუალედური ნიშნებით; მაგალითად, სარჩელი გარიგებიდან, რომელიც შედგა იძულებით, მიმართულია არა მარტო იმ პირისადმი, რომელიც აიძულებდა, არამედ იმათ მიმართაც, ვინც რაიმე სარგებელი მიიღო ამ გარიგებით (**actio quod metus causa**). ასეთი სარჩელი იწოდებოდა **actiones in rem scriptae** (სანივთე სარჩელის მსგავსი).

მოცულობისა და მიზნის მიხედვით სარჩელები იყოფოდა სამ ჯგუფად:

1. **Actiones rei persecutoriae** -სარჩელები დარღვეული ქონებრივი მდგომარეობის უფლების აღდგენისათვის.
2. **Actiones poenales** - საჯარიმო სარჩელები, რომელთა მიზანი იყო მოპასუხის დასჯა. მის საგანს შეადგენდა:
 - ა) პირველ რიგში მოპასუხისაგან ჯარიმის გადახდა ;
 - ბ) ზარალის ანაზღაურება.
3. **Actio mixtae** - სარჩელები, რომლითაც შესაძლებელი იყო მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა და მოპასუხის დასჯა, მაგალითად **actio legis Aquiliae**: დაზიანებული ნივთის სანაცვლოდ მოპასუხისაგან არა მისი ღირებულების გადახდა, არამედ იმ უმაღლესი ფასის გადახდა, რომელიც მას ჰქონდა ბოლო წლის ან თვის განმავლობაში. (19,58)

კერძო სარჩელები, რომლებიც მიმართული იყო ნივთის მიღებისაკენ (თანხის, სხვა შემცველი ნივთების), ან გარკვეულ ქმედებათა შესრულებისაკენ, იწოდებოდა **condictiones**. რომაულ სამართალში კერძო მოთხოვნა განიხილებოდა გამომდინარე კრედიტორის თვალთახედვიდან, როგორც მოთხოვნა მის კუთვნილ ვალზე ან მოვალის ვალდებულებაზე, რაიმეს მიცემაზე ან შესრულებაზე (**dare, facere, oportere**)(8, 54).

დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო სამართალიარ ყოფს სარჩელებს ზემოთ აღნიშნული კატეგორიების მიხედვით, თუმცა რიგ სასამართლოებში არსებობს სამოქალაქო დავების მიხედვით მოსამართლეთა დაყოფა, რომლებსაც განსაზღვრული აქვთ რა კატეგორიის სარჩელები უნდა განიხილონ, ეს ერთგვარად მიმართულია სასამართლო განხილვისა და დავის სწრაფად გადაჭრის ეფექტურობაზე.

თავდაპირველად რომაულ სამართალში მოქმედებდა პრინციპი **nemo alieno nomine lege agere potest**, რომლის მიხედვითაც არავის არ შეეძლო სარჩელით კანონის ძიება სხვისი სახელით. ასეთი სიტუაციას ადგილი ჰქონდა ლეგისაკციონური პროცესის დროს, თუმცა ფორმულარულთან მისი პარალელური ქმედების პერიოდში, სასამართლოში ზოგიერთი

პირისათვის გაჩნდა საშუალება წარმომადგენლობითობის გამოყენებისათვის. რომელთაც გააჩნდათ სათანადო საფუძველი არ ყოფილიყვნენ წარდგენილი მაგისტრის წინაშე საქმის მოსმენის დროს.

ასე გაჩნდა წარმომადგენლობითი ფორმები: pro populo (ხალხისათვის), pro libertate (თავისუფლებისათვის), pro tutela (მეურვეობით), ხოლო ჰოსტილიას კანონის მიღებით და pro caprio-ს ფორმით (წარმომადგენლობა ტყვედ მყოფის, ან სახელმწიფო საქმეებისათვის ადგილზე არყოფნის გამო). ფორმულარული პროცესის საბოლოო დამტკიცების შემდგომ განვითარება ჰპოვა სრული წარმომადგენლობის იდეამაც(4, 65).

დღევანდელ სამოქალაქო საპროცესო სამართალში შემორჩენილი და დამკვიდრებულია წარმომადგენლობის ინსტიტუტი, რომელიც თითქმის სავალდებულო გახდა სამოქალაქო დავის წამოწყებისათვის და შემდგომ მისი სამართლებრივად სწორად გადაჭრისთვის. წარმომადგენლობის ინსტიტუტმა მკვეთრად შეწყო ხელი სამოქალაქო დავების მოგვარების სპეციფიკას და სავალდებულოც კი გახადა მისი როლი სამოქალაქო სამართალწარმოებაში.

რომის სამართალში მოსარჩელის როლი მდგომარეობდა იმაში, რომ ის ყოფილიყო საქმის წამოწყების ინიციატორი, სასამართლომდე სარჩელის მოპასუხისათვის გაცნობის გზით, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა სარჩელის მოთხოვნები. მტკიცებულებათა შეგროვება და მასალების მომზადებაც ასევე ხდებოდა სასამართლოს წინა ეტაპზე. ამის შემდეგ მოსარჩელე თხოვნით მიმართავდა პრეტორს, რათა მიეცათ მოსარჩელისათვის აუცილებელი ფორმულა მოსამართლის მიერ საქმის შემდგომი განხილვისათვის(ლეგისაკვიურ პროცესში პრეტორი გამოდიოდა როგორც მხოლოდ კამათის მსაჯული და არც ფორმულა დგებოდა) (14, 120).

პრეტორს თავის მხრივ შეეძლო ჩაეტარებინა საქმის წინასწარი მოკვლევა და ასევე ჰქონდა უფლება უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, ან ფორმულაში არ შეეტანა მასში შემავალი რიგი ფაქტორებისა. ამ შემთხვევაში მოსარჩელეს შეეძლო მოეთხოვა საქმის მთელი სისრულით, მისთვის ხელსაყრელი გარემოებებით წარმოდგენა. (5,66)

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოსარჩელის ინსტიტუტს, რომელიც მოიაზრება, როგორც რომის სამართალში მოიაზრებოდა სამოქალაქო საქმის წამოწყების ინიციატორად. დღეს მოქმედმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა სწორედ მოსარჩელეს დააკისრა ტვირთი მოპასუხის წინაშე, სარჩელისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის გადაცემის თაობაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ბოლო საკანონმდებლო ცვლილებების შემდგომ მოხდა ამ ვალდებულების მოსარჩელეზე დაკისრება, საკანონმდებლო ცვლილებამდე კი ეს ვალდებულება დაკისრებული ქონდა სასამართლოს. სწორედ სასამართლო უზრუნველყოფდა მოპასუხეზე სარჩელისა და თანდართული დოკუმენტაციის გადაგზავნას. რომის სამართალში კი ეს პრინციპი მოქმედებდა იმ სახით, როგორც საობლოდ დამკვიდრდა დღეს მოქმედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

მოპასუხის როლი რომის სამართალში მდგომარეობდა იმაში, რომ ის ვალდებული იყო გამოცხადებულიყო პრეტორთან (შეუსრულებლობისათვის დაკისრებული სანქციების გამოყენების შიშით) და დაეცვა საკუთარი თავი „მიღებული წესებით“, ანუ ყოფილიყო პროცესის აქტიური მონაწილე: დაედო ხელშეკრულებები და სტიპულაციები, წარმოედგინა გარემოებები და ა.შ. თუ მოპასუხე არ ასრულებდა ამ ვალდებულებებს, ის ითვლებოდა indefensus (დაუცველად), რაც საქმის არა მის სასარგებლოდ გადაწყვეტას უწყობდა ხელს (15, 86).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად ასეთი მიდგომა მოპასუხის მხრიდან იწვევს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც ძირითადად კმაყოფილდება მოსარჩელე ანუ ფაქტობრივად ეს უტოლდება რომის სამართალში არსებულ პრინციპს მოპასუხის არა მის სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც დღეს დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სახით არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში.

რომის სამართალში არსებობდა მცნება “**Litis contestatio**” რომელიც ნიშნავდა დავის საგნის დადგენას. ლატისკონტესტაცია უკავშირდება სარჩელის დაკმაყოფილების საკითხს და სარჩელის ხელმეორედ განხილვის შესაძლებლობას, რადგან რომაულ სამართალში მოქმედებდა პრინციპი : ერთი და იგივე საქმეზე სარჩელის მიუღებლობა. ამის მიუხედავად, მოსარჩელეს შეეძლო პრეტორისათვის მეორეჯერაც მიემართა, რადგან ნივთიერ სარჩელზე და პირად სარჩელზეც **in factum**, სარჩელის პროცესუალური დაკმაყოფილება არ დგებოდა (ლეგისაკციურ პროცესის ფორმისაგან განსხვავებით), მაგრამ პრეტორს ამ შემთხვევაში უფლება ჰქონდა აეცილებინა სასამართლოში საქმის ხელახალი განხილვა, სარჩელის კონსტატაციის მითითების ან სხვა პროცესუალური საშუალებების გამოყენებით (7,60).

ლატისკონტესტაციის დროიდან დგება მეორე შედეგიც: საგანზე მიყენებული ზიანის მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება მოპასუხე მხარეს (გადაულახავი წინააღმდეგობის მოქმედების შემთხვევაშიც კი).

კონტესტაციის მოთხოვნები ატარებდა მემკვიდრეობით ხასიათს, ანუ მხარეთა მატერიალური უფლებების გადასვლას მათ პროცესუალურ უფლებებში, რომელსაც დაცვის რამდენადმე განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. ასეთ ნოვაციას უწოდებდნენ **necessaria** (აუცილებელს).

სარჩელზე უარის თქმა პრეტორს შეეძლო იმ შემთხვევაში, როდესაც ის ჩათვლიდა, რომ წარმოდგენილი სარჩელი იურიდიულად იყო გაუმართლებელი, ან მოსარჩელე და მოპასუხე ერთმანეთში მოილაპარაკებდნენ. (12.78)

მხარეთა გამოუცხადებლობა ფორმულარულ პროცესში აღარ იყო განმსაზღვრელი საქმის გადაწყვეტის დროს, ისე როგორც ეს იყო ლეგისაკციუნური პროცესის დროს. შესაძლებელი გახდა დაუსწრებელი განხილვის ჩატარებაც, ასევე გაჩნდა ალტერნატიული პროცესუალური ფორმაც - რესტიტუცია (2,90).

სწორედ რომის სამართლიდან მოდის იურიდიულად გაუმართავი სარჩელის არ მიღების პრინციპი. დღეს ამ მიდგომას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა ეწოდება, თუმცა რომის სამართლისგან განსხვავებით დღეს შეიძლება სასამართლოში წარდგენილი სარჩელი იურიდიულად გამართული იყოს, მაგრამ მას არ ახლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, რაც სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის ერთერთი საფუძველია, ანუ სარჩელის მხოლოდ იურიდიულად გაუმართაობა არ არის დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. (3.44)

რომის სამართლიდან მოდის ასევე პრინციპი ერთიდაიგივე დავის საგანთან, განხილული დავის ხელახლა განხილვასთან სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის პრინციპი. როგორც ძველი რომის სამართალში, ასევე დღეს მოქმედ სამოქალაქო საპროცესო სამართალში დაუშვებელია ამ კატეგორიის დავების განხილვა.

რომის სამართალში გადაწყვეტილების უზრუნველყოფა წარმოადგენდა მოპასუხის მხრიდან ვალდებულებას, შეესრულებინა მოსარჩელის მოთხოვნა ძალდატანების შემთხვევაში და

შეიცავდა შემდგომ მდგომარეობებს: მას უნდა შეესრულებინა გადაწყვეტილება, თავი უნდა დაეცვა დადგენილი წესის შესაბამისად და იღებდა ვალდებულებას არ ჩაედინა განზრახ თაღლითობა (de re iudicata, de re defendenda et de dolo malo). უზრუნველყოფის შეუსრულებლობის შემთხვევაში მოპასუხე ითვლებოდა indefen sus (10, 178).

რომის სამართალში არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი, არსებობდა მხოლოდ გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც ავალდებულებდა მოპასუხეს ძალდატანების გარშე აღესრულებინა გადაწყვეტილება. ბუნებრივია ჩნდება კითხვა, რატომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი და რა იყო მოსარჩელის მხრიდან სარჩელის დაცვის ბერკეტი. რადგანაც არ არსებობდა მგავსი სამართლებრივი მიდგომა რომის სამართალში სარჩელთან მიმართებაში, ივარაუდება, რომ არ არსებობდა სარჩელის დაუცველობის პრინციპი, შემდგომში საზოგადოების განვითარებამ და ცივილიზაციამ შემოიტანა ის საშიშროება სარჩელთან მიმართებაში რაც არ არსებობდა რომის სამართალში. სწორედ ამ საშიშროების თავიდან აცილებისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შემოღებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი.

რომის სამართალში **in iudicio** წარმოადგენდა საქმის სასამართლო გარჩევის მეორე ეტაპს, რომელსაც პროცესის მითითებულ ფორმებში აწარმოებდა კერძო მოსამართლე. საქმის განხილვის მეორე სტადიაზე, პრეტორი ნიშნავდა მოსამართლეს და მას ენიჭებოდა ერთმნიშვნელოვანი იურიდიული პასუხისმგებლობა თავის მოქმედებებსა თუ გადაწყვეტილებაზე; თუმცა მას ჰქონდა უფლება რჩევისთვის და კონსულტაციისათვის მიემართა იმათვით, ვისაც თავად ჩათვლიდა საჭიროდ (იურისტებს, მეგობრებს და ა.შ.) ამის გარდა მოსამართლე რჩებოდა პრეტორზე დამოკიდებულად, რომელიც უფლებამოსილი იყო ჩარეოდა პროცესის მსვლელობაში. მას ასევე შეეძლო მოსამართლისათვის აეკრძალა საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანაც, რაც პროცესის ჩაშლას იწვევდა. მაგრამ, თუ კი მოსამართლეს გამოჰქონდა გადაწყვეტილება, ის იყო საბოლოო და არ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე უნდა დაყრდნობოდა ფორმულას, რომელიც შედგენილი იყო პრეტორის მიერ, ამიტომ პირველის არაკორექტულობის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას შეეძლო საგრძნობლად შეეზღუდა მოსარჩელის სამართლიანი ინტერესი (11, 223).

შეიძლება ითქვას, რომ კერძო მოსამართლე, რომელიც რომის სამართალში მოიაზრებოდა დღეს წარმოადგენდეს არბიტრაჟ მოსამართლეს. სწორედ საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება, ხდება მხოლოდ აპელაციის წესით გადაწყვეტილების გადასინჯვა იმ კუთხით არის თუ არა დარღვეული გადაწყვეტილების მიღებისას საპროცესო მოქმედებები.

რომის სამართალში მტკიცებულებათა წარდგენა მოსამართლის წინაშე საქმის მოსმენის პროცესში ხდებოდა. მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულება ეკისრებოდა ორივე მხარეს - როგორც მოპასუხეს, ასევე მოსარჩელეს. მოსარჩელეს უნდა დაემტკიცებინა ფაქტები, რომელთა საფუძველზეც იყო დამყარებული მისი მოთხოვნა. მოპასუხეს კი - ის, რომელსაც ემყარებოდა მათი უარყოფა. **Actori incumbit probatio, reus excipiendo fit actor** - ს გულისხმობდა, როდესაც მტკიცებულების წარდგენა უხდება მოსარჩელეს, მოპასუხე კი მათი უარყოფისას დგება მოსარჩელის მდგომარეობაში. მტკიცებულებებზე განიხილებოდა მოწმეთა ჩვენებები, გამოცდილ პირთა ჩვენებები, ადგილის დათვალიერება, დოკუმენტალური მონაცემები, ფიცი. ამასთან, მოწმისათვის არ არსებობდა ჩვენების მისაცემად სასამართლოში გამოცხადების ვალდებულება (გამონაკლისი- ფორმალური იურიდიული გარიგებების მოწმეები). საკუთარი ნებით წარმოდგენილი არგამოცხადებული მოწმეებისაგან შესაძლებელი იყო მათი ჩვენების წერილობითი ფორმით მოწოდება. ძირითადად ეს პროცესი ატარებდა ღია შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ ხასიათს (13, 168).

სწორედ ამგვარი სახით არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში მტკიცებულებათა წარდგენა სასამართლოში როგორც მოსარჩელე მხარის, ასევე მოპასუხე მხარის მხრიდან. ძირითადი როლი მტკიცებულებათა მოძიებაში და წარდგენაში მხარეებს ეკისრებოდათ და არა სასამართლოს.

ჯერ კიდევ რომის სამართალში დამკვიდრებული პრინციპი მტკიცებულების წარდგენისა და ღია შეჯიბრებითობის, იმ სახით არსებობს სამოქალაქო საპროცესო სამართალში როგორც არსებობდა რომის სამართალში.

რომის სამართალში მოსამართლე გადაწყვეტილების მიღებისას იყენებდა ფორმულას, რომელიც მხოლოდ ფულად შინაარსს გულისხმობდა, და ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, ის შეზღუდული იყო საჯარიმო თანხის რაოდენობის განსაზღვრაში. სხვა შემთხვევებში მას ქონდა შესაძლებლობა მოქცეულიყო თავისი შეხედულებისამებრ (იძულების ნატურალური ფორმა გაცილებით გვიან დამკვიდრდა). საქმეზე მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა პროცესის პირველივე ეტაპზე სადავო საგანის განსაზღვრის ტოლფასი იყო. ამ მომენტიდან პროცესი დასრულებულად ითვლებოდა და ხელმეორე განხილვა არ დაიშვებოდა. ამ ფაქტმა მიიღო მეცნიერული სახე რაც გამოიხატებოდა სწავლებაში (ე.წ. *exemptiorei iudicatae*-ის შემოღება) – სასამართლო გადაწყვეტილების დადებითი ეფექტის შესახებ, რაც სასამართლო გადაწყვეტილების ჭეშმარიტება და ღიარებას გულისხმობდა და იგი სავალდებულო იყო ორივე მხარისათვის (14, 260).

რომის სამართლის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილება ორი სახის იყო – გამამართლებელი და გამამტყუნებელი. მისი კანონიერი ძალა კი უზრუნველყოფილი იყო ორი საშუალებით: მოსარჩელეს გადაეცემოდა სარჩელის უზრუნველყოფის უცილობელი გადაწყვეტილება, რომლის შინაარსიც სასამართლო გადაწყვეტილებით იყო განსაზღვრული, იგივეს ღებულობდა მეორე მხარე-მოპასუხე (საქმის ხელმეორედ განხილვის მცდელობისათვის). ამ ეკვეპციის გამოყენებისათვის საჭირო იყო – საგანთან, მის კონონიერ საფუძვლებთან და მოთხოვნის წამომყენებელ პირებთან მიმართებით მთელი რიგი პირობების დაცვა. თავისთავად, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა მხარეთა მიმართ მისი უცილობელი ხასიათის მიუხედავად, ჯერ კიდევ არ გულისხმობდა მის აღსრულებას. მოპასუხეს შეეძლო გამოტანილი გადაწყვეტილების კანონიერების უარყოფა და პრეტორთან მისი რესტიტუცია (კლასიკურ ეპოქაში), ან აპელაციის შეტანა (იმპერიის ეპოქაში) (15. 175).

თუ კი მოპასუხე არაფერს აკეთებდა საკუთარი ინტერესების დასაცავად, მოსარჩელეს უფლება ჰქონდა იძულებითი წესითაც ამოეღო ვალი. ასეთ ამოღებას შეიძლება ჰქონოდა პირადი ხასიათიც (ვალის გადახდამდე მოსარჩელეს სასამართლომისჯილისთვის შესაძლოა მონის უფლებით მსახურიც კი დაეკისრებინა), ან პასუხისგება ქონებით, **bonorumvenditio**-ს ფორმით. ბოლო შემთხვევა გულისხმობდა კრედიტორების მხრიდან მოპასუხის ქონების მართვის გადაბარებას, გარკვეული ხნის შემდეგ კი თავიანთი წრიდან არჩეულს **magisterbonorum**-ს ეძლეოდა მოვალის ქონების აუქციონის წესით გაყიდვის უფლება. მყიდველი (**emptorbonorum**), რომელიც გახდებოდა გაყიდული ქონების მფლობელი, ვალდებული იყო (ქონების გასაყიდი ფასის ფარგლებში) გადაეხადა მოპასუხის ვალებიც (16. 253).

ჯერ კიდევ რომის სამართალში არსებული პრინციპები გადაწყვეტილების აღსრულებისა (თანამედროვე სახით) არსებობს დღესაც, გადაწყვეტილების აღსრულების უმთავრესი პრინციპი აუქციონი, სწორედ იმ სამართლებრივ დატვრთვას ატარებას, რასაც ატრებდა რომის სამართალში.

დასკვნა

რომის სამართლის ისტორიის შესწავლის შედეგად ნათლად დგინდება, რომ ძირითადი პრინციპები, სამოქალაქო დავების მოგვარების, სარჩელის წარმოებაში მიღების, მოსარჩელისა და მოპასუხის, მტკიცებულებათა წარდგენის, გადაწყვეტილების უზრუნველყოფის, შემორჩენილი და დამკვიდრებულია ქართულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. ფაქტობრივად ყველა ეს პრინციპი თანამედროვე სახით არის წარმოდგენილი და იმ სამართლებრივ დატვირთვას ატარებს რასაც ატარებდა რომის სამართალში.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტმა შემდგომი განვითარება ჰპოვა ევროპულ და არამართო ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობაში. ბუნებრივია საზოგადოების განვითარებასთან ერთად ხდება სამართლის ამა თუ იმ ნორმის შესაბამისი განვითარება. ეს მუდმივი და უწყვეტი პროცესია, თუმცა უნდა ავლნიშნოთ რომის სამართლის უმნიშვნელოვანესი როლი სამართლის განვითარებაში და მისი სამართლებრივად შეუცვლელი პრინციპი სამოქალაქო სამართალში რადგან, დასავლეთ ევროპის სამართლებრივი განვითარება, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, დღევანდელი ჩათვლით, მიმდინარეობს რომის სამართლის ნიშნით, მისგან ყველაზე საუკეთესო და ღირებული შეტანილია თანამედროვე კოდექსებში.

პრაქტიკულად აერთიანებდა რა ევროპას, რომაული სამართალი აერთიანებდა მას თეორიული წიაღსვლებითაც: რომაული სამართლის საფუძველზე კეთდებოდა მთელი ევროპული იურისპუდენციის ერთიანი საერთო საქმე, რომელიც აგრძელებდა ანტიკური სამყაროს ტრადიციებს: რომაულ სამართალს, როგორც ბაზისს, საუკუნეების მანძილზე ემყარებოდა იურიდიული აზრის განვითარება. ის დღესაც ისწავლება როგორც სამოქალაქო სამართლის თეორია, სამართლებრივი სისტემა, რომელშიც ისეთმა ძირითადმა იურიდიულმა ინსტიტუტებმა და ცნებებმა პოვეს ადგილი, რომლებიც თავისუფალი არიან ყოველგვარი შემთხვევითი თუ ნაციონალური შეფერილობებისაგან. ისტორიული ბედუკუღმართობის გამო, პოსტსაბჭოთა ქვეყნები ხანგრძლივი დროის მანძილზე მოწყვეტილნი ვიყავით დასავლეთ ევროპასთან სრულყოფილ ურთიერთობებს, არსებობდა ერთგვარი კულტურული გაუცხოება და როდესაც გამყოფმა ბარიერებმა დაიწყეს ნგრევა, გამოჩნდა, რომ ჩვენ აღმოვჩნდით ზოგადსაკაცობრიო დინებათა ბოლოში, მათ შორის სამართლებრივი მიმართულებებითაც. და, თუ ჩვენ გვსურს ევროპასთან გათანაბრება და მასთან „ერთ ენაზე“ საუბარი, აუცილებელია ავითვისოთ და გავითავისოთ ფუნდამენტი ევროპული სამართლისა – რომაული სამართალი. მაგრამ რომაული სამართლის შესწავლა არ უნდა ხდებოდეს მისი არამცდარობისადმი ბრმა რწმენით, იმ რწმენით, რომ აღარ არსებობს გზა მეტი სრულყოფილებისაკენ. ასეთი ლოგიკა ეწინააღმდეგება რომაულ სამართალში თავიდანვე ჩადებულ თავისუფალი კვლევისა და განვითარების სულს. ამასვე დადასტოვებს სამართლის სოციოლოგიის შემქმნელის, მე-19 საუკუნის გერმანელი იურისტის რუდოლფ ფონ იერინგის ცნობილი გამონათქვამიც, რომელიც თანამედროვე იურისპუდენციის ლოზუნგადაა აღიარებული: „Durch das romische Recht, aber uber dasselbe hinaus“ - /„რომაული სამართლის მეშვეობით, მაგრამ წინ და კიდევ უფრო შორს“/. (16.95)

რომის სამართლის ინსტიტუტების შესწავლის, სხვა ქვეყნების კანონმდებლობის და პრაქტიკის შედარებითი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტის დახვეწა და მისი სრულყოფა საქართველოს კანონმდებლობაში. ამიტომ შეიძლება დავასკვნათ, რომ სამოქალაქო სამართალი მუდმივი განვითარების რეჟიმშია, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო სამართალწარმოებაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას, დახვეწას და მისადაგებას სრულყოფილ კანონმდებლობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიხაილოვა ნ.ვ., ივანოვი ა.ა. 2009.*რომის სამართალი*. თბილისი: ლიგამუსი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
2. Бартошек М.1989.*Римское право: понятия, термины, определения*. Москва: Юридическая литература.
3. Барон Ю 1909 римское право учебник для вузов 3-х т. Санкт-Петербург
4. Боголепов Н.П. 1900.*Учебник истории римского права. Пособие к лекциям*. Москва: Зерцало.
5. Дождев Д.В. 2008 Римское честное право. Учебник вузов. Москва-издательская группа “ИНФРА”
6. Иванов А.А. 2009.*Римское частное право*. Учебное пособие. Москва: ЮНИТИ-ДАНА.
7. Иоффе О.С., Мусин В.А. 1974.*Основы римского гражданского права*. Ленинград: Ленинградский университет.
8. Иво Пухан, Мирьяна Поленак-Акимовская 1999 римское учебник для вузов Москва-право издательство „зерцало“.
9. Косарев А.И. 1981. *Римское право*. Москва:Юриспруденция.
10. Кудинов О.А. 2009.*Римское право: схемы и комментарии*. Москва: Дашков и К.
11. Кудряшов И.В. 2009.*Римское право. Конспект лекций*. Москва.
12. Кузинцев В.И. 1981 История древнего рима Москва-ГУП издательство „Высшая Школа“ 2000
13. Марецолль Ф. У1867.*Учебник римского гражданского права*. Москва.
14. Михайлова Н.В., Иванов И.А. 2009.*Римское право*. Москва:ЮНИТИ-ДАНА.
15. Морев М.П. 2008.*Римское право. Учебное пособие*. Москва: Дашков и К°.
16. Новицкий И.Б 1993. Основы римского гражданского права учебник вуза, Москва: издательство товарищество „ТЕЙС“.
17. Новицкий И.Б. 2009. *Римское частное право*. Москва: Юрайт.
18. Омельченко О. А. 2008. *Римское право*, учебник для аспирантов. Москва.
19. Пиляева В.В. *Римское честное право*, учебник для вузов. Санкт-Петербург.

Summary

In the presented article we will discuss historical development of civil law, its establishment and meaning in the legislative sphere. Though, it should be noted that the aim of the given article is not general description of the civil law as the institute and discussion of its separate types.

The development of civil law has its own history where Roman law occupies the main place, which is considered as the basis of Civil Law of many European States.

You will not come across different systems of private law on any of the stages of society's development as it is presented in the Roman Private Law where is given the detailed analysis as well as the high level of juridical form or juridical techniques.

Roman system of law was not worked out and established at one and the same time. Its formation was the result of the long term juridical practice, traditions and juridical processing. That is why it differs from branch departments established in the modern systems of law.

The main point of the Roman law and its qualified institutes is its division into Public Law and Private Law. According to the basic definition of the Roman law, law is "public" if it discusses condition of Rome and it is "private" if it is directed towards interests of separate people.

It is impossible to know Civil Law completely without mastering Roman law. A lot of terms and definitions that are used in the juridical theory and practice (for example: restitution, eviction, universal heritage, hereditary transmission, etc.) are stem from Roman law. Though, it should be noted that in spite of the fact that in modern conditions a lot of new terms appear, frequently knowledge of the terminologies and definitions of Roman Law is necessary to clear up this or that juridical issue.

Roman law is distinguished by clear definitions, good juridical techniques, knowledge of which is important for the modern lawyer in order to develop abilities of formulation and distinct definition of juridical categories.

Knowledge of juridical techniques is important in the process of law and law-making usage.

Taking into consideration all the above mentioned, the subject of our research is historical survey of Roman law and its comparative analysis with the acting Civil Law. In the frames of research are discussed the criteria of using the civil procedural norms in Roman law in the period of litigation. We will try to spread the basic stages of the development of Roman law, processes of development of public and private law, processes of evolution, the institute of suit existing in Roman law, the role of defender and defendant, the peculiarities of the court decision.

After discussion of all the above-mentioned, we can conclude what kind of achievement of Roman law we have received today, in what way the institutes and juridical terms that were active in ancient Roman law are preserved nowadays, what kind of legislative criteria was there for starting civil dispute and for receipt of the decision on this dispute, how a suitor was protected in Roman law and how he/she is protected today. How a suit was ensured and what kind of differences we have today in civil law. After studying the history of the Roman law, it was vividly seen, that the basic principles in the process of settlement of the civil dispute, presentation of evidences, ensure of decision, is preserved in

the civil procedure code of Georgia. In fact, all these principles are presented in modern way and have the same judicial loading that was in Roman law.

The institute of civil law had further development in the European legislation and in legislation of other states. Alongside with the development of society, norms of laws were also developed. This is constant and continuous process; though, it should be noted that Roman law played the important role in the development of law and its judicial permanent principle in civil law.

Based on the study of institutes of Roman Law, comparative analysis of legislation and practice of other countries, it is possible to improve the institute of civil law and its perfection in the legislation of Georgia.

დამატებითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და თავისებურებანი

ირინე როყვა, დოქტორანტი

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანია, ყურადღების გამახვილება სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნაირსახეობის – დამატებითი გადაწყვეტილების არსა და მისი მიღების მექანიზმზე, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების დანახვა და მათი გადაწყვეტის საშუალებების შემუშავება. აღნიშნული საკითხის აქტუალობა განპირობებულია იმ სადავო, შეფასებითი დანაწესების წარმოჩენით, რომლებიც დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ მხარეთა განცხადების შეტანის წესის, მისი დასაშვებობისა და არსებითად განხილვის პროცედურის სიღრმისეულად, პრაქტიკული თვალსაზრისით გამოკვლევისას გამოვლინდა. პრაქტიკულად რიგი საკითხებისა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ასეთია მაგალითად დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლის წესი. სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ წლების განმავლობაში აღნიშნული საკითხის მიმართ სხვადასხვაგვარი მიდგომა არსებობდა. ამჟამად დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის გამოანგარიშების საკითხზე დადგინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება კანონის დანაწესის (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლი) გრამატიკულ, სიტყვასიტყვით და ლოგიკურ განმარტებას, რომელიც მოიაზრებს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლის ერთსა და იმავე წესს როგორც მხარის, ისე სასამართლოსათვის. მითითებული განმარტება გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა უფრო საზიანო იყოს მხარეთა ინტერესებისათვის, ვიდრე მითითებული ნორმის უფრო ფართოდ გაგება და სასამართლოსათვის საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღებისათვის შეუზღუდავი ვადის მიცემა.

შესაბამისად, არსებობს საკანონმდებლო დონეზე სათანადო ცვლილების განხორციელების საჭიროება, რომლის ძალითაც, სულ მცირე, უნდა გაიზარდოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადა (რაც ყველაზე მეტად აქტუალურია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საუბრისას).

საძიებო სიტყვები: დამატებითი გადაწყვეტილება, ვადის ათვლა, სასამართლო გადაწყვეტილების სახეები.

შესავალი

სამოქალაქო საქმეთა განხილვა და გადაწყვეტა, სასამართლო ხელისუფლების განხორციელება წარმოუდგენელია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა შეფარდების გარეშე (3, 782).

ამგვარი კანონშეფარდებითი პროცესი საბოლოოდ აისახება სასამართლო გადაწყვეტილებაში, რომლითაც იმავდროულად მთავრდება სამოქალაქო საქმის წარმოება სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილებას, აგრეთვე, სასამართლოს განჩინებას, რომლითაც მთავრდება საქმე სასამართლოში, წაეყენება სრულიად გარკვეული მოთხოვნები. თუ მართლმსაჯულების ეს უმნიშვნელოვანესი აქტები არ პასუხობენ წაყენებულ მოთხოვნებს, ისინი ვერ შეასრულებენ იმ როლს, რაც მათ ეკისრებათ (2, 152-153).

აღნიშნულ დებულებას განამტკიცებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 243-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე წყდება არსებითად, სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილების ფორმით. თავის მხრივ, გადაწყვეტილების შედგენის წესი გათვალისწინებულია ამავე კოდექსის 249-ე მუხლით. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან (6).

სასამართლო გადაწყვეტილების მიღების გზით ხდება მოსარჩელისა თუ ზოგადად მომჩივანი მხარის მიერ წარდგენილი პრეტენზიების საფუძველზე მოდავე მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობის დარეგულირება და დასკვნის სახით იმ ღონისძიებათა განსაზღვრა, რომელთა განხორციელებით შესაძლებელია დავის ქმედითაც მოწესრიგება. შესაბამისად, სასამართლო გადაწყვეტილების მთავარი მიზანია, მკაფიოდ და არაორაზროვნად დადგინდეს ის მოქმედებები, რომლებიც სასამართლოს მიერ დადგენილი სამართლებრივი შედეგის პრაქტიკულად განსახორციელებლად საჭირო.

წარმოდგენილი კვლევის საგანია ისეთი შემთხვევა, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ აღმოჩნდება, რომ სასამართლომ სრულად არ გასცა პასუხი მხარის ყველა პრეტენზიას და არსებობს აუცილებლობა, სასამართლო გადაწყვეტილებით უკვე დადგენილ დებულებებს დაემატოს ისეთ მოთხოვნებზე პასუხი, რომლებიც მომჩივანმა (იქნება ეს მოსარჩელე თუ სხვა საჩივრის ავტორი) ძირითადი გადაწყვეტილების მიღებამდე კანონით დადგენილი წესით წარადგინა.

მასალები და მეთოდები

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მსჯელობების ანალიზს, სასამართლო პრაქტიკის შესწავლას და თვალსაჩინო მაგალითის წარმოჩენას.

მიზანშეწონილია, გამოსაკვლევი საგნის მიმართ სამეცნიერო კვლევის შემდეგი მეთოდების გამოყენება: საყოველთაო კვლევის მეთოდებიდან აღსანიშნავია დიალექტიკური მეთოდი, რომლის დროსაც ფენომენები განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებული და განვითარებადი ისტორიული მოვლენა. კვლევის საერთო-სამეცნიერო მეთოდები, კერძოდ: ლოგიკური მეთოდი (მოიცავს ანალიზს, სინთეზს, ინდუქციას, დედუქციას, ანალოგიას, აბსტრაგირებას, მოდელირებასა და სხვა); ისტორიული მეთოდი (ობიექტის კვლევა ხდება მისი ეტაპობრივი განვითარების პროცესში); სტრუქტურულ-ფუნქციონალური მეთოდი (კვლევა მიმდინარეობს ობიექტის ელემენტთა შერწყმისა და მათი ურთიერთქმედების თავისებურებების შეფასების გზით); სისტემური მეთოდი (ობიექტი განიხილება სისტემაში ჩართული სახით); კომპლექსური გამოკვლევის მეთოდი (იკვლევა არა მხოლოდ ძირითადი პრობლემა, არამედ მასთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც).

დამატებითი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და თავისებურებანი

პროცესუალურ ლიტერატურასა და კანონმდებლობაში სასამართლო „გადაწყვეტილება“ ორგვარი მნიშვნელობით გამოიყენება. ზოგადი, ფართო გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება მოიცავს სასამართლო ორგანოთა მიღებულ ყველა აქტს, სასამართლოს მიერ აღძრულ მოთხოვნებსა და განკარგულებებს. ასეთ გადაწყვეტილებებში მოიაზრება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, განაჩენები, განჩინებები და ბრძანებები, ისე სასამართლოს სხვა დავალებები, მოთხოვნები და განკარგულებები (1, 325).

სამოქალაქო საპროცესო სამართალში ტერმინი „გადაწყვეტილება“ იხმარება სპეციალური, ვიწრო გაგებით, ასეთი გაგებით სასამართლო გადაწყვეტილება არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის განხილვისას კანონის შესაბამისად მიღებული დადგენილება, რომლითაც არსებითად წყდება ეს საქმე. გადაწყვეტილება მიიღება სამოქალაქო საქმის განხილვისას, როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო და საკასაციო სასამართლოს მიერ (1, 326).

სასამართლო გადაწყვეტილება არის აქტი, რომელიც შეიცავს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათის დასკვნებს (8, 418).

მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი იცნობს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებს: ძირითადი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმის წარმოება არსებითად მთავრდება; დამატებითი გადაწყვეტილება; ნაწილობრივი გადაწყვეტილება, წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება და დამატებითი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა უცვლელია ყველა ტიპის გადაწყვეტილებისათვის (სსსკ-ის 249-ე მუხლი).

მოცემული კვლევის მიზანია, ყურადღების გამახვილება ძირითადი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წამოჭრილი საკითხების დარეგულირების მექანიზმებზე. იგულისხმება ისეთი პროცესუალური საკითხები, როგორცაა ძირითად გადაწყვეტილებაში გარკვეული ტექნიკური უსწორობის გასწორება, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ბუნდოვანი დებულებების განმარტება და დამატებითი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები.

დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას ითვალისწინებს სსსკ-ის 261-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ:

ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა;

მაგალითად: არ არის გადაწყვეტილი დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირის მოთხოვნა, უპასუხოდ დარჩა შეგებებული სარჩელი, მოსარჩელის მიერ აღძრულ რამდენიმე მოთხოვნათაგან ნაწილი უპასუხოდაა დატოვებული, კერძოდ, მამობის დადგენისა და ალიმენტების გადახდევინების შესახებ სარჩელის განხილვისას სასამართლომ მამობის დადგენის ნაწილში მოსარჩელის მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა გადაწყვეტილებაში არაფერი უთქვამს ალიმენტების გადახდევინების თაობაზე. ასევე, სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის გადახდევინების შესახებ გადაწყვეტილებაში სასამართლომ უპასუხოდ დატოვა იძულებითი განაცდურის (ხელფასის საკითხი). ასეთ შემთხვევებში შეიძლება გამოტანილ იქნეს დამატებითი გადაწყვეტილება გადაუწყვეტელი მოთხოვნების მიმართ (3. 802,803).

ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს;

თუ სასამართლომ გადაწყვიტა უფლების შესახებ საკითხი (აღიარა მოსარჩელის შესაბამისი უფლება), არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ზუსტი ოდენობა, არ განუსაზღვრავს, თუ, სახელდობრ, რომელი ქონება უნდა გადაეცეს მოსარჩელეს, მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასამართლომ, საბოლოო გადაწყვეტილების ნაცვლად, გამოიტანა შუალედური გადაწყვეტილება, რითიც შეუძლებელი გახდა აღსრულება). მაგალითად: სასამართლომ გაყო მეუღლეთა მიერ ერთად შეძენილი ქონება, ხოლო ქონების გაყოფის გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ ქონება იყოფა თანაბარ ნაწილად, მაგრამ არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად რომელი ქონება (ნივთები) მიეკუთვნა მოსარჩელეს და რომელი – მოპასუხეს, თუმცა მოსარჩელე ითხოვდა არა მხოლოდ თავისი წილის განსაზღვრას საერთო საკუთრებაში, არამედ ქონების რეალურად გაყოფასაც. ასეთ დროს ქონება მხარეთა შორის ნაწილდება დამატებითი გადაწყვეტილებით (3. 803).

გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი (6).

აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული წინაპირობების არსებობისას დამატებითი გადაწყვეტილების მიღება დასაშვებია როგორც მხარის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით, რადგან შესაძლებელია, თავად სასამართლომ აღმოაჩინოს, რომ ამა თუ იმ საკითხზე

გადაწყვეტილება არ მიუღია და ასეთ დროს სასამართლოს უფლებამოსილების შეზღუდვა მხარეთა საზიანო შედეგის მომტანი იქნებოდა.

ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთი საფუძველია დაინტერესებული მხარის განცხადება, რომლის სასარგებლოდაც სასამართლოს კონკრეტული საკითხი არ გადაუწყვეტია. ამგვარი განცხადების შეტანა ხდება ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოში.

მნიშვნელოვანია მიეთითოს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს განცხადების დასაშვებობის შემოწმების მექანიზმს, რა დროსაც სასამართლო ამოწმებს: აქვს თუ არა განმცხადებელს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადების წარდგენის უფლებამოსილება (იგულისხმება როგორც პირის კანონიერი ინტერესი გადაუწყვეტელი საკითხის მიმართ, ისე განმცხადებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება); დაცულია თუ არა განცხადების შეტანის ვადა; განცხადების შინაარსი და მოთხოვნა შეესაბამება თუ არა სსსკ-ის 261-ე მუხლის დათქმას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებაზე მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდას არ ავალდებულებს. აღნიშნული გარემოება იმითაა განპირობებული, რომ სარჩელის, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრის წარდგენისას სასამართლომ ერთხელ უკვე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებით კი, მხარე ვერ მოითხოვს ისეთი საკითხის გადაწყვეტას, რაც სასამართლოს ძირითადი გადაწყვეტილების მიღებამდე არ წარდგენია. ამავდროულად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი წარმოიშობა სასამართლოს მიერ მისი მართლმსაჯულების არასრულად განხორციელების გამო, შესაბამისად, აღნიშნულის გამო ფინანსური პასუხისმგებლობის მხარისათვის დაკისრება სამართლიანი არ იქნება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადების შეტანის ვადის საკითხი.

სსსკ-ის 261-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი შეიძლება დაისვას გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება.

საპროცესო ვადის ათვლის თავისებურებებს არეგულირებს სსსკ-ის მე-60 მუხლი, რომლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს, ან დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში. წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. ამავე კოდექსის 61-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე (6).

ამდენად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ ვადის ათვლა იწყება სასამართლო სხდომაზე მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ან მისი სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადების დღის მომდევნო დღიდან და აღნიშნული ვადა იჭურება მეშვიდე დღის ოცდაოთხ საათზე.

იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ ესწრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას ან საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, განცხადების შეტანის ვადის ათვლა დაიწყება მხარისათვის ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის

ჩაბარების მომდევნო დღიდან, განსხვავებით სააპელაციო და საკასაციო საჩივრისა, როდესაც გასაჩივრების ვადის ათვლა იწყება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარებიდან. აღნიშნული განსხვავება იმითაა განპირობებული, რომ დამატებითი გადაწყვეტილების შესახებ განცხადების შეტანის წინაპირობათა არსებობა, ანუ იმის დადგენა, სასამართლომ მომჩივანის ყველა მოთხოვნას გასცა თუ არა პასუხი, იმსჯელა თუ არა სასამართლო ხარჯებზე და სხვა, შესაძლებელია სწორედ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გაცნობის შემდეგ. შესაბამისად, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების აუცილებლობა ამ კუთხით არ არსებობს.

ამდენად, სსსკ-ის 261-ე მუხლის დათქმა – „გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში“ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ ვადის ათვლა უკავშირდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას.

ინტერესს მოკლებული არ არის შედარების სახით აღნიშნოს, რომ გერმანული სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადების წარდგენის საპროცესო ვადაა 14 დღე (9, 110); (8, 322).

სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლა იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ხორციელდება სასამართლოს ინიციატივით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით დასტურდება, რომ სასამართლო ინსტანციებს შორის მოსაზრება ზემოაღნიშნულ საკითხზე შემდეგნაირად გაიყო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მხარის მიერ ადვოკატის დახმარებისათვის გაწეული ხარჯი შეადგენდა 5685.94 ლარს, თუმცა ამავე მხარის შუამდგომლობაში თანხის ოდენობად შეცდომით მიეთითა 5785.94 ლარი.

სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 6 ივლისის დამატებითი განჩინებით მოსარჩელეს მოპასუხეთა სასარგებლოდ დაეკისრა ადვოკატის მომსახურების ხარჯის – 5685.94 ლარის ანაზღაურება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან მხარეებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ 7-დღიან ვადაში დამატებითი განჩინების მიღების საკითხი არ წამოუჭრიათ, სასამართლო უფლებამოსილი იყო, თავისი ინიციატივით განჩინების გამოტანიდან ნებისმიერ დროს მიეღო დამატებითი განჩინება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც სასამართლომ იმსჯელა, თუმცა არ აისახა შემაჯამებელ სასამართლო აქტში.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მოთხოვნა საადვოკატო მომსახურების ხარჯის მოსარჩელისათვის დაკისრების თაობაზე სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული იყო, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, მითითებულ მოთხოვნაზე ემსჯელა არსებითად.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განჩინება გასაჩივრდა საკასაციო წესით, რის შედეგადაც საკასაციო პალატამ გააუქმა იგი და განცხადება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ დატოვა განუხილველად 7-დღიანი ვადის დარღვევის მოტივით.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოთვლის იმ სამ შემთხვევას, როცა გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება. ერთ-ერთია ის შემთხვევა, როცა სასამართლომ არ გადაწყვიტა სასამართლო ხარჯების საკითხი, რომელიც

შედგება სახელმწიფო ბაჟისა და საქმის განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებისგან (სსსკ-ის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი). სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 დეკემბრის განჩინების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ შეიცავდა მითითებას მხარის მიერ ადვოკატისათვის პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოში გაწეულ ხარჯებზე, რომელიც წარმოადგენს სასამართლოს გარეშე, და არა სასამართლო, ხარჯებს (სსსკ-ის 37-ე მუხლის მესამე ნაწილი).

საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განჩინება ჩაბარდა 2015 წლის 13 თებერვალს. მან არ გამოიყენა სსსკ-ის 261-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლება და 7 დღის ვადაში არ დასვა დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი. 2015 წლის 3 ივნისს მან სასამართლოს მიმართა განცხადებით განჩინებაში დაშვებული უსწორობის გასწორების თხოვნით (სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილი).

სააპელაციო სასამართლომ არ განიხილა მხარის განცხადება, თუმცა მან საკუთარი ინიციატივით იმსჯელა სსსკ-ის 261-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი განჩინების გამოტანის თაობაზე, რითაც დაარღვია ამავე ნორმის მეორე ნაწილის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების გამოტანიდან 7 დღის ვადაში უნდა დასმულიყო ეს საკითხი.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს ის განმარტება, რომ სსსკ-ის 261.2 ნორმით დადგენილი 7-დღიანი ვადა ვრცელდება მხოლოდ მხარეებზე, სასამართლო კი, ამ ვადით შეზღუდული არ არის, მას შეუძლია თავისი ინიციატივით ნებისმიერ დროს გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუკი ამის სამართლებრივი საფუძველი არსებობს. დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა ამ თვალსაზრისით სასამართლოსათვის გამონაკლისს არ უშვებს: „დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობას კანონი ანიჭებს ასევე სასამართლოს. ამასთან, ზემოხსენებული საკითხის დასმა სასამართლომაც, დაინტერესებული მხარის მსგავსად, 7 დღის ვადაში უნდა განახორციელოს. კანონი აქ რაიმე გამონაკლისს არ უშვებს. რაც შეეხება საკითხის დასმის ფორმას, თუ დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის ინიციატორი სასამართლოა, მან ეს საკითხი შეიძლება დასვას მხოლოდ მის მიერ მიღებული განჩინებით, ვინაიდან სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით (სსკ-ის 284.1 მუხლი). მაგალითად, თუ საკითხი ეხება სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ ზემოხსენებული საფუძველებით დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რომლის თაობაზეც უნდა ეცნობოთ მხარეებს კანონით დადგენილი წესით (სსსკ-ის 261.3 მუხლი), ხოლო, თუ საკითხი ეხება სსსკ-ის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, სასამართლომ თავისი განჩინებით უნდა დაადგინოს, რომ სასამართლო ხარჯების თაობაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე ან ზეპირი მოსმენით (სასამართლო სხდომაზე), რის თაობაზეც, ასევე, უნდა ეცნობოთ მხარეებს (სსკ-ის 261.31 მუხლი).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ, თუ სასამართლომ ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში არ გამოიტანა ერთ-ერთი ზემოხსენებული განჩინება, იგი არ არის უფლებამოსილი, ამ ვადის გასვლის შემდეგ გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება (სუსგ საქმე № ას-795-754-2013, 29 ნოემბერი 2013 წელი, სუსგ №ას-480-454-2014, 8 მაისი 2015, №ას-440-419-2015, 21 მაისი 2015 წელი) (9).

იმისათვის, რომ მოცემული კვლევის ფარგლებში ჩამოყალიბდეს დასაბუთებული დასკვნა სასამართლოს ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლასთან

დაკავშირებით მნიშვნელოვანია, შეფასდეს ზემოთ მოყვანილი ორივე მოსაზრების დადებითი და უარყოფითი მხარეები, ასევე, გაირკვეს რაში მდგომარეობს კანონმდებლის მიზანი.

უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის ლეგიტიმური დანიშნულებაა ძირითად გადაწყვეტილებაში დაშვებული არსებითი და არა ტექნიკური შეცდომის (როგორც ეს სსსკ-ის 260-ე მუხლშია მოცემული) გამოსწორება მხარეთა კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებისა და დაცვის გზით, თუმცა მიუხედავად კანონმდებლის სურვილისა, შესაძლებლობა მისცეს ძირითადი გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს, გამოასწოროს დაშვებული ხარვეზი, აღნიშნულისათვის გათვალისწინებულია შეზღუდული ვადა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მხარის მიერ განცხადების შეტანისას მითითებული ვადა შეადგენს 7 დღეს სარეზოლუციო ნაწილის შეტყობის მომენტიდან. შესაბამისად, მხარე ვალდებულია, დროულად გაეცნოს სასამართლო გადაწყვეტილებას და დარწმუნდეს, რომ მის ყველა მოთხოვნას გაეცა პასუხი. ამ კუთხით, კანონმდებლის მიზნები სრულიად გასაგებია და აიხსნება საპროცესო ეკონომიის პრინციპით, რომელიც, თავის მხრივ, ემსახურება სწრაფ, ეფექტურ მართლმსაჯულებას და საქმის განხილვის გაჭიანურების თავიდან აცილებისათვის ქმედით საშუალებას წარმოადგენს.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლი ეხება რა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, უპირობოდ მოიაზრებს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის თაობაზე მხარის უფლებას (5).

რაც შეეხება სასამართლოს მხრიდან მისივე გადაწყვეტილებაში არსებული ხარვეზის შეტყობის პრობლემას, სსსკ-ის 261-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის გამოყენების შედეგად ნორმის დანაწესიდან არ გამომდინარეობს, რომ კანონმდებელი რაიმე დათქმას ითვალისწინებს სასამართლოს ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის განსხვავებულად ათვლასთან დაკავშირებით და სასამართლოზე შეზღუდულ ვადას არ ავრცელებს. შესაბამისად, თუ ნორმის დისპოზიცია ასეთ დათქმას არ შეიცავს, საფუძვლიანია საკასაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ სადავო საპროცესო 7-დღიანი ვადის ათვლა იწყება ძირითადი გადაწყვეტილების გამოცხადების მომენტიდან როგორც მხარის, ისე სასამართლოსათვის.

მეორე მხრივ, საკმაოდ ლოგიკური ახსნა აქვს სსსკ-ის 261-ე მუხლის სააპელაციო პალატიულ განმარტებასაც. სასამართლომ არ გაავრცელა 7-დღიანი ვადა საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაზე, რადგან შესაძლებლობა ჰქონოდა, იმ შემთხვევაშიც მიეღო დამატებითი გადაწყვეტილება და გამოესწორებინა მის მიერ დაშვებული ხარვეზი, როდესაც თავად მხარემ გაუშვა აღნიშნულის თაობაზე განცხადების წარდგენის ვადა. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება არ ეწინააღმდეგება, მეტიც, ემსახურება დაინტერესებული მხარის ინტერესების დაცვას, ამავდროულად, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს, ხარვეზის გამოსწორების სახით აღიდგინოს პროფესიული პრესტიჟი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასახულია პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადების წარდგენის ვადის გაშვებისას მხარის შესაძლებლობა, გაასაჩივროს ძირითადი გადაწყვეტილება, მოითხოვოს მისი გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა იმ მოტივებით, რომლებიც მითითებულია 261-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში, ხოლო სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხის გადაწყვეტა თვითონ ზემდგომ სასამართლოსაც შეუძლია ისე, რომ არ გააუქმოს გადაწყვეტილება (4, 458).

რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს, მოცემულ ინსტანციაში გადაწყვეტილების ზემდგომი წესით გასაჩივრება მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, რაც გამორიცხავს მოცემული მექანიზმის გამოყენების შესაძლებლობას. ამდენად, მხარის რისკი, დარჩეს საკუთარი ინტერესების დაცვის ფარგლებს მიღმა, იზრდება, რაც უარყოფითად მოქმედებს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირება-განმტკიცების პროცესზე. შესაბამისად, არსებობს საკანონმდებლო დონეზე სათანადო ცვლილების განხორციელების საჭიროება, რომლის ძალითაც, სულ მცირე, უნდა გაიზარდოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადა (რაც ყველაზე მეტად აქტუალურია საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საუბრისას).

შედეგები

ამდენად, ერთი მხრივ, საგულისხმოა სასამართლოსა და მხარის ინტერესი (მხარემ მოახდინოს სასამართლოს მხრიდან მის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი პრეტენზიის განხილვის უფლების რეალიზება, ხოლო სასამართლომ გამოასწოროს ძირითად გადაწყვეტილებაში დაშვებული ხარვეზი), ხოლო, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია კანონის დანაწესის სიტყვასიტყვითი, გრამატიკული და ლოგიკური განმარტება, რომელიც იმპერატიულად ადგენს საპროცესო მოქმედების შესრულების – დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადების შეტანის ვადას.

მოცემული კვლევის შედეგების შეჯამების მიზნით უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმ გარემოებას, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლი არ ითვალისწინებს საგამონაკლისო შემთხვევებს სასამართლოს ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადასთან დაკავშირებით, შესაბამისად, ასეთ დროს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა სასამართლოს აქვს მხოლოდ მის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გადაცილება ვერ მოხდება, თუნდაც მხარის საუკეთესო ინტერესის მხედველობაში მიღებისა და დაკმაყოფილების მოტივით.

კანონის ამგვარი დამოკიდებულება დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის მიმართ ავალდებულებს მხარეს, დროულად და სიღრმისეულად გაეცნოს სასამართლო გადაწყვეტილებას, განსაკუთრებით მის სარეზოლუციო ნაწილს, რათა დაუყოვნებლივ შეიტყოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ მოთხოვნის წარდგენის სამართლებრივი წინაპირობების არსებობის შესახებ და მიმართოს სასამართლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარე თავად იღებს პასუხისმგებლობას სასამართლოს მიერ დაშვებულ ხარვეზზე და იგი ვეღარ დაიკმაყოფილებს სასამართლოს მხრიდან გამოტოვებულ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებას. აღნიშნულ დახანებას განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვება, როდესაც საქმე ეხება სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანას (აქ არ იგულისხმება სასამართლო ხარჯებზე გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა). ასეთ შემთხვევაში მხარე მოკლებულია შესაძლებლობას, ახალი სარჩელით მოითხოვოს იმ პრეტენზიის განხილვა (რისი უფლებაც მხარეს გააჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ამა თუ იმ მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიუღებლობისას), რომელზეც სასამართლოს კანონდარღვევით არ უმსჯელია, ვინაიდან სადავო საკითხზე უკვე არსებობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. სსსკ-ის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, არ დაიშვება დავა ისეთ საკითხზე, რომელზეც უკვე არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

ამავდროულად, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სასამართლოსათვის მიმართვის 7-დღიანი ვადის გაგრძელებაზე მსჯელობისას (საკანონმდებლო ცვლილების

საფუძველზე) გასათვალისწინებელია ის გარემოება, აღნიშნული ხომ არ გამოიწვევს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის გაუმართლებელ დაყოვნებას.

საბოლოოდ, წარმოდგენილი კვლევის შედეგად იკვეთება შემდეგი სარეკომენდაციო დებულებები:

გონივრული იქნებოდა, მხარეს განემარტოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადის ათვლის წესი ძირითადი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმზე მითითებასთან ერთად, კერძოდ, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილს დაემატოს შემდეგგვარი დებულება – „განემარტოს მხარეებს, რომ სსსკ-ის 261-ე მუხლის შესაბამისად დამატებითი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობების არსებობის შემთხვევაში განცხადების შეტანის ვადაა 7 დღე და ამ ვადის აღდგენა ან გაგრძელება დაუშვებელია.“

საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე გაიზარდოს დამატებითი გადაწყვეტილების მიღების შესახებ განცხადებისა და სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ვადა საკასაციო ინსტანციის სასამართლოსათვის, 7 დღის ნაცვლად, 14 დღემდე.

დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე, დამატებითი გადაწყვეტილების მიღების ერთი შეხედვით მარტივი და გასაგები პროცედურა რეალურად საჭიროებს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით შეფასებას. სასამართლო პრაქტიკაში წარმომოხილვი პრეცედენტების გაანალიზებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობახიძე ა. 2003. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი*. თბილისი: საქართველოს მაცნე.
2. ლილუაშვილი თ. 2002. *სამოქალაქო პროცესის საკითხები საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში. I ნაწილი*. თბილისი: ჯისიაი.
3. ქურდაძე შ. 2005. *სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში*. თბილისი: მერიდიანი.

4. ხრუსტალი ვ. ლილუაშვილი თ. 2007. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. თბილისი: სამართალი.
5. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი. 1950
6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. 1997. პარლამენტის უწყებანი №47-48.
7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები. 2000-2015.
<http://www.supremecourt.ge/about-job-information/>
8. Алехина С.А., Давтян А.Г., Мирзоян М.Э., Кулакова В.Ю. 2008. *Гражданский Процесс Зарубежных Стран*. Москва: Проспект.
9. Бергман В. 2006. *Гражданское Процессуальное Уложение Германской Федерации*. Москва: Волтерс Клувер.
10. Savigny F.K. v. 1951. *Juristische Methodenlehre*. v. G. Wesenberg.
11. Savigny DIE KLASSISCHE" METHODENLEHRE BEI SAVIGNY
<http://dergiler.ankara.edu.tr/dergiler/38/279/2524.pdf>
12. Zivilprozessordnung. 2004. <http://text-books.ru/pravo/jurisprudence/99.html> (15.10.2015)
13. Zippelius R. 2006. *Juristische Methodenlehre*. Verlag C.H. Beck. München.

Features and Procedure of the Additional Decision-making

Irine Rokva, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

The presented paper aims to draw the attention to the court decisions of one species - the substance and mechanism of additional decision-making, to underline the problems which arise in the additional decision-making process and to elaborate their solution. The issue stems from presenting the contested provisions which revealed in terms of practical examination of the application of the rule, its admissibility and merits of the procedure in depth of the decision-making process. In fact, a number of issues cause controversy, for example, the additional term of reference for the decision-making procedure. The Court Practice study showed that over the years the approach to this issue has varied. Nowadays, to calculate additional decision-making period the Supreme Court practice is established which is based on grammar, literally and logical interpretation of the ruling of the law (the Civil Procedure Code, the Article 261). It implies an additional term of reference for decision-making in the same manner as the parties and the Court. The definition follows the purposes of the law although, it might be more harmful to the interests of the parties rather than the more widely understanding of the norm and giving the Court free initiative of giving unlimited term to the additional decision-making procedure.

It is noteworthy that procedural materials hold the party against the court to realize its violated rights. Legislative provision, which states that by the initiative of the party additional decision-making is allowed within 7 days after the notification of resolution part of the main decision, leads the party to the very difficult situation. For instance, the party submitted the claim according to the law and could not get the answer because of the court's default. In assessing this issue, it is important the difficult socio-economic situation in Georgia to establish such a reality when the society does not have the chance to achieve qualified legal assistance during trials, what increases the responsibility of the party, more timely notices existence of conditions for additional decision-making and apply to the appropriate court.

The scientific literature suggests a way out for the party who for some reasons may have missed the term for submitting applications for additional decision-making. In such cases, a party may appeal the main decision and request withdrawal and re-examination of the case by the motives referred to the first part of "a" and "b" of the Article 261. The issue of sharing the legal costs may be determined by the higher court without revoking the decision.

The problem in this case lies in the fact that the above-mentioned possibility exists with respect of only first instance and appellate courts' decisions and the impossibility of claiming the Cassation Court's decision in the higher court excludes the use of the mechanism. Thus, the party's risk to remain outside of its own interests is increasing, that has a negative impact on the formation and strengthening of the legal state. Accordingly, there is a need for relevant legislation changes, whereby, at least, should be increased further additional decision-making term (which is more relevant in the conversation of the Cassation Court's decision).

Thus, on the one hand, the interest of the Court and the party is rather noteworthy (the party shall realize the right of claim which he/she has put on time, according all the demands, and the court shall correct the gap made in the main decision), while, on the other hand, should be taken into account the ruling of the literal, grammatical and logical explanation, imperative that establishes procedural action - an additional decision-making about the period.

The survey results are tabulated in order to be noted that the crucial importance the present case should be given to the fact that under the Article 261 of the Act does not provide for exceptional cases at the initiative of the additional decision-making time period. In such cases, the court has the opportunity to make decisions concerning additional decision-making only in 7 days after the announcement of the resolution part. The term cannot be extended even in the best interests of the party.

The law obliges the parties to respect the deadline for making a decision on an additional decision-making, to be timely and thoroughly acquainted with the court's decision, particularly with its resolution part, in case of legal preconditions and to address the court. Otherwise, the party will take responsibility for the shortcomings, and it no longer satisfies the requirement omitted from the decision-making right. The delay is causing particularly serious consequences when it comes to the Court of Appeal or the Supreme Court's decision on additional decision (not including the costs of the decision-making ability). In such a case, the party is unable to find a new lawsuit to claim the dispute (which was authorized by the side of a first instance of a request for a decision on the unacceptability) with the violation of the law has not discussed, as the contentious issue has been the first-instance judgment. The paragraph "b" of the Article 272 of the dispute will not be allowed the matter which has no legal force of the court decision.

At the same time, it should be emphasized that the additional decision-making in order to apply to the court for an extension of the 7-day debate (legislative amendments) does not cause unreasonable delay in the entry into force of a court decision.

It would be reasonable to explain to the party additional decision-making term, calculation with the mechanism of appealed reference, in particular, the resolution should be added as follows - "It should be explained to the parties, in accordance with the Article 261 of the CCP's decision-making additional preconditions are in the period of 7 days and the recovery period cannot be prolonged."

On the basis of legislative amendments, the additional decision-making term further shall be increased with seven more days, so instead of 7 days shall be 14.

Therefore, the additional decision-making seemingly simple and understandable procedure actually needs to be evaluated in both theoretical and practical terms

სამოქალაქო საქმეთა გაერთიანებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

მამუკა ღვინიაშვილი, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

ნაშრომის პირველი ნაწილი ეხება ქართული სამოქალაქო საპროცესო სამართლის ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა სასამართლოს განსჯადობის მოქმედება სამოქალაქო საქმეთა გაერთიანებისას. ნაშრომის მეორე ნაწილი კი მოიცავს მსჯელობას საქმეთა გაერთიანების შესახებ სასამართლო განჩინებების შესრულების სავალდებულობის თაობაზე.

ნაშრომში გამოყენებულია საქართველოს და სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, მეცნიერული ნაშრომები და სასამართლო პრაქტიკის მასალები.

ნაშრომში განმარტებულია, რომ განსჯადობის არსი უწყებრივად ქვემდებარე სასამართლო სისტემაში კონკრეტული სასამართლოსათვის საქმის განკუთვნილობაში მდგომარეობს და განსჯადობა ასევე პირდაპირ კავშირშია საქმეთა გაერთიანებასა და გამოყოფასთანაც.

საკითხზე მსჯელობისთვის სტატიის ავტორს მოყვანილი აქვს სასამართლო პრაქტიკის კონკრეტული მაგალითები, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაზე დაყრდნობით გადმოცემულია მისი მოსაზრებები, გაკეთებულია შედარებითი ანალიზი რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობასთან და გამოყენებულია სამოქალაქო პროცესის სპეციალისტების ნაშრომები.

სტატიაში განხილულია საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების შესრულების საკითხი და ანალიზი აქვს გაკეთებული, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულების სავალდებულობას.

დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ საკანონმდებლო დახვეწას საჭიროებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც არეგულირებს საქმეთა გაერთიანება/გამოყოფას და ამ საკითხებზე მიღებული განჩინებების შესრულებას.

საძიებო სიტყვები: განსჯადობა, საქმეთა გაერთიანება, განჩინება, აღსრულება.

შესავალი

წინამდებარე სტატიაზე მუშაობა განაპირობა პრაქტიკული სასამართლო საქმიანობის პროცესში წამოჭრილმა, ჩემი აზრით მნიშვნელოვანმა პროცესუალურმა საკითხებმა, კერძოდ კი, სასამართლოს მიერ საქმეთა გაერთიანებისას განსჯადობის პრინციპის დაცვის აუცილებლობამ, გაერთიანების შესახებ განჩინების შესრულების სავალდებულობამ, გაერთიანების საფუძვლების დასაბუთებულობის სავალდებულობამ და ა.შ.

მასალები და მეთოდები

საკვლევი საკითხების შესახებ სტატიაში გამოყენებულია საქართველოს და სხვა ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, საპროცესო სამართლის სპეციალისტების ნაშრომები და სასამართლო პრაქტიკის მასალები. რაც შეეხება მეთოდებს, ნაშრომი ეფუძნება 1. საკვლევ საკითხთან მიმართებაში რამდენიმე ქვეყნის (გერმანია, საფრანგეთი, ესტონეთი, აზერბაიჯანი) სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შედარებით ანალიზს; 2. მეცნიერულ მეთოდს სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალისტების ნაშრომებზე დაყრდნობით; 3. დოკუმენტურ მეთოდს სასამართლო პრაქტიკის მასალების გამოყენებით.

განსჯადობის პრინციპი საქმეთა გაერთიანებაში

საქართველოს კონსტიტუციაში ნათქვამია შემდეგი: „ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე“. მოცემული კონსტიტუციური ნორმა განამტკიცებს ადამიანის ძირითად უფლებას, რომ დარღვეული თუ

სადავოდ ქცეული უფლების დაცვისათვის მიმართოს იმ სასამართლოს, რომელსაც უწყებრივი ქვემდებარეობის და განსჯადობის თვალსაზრისით გააჩნია იურისდიქცია, რომ განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული პირის სარჩელი (1, 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ სამოქალაქო საქმეებს.

როგორც ვხედავთ, განსჯადობა, ეს არის უწყებრივად ქვემდებარე სასამართლო სისტემაში კონკრეტული სასამართლოსათვის საქმის განკუთვნიადობა. განსჯადობის ინსტიტუტის მნიშვნელობა თავის გამოხატულებას პირველ რიგში ჰპოვებს იმით, რომ დაინტერესებული პირი სწორედ აღნიშნული პრინციპის დაცვით მიმართავს სასამართლოს თავისი კონსტიტუტიური უფლების - სასამართლო დაცვის რეალიზაციისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განსჯადობის სხვადასხვა სახეს შეიცავს (საერთო, განსაკუთრებული, ნივთობრივი, ოჯახური დავების, შვილად აყვანის საქმის განსჯადობა). დავის განხილვა განსჯადი სასამართლოს მიერ პირდაპირ კავშირშია საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასთან, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონიერმა შემადგენლობამ. არაგანსჯადი სასამართლო კი, საქმის განმხილველი არაკანონიერი შემადგენლობის ტოლფასია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს არაგანსჯადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ეს საკითხი სადავო გახადა მოპასუხემ. წინააღმდეგ შემთხვევაში არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში (2, 21-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

ამდენად, მითითებული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ საქმის განხილვის დაწყებიდან მის დასრულებამდე, სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი აქტი შესაბამისობაში უნდა იყოს განსჯადობის პრინციპთან და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

განსჯადობის პრინციპთან პირდაპირ დაკავშირებული საკითხია საქმეთა გაერთიანება და გამოყოფა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის თანახმად:

1. მოსარჩელეს შეუძლია ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ, იმისგან დამოუკიდებლად, ერთსა და იმავე საფუძველებს ემყარება ეს მოთხოვნები, თუ – არა.
2. სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია გაერთიანებული მოთხოვნებიდან ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული გარჩევა უფრო მიზანშეწონილია.
3. რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნების მიღებისას, სასარჩელო განცხადების მიმღებ მოსამართლეს შეუძლია ცალკე წარმოებად გამოყოს ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა, თუ ცნობს, რომ მოთხოვნათა განცალკევებული განხილვა უფრო მიზანშეწონილია.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის პირველი წინადადება კი ითვალისწინებს შემდეგს: თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

როგორც ვხედავთ, ნორმის პირველი ნაწილი მოსარჩელეს უფლებას აძლევს ერთ სარჩელში გააერთიანოს ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე სასარჩელო მოთხოვნა. გაერთიანების მიზანი გამართლებული და სასარგებლო უნდა იყოს საქმის განხილვისთვის და უნდა ემსახურებოდეს დავის სრულად და სწრაფად განხილვას. ხშირ შემთხვევაში, ასეთი ტიპის მოთხოვნები წარმოიშობიან ერთი და იგივე სადავო ურთიერთობებიდან. ერთ სარჩელში შეიძლება გაერთიანდეს როგორც ქონებრივი, ასევე არაქონებრივი მოთხოვნები.

გარდა მოსარჩელის უფლებისა სასარჩელო მოთხოვნები გააერთიანოს ერთ სარჩელში, ასეთი უფლება გააჩნია მოსამართლესაც და სწორედ ამ უფლებას ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელის ინიციატივით ხდება რამდენიმე მოთხოვნის ერთ სარჩელში გაერთიანება, თუ ეს მოთხოვნები ერთი სასამართლოს განსჯადია, ხოლო მოსამართლის ინიციატივით კი ხორციელდება ერთ განსჯად სასამართლოში არსებული რამდენიმე სასარჩელო წარმოების გაერთიანება. ამ განსხვავების მიუხედავად, როგორც სასარჩელო მოთხოვნების, ისე საქმეთა გაერთიანების საფუძველები იდენტურია - მათი ერთგვაროვნება, სამართლებრივი კავშირი და დავის სწრაფად და სწორად განხილვა.

მოცემული სტატიის ამოცანაა საქმეთა გაერთიანებასთან, გაერთიანების შესახებ განჩინების შესრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების ანალიზი და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების გამოკვეთა, ხოლო მიზანი - ხარვეზების გამოსწორებისთვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების შეთავაზება.

ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეზე ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა განჩინება, რომლის თანახმად ფოთის საქალაქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული ორი საქმე ერთ წარმოებად გაერთიანდა (5).

აქ თითქოს არც არაფერია უცნაური და სასამართლოს მოქმედება შეიძლება ერთი შეხედვით შეესაბამებოდეს კიდევ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილს, მაგრამ განჩინების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვთქვა, რომ სასამართლოს მოქმედება წინააღმდეგობაშია განსჯადობის პრინციპთან და საქმეთა გაერთიანების წესებთან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილი მოსარჩელეს შესაძლებლობას აძლევს ერთ სარჩელში გააერთიანოს ამ სასამართლოს განსჯადი რამდენიმე მოთხოვნა ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ. აღნიშნული ნორმა, რომლის შემადგენელიც არის მე-4 ნაწილი – საქმეთა გაერთიანების შესახებ, მოთხოვნების გაერთიანებას უკავშირებს იმ გარემოებას, რომ გასაერთიანებელი მოთხოვნები ერთი სასამართლოს განსჯადი იყოს. შესაბამისად, ნორმის გამოყენებაც განსჯადობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ გაერთიანება შეიძლება შეეხოს მხოლოდ ერთი განსჯადი სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეებს. ფოთის საქალაქო სასამართლომ კი დასახელებული განჩინებით, თავის საქმესთან გააერთიანა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ანუ, სხვა განსჯადი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე.

მოსამართლეს შეუძლია გააერთიანოს (თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით) მხოლოდ მის წარმოებაში არსებული, აგრეთვე **ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეები**, რის შესახებაც მას გამოაქვს მოტივირებული განჩინება. სხვა მოსამართლესთან არსებული საქმეების გაერთიანებისას მიზანშეწონილი იქნება მოსამართლე საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების გამოტანამდე წინასწარ მოეთათბიროს სხვა მოსამართლეს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ამ სასამართლოს თავმჯდომარეს (3, 316-317).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა: სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმებისას სასამართლოს არ გაუთვალისწინებია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მეოთხე ნაწილი, რომლის შესაბამისად, თუ სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა.

მითითებული ნორმა ერთ-ერთი ნათელი გამოვლინებაა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ფუძემდებლური საპროცესო ეკონომიის პრინციპისა. აღნიშნული მუხლით, კანონმდებელი საქმის განხილვის დაჩქარებისა და დროულად გადაწყვეტის მიზნით საპროცესო სუბიექტებს უფლებას აძლევს, გააერთიანონ **ერთ სასამართლო წარმოებაში არსებული** რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე. სარჩელების ამგვარ გაერთიანებას, საფუძვლად უდევს დროის ეკონომიის პრინციპი, რომელსაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვან ანგარიშს უწევს (6).

მნიშვნელოვანია ასევე საქმეთა გაერთიანების საკითხის განხილვის წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი მოსამართლეს უფლებას აძლევს გაერთიანებაზე იმსჯელოს ან თავისი ინიციატივით, ან მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. საკუთარი ინიციატივით იმსჯელობის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოს კანცელარიიდან, ამავე სასამართლოს სხვა მოსამართლისგან ან თავად მხარეებისგან მიღებული ინფორმაცია, ამავე სასამართლოს წარმოებაში არსებული ერთგვაროვანი და ერთმანეთთან დაკავშირებული სარჩელების შესახებ. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლემ შეიძლება ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელოს და გამოიტანოს განჩინება საქმეთა გაერთიანების შესახებ.

იმ შემთხვევაში კი, თუ საქმეთა გაერთიანებაზე იმსჯელობის საფუძველია მხარის შუამდგომლობა, სასამართლოს წარმოეშობა ვალდებულება, რომ შუამდგომლობის ასლი ჩააბაროს მეორე მხარეს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების რეალიზების საშუალება (მხარეები სარგებლობენ თანაბარი საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ, გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მათ შორის, ექსპერტის (საექსპერტო დაწესებულების) დასკვნები, სპეციალისტის ცნობები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, სასამართლოს წინაშე განაცხადონ შუამდგომლობები, მისცენ სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინონ იმავე ტიპის საქმეზე სხვა სასამართლოს გადაწყვეტილებანი, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და **გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები**, დასკვნები და მოსაზრებები, გაასაჩივრონ სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, წარადგინონ მორიგების აქტი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე და ისარგებლონ ამ კოდექსით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით).

საინტერესოა ამ საკითხზე სხვა ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობის მიდგომები. მაგალითად, საქმეთა გაერთიანებას ითვალისწინებს გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 147-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ **სასამართლოს შეუძლია დაადგინოს მის წარმოებაში არსებული რამდენიმე მიმდინარე საქმის გაერთიანება, რომლებშიც იგივე ან სხვა მხარეები მონაწილეობენ მათი ერთად განხილვისა და გადაწყვეტისათვის, თუ ამ წარმოებების საგნებთან დაკავშირებული მოთხოვნები სამართლებრივად ურთიერთდაკავშირებულია ან შესაძლებელი იყო ამ მოთხოვნების წარდგენა ერთი სარჩელით (8, 57).**

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 169.3 მუხლის თანახმად, მოსამართლე, რომელიც დაადგენს, რომ **ამ სასამართლოს წარმოებაშია** ერთი მოსარჩელის მიერ სხვადასხვა მოპასუხის მიმართ ან სხვადასხვა მოსარჩელის მიერ ერთი და იმავე მოპასუხის მიმართ აღძრული რამდენიმე ერთგვაროვანი საქმე, უფლებამოსილია ეს საქმეები მათი ერთად განხილვისათვის გააერთიანოს ერთ წარმოებად, თუ ასეთ გაერთიანებას მიზანშეწონილად მიიჩნევს (9, 89).

ესტონეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის თანახმად **თუ სასამართლოს წარმოებაშია** ერთდროულად რამდენიმე ერთგვაროვანი სარჩელი, რომლებშიც ერთი და იგივე მხარეები მონაწილეობენ, ან წარდგენილია ერთი მოსარჩელის მიერ სხვადასხვა მოპასუხის მიმართ, ან რამდენიმე მოსარჩელის მიერ ერთი და იმავე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლოს შეუძლია ამ სარჩელების ერთ წარმოებად გაერთიანება, თუ მოთხოვნებს შორის არის სამართლებრივი კავშირი ან აღნიშნული მოთხოვნების წარდგენა შესაძლებელი იყო ერთი სარჩელით, და მათი ერთად განხილვა გამოიწვევს სწრაფად და მარტივად განხილვას (11, 181).

უნდა აღინიშნოს, რომ საქმეთა გაერთიანების საკითხს განსხვავებულად არეგულირებს ფრანგული კანონმდებლობა. კერძოდ, საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლი ითვალისწინებს შესაძლებლობას, რომ ორი სხვადასხვა სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმეები ერთ წარმოებად გაერთიანდეს, თუ განსახილველ საქმეებს შორის არსებობს ისეთი კავშირი, რომ სამართალწარმოების ინტერესები მოითხოვს მათ ერთობლივ მომზადებას და განხილვას (10, 53-54).

რაც შეეხება საქმეთა გაერთიანების საფუძვლებს, სახეზე უნდა იყოს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა:

- ა) რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე;
- ბ) გასაერთიანებელ საქმეებში ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარის მონაწილეობა;
- გ) საქმეთა გაერთიანება უნდა ქმნიდეს დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვის შესაძლებლობას.

ზემოთ მოყვანილი სასამართლო მაგალითის შემთხვევაში ადგილი ქონდა საქმეთა ერთგვაროვნებას და სამართლებრივ კავშირს (თბილისის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნა იყო საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, ხოლო ფოთის საქალაქო სასამართლო იხილავდა სასარჩელო მოთხოვნას იმავე საიჯარო ხელშეკრულებით გადაცემული საიჯარო ქონების დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე), ასევე მხარეთა იგივეობას, მაგრამ არ არსებობდა დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვის შესაძლებლობა. საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინების მიღების დროს ფოთის საქალაქო სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმე იმყოფებოდა მომზადების ეტაპზე, მაშინ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლო უკვე მთავარ სხდომაზე იხილავდა სარჩელს. ასეთ ვითარებაში კი, საქმეთა

გაერთიანება არათუ დავის სწრაფად განხილვის, არამედ პირიქით, გაჭიანურების ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს.

ასევე, ანალიზს მოითხოვს სასამართლოს მიერ საქმეთა გაერთიანების შესახებ მიღებული განჩინების შესრულების საკითხი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები, დადგენილებები), აგრეთვე თავისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სასამართლოს მიერ აღძრული მოთხოვნები და განკარგულებები სავალდებულოა საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კერძო საწარმოსათვის, დაწესებულებისათვის, ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა თუ მოქალაქისათვის და ისინი უნდა შესრულდეს.

ამავე კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

- ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო გასაჩივრება;
- ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა;
- დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილი კი განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც გამოტანილია საქმის პირველ ინსტანციაში განხილვასთან დაკავშირებით და რომლებიც წინ უსწრებს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო 414-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კერძო საჩივრის შეტანა შეიძლება სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინებები საქმის მთავარ საკითხთან მიმართებაში, კლასიფიკაციის თვალსაზრისით ხუთ სახედ იყოფა.

1. განჩინებები, რომლითაც მთავრდება პროცესი დავის მოწესრიგებით (საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება, გამოტანილი მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო; მხარეთა მორიგების დამტკიცების განჩინება); 2. განჩინებები, რომლებიც აფერხებენ პროცესის წარმოშობას ან ამთავრებენ პროცესს (წყვეტენ საქმისწარმოებას) დავის გადაწყვეტის გარეშე (სარჩელის მიღებაზე უარის თქმის განჩინება; საქმის წარმოების შეწყვეტის განჩინება სსსკ-ის 272-ე მუხლში მითითებული საფუძვლებით („გ“ და „დ“ პუნქტების გარდა; სარჩელის განუხილველად დატოვების განჩინება); 3. განჩინებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროცესის ნორმალურ მსვლელობას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვამდე (სარჩელის მიღებისა და მთავარ სხდომაზე განსახილველად დანიშვნის, საქმის განხილვის გადადების, საქმის სხვა სასამართლოში გადაცემის, საქმეთა გაერთიანებისა და გამოყოფის განჩინებები; პროცესში ახალი პირების ჩაბმის ან პროცესის მონაწილეთა შეცვლის, ექსპერტიზის დანიშვნის, მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ და მსგავს პროცესუალურ საკითხებზე მიღებული განჩინებები); 4. გამოტანილი გადაწყვეტილებისა და მისი აღსრულების შესახებ მიღებული განჩინებები (განჩინებები გადაწყვეტილების განმარტების,

გადაწყვეტილების უზრუნველყოფის, აღსრულების გადადების ან განაწილვადების შესახებ და ა.შ.); 5. საქმისწარმოების განახლების შესახებ მიღებული განჩინებები (4, 594-595).

ჩამოთვლილ კლასიფიკაციაში საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინება მიეკუთვნება შუალედურ პროცესუალურ საკითხებზე მიღებული განჩინებების სახეობას, რომელიც ემსახურება მხოლოდ საქმისწარმოების მსვლელობას და მისი გამოტანით არ ხდება სადავო საკითხის საბოლოო მოწესრიგება. ამიტომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანას, თუმცა, კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს, რომ მისი კანონიერების შემოწმება შესაძლებელია ძირითად გადაწყვეტილებასთან ერთად სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ.

ასეთი სამართლებრივი მოცემულობიდან გამომდინარე აქტუალურია პასუხის გაცემა კითხვაზე: უნდა შესრულდეს თუ არა საქმეთა გაერთიანების შესახებ განჩინება მისი გამოტანისთანავე იმ სასამართლოს მიერ, რომლის წარმოებაში არსებული საქმეც გაერთიანდა სხვა სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმესთან?!

ზემოთ მოყვანილი ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინება საქმეთა გაერთიანების შესახებ, შესასრულებლად გაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ გამოიტანა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე, 182-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა შემდეგი: კანონი უშვებს მხოლოდ ამავე (და არა სხვა) სასამართლოში აღძრულ და წარმოებაში არსებული სხვადასხვა სარჩელების გაერთიანებას. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გააგრძელოს მოცემულ სამოქალაქო დავაზე საქმის განხილვა (7).

გარდა იმისა, რომ ფოთის საქალაქო სასამართლოს მოქმედება სხვა განსჯადი სასამართლოს წარმოებაში არსებული საქმის გაერთიანების შესახებ, ჩემი აზრით წარმოადგენს უხემ შეცდომას, არანაკლებ და შეიძლება ითქვას, უფრო მკაცრ შეფასებას იმსახურებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქმედება. მის მიერ მოხმობილი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი განმარტავს, რომ სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს. მიმაჩნია, რომ თბილისის სასამართლოს მიერ აღნიშნული ნორმის გამოყენება უსაფუძვლო იყო, ვინაიდან, ფოთის სასამართლოს განჩინების შესრულება ითვალისწინებდა საქმის სხვა სასამართლოში გაგზავნას საქმეთა გაერთიანების და არა ერთი სასამართლოს სხვა განსჯადი სასამართლოთი შეცვლის გამო.

გარდა ამისა, როდესაც საკითხი ეხება სასამართლოს აქტის შესრულების სავალდებულობას, ამ თვალსაზრისით კრიტიკას იმსახურებს თბილისის სასამართლოს არგუმენტი, საქმის განხილვის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

უპირველესად, აღსანიშნავია ის საკითხი, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლი სასამართლო გადაწყვეტილებების (განჩინებების) შესრულებისათვის აწესებს სავალდებულობას და არა მიზანშეწონილობას. საპირისპიროს დაშვების შემთხვევაში ჩვენ მივიღებდით სამოქალაქო-სამართლებრივ ქაოსს, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებები მიზანშეუწონელობის მოტივით არასდროს არ შესრულდებოდა.

მეორე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 107-ე მუხლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს სასამართლოს დავალებას სხვა სასამართლოსადმი, თუ გამოსათხოვი ან შესამოწმებელი მტკიცებულებები სხვა ქალაქში ან რაიონშია და მათი წარმოდგენა თუ შემოწმება საქმის განმხილველ სასამართლოში შეუძლებელი ან ძნელია. შესაბამისად, თუ ანალოგიის წესით სასამართლო დავალების შესრულებას მიზანშეწონილობის კატეგორიას მივაკუთვნებთ და

დავალების შემსრულებელი სასამართლოს ნებაზე დამოკიდებულს გავხდით, ეს იქნება მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარის თქმის ტოლფასი.

მესამე, თბილისის საქალაქო სასამართლომ, თავის განჩინებაში იმის აღნიშვნით, რომ „კანონი უშვებს მხოლოდ ამავე (და არა სხვა) სასამართლოში აღძრულ და წარმოებაში არსებული სხვადასხვა სარჩელების გაერთიანებას“, სააპელაციო ინსტანციის ფუნქცია შეითავსა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, საქმეთა გაერთიანების შესახებ ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინების კანონიერების შემოწმების უფლებამოსილება მხოლოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გააჩნია.

შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 512-ე მუხლი ითვალისწინებს იმავე დებულებებს, რასაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილი და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანი შეიძლება გახდეს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს საბოლოო გადაწყვეტილებას, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ასეთი განჩინებები არ საჩივრდება ან საჩივრდება კერძო საჩივრით.

დასკვნა

ამდენად, დასკვის სახით მსურს აღვნიშნო, რომ ამ ერთი შეხედვით მარტივი და არაორაზროვანი პროცესუალური საკითხების გაგება სასამართლოების პრაქტიკულ საქმიანობაში სხვაგვარად ხდება. მიმაჩნია, რომ საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას ფოთის საქალაქო სასამართლოს სწორი მოქმედება იქნებოდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, იმ საფუძველით, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლი ითვალისწინებს ერთი განსჯადი სასამართლოს წარმოებაში არსებულ საქმეთა გაერთიანებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს კი, ნაცვლად ზემოთ მითითებული განჩინების მიღებისა, საქმის მასალები უნდა გადაეგზავნა ფოთის საქალაქო სასამართლოსათვის. გაერთიანებულ საქმეზე გამოტანილ არსებით გადაწყვეტილებასთან ერთად კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული წესით, დაინტერესებული მხარე სადავოდ გახდიდა ფოთის საქალაქო სასამართლოს განჩინებას საქმეთა გაერთიანების თაობაზე.

მსგავსი სასამართლო შემთხვევების განმეორებისაგან თავის არიდების მიზნით, ვფიქრობ აუცილებელია განხორციელდეს საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ ნორმებში, რომლებიც არეგულირებს საქმეთა გაერთიანება/გამოყოფას და ამ საკითხებზე მიღებული განჩინებების შესრულებას. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 182-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ ერთი და იგივე სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ერთგვაროვანი და სამართლებრივად ერთმანეთთან დაკავშირებული საქმე, რომლებშიც ერთი და იგივე ან სხვადასხვა მხარე მონაწილეობს, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გააერთიანოს ეს საქმეები ერთ წარმოებად ერთად განხილვისათვის, თუ ასეთ გაერთიანებას შედეგად მოჰყვება დავის უფრო სწრაფად და სწორად განხილვა. მოსამართლე, რომელსაც მიმართეს საქმეთა გაერთიანების შესახებ შუამდგომლობით, თავის წარმოებაში არსებულ საქმესთან აერთიანებს თავის წარმოებაშივე ან სხვა მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმეს, რის თაობაზედაც გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელიც უნდა აღსრულდეს დაუყოვნებლივ“.

მოცემულ სტატიაში განხილული თემა წარმოადგენს ჩემი სადისერტაციო ნაშრომის შემადგენელ ნაწილს, სადაც კიდევ უფრო ფართოდ და დეტალურად იქნება გადმოცემული

საკითხზე მსჯელობა, ასევე შედარებითი ანალიზი გაკეთდება ევროპული, ინგლისურ-ამერიკური და პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
3. ლილუაშვილი თ., ხრუსტალი ვ. 2007. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი*. მეორე გამოცემა. თბილისი: სამართალი.
4. ქურდაძე შ., ხუნაშვილი ნ. 2012. *საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 28.10.2015 წლის საოქმო განჩინება №2/19857-14.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, 18.11.2013 წლის განჩინება №ას-477-453-2013.
7. ფოთის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, 28.09.2015 წლის განჩინება №2/79.
8. *Гражданское процессуальное уложение Германии (Zivilprozessordnung Deutschlands)*. 2006. Москва: Wolters Kluwer.
9. *Гражданские процессуальные кодексы стран содружества независимых государств*. Том 1, Гражданский процессуальный кодекс Азербайджанской Республики. 2012. Москва: Статут.
10. Новый Гражданский процессуальный кодекс Франции. 2004. Киев: Истина.
11. Гражданский процессуальный кодекс Эстонской Республики
https://www.juristaitab.ee/sites/www.juristaitab.ee/files/elfinder/ru-seadused/%D0%93%D0%A0%D0%90%D0%96%D0%94%D0%90%D0%9D%D0%A1%D0%9A%D0%98%D0%99%20%D0%9F%D0%A0%D0%9E%D0%A6%D0%95%D0%A1%D0%A1%D0%A3%D0%90%D0%9B%D0%AC%D0%9D%D0%AB%D0%99%20%D0%9A%D0%9E%D0%94%D0%95%D0%9A%D0%A1_07.01.17.pdf (01.06.2017)

Summary

The first part of the work deals with such an important issue of Civil Procedure Law of Georgia, as judicial jurisprudence and the necessity of its protection in the merger of civil cases. The second part of the work complies the discussion on merging the cases regarding the obligation of the execution of judgments. The author's point of view on the issues discussed is based on the processual problems seen in the practice of practical advocacy.

Civil procedural legislation of Georgia as well as other countries, the works of civil procedural law specialists and materials of the court practice are utilized in the given work.

The presented work explains that the essence of the jurisdiction is in appropriation of a case to the particular court falling under its jurisdiction. The importance of the institute of jurisprudence in the first place finds that the interested person, in accordance with the above principle, applies to the court for the realization of its constitutional right - court protection.

The work notes that hearing the claim by a competent court is directly related to the legality of the decision made on the case pursuant to the Article 394, Part "A" of the Civil Procedural Code of Georgia, which states that: "a decision shall always be considered to have been delivered in violation of the law if the composition of the court of decision was not compliant with the relevant provisions". The incompetent court is equal to illegal composition of a court that hears the case.

The direct connection of the principle of jurisdiction on the merging and separating of cases are analyzed in the work. The author of the article has the particular examples of court practice. His views are based on the procedural legislation of Georgia; comparative analysis are done with the legislation of several countries and the works of civil process experts are utilized. Critical assessment of court actions and proposals for the improvement of the legislation are made on the base of normative materials.

The paper also deals with the procedural rules for discussion of case merging issue and states that it is possible to merge claims as well as cases. The difference between these two processual possibilities are discussed in the paper. It is stated that the merge of few claims in one can be done by the initiative of an applicant if these requirements fall under the jurisdiction of one court and the merge of couple cases into one can be done by the initiative of a judge or party. In spite of this difference, the bases of claims as well as merging cases are identical - uniformity, legal connection, rapid and precise hearing of cases. The work contains the classification of the court judgments and states that the judgement on the merge of cases belongs to the number of judgments received on intermediate process issues that serve only the proceedings and does not regulate disputable issues. Therefore, the author raises a question whether the decision on the merge of cases should be fulfilled immediately by the court under which proceedings the case was merged with the case under the proceedings of another court?! On the basis of a legal analysis, the author expresses his own opinion about the importance of fulfilling court decisions (judgments) and what negative consequences can be achieved if their performance depends on the subjective will of the judge or other persons.

As a conclusion, coming out of the practical importance of the discussed issues, the author states that the Civil Procedure Code of Georgia requires legislative improvements of the norms that regulate the case merge/separation issues and fulfillment of the decisions made on these issues.

მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის
სამართლებრივი ასპექტები

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეხება ისეთ კონსტიტუციური უფლებას, როგორცაა საკუთრების უფლება, კერძოდ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის საფუძვლებს, საკუთრების უფლების გადაცემისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და იურიდიულ ბუნებას.

სტატიაში მთავარი ყურადღებაა დათმობილი საკუთრების ცნებას და მის არსს, რომელიც დღემდე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ქართულ და ევროპულ სამართლებრივ დოქტრინებში, თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საკუთრების უფლების გადაცემის საკითხზე სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები განსხვავებულ სამართლებრივ ტექნიკურ კონსტრუქციებს გთავაზობენ.

სტატიის შესწავლის საგანს წარმოადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის საკუთრების უფლების გადაცემის გზით შექმნის საფუძვლები, მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მარეგულირებელი ეროვნული ნორმების შედარება სხვა ქვეყნების სამართლებრივ ნორმებთან, კერძოდ, განხილული იქნება საკითხის მარეგულირებელი ნორმები ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაში, კერძოდ მათ შორის არსებული მსგავსება-განსხვავებები, ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემული აბსტრაქციის პრინციპის დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზი.

ნაშრომის კვლევის მიზანია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა რომის სამართლიდან დღემდე.

კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის ფორმების შესწავლა, ხავეზების აღმოჩენა და არსებობის შემთხვევაში, მათი აღმოფხვრის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

საძიებო სიტყვები: მოძრავი ნივთები, საკუთრების უფლება, გარიგება.

შესავალი

საკუთრების უფლების როგორც კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლების რეალიზაცია ხდება სწორედ იმაში, რომ ნების ავტონომიის პრინციპზე დაყრდნობით პირს ეძლევა შესაძლებლობა, გაასხვისოს ან შეიძინოს მოძრავი თუ უძრავი ნივთი, შეეძლოს გახდეს მესაკუთრე ან გადასცეს სხვას უფლება ნივთზე. საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა.

საკუთრების, როგორც კონსტიტუციური უფლების ისტორიული მიმოხილვა ადასტურებს, რომ საკუთრების ცნებამ განვითარების გრძელი გზა განვლო. საკუთრებასთან დაკავშირებული დავა ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან იღებს სათავეს. პლატონიდან დაწყებული იგი კაცობრიობის აზრის განვითარების ისტორიაში ის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა, რადგან აზროვნების ისტორიაში საკუთრების შეფასება სრულიად არაერთგვაროვანია, მას აიგივებენ ხან კეთილდღეობასთან, ხან კიდევ ომთან (1, 750).

აღსანიშნავია, რომ საკუთრების ცნების ფორმულირებაში დიდი რომელი იურისტების წვლილი. სწორედ პირველებმა მათ ჩამოაყალიბეს აბსოლუტური კერძო საკუთრების ცნების ფორმულირება, უწოდეს მას “dpmonium” და იხმარეს იგი უძრავ ქონებასა და მიწებთან მიმართებით. ხოლო თანამედროვე სამართალში საკუთრება არის ფიზიკური პირის ისეთი განუყოფელი თვისებების შედეგი, როგორც არის თავისუფლება და თავისუფალი ნება, რომელიც ყველას კუთვნილებაა და უფრო მეტიც, სწორედ ეს საყოველთაოა არის სამართლის სფეროში ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი (1, 751).

ძველ ქართულ სამართალში საკუთრებასთან დაკავშირებით ძალიან მდიდარი ტრადიციები არსებობდა. როგორც პროფ. ბ.ზოიძე აღნიშნავს ყველაზე მეტი საბუთი, რაც ძველი დროიდან შემონახულია ჩვენს არქივებში-ნასყიდობის წიგნებია. მართალია ბატონს გლეხის ქონებაზეც მიუწვდებოდა ხელი - „სულს გარდა ყველაზე ხელი მიუწვდებოდა“, „მაგრამ ბატონსაც ეს მართებს: სხვა რიგად რომ ბატონმა ყმას გარდაახდევინოს. ნასყიდი მაინც არ უნდა მოუშალოს“. ანალოგიურად გამოიყურება ხელმწიფის უფლება ნასყიდობის ნებართვაზე:“თუ კაცმან სოფელი ან გლეხი თავადისგან ან აზნაურისგან სასყიდლად მოინდომოს, ხელმწიფესაც უნდა დაკითხვა“-ნათქვამია სამართლის წიგნის 162 -ე მუხლში, მაგრამ კანონმდებელი იქვე იხევს უკან და ამბობს, რომ „უკითხვადაც სყიდულია და არც ხელმწიფე გამოჰკიდებიაო“ (3, 35).

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში საერთოდ გაუქმდა კერძო საკუთრების უფლება. მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით სწორედ საკუთრება იყო საზოგადოებრივი და კლასობრივი დაპირისპირების მიზეზი. საბჭოთა სამართალი იცნობდა მხოლოდ საზოგადოებრივი/სახელმწიფო საკუთრებისა და პირადი საკუთრების ინსტიტუტებს. საბჭოთა სახელმწიფო იმდენად ერეოდა საკუთრების უფლებაში, რომ იგი თვითონ იღებდა პასუხისმგებლობას, მოქალაქეებს შორის, მიუხედავად მათი შესაძლებლობებისა, თანაბრად გაენაწილებინა საკუთრება. მოგვიანებით საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განმტკიცდა ძირითადი და ფუნდამენტური უფლება, როგორცაა საკუთრების უფლება.

კვლევის მეთოდები

სამეცნიერო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ზოგადსამეცნიერო მეთოდები. კვლევა ეფუძვნება ისტორიულ, ნორმატიულ, ლოგიკურ და შედარებით სამართლებრივ მეთოდებს.

ისტორიული მეთოდის საშუალებით აღწერილია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიული მიმოხილვა რომის სამართლიდან დღემდე.

ნორმატიული მეთოდის დახმარებით გაანალიზებულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის მარეგულირებელი ნორმების ადგილი და მნიშვნელობა კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში.

კვლევის პროცესში უპირატესად გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, რის საფუძველზეც განხორციელდა მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მარეგულირებელი ეროვნული ნორმების შედარება სხვა ქვეყნების სამართლებრივ ნორმებთან, კერძოდ, განხილული იქნება საკითხის მარეგულირებელი ნორმები ქართულ და გერმანულ სამოქალაქო კანონმდებლობაში.

მნიშვნელოვანი წყარო, რომლის გამოყენება მოხდა წინამდებარე სტატიაზე მუშაობის დროს არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები (ბოლო დამუშავება: 2016 წლი 5 ივლისი).

სტატიაში მოძრავი ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და ისტორიული განვითარების შესწავლისას დიდი ყურადღება დაეთმო ბესარიონ ზოიძის ნაშრომს „ქართული სანივთო სამართალი“ (თბილისი, 2003), ასევე თამარ ზარანდიას სამეცნიერო სტატიას „საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით“ (გამომცემელი, გამოცემის წელი: სსუ-ს შრომები, ტომი V, 2008წ).

ნაშრომში საკუთრების შინაარსის განსაზღვრის/ ცნების შესწავლისას ყურადღება დაეთმო ლადო ჭანტურიას ნაშრომს „უძრავი ნივთების საკუთრება“ (გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1994), ხოლო საკუთრების უფლების გადაცემის სისტემების შესწავლისას ზ. ჭეჭელაშვილის ნაშრომი „სანივთო სამართალი. შედარებით-სამართლებრივი კვლევა“ (გამომცემლობა „ბონა კაუზა, თბილისი, 2009“.)

საკუთრების ცნება და არსი

ევროპული ქვეყნების თანამედროვე კოდიფიკაციები საკუთრების ცნების ლეგალურ დეფინიციას არ იძლევა, რაც შეიძლება ითქვას გერმანულ კანონმდებლობაზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170 -ე მუხლით განსაზღვრული საკუთრების შინაარსი არ იძლევა საკუთრების ცნებას, უფრო მეტიც თავს არიდებს საკუთრების უფლების ლეგალურ დეფინიციას და მისი შინაარსის აღწერით შემოიფარგლება მხოლოდ. აღსანიშნავია რომ ცნებებისადმი ფრთხილი დამოკიდებულება ჯერ კიდევ რომაელებს ახასიათებდათ (4, 60-67). არც რომის სამართალში არსებობდა საკუთრების ერთიანი ცნება, მაგრამ სწორედ რომაელებს ეკუთვნით საკუთრების გაგება - მფლობელობაზე, სარგებლობასა და განკარგვაზე. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 903-ე პარაგრაფის მიხედვით: „... ნივთის მესაკუთრეს შეუძლია განკარგოს ნივთი თავისი შეხედულებისამებრ და გამორიცხოს სხვა პირის ნებისმიერი ჩარევა“. როგორც ვხედავთ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, როგორც ქართული საკუთრების შინაარსის აღწერით იზღუდება, ხოლო საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ცდილობს განმარტოს საკუთრება, როგორც აბსოლუტური უფლება, კერძოდ 544-ე მუხლის თანახმად „საკუთრება არის ნივთებით სარგებლობისა და განკარგვის უფრო აბსოლუტური უფლება, თუ სარგებლობა არ არის აკრძალული კანონებითა და რეგლამენტებით“ (1, 751-752).

კვლევისას მიღებული ცოდნის/ინფორმაციის საფუძველზე, ვთვლი, რომ კარგი იქნებოდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში, რომლის სათაურია „ცნება.საკუთრების უფლების შინაარსი.“ საფრანგეთის კანონმდებლობის მსგავსად კანონმდებელს განესაზღვრა საკუთრების ცნება.

მოძრავი ნივთის ცნება

იმისთვის, რომ განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისთვის დამახასიათებელი თავისებურებები საკუთრების უფლების გადაცემის სხვა სისტემებთან, აუცილებელია განვიხილოთ თუ რა არის მოძრავი ნივთი? იურიდიულ დოქტრინაში მოძრავი ნივთების როგორი ცნება მოგვეპოვება? საკითხს აქტუალობას მატებს ის გარემოება რომ ქართული სამოქალაქო კოდექსი მოძრავ ნივთის ცნებას არ განსაზღვრავს.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი არ იცნობდა ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 148-ე მუხლის მიხედვით აღდგენილია ნივთების ამგვარი კლასიკური დაყოფა. კოდექსი მხოლოდ უძრავი ნივთების ცნებას იძლევა და ამით დუმლით გვაცნობს, რომ მოძრავად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ ითვლება უძრავად (2, 32).

საკუთრების უფლების გადაცემის წინაპირობები

საკითხის შესწავლიდან ირკვევა, რომ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საკუთრების უფლების გადაცემის ე.წ. შუალედური (ტრადიციისა და კაუხალური) სისტემა, რაც ნათლად ჩანს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირებიდან. თუმცა, ქართულმა კანონმდებლობამ მთლიანად არ გაიზიარა საკუთრების უფლების გადაცემის ე.წ. შუალედური სისტემის კლასიკური ელემენტები, მაგ. როგორც ეს არის მოცემული ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსში (6, 171-173).

ქართული კანონმდებლობა ადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შექმნის რამდენიმე წინაპირობებს: 1. მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს მესაკუთრე; 2. მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს „ნამდვილი უფლება“ აღნიშნულ ნივთზე; 3. უნდა განხორციელდეს ნივთზე უფლების გადაცემა, რომლის ცალკეული სახეებიც შემდგომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლშია დაკონკრეტებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის ზოგადი წესი, რაც გულისხმობს, რომ სახეზე უნდა იყოს შეთანხმება მესაკუთრესა და შემძენს შორის, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ნივთის შემძენის მფლობელობაში გადაცემა. რაც შეეხება აღნიშნული შეთანხმების სამართლებრივ ბუნებას, იგი წარმოადგენს ე.წ. გერმანულ სანივთო გარიგებას (2, 148), თუმცა აღნიშნული სანივთო შეთანხმება ეფუძნება ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას და არ არის გამოყოფილი მისგან (9,192).

საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტს წარმოადგენს მესაკუთრე. როგორც წესი, მხოლოდ ნივთის მესაკუთრეა უფლებამოსილი განკარგოს ნივთი და ეს უფლებამოსილება გამომდინარეობს საკუთრების უფლების შინაარსიდან, „... თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი...“ (კომენტარები) როგორც ჩვენთვის ცნობილია, ნივთის მესაკუთრის გარდა, სსკ შესაძლებლად უშვებს, რომ საკუთრების უფლების გადაცემა განხორციელონ მესამე პირებმა. სიზუსტისთვის რომ დავკონკრეტდეთ, ვგულისხმობ ნივთის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებას მესამე პირისთვის მესაკუთრის მიერ წინასწარი თანხმობის ან შემდგომი თანხმობის საფუძველზე (სსკ 100, 101 და 102 მუხლები). ასევე სსკ 787 მუხლის თანახმად საქონლის გაყიდვის უფლებამოსილება კანონით მინიჭებული აქვს შემნახველს, თუ შესაძლებელია მიბარებული საქონელი ფუჭდება ან იმდენად იცვლება, რომ იგი შეიძლება გაუფასურდეს და შემნახველს დრო აღარ რჩება ამის თაობაზე შეატყობინოს ან არ შეუძლია შეატყობინოს უფლებამოსილ პირს. მნიშვნელოვანია, ის გარემოება რომ მესამე პირის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის საკანონმდებლო შემადგენლობის განხორციელების პროცესში. აღსანიშნავია ის შემთხვევა, როდესაც კანონმდებელი უშვებს საკუთრების უფლების გადასვლას იმ შემთხვევაში, როდესაც

გამსხვისებელი არ არის ნივთის მესაკუთრე, თუმცა, თავად შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით (9,74).

საკითხის შესწავლის შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ უმჯობესი იქნებოდა 186-ე მუხლის პირველ ნაწილში კანონმდებელს საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ პირთა წრე დაეკონკრეტებინა და ასეთ უფლებამოსილ პირად მხოლოდ მესაკუთრე არ მიეთითებინა, არამედ მესაკუთრესთან ერთად მოძრავი ნივთის განკარგვაზე სხვა უფლებამოსილ პირიც ყოფილიყო მითითებული.

ნამდვილი უფლება

საკუთრების გადაცემა უნდა განხორციელდეს ნამდვილი უფლების საფუძველზე, კერძოდ 186-ე მუხლის პირველ ნაწილში ხაზგასმულია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე უნდა გადასცეს შემძენს ნივთი. საინტერესოა, თუ რა იგულისხმა კანონმდებელმა ნამდვილ უფლებაში. ვინაიდან, საკუთრების უფლების გადაცემა თავის თავში არ შეიცავს გადაცემის საფუძველს, ნამდვილი უფლება შეიძლება იყოს ნამდვილი სამართლებრივი საფუძველი, მაგალითად ნამდვილი ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგების საფუძველზე წარმოშობილი უფლება და არა სანივთო უფლება. საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ საკუთრების გადაცემას შეიძლება ჰქონდეს სხვა საფუძველი, რომელიც გამომდინარეობს არა მხოლოდ ვალდებულებით-სამართლებრივი გარიგებიდან, არამედ კანონიდან, მაგ.: ჩუქების ხელშეკრულება. პროფესორი ლ.ჭანტურია თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ ნამდვილი გარიგება გულისხმობს ნამდვილ სამართლებრივ ურთიერთობას, მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებას, რომლიდან გამომდინარეც და რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს ნივთის გადაცემა (5,183).

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენისათვის სსკ-ის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად შეთანხმების გარდა აუცილებელია მოძრავი ნივთის გადაცემა, რომლის სახეები კონკრეტდება სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ, ესენია: შემძენისათვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა, არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით და მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლებების მინიჭება, იგივე მოთხოვნის უფლების დათმობა. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში გულისხმობს, რომ ნივთი გადადის უშულოდ შემძენის ფაქტობრივ მფლობელობაში. მაშასადამე, იგი სრულიად გადის გამსხვისებლის ბატონობიდან და მას აღარ რჩება არანაირი ნაწილი მფლობელობისა აღნიშნულ ნივთზე (6,194). ამ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმება და ნივთის გადაცემის მომენტი ერთდროულად ხორციელდება და მათ შორის არ არის დროის განსაზღვრული მონაკვეთი. ნივთის გადაცემის აღნიშნული შემთხვევა ყველაზე ხშირია ყოველდღიურ ცხოვრებაში (2,149).

მეორე ალტერნატიული გზა გულისხმობს, არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემას ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად. ამ შემთხვევაში მფლობელობის გადაცემის წინაპირობა არის თავდაპირველ მესაკუთრესა და შემძენს შორის დადებული ხელშეკრულება, რომლიც თავდაპირველ მესაკუთრეს განსაზღვრული დროით ანიჭებს ნივთის ფლობას.

მესამე ალტერნატივა მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭებაა. სსკ-ის 186-ე მუხლი ითვალისწინებს შემძენისათვის მესამე პირისაგან ნივთის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნის დათმობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ნივთი იმყოფება მესამე პირის მფლობელობაში მაგ. თხოვების საფუძველზე და მესაკუთრე შემძენს უთმობს მესამე პირისაგან ნივთის გამოთხოვის უფლებას. მაშასადამე, აუცილებელი წინაპირობაა, რომ მხარეები შეთანხმდნენ საკუთრების უფლების გადასვლაზე და რაც მთავარია ნივთი მესამე პირის მფლობელობაში (პირდაპირ ან არაპირდაპირ) უნდა იმყოფებოდეს. ამ შემთხვევაში კანონმდებელი მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს იყენებს სამოქალაქო ბრუნვის გამარტივების მიზნით, აღარ ჩნდება საჭიროება იმისა, რომ მესაკუთრემ მიიღოს ნივთი მესამე პირისაგან და შემდგომ გადასცეს იგი შემძენს. შემძენი გამსხვისებელთან შეთანხმებით ავტომატურად იძენს უფლებას თავად მოსთხოვოს ნივთი მესამე პირს (2,150).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში, განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისა, საკუთრების უფლების გადაცემისას ამ უფლების გადაცემის თაობაზე მხარეთა შეთანხმების შესახებ მითითება არ გვაქვს, რაც ვთვლი რომ ხარვეზია და სასურველია მისი აღმოფხვრა.

მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით

გერმანულ სამოქალაქო სამართალში მოქმედებს გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპებს. გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე, გერმანული სამართალი ვალდებულებით-სამართლებრივ გარიგებას (მაგალითად, ჩუქება, გაცვლა და ა.შ.) მიჯნავს განკარგვითი გარიგებისგან (მაგალითად, საკუთრების გადაცემა). აბსტრაქციის პრინციპის მიხედვით, განკარგვითი გარიგების იურიდიული გამოხატულება სანივთო გარიგებაა. ხოლო აბსტრაქციის პრინციპის აღიარება გამოიხატება იმაში, რომ გერმანული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, კერძოდ, 929-ე პარაგრაფის მიხედვით ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის აუცილებელია მხარეთა შორის სპეციალური სანივთო შეთანხმება, რომელიც დამოუკიდებელია ვალდებულებით-სამართლებრივი შეთანხმებისაგან (8, 193-194).

აბსტრაქციის პრინციპი დაკავშირებულია სავინის სახელთან. სავინის მიხედვით ნივთის ფიზიკური გადაცემა არ არის მხოლოდ ფაქტობრივი აღსრულების აქტი, არამეს მოიცავს საკუთრების გადატანაზე მიმართულ სანივთო ხელშეკრულებას (5, 183).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 929 - ე პარაგრაფის მიხედვით: „მოდრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა, მესაკუთრემ გადასცეს ნივთი შემძენს და ორივე მხარე შეთანხმდეს საკუთრების უფლების გადასვლაზე. თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება.“ როგორც უკვე ავღნიშნეთ, საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ მითითების არარსებობა შეიძლება ჩავთვალოთ ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზად და მიზანშეწონილად მივიჩნევ მის აღმოფხვრავს საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე 186 -ე მუხლის 1 პუნქტში ხაზი გაესვას მხარეთა შეთანხმებას საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე.

საყურადღებოა ისიც, რომ გერმანული კოდექსის 929-ე პარაგრაფის მეორე წინადადება ითვალისწინებს ე.წ. „მოკლე ხელის გადაცემას“, რომლის მიხედვითაც, თუ ნივთს ფლობს შემძენი, მაშინ საკმარისია საკუთრების უფლების გადასვლაზე შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმება თავისთავად გულისხმობს სანივთო და მის საფუძველზე არსებულ ვალდებულებით-სამართლებრივ შეთანხმებასაც. მაგალითის სახით განვიხილოთ: A-ს ჰქონდა მფლობელობაში V-ს პიანინო, რომელსაც შემდგომ იგი შეიძენს. ამ შემთხვევაში საკუთრების

უფლების გადასვლისათვის საკმარისია ე.წ. die blosse Einigung მყიდველსა და გამყიდველს შორის და რაც მთავარია არ აქვს მნიშვნელობა იმას, აღნიშნული პიანინო A-ს პირდაპირ თუ არაპირდაპირ მფლობელობაშია. მხოლოდ მხარეებს შორის შეთანხმება იქნებოდა საკმარისი იმ შემთხვევაშიც, როდესაც A-ს პიანინო მაგ. თხოვების საფუძველზე თავისი მეგობრისთვის ექნებოდა პირდაპირ მფლობელობაში გადაცემული. რაც შეეხება სსკ-ის, არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც Traditio brevi manu 186-ე მუხლის მე-2 ნაწილში იგულისხმება, თუმცა, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ Traditio brevi manu-ს დროს შემძენი წარმოადგენს ნივთის მფლობელს და შესაბამისად, შეუძლებელია ამ შემთხვევაში ნივთის მფლობელობაში გადაცემა, რომელსაც ეხება სწორედ სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ არის გათვალისწინებული მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის აღნიშნული ინსტიტუტი (9,198).

დასკვნა

სამეცნიერო ნაშრომის კვლევის პროცესში ეროვნულ კანონმდებლობაში აღმოჩენილი ხარვეზების საფუძველზე, ჩამოვყალიბე რამდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ვფიქრობ, სასურველია, აისახოს ეროვნულ კანონმდებლობაში მოძრავი ნივთის საკუთრების უფლების გადაცემის მარეგულირებელი ნორმების სრულყოფის მიზნით:

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლში, რომლის სათაურია - „ცნება. საკუთრების უფლების შინაარსი.“ - საფრანგეთის კანონმდებლობის მსგავსად კანონმდებლის მიერ განისაზღვროს საკუთრების ცნება.
- ეროვნული კანონმდებლობაში 148¹ მუხლის დამატებით დაკონკრეტდეს მოძრავი ნივთის ცნება, რადგან სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ დუმილით გვაცნობს, რომ მოძრავ ნივთად უნდა ჩაითვალოს ყველა ის ნივთი, რომელიც არ ითვლება უძრავად.
- სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში დაზუსტდეს საკუთრების უფლების გადაცემაზე უფლებამოსილ პირთა წრე, კერძოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების საფუძველზე აღნიშნულ მუხლში „მესაკუთრის“ გარდა დაემატოს კანონმდებლობით გათვალისწინებული „სხვა უფლებამოსილ პირი“ .
- სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი პუნქტში, გერმანული კანონმდებლობის მსგავსად, დაემატოს საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ მხარეთა შეთანხმება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზარანდია თ. 2008. საკუთრების ცნება და მისი ექსკლუზიური ხასიათი შედარებით-სამართლებრივი კვლევა ქართული და ფრანგული სამართლის მიხედვით. *სსუ-ს შრომები*. ტომი V, 750-759.
2. ზოიძე ბ. 2003. *ქართული სანივთო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
3. ზოიძე ბ. 2005. *ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში*. თბილისი: საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი.
4. ნადარეიშვილი გ. 2005. *რომის სამოქალაქო სამართალი*. თბილისი: ბონა კაუზა.
5. ჭანტურია ლ. 1994. *უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებითი სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე*. თბილისი: სამართალი.
6. ჭეჭელაშვილი ზ. 2009. *სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა*. თბილისი: ბონა კაუზა.
7. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. 2010. თბილისი, სიესტა.
8. საქართველოს კონსტიტუცია.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
10. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები. <http://www.gccc.ge/> (15.07.2016).

Summary

This article concerns constitutional right – property, particularly bases of obtaining the property right on movable subjects, features characteristic for the transferring of property right and legal nature.

In the article the main attention is paid to the doctrine of property and its essence which still are serious problems in Georgian and European legal doctrines. Topicality of the theme is defined by the circumstance that different legal systems offer different legal technical constructions on the question of the transferring of property right.

The topic of study of this article is the basis of obtaining the property right on movable subjects via transferring the property right, comparison of national norms regulating obtaining the property right on immovable property with legal norms of other countries. Regulating norms of the question in Georgian and German civil legislations, particularly similarities and differences between them, and also analysis of positive and negative sides of abstraction principle given in the German Civil Code are examined in the article.

The main task of the research is study of forms of obtaining property right on movable subjects, discovery of defects and in case of their existence development of recommendations with the purpose of their correction.

Topicality of the question is defined by the circumstance that property right is the constitutional right. Particularly, property right, as basic right guaranteed by constitution is realized in the fact that on the basis of principle of autonomy of will a person is given an ability to alienate or obtain movable or immovable property, can become owner or transfer the right of property to others. Property right is the natural right without which existence of democratic society is impossible.

Historic review of property, as constitutional right, confirms that property doctrine passed a long way of development. Dispute connected to the property begins just from antique period. Beginning from Plato it was one of the most important problems in the history of development of mankind sense.

It shall be noted that realization of property right, as of basic right guaranteed by the constitution, is expressed just in the fact that relying upon the principle of autonomy of will, a person is given an ability to alienate or acquire movable or immovable item, is able to become an owner or to transfer the right on the item to the other person. Property right is the natural right without which it would be impossible to imagine existence of democratic society. Historic review of property right, as of constitutional right, confirms that the doctrine of property underwent a long way of development. Disputes related to property begin as early as from antique period. Beginning from Plato, it was one of the most important problems in the history of development of mankind's thinking, because in the history of thinking, evaluation of property is fully non-homogenous - sometimes it is connected to war, and sometimes with wellbeing.

In regard to the forms of transferring of property right on movable items, according to the 1st part of the Article 186 of the Civil Code of Georgia, except for the agreement between parties, it is necessary to transfer movable items types of which are specified in the 2nd item of the Article 186 of Georgian Civil Code, particularly, they are: transferring an item to the direct ownership of a buyer, transferring into

indirect ownership according to the contract and awarding by an owner to the buyer the right of request of ownership from the third person, i.e. assignment of the right of request. Let us examine each of them separately. Delivery of an item into direct ownership of a buyer means that the item is transferred directly into the actual ownership of a buyer. Therefore, it is fully withdrawn from the ownership of the seller; he/she has no part from such ownership any more. In this case, the agreement between parties and the moment of item transferring are realized simultaneously and there is no defined time interval between them. Such type of item transferring happens most frequently in everyday life. The second alternative way means transferring of indirect ownership by contract, during which the previous proprietor can remain a direct owner. The third alternative is awarding by owner to the buyer the right of request of ownership from the third person. From the above mentioned, during transferring of property right, in national legislation we have no instruction on agreement of parties about transferring of such right. I think that it is a fault and needs to be corrected.

აბსტრაქტი

ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დაცვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის უმნიშვნელოვანესი საკითხია. ნაშრომში განმარტებულია მომხმარებლისა და ელექტრონული ხელშეკრულების ცნება, ელექტრონული ხელშეკრულების სახეები, მისი დადების დრო და ადგილი. ევროკავშირის კანონმდებლობის პრინციპებისა, ერთიანი სტანდარტების ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და კვლევების ჩატარების შემდგომ განხილულია ონაღინ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით მომხმარებელთა უფლებები ქართულ სამართალში და არსებული პრაქტიკა. ვენის კონვენცია „საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში ყველაზე ცნობილ მრავალმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს.

ევროკავშირის კანონმდებლობის პრინციპებისა, შედარებითი ანალიზის საფუძველზე წარმოდგენილია ის პრობლემები, რაც დღესდღეისობით ჩვენს კანონმდებლობაში არსებობს და შემოთავაზებულია რეკომენდაციები, აღნიშნული სფეროს სრულყოფის მიზნით. ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებების რეგულირების სფეროსადმი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული მასალების სიმცირის გათვალისწინებით, აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანი იქნება საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებისათვის, ვინაიდან იგი არაერთ რეკომენდაციას იძლევა ნაშრომში განხილული პრობლემების გადასაწყვეტად.

საძიებო სიტყვები: ელექტრონული ხელშეკრულება, ვენის კონვენცია ხელშეკრულების უსამართლო მუხლების დირექტივა

შესავალი

ხელშეკრულება ქართულ სამართალში მიიჩნევა ორ ან მეტ იურიდიულ და ფიზიკურ პირს შორის გარკვეულ შეთანხმებად, რომელიც წარმოშობს, წყვეტს ან ცვლის კერძო სამართლებრივ უფლებებს და მოვალეობებს, რომელიც გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან და იმ სამართლებრივ ნორმებიდან, რომლებიც მოქმედებენ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე სადაც დაიდო ხელშეკრულება. არსებობს ხელშეკრულების სხვადასხვა სახეები: ცალმხრივი და ორმხრივი, რეალური და კონსესუალური, სასყიდლიანი და უსასყიდლო და ა.შ. ევროპული ქვეყნების კოდექსები ცალკე გამოყოფენ მეტად გავრცელებულ ხელშეკრულების სახეებს: ნასყიდობის ხელშეკრულებას, გადაზიდვა-გადაყვანის ხელშეკრულებას, საბანკო, სადაზღვევო და სხვა ხელშეკრულებებს. აღნიშნული ხელშეკრულების მხარეები ძირითადად წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და ბუნებრივია მათ შორის სადაო გახდეს გამოსაყენებელი სამართლის ნორმები.

მასალები და მეთოდები

ნებისმიერი საგარეო ვაჭრობის ოპერაციას როგორცაა ყიდვა-გაყიდვა, სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევისათვის აუცილებელია კონტრაქტის დადება. ძირითადად კონტრაქტის დადებისას ყურადღება ექცევა ხელშეკრულების საგანს. ხელშეკრულების საგანი კომერციული კონტრაქტის დროს წარმოადგენს საქონლის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები, მიწოდების ვადების შესახებ, სატრანსპორტო პირობები და ა.შ.

მეტად აქტუალურია საკითხი ელექტრონულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ელექტრონული ხელშეკრულება არის ელექტრონული სახით დადებული კონტრაქტი, რომელშიც წერილობითი ფორმა არ გამოიყენება და ხელმოწერილია ელექტრონულად. თუ ელექტრონული ფოსტით გადაუგზავნით ასეთ კონტრაქტს და ის მას ელექტრონული ხელმოწერით უკან დაგიბრუნებთ, კონტრაქტი ძალაშია. ელექტრონული კონტრაქტი შეიძლება არსებობდეს ე.წ. ღილაკის „დაჭერით დადებული“ ფორმით, რომელიც უმეტესად გადმოსატვირთ პროგრამებთან მიმართებაში გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი (გადმომტვირთავი) აჭერს „თანხმობა“ (I Agree) ღილაკს ხელს და კონტრაქტს დადებულია.

ელექტრონული შეთანხმებები არ შეიძლება დაიდოს ყველა სახის იურიდიულ დოკუმენტთან მიმართებაში. აშშ კანონმდებლობა ამ მხრივ გარკვეულ გამონაკლისებს აწესებს. ეს გამონაკლისები კი კერძოდ ეხება: ანდერძებსა და აპოსტილებს, მინდობილობებს, სასამართლო ბრძანებებს, უწყებებს, შუამდგომლობებსა და სხვა დაკავშირებულ პროცესუალურ დოკუმენტაციას, გასახლებისა და სააღსრულებო ფურცლებს, სადაზღვევო ანაზღაურებით დოკუმენტაციას, განქორწინების, შვილად აყვანისა და სხვა საოჯახო საქმეებს, საშიში და ფეთქებადსაშიში ნივთიერებებისა და პროდუქტების ტრანსპორტირებას, ასევე გაკოტრებისა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

არსებობს ელექტრონული ხელშეკრულების სამი ფორმა: ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტით, რომელიც გამოიყენება როგორც ოფერტის ასევე აქცეპტის გასაგზავნათ. არსებობს აგრეთვე მსოფლიო ქსელი (19), როდესაც მომხმარებელი თავის პროდუქციას განათავსებს ვებ გვერდზე და უთითებს ფასს. ელექტრონული ხელშეკრულების მესამე სახეს წარმოადგენს ხელშეკრულება, რომლის პირობებიც ვებგვერდზე მოცემულია დამაკავშირებელი ბმულის საშუალებით (18). ასეთ ხელშეკრულებას ეწოდება გადამამისამართებელი ხელშეკრულება (“Shrinkwrap”) (14).

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების³ მე-6 ნაწილი ელექტრონულ კომერციას ეხება, რომლის 127-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული კომერციის განვითარება უნდა იყოს თავსებადი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან ელექტრონული კომერციის მომხმარებელთა ნდობის უზრუნველყოფის მიზნით (5), ხოლო 128-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნტი ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომერციიდან წარმოშობილ რეგულირების საკითხებზე, მომხმარებელთა დაცვას ელექტრონული კომერციის ფარგლებში (6).

ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მოქმედ დირექტივებსა და საერთაშორისო აქტებს შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგი აქტები: 1. ევროკავშირის დირექტივა „შორ მანძილზე დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ (Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts) 2. ევროკავშირის დირექტივა 2000/31 „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Directive 2000/31/EC of the European Parliament and of the Council of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce, in the Internal Market ("Directive on electronic commerce")) 3. ევროკავშირის დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (EU Directive 2011/83/EU on Consumer rights of 25 October 2011).

ევროკავშირის დირექტივა არასამართლიანი პირობების შესახებ (Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts) (11). საერთაშორისო სავაჭრო პალატა ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებას განმარტავს, როგორც მხარეების კომპიუტერების მეშვეობით ქსელურად ან ელექტრონული გზავნილების საშუალებით ხელშეკრულების დადების ავტომატურ პროცესს (17).

საერთაშორისო ხელშეკრულებები

საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 35-ე მუხლი ნათლად აღნიშნული, რომ მხარეებს შეუძლიათ აირჩიონ სამართალი, კერძოდ: „სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, კერძოდ, ხელშეკრულებათა განმარტება, შესრულება, შეწყვეტა, აგრეთვე ბათილობის შედეგები, ვალდებულებათა დარღვევა, წინასახელშეკრულებო და ხელშეკრულების შემდგომი ვალდებულებების დარღვევის ჩათვლით, წესრიგდება მხარეების მიერ არჩეული ქვეყნის სამართალი“. აღნიშნულ პრინციპს ითვალისწინებს ჩინეთის „საგარეო ეკონომიკური ხელშეკრულებების შესახებ“ კანონი და შვეიცარიის „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონი.

საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართალში მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების სხვადასხვა მუხლები დაუქვემდებარონ სხვადასხვა ქვეყნის სამართალს, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების ფორმა შეიძლება დაექვემდებაროს გერმანულ სამართალს, ანგარიშწორების წესები განისაზღვროს ფრანგული სამართალით, ხოლო მისი განადგურების რისკი დაექვემდებაროს ავსტრიულ სამართალს. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 35-ე მუხლის მეორე ნაწილი ითვალისწინებს არჩეული ქვეყნის სამართალი მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს სხვა ქვეყნის სამართალით ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნულია, რომ სამართლის არჩევა ჩაითვლება ბათილად, თუ იგი უგულებელყოფს ხელშეკრულებასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართლის იმპერატიულ ნორმებს. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ კანონის 36-ე მუხლი მიუთითებს თუ რომელი ქვეყნის სამართალი უნდა იქნეს გამოყენებული, როდესაც მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი. თუ მხარეებს არ აურჩევიათ რომელიმე ქვეყნის სამართალი, ხელშეკრულება დაექვემდებარება მასთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებული ქვეყნის სამართალს. ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც მხარეს, რომელსაც დამახასიათებელი სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შეესრულებინა, ხელშეკრულების დადებისას ჰქონდა ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი ან ადმინისტრაციის რეზიდენცია. თუ ხელშეკრულების საგანია მიწის ნაკვეთზე უფლება ან მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება, ივარაუდება, რომ ხელშეკრულება ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც არის მიწის ნაკვეთი. ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც ხელშეკრულების დადებისას გადამზიდველს აქვს ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელი, თუ ამავე ქვეყანაშია დატვირთვის, გადმოტვირთვის ან გამგზავნის ძირითადი ადგილსამყოფელი. სხვა შემთხვევებში მოქმედებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობები. დაზღვევის ხელშეკრულებისას ივარაუდება, რომ იგი ყველაზე მჭიდროდაა დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, სადაც დასაზღვევი რისკის ძირითადი ნაწილი არსებობს.

მომხმარებელთა უფლებები და სასამართლო პრაქტიკა

„ხელშეკრულების უსამართლო მუხლების დირექტივა” (16) უზრუნველყოფს, რომ ხელშეკრულების ის პირობები, რომლებიც შექმნიან მნიშვნელოვან უთანასწორობას მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის, მიჩნეული იქნება უსამართლოდ და იურიდიული ძალის არ მქონედ (15). აღნიშნული დირექტივის დანართი განსაზღვრავს იმ პირობების სიას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს უსამართლოდ: ა) დაუშვებელია მოვაჭრის ან/და მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამორიცხვა მისი მოქმედებით ან უმოქმედობის გამოწვეული მომხმარებლის გარდაცვალების ან ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში; ბ) დაუშვებელია მომხმარებლის იმ უფლებების შეზღუდვა, რომლებიც მას ანიჭებს უფლებას მოვაჭრის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს ან/და წარადგინოს პრეტენზია; გ) დაუშვებელია ხელშეკრულების პირობებით მომხმარებლის დავალდებულება შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომელიც მის ნებაზეა დამოკიდებული; დ) დაუშვებელია მოვაჭრისათვის უფლების მინიჭება, რომ მის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში, არ გადაუხადოს მომხმარებელს კომპენსაცია; ე) დაუშვებელია მომხმარებლის დავალდებულება, მის მიერ ხელშეკრულებიდან გასვლის ან ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში გადაიხადოს შეუსაბამოდ მაღალი კომპენსაცია; ვ) დაუშვებელია მოვაჭრისათვის უფლების მიცემა, ნებისმიერ შემთხვევაში გავიდეს ხელშეკრულებიდან; ზ) დაუშვებელია მოვაჭრისათვის უფლების მიცემა სათანადო შეტყობინების გაგზავნის გარეშე გავიდეს ხელშეკრულებიდან, იმ შემთხვევაში როდესაც არ არსებობს ხელშეკრულებიდან შეუტყობინებლად გასვლის მნიშვნელოვანი გარემოებები; თ) დაუშვებელია მომხმარებლის სურვილის საწინააღმდეგოდ, ავტომატურად გაგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა; ი) დაუშვებელია ცალმხრივად შეიზღუდოს მომხმარებელი ხელშეკრულების იმ პირობებით, რომლებიც მისთვის ცნობილი არ არის ხელშეკრულების დადების ეტაპზე. კ) დაუშვებელია უფლება მიეცეს მოვაჭრეს, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, თუ არ არსებობს ის გარემოებები, რომლებიც პირდაპირ განსაზღვრულია ხელშეკრულებით; ლ) დაუშვებელია უფლება მიეცეს მოვაჭრეს, გაზარდოს მიწოდების, მომსახურების ან საქონლის ფასი მომხმარებლისათვის იმ უფლების მინიჭების გარეშე, რომ მან გააუქმოს შეკვეთა, თუ მისთვის საბოლოო ფასი აღმოჩნდება მეტისმეტად მაღალი; მ) დაუშვებელია უფლება მიეცეს მოვაჭრეს, თავად განსაზღვროს არის თუ არა მიწოდებული საქონელი ან/და მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი და ჰქონდეს მას უფლება შეცვალოს ხელშეკრულების ნებისმიერი პირობა ცალმხრივად; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში არსებული ვებ-გვერდების უმრავლესობა არღვევს ამ ვალდებულებებს (12, 43).

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებს, უპირველეს ყოველისა კი განსაზღვრავდა მომხმარებლის სტატუსს და ამ სუბიექტის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების თავისებურებებს (2, 109). საინტერესოა 2014 წლის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება. ანა ფირცხალაშვილმა „Georgia Summer Fest“-ის ბილეთები აგვისტოში, ონლაინ, biletebi.ge-ზე შეიძინა და მეუღლესთან ერთად, ბათუმში, კონცერტზე დასასწრებად გაემგზავრა. კონცერტზე შესვლისას ანამ აღმოაჩინა, რომ ბილეთზე მითითებული რიგი და ადგილი საერთოდ არ არსებობდა. თუმცა საიტზე ანამ კონკრეტული რიგის და ადგილის ბილეთები იყიდა, „ბილეთი აუცილებლად უნდა ყოფილიყო უკვე გაყიდული ადგილების გვერდით, რომელიც თავის მხრივ მონიშნული იყო, რათა არ დარჩენილიყო თავისუფალი ადგილი. შესაბამისად, ანამ შეარჩია სხვა 2 ადგილი: N83 და N84, რიგი A“. როგორც აღმოჩნდა, კონცერტის საყურებლად სულ ორი ზონა იყო გამოყოფილი, ერთი - ფეხზე დასადგომი, მეორე კი - VIP. ანას და მის მეუღლეს ბილეთებით არ უსარგებლიათ. იმავე საღამოს საიტის ადმინისტრაციას ელექტრონულ ფოსტაზე მისწერა, რომ თანხის უკან დაბრუნებას ითხოვდა. ანამ პასუხად მიიღო, რომ ბილეთი მხოლოდ კონცერტზე შესვლის საბუთი იყო, ხოლო ადგილი

და რიგი მხოლოდ საიტის ტექნიკური სამსახურისთვის, ბილეთის იდენტიფიცირებისთვის იყო აღნიშნული. ონლაინ შესყიდვების დროს მომხმარებელთა უფლებების დარღვევას მასობრივი ხასიათი აქვს. თუმცა, როგორც წესი, ისინი სასამართლოს არ მიმართავენ. ამიტომ ამგვარი შესყიდვების თაობაზე გამართული დავების სასამართლო პრაქტიკა ამ დღემდე არ არსებობდა. აღნიშნულ დავაზე სასამართლოს განმარტების თანახმად, კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც სამოქალაქო სამართალში უნივერსალური პრინციპია, არამხოლოდ პირდაპირ დადებულ ხელშეკრულებებზე, არამედ ინტერნეტ შეთანხმებებზეც ვრცელდება და, უფრო მეტიც, განსაკუთრებულად ვრცელდება - ამას ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს (ევროკავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანო) პრაქტიკაც ადასტურებს. ვინაიდან ონლაინ დადებული ხელშეკრულებისას მხარეებს ერთმანეთთან უშუალო კონტაქტი არ აქვთ, ინტერნეტით შეთავაზებული ონლაინ ხელშეკრულება უფრო ნათელი უნდა იყოს, ვიდრე პირისპირ, უშუალოდ დადებული. დათქმა, რომლის თანახმად, „ბილეთები ჯი“-ს საიტზე მყიდველის მიერ მხოლოდ შესვლის უფლების შეძენა ხდება, საიტზე არ იძებნებოდა. ასეც რომ იყოს, აღნიშნული დათქმა არ გამხდარა ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი, რადგან იგი არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 343-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის მოთხოვნებს (ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს). გონივრული განსჯის შედეგად, როგორც ეს გათვალისწინებულია სსკ-ის 52-ე მუხლით, მყიდველს შეეძლო ჩაეთვალა, რომ "ბილეთები ჯი"-სგან მან შეიძინა არა მხოლოდ შესვლის უფლება, არამედ დასაჯდომი ადგილი. შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება სსკ-ის 477-ე მუხლის და 498-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, დაიდო ამ პირობით და შპს. „ელ. ბილეთები“ ვალდებული იყო სსკ-ის 361-ე მუხლის, მე-2 ნაწილის მიხედვით აღნიშნული ვალდებულება შეესრულებინა ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. თუმცა, შპს. ელ. ბილეთებმა არ შეასრულა ვალდებულება, რის საფუძველზეც, როგორც მყიდველს მსურს 47 ხელშეკრულებიდან გასვლა და შესრულებულის უკან დაბრუნება. ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი საფუძვლები ამ შემთხვევაში იყო: სსკ-ის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადება და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" ქვეპუნქტი (21).

ვენის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებათა შესახებ“

ვენის კონვენცია „საქონლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ“, რომელიც მიღებულ იქნა 1980 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო ნასყიდობის სამართალში ყველაზე ცნობილ მრავალმხრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. აღნიშნული კონვენცია მიღებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1980 წლის 11 აპრილს (აღნიშნული კონვენცია საქართველოში ძალაშია საქართველოს პარლამენტის 03,02,1994 წლის დადგენილების საფუძველზე). კონვენციას საფუძვლად დაედო გაეროს გენერალური ასამბლეის მეექვსე სპეციალურ სესიაზე მიღებული რეოლუცია, რომელიც მიხედვითაც ხელშეკრულები სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ „საერთაშორისო ვაჭრობის განვითარება თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელი პირობების საფუძველზე არის სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობებისათვის ხელშეწყობის უმნიშვნელოვანესი ელემენტი, რომ ერთგვაროვანი ნორმების შემოღება, რომელიც მოაწესრიგებს საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებს და გაითვალისწინებს სხვადასხვა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და სამართლებრივ ბარიერების თავიდან აცილებასა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას“. აღნიშნული კონვენციით რეგულირდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მყიდველსა და გამყიდველს შორის უფლება-მოვალეობები, რომელსაც ეს ხელშეკრულება წარმოშობს. ვენის კონვენცია აგრეთვე მნიშვნელოვან დებულებებს შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით. კერძოდ კონვენციის 11-ე მუხლში მითითებულია, რომ: „აუცილებელი არ არის, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება დადებული ან დამტკიცებული იყოს წერილობითი ფორმით ან ექვემდებარებოდეს სხვა მოთხოვნას ფორმასთან დაკავშირებით. იგი შეიძლება დამტკიცდეს ნებისმიერი საშუალებებით მოწმეთა ჩვენებების ჩათვლით. კონვენციის მეორე ნაწილი მთლიანად ეთმობა ხელშეკრულების დადებას და

ოფერტის და აქცეპტის სტადიებს და იზიარებს კონტინენტური ევროპის სამართლის პრინციპს, კერძოდ მე-15 მუხლში აღნიშნულია, რომ ოფერტი ძალაში შედის, როდესაც მას მიიღებს ოფერტის ადრესატი. ამ კონვენციის II ნაწილის მიზნებისათვის ოფერტი, განცხადება აქცეპტის შესახებ ან განზრახვის შესახებ ან განზრახვის სხვა ნებისმიერი გამოხატვა ითვლება ადრესატის მიერ მიღებულად, როდესაც მას ამას აცნობებენ ზეპირად ან პირადად გადასცემენ ნებისმიერი საშუალებებით მის კომერციულ საწარმოში ან საფოსტო მისამართზე, თუ მას კომერციული საწარმო ან საფოსტო მისამართი არა აქვს, - მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე. ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად იმ მომენტიდან, როდესაც აქცეპტი შედის ძალაში კონვენციის თანახმად, ანუ ზოგადი წესის მიხედვით, ეს ხდება ოფერენტის მიერ აქცეპტის მიღებისას. მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, რომლებიც პასუხისმგებლობას აკისრებენ წუნდებული პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაშიც წუნდებული პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობისას მტკიცების ტვირთი ეკისრება დაზარალებულს (9, მუხლი 1112).

შედეგები

დღესდღეისობით საქართველოს კანონმდებლობაში ონლაინ მომხმარებელთა დაცვის კუთხით მოქმედებს მხოლოდ შემდეგი საკანონმდებლო აქტები: საქართველოს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი, საქართველოს კანონი ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, საქართველოს კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქმნის მომხმარებლის ინფორმაციის მიღების უფლების დაცვის ზოგად სტანდარტებს (4), რის საილუსტრაციოდაც შეგვიძლია მოვიყვანოთ გარიგების საცილოდ გახდომის შესაძლებლობა, თუ ნების გამოვლენა მოხდება არსებითი შეცდომის საფუძველზე (9, მუხლი 72). თუ პროდუქტის შესახებ ინფორმაცია არ იქნება მიწოდებული სრულყოფილად და მომხმარებელი არსებითი შეცდომის საფუძველზე შეიძენს პროდუქტს, რომელსაც იგი არ შეიძენდა რომ ჰქონოდა სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, მას შეუძლია გარიგება გახადოს საცილო, შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში, თუმცა უმეტეს შემთხვევაში, გამყიდველს არ აქვს სამართლებრივი ვალდებულება, უკმაყოფილო შემძენისაგან გაყიდული საქონელი უკან დაიბრუნოს, ან სხვა ნივთით შეცვალოს, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ან მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი კანონმდებლობით (10).

დასკვნა

ელექტრონული სახით დადებული ხელშეკრულება მნიშვნელოვნად სრაფ და ეფექტურს ხდის ბიზნესის განვითარებას. მნიშვნელოვანია, აღნიშნული ფორმით დადებული ხელშეკრულების უსაფრთხოების დაცვა. დღესდღეისობით ყველაზე მეტად გავრცელებულია კრიპტოგრაფიული მეთოდი. კრიპტოგრაფიული სისტემა ყოველთვის გულისხმობს 2 ან მეტ მონაწილეს, „გამგზავნს“ და „მიმღებს“, რომელთაც სურთ ერთმანეთს გადასცენ რაიმე სახის ინფორმაცია. ისე რომ ამ სისტემის გარეშე პირმა ვერ შეძლოს ამ ინფორმაციის მოპოვება. (კერძო შემთხვევებში მონაწილე შეიძლება იყოს ერთი პირი, რომელსაც სურს მოახდინოს ინფორმაციის საიმედოდ შენახვა, ანუ ინფორმაცია გადასცეს თავის თავს, ოღონდ მომავალში).

უსაფრთხოების ექსპერტები დღესდღეისობით ამ მეთოდში გამოარჩევენ კრიპტოგრაფიული ხელმოწერის მეთოდს რომელიც Public Key Infrastructure (PKI - საჯარო ინფრასტრუქტურის

გასაღები) სახელითაა ცნობილი. 2000 წელს აშშ-ში მიღებული ზემოაღნიშნული აქტის შემდგომ მრავალი ონლაინ სერვისის განმახორციელებელი კომპანიები სწორედ ასეთი სახით არსებულ ელექტრონულ კონტრაქტებსა და ხელმოწერებს იყენებენ. ეს მეთოდი ფუნქციონირებს ზუსტად ისე, როგორც ჩვენ ვიყენებთ ე.წ. PIN კოდებს ჩვენი საბანკო ბარათებისთვის.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით აღნიშნული კანონი ავალდებულებს კომპანიებს ელექტრონული შეთანხმებების პარალელურად მომხმარებელს შესთავაზონ ჩვეულებრივი, ქაღალდზე დადებული ხელშეკრულება. ეს ვალდებულება ითვალისწინებს საშუალებას ელექტრონული კონტრაქტის დადების შემდეგაც კი წერილობითი ხელშეკრულების დადებას. ამასთან, ელექტრონული ხელშეკრულება და ზოგადად შეთავაზება უნდა ითვალისწინებდეს იმ პროგრამულ თუ ტექნიკურ საშუალებებს და დასახელებებს, რომლებიც საჭიროა აღნიშნული ონლაინ გარიგების შესასრულებლად. ასეთი ინფორმაციის არ არსებობა შესაძლებელია გახდეს უკვე დადებული ელექტრონული ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბისონია ზ. 2011. *ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი*. თბილისი: მერიდიანი.
2. ლაკერბაია თ. 2014. ხელშეკრულების დადებზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება ევროპის მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში. *თსუ-ს სამართლის ჟურნალი*. თბილისი.
3. ლილუაშვილი თ. 2001. *საერთაშორისო კერძო სამართალი*. თბილისი: ჯისიაი.
4. ჭანტურია ლ., ჯიბუტი ს. 2013. მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. *50 საიუბილეო გამოცემა*. თბილისი: დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი.
5. ასოციების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (ქართული თარგმანი), ხელმისაწვდომია mfa.gov.ge, მუხლი 127, პუნქტი 2.
6. ასოციების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (ქართული თარგმანი), ხელმისაწვდომია mfa.gov.ge, მუხლი 128, პუნქტი 1, ქვეპუნქტი დ.
7. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ. 1980.
8. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ. 29 აპრილი, 1998 წელი.
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
10. Ben-Shahar O., Posner E. A 2011. The Right to Withdraw in Contract Law. *Journal of Legal Studies*, Vol. 2: 40-115.
11. Lawson L. 1999. *Unfair Terms in Consumer Contract Regulation*. SI 1999/2083.
12. Lawson L. *Exclusion clauses and unfair contract terms*. 6th edition.
13. Luzak J. 2014. Online Consumer Contracts. *Amsterdam Law School Legal Studies Research*. No. 47.
14. Nielsen C. K., Jervelund Ch., Pedersen K. G., Rytz B., Hansen E., Ramskov J. L. 2007. *Study on the Electronic Impact of the Electronic Commerce Directive*.
15. Steven O., Kimbrogh D.J., Wu D. (eds.). 2015. *Formal Modelling in Electronic Commerce*. NY: Springer.
16. Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts.
17. International Chamber of Commerce (ICC), General Usage for International Digitally Ensured Commerce (GUIDEC), Version II. www.iccwbo.org
18. Law of Electronic Commercial Transactions: Contemporary Issues in the EU, US and China (Routledge Research in IT and E-Commerce Law), Routledge, 2010.
19. World Wide Web (WWW)
20. <http://ilawge.blogspot.com/>
21. <http://www.liberali.ge/ge/liberali/articles/121797/> (ბოლოს ნანახია 11/06/2015).

Electronic Agreements

Summary

Consumers' rights protection in the field of electronic commerce is the most important issue in the legislation of developed legislation. The thesis defines the concepts of consumer and electronic contract, types of electronic contract and the time and place of its conclusion. After studying the EU law principles, various issues of common standards and further researches, consumer rights from online contracts and the existing practice in Georgia are discussed and Vienna Convention on Contracts for the International Sale of Goods was enacted by the United Nations on April 11, 1980 which is the most famous versatile agreement in the international sale law.

In Georgian law, a contract is considered as an agreement between two or more juridical or physical parties which creates, decides or changes private legal rights and responsibilities based on the agreement and legal norms, that operate in the territory of the state where the agreement was bound.

There are various types of agreement: unilateral and bilateral, real and consensual, onerous and gratuitous, etc. Codes of the European countries distinguish the most common types of contracts: sales contract, conveyancing, bank, insurance and other agreements. Parties of the aforementioned agreements are mainly juridical and physical persons of different countries and it is natural to argue over applicable legal norms.

It is necessary to bind a contract for different kinds of services in any foreign commerce operation like a buy-sell. Mainly, while binding an agreement, the focus is on the subject of a contract. In the commercial contract, the subject of the agreement is quality and quantity traits of the goods, terms of delivery, transport conditions, etc.

The issue about electronic contract has become quite topical. Electronic contract is a contract of electronic form where a written form is not used and there is an electronic signature. If you send this contract by e-mail and it will be returned with e-signature, the contract is created and effective. E-contract can be in the form of "Accept" button click with software downloads. In this case the user (subscriber) agrees "I agree" button and the contract is ready.

Electronic contracts cannot be done in any kinds of legal documents. The USA legislation makes some exceptions, namely: wills and apostilles, proxies, court orders, notifications, petitioning and other procedural documents, eviction and enforcement papers, insurance reimbursement documents, divorce, adoption and other familial affairs, dangerous goods and substances, products with an explosion hazard transportation, bankrupt and other related issues.

აბსტრაქტი

სტატიის შინაარსი ასახავს ჩანასახის სამართლებრივ მდგომარეობას, რაც მოიცავს მისი ადგილის განსაზღვრას სამართლებრივ სივრცეში: - უნდა მივიჩნიოთ ჩანასახი სამოქალაქო სამართალურთიერთობის სუბიექტად, თუ განხილულ უნდა იქნეს როგორც სამოქალაქო ბრუნვის საგანი - ობიექტი.

დასმულია საკითხი იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ღირსების უფლებით ისარგებლოს ჩანასახმა, თუკი მას სამოქალაქო ბრუნვის საგანთან - ობიექტთან გავაიგივებთ.

სტატიაში განხილულია ჩანასახის სიცოცხლის უფლება, უთანაბრდება თუ არა ის ადამიანის სიცოცხლის უფლებას და როგორ წყდება საკითხი დაბადებული და დაბადებამდელი სიცოცხლის ინტერესთა კონფლიქტის დროს. ამ საკითხთან მიმართებაში განხილულია როგორც მეცნიერული შეხედულებები, გასხვავებული მოსაზრებები და კომენტარები, ასევე თანამედროვე სასამართლო პრაქტიკა.

ყურადღებაა გამახვილებული ჩანასახის, ემბრიონის, ფეტუსის ზიანის ანაზღაურების უფლებაზე, რაც მოიცავს მუცლადყოფნის დროს სხვისი (მათ შორის დედის) მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას, რაც დაბადების შემდეგ ხორციელდება. ამ მხრივ, საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დედის პასუხისმგებლობის განსაზღვრა, რადგან აბორტის ლეგალიზაციის შედეგად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს ვიღებთ.

სტატიაში ასახულია ასევე ჩანასახის მემკვიდრედ ყოფნის უფლება. მისი სამართლებრივი რეგულაციები თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან მიმართებაში. მისი სამართლებრივი რეგულაციები თანამედროვე მედიცინის მიღწევებთან მიმართებაში. კერძოდ, სსკ-ის 1188-ე მუხლით იმპერატიულად დაწესებული 10 თვიანი ვადა ყოველგვარ აზრს კარგავს და საკანონმდებლო ვაკუუმს ქმნის. განხილულია ამ საკითხის გადაჭრის გზების ძიება, რაც, საბოლოო ჯამში, მოგვცემს პრობლემის სწორი სამართლებრივი რეგულაციის შესაძლებლობას.

საძიებო სიტყვები: ჩანასახის სტატუსი, სუბიექტი, ობიექტი, სიცოცხლის უფლება, ზიანი, მემკვიდრედ ყოფნის უფლება.

შესავალი

ზოგადად, კანონისა და სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, ფეხი აუწყოს ცხოვრებისეულ, ყოფით, ტექნიკურ თუ სხვა სიახლეებსა და მიღწევებს. უზრუნველყოს სხვადასხვა სამეცნიერო სფეროებში მიღწეული შედეგების შესაბამისი სამართლებრივი რეგულაცია, რათა არ წარმოიშვას საკანონმდებლო ლაფსუსი, ანუ არსებობდეს კონკრეტული შემთხვევა, რომლის დარეგულირებაც არ იყოს შესაძლებელი შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არარსებობის გამო. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე მედიცინის მიღწევებმა ხელოვნური განაყოფიერების სფეროში, ბევრი ისეთი პრობლემატური საკითხი წამოჭრა, რომელიც სამართლისთვის სრულიად უცხო და მოულოდნელი აღმოჩნდა და რომელიც ითხოვს განსხვავებულ საკანონმდებლო რეგულაციას, რაც ბოლომდე გადაჭრილი ჯერ კიდევ

არ არის. უფრო კონკრეტულად, პრობლემატურია ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, ჩანასახის სამართლებრივი დაცვა.

ჩანასახის, ემბრიონის სამართლებრივი სტატუსი

პირველ რიგში, იმისათვის, რომ გაირკვეს ჩანასახის (ფეტუსის, ემბრიონის) სამართლებრივი სტატუსი, უნდა განისაზღვროს მისი ადგილი სამართლებრივ სივრცეში - უნდა მივიჩნიოთ ის სამოქალაქო სამართალურთიერთობის სრულფასოვან, სრულუფლებიან სუბიექტად თუ განხილულ უნდა იქნას როგორც სამოქალაქო ბრუნვის საგანი - ობიექტი.

როგორც წესი, სუბიექტად ყოფნა, გულისხმობს პირის უნარს, იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, რაც, ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებულია უფლებაუნარიანობაზე, რადგან „უფლებაუნარიანობის გარეშე ადამიანი ვერ იქნება კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი და, შესაბამისად, ვერ იქნება პირი (3,100). ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის შესაბამისად - ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობა - უნარი, ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა დაბადებისთანავე (10,14). მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უზოგადესი პრინციპი უფლებაუნარიანობის წარმოშობას დაბადების ფაქტს უკავშირებს, უფლებაუნარიანობის ელემენტები ჩანასახის შემთხვევაში სიცოცხლის დაბადებას დროით წინ უსწრებს. იურიდიული ფიქციის გზით აღიარებენ, რომ ამ შემთხვევაში ნაყოფი უფლებაუნარიანია“ (7,133). თუმცა ეს უფლებაუნარიანობა შეზღუდულია, რადგან იგი ეხება მხოლოდ უფლებებს, ისე, რომ ჩასახულს არ შეიძლება დაეკისროს რაიმე მოვალეობა. ხოლო ფრანგულ იურისპუდენციაში არსებული განსხვავებული შეხედულების თანახმად, რომელიც არ სჯერდება ჩანასახისათვის უფლებაუნარიანობის სტატუსის მინიჭებას და მას უკვე სამართლის სუბიექტად აცხადებს. კერძოდ, ამ მოსაზრების შესაბამისად, ჩასახვის მომენტიდან უკვე სახეუა *personne humaine*, რომელიც სამართლის სუბიექტია. ყველაფერი შემდგომ ეს არის სამართლის ექსისტენციური დამოუკიდებლობისაკენ განვითარება, რომელიც საბოლოოდ განმტკიცდება დაბადებით (7,133). ამასთან, განიხილება ის საკითხიც, შეიძლება თუ არა ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებულ ემბრიონს უკვე პიროვნების სტატუსი მივანიჭოთ და ტრადიციული გაგებით ჩანასახს გავუთანაბროთ (8,167). თუმცა მეცნიერული დოქტრინის აზრთა ერთიანობა არსებობს იმაზე, რომ განაყოფიერებული, განვითარებაუნარიანი ემბრიონი არ შეიძლება ჩავთვალოთ ნივთად (7,136).

განხილულ შეხედულებებს ერთგვარად უპირისპირდება თანამედროვე რეპროდუქციურ პირობებში ფართოდ დანერგილი ხელოვნური განაყოფიერების შედეგად შექმნილ ემბრიონთა კონსერვაცია - გაყინვა, როგორც უსასყიდლო ისე სასყიდლიანი დონაცია - გაშვილება, რაც, ფაქტობრივად, ემბრიონის სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობას ცხადოფს.(1,9). სამოქალაქო ბრუნვაში ემბრიონისა და ჩანასახის მონაწილეობა მას წარმოაჩენს ბრუნვაუნარიან ნივთად, რაც ნიშნავს, რომ რომ ემბრიონი შეიძლება იყოს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში გარიგების საგანი. ხოლო „საგანი, როგორც ნივთის ზეცნება, არის ბუნებრივი სამყაროს ინდივიდუალიზებადი ქონებრივი ობიექტი, რომელზეც უფლებამოსილ პირს სამართლებრივი ძალაუფლების აღსრულება შეუძლია“ (6,159).

თანამედროვე ქართული დოქტრინა ემბრიონს განიხილავს სპეციალურ კატეგორიად, მოცემული მსჯელობა „განპირობებულია იმ უნიკალური თვისებით, რაც მას ნივთებისგან გამოარჩევს, კერძოდ, უნარი- იმპლანტაციისა და გუსტაციის შედეგად გახდეს ადამიანი“ (1,16). ამასთან, ჩანასახი, ემბრიონი „ნივთი არ არის და მისი ბრუნვაში მონაწილეობაც დაუშვებელი უნდა იყოს, თუმცა არსებული სამართლებრივი რეჟიმის პირობებში, როცა სხეულს გარეთ არსებული პრემბრიონი შესაძლებელია, როგორც სასყიდლით ისე უსასყიდლოდ სხვას

გადაეცეს (დონაცია), მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შენახულ იქნეს (კონსერვაცია), იგი უნდა განვიხილოთ სამართლის სპეციალურ ობიექტად, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის „კვაზი ქონება“, რომელზეც გარკვეულ შემთხვევებში ვრცელდება ქონებასთან დაკავშირებული ნორმები(1,162).

ამასთან, იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია, რომ ღირსება, როგორც ადამიანის უზესაესი, ხელშეუვალი, თანაარსი და განუყოფელი ღირებულება, აქვს ადამიანის ემბრიონს, ჩანასახს, ფეტუსს. იგი დაცულია ადამიანის ღირსების ძირითადი უფლებით. რადგან ღირსების სამართლებრივი გაგება გაცილებით მეტია ვიდრე მისი ყოფითი მნიშვნელობა. საგულისხმოა, რომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტურად დაცული, მაშინ, როდესაც მისი ღირსების აბსოლუტური დაცვა უზრუნველყოფილია. (ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ (ოვიდოს) კონვენციის (1997) განმარტებით, კონვენციის პირველ მუხლში მითითებული სიტყვა „ადამიანი“ გულისხმობდა იმას, რომ ადამიანის ღირსება და თვითმყოფადობა დაცული უნდა ყოფილიყო ჩასახვისთანავე) (4,109). ამ თვალსაზრისით, შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი სახის კითხვა: თუკი შესაძლებელია ემბრიონის ფეტუსის, ჩანასახის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად, თუნდაც სპეციალურ კატეგორიად განხილვა, მაშინ რამდენად არის შესაძლებელი ღირსების უფლებით სარგებლობდეს სამოქალაქო სამართალწარმოებაში ეს ბრუნვაუნარიანი ობიექტი?

ამდენად, დაბადებამდე ბავშვის სტატუსი ჯერ კიდევ გაურკვეველია და საბოლოოდ ჩამოყალიბებული არაა, როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო სამართალში. ჯერ კიდევ ერთმნიშვნელოვნად შეჯერებული არაა ჩანასახის სტატუსი, ვინაიდან თავისი იურიდიული ბუნებით, თავის თავში მოიცავს, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, ასევე ობიექტის გარკვეულ ელემენტებს. თუმცა მისი ცალსახად გამიჯვნა - ჩანასახის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ- სუბიექტად, ან ჩანასახის, როგორც ამ ურთიერთობის ობიექტად მიჩნევა, სამართლებრივი თვალსაზრისით, შეუძლებელია.

ჩანასახის სიცოცხლის უფლება

ადამიანის სიცოცხლის უფლება უზენაეს სამართლებრივ ღირებულებას წარმოადგენს. მას კონსტიტუციის მე-15 მუხლი იცავს (12,12). სიცოცხლის უფლება დამცავი უფლებაა და ეს უფლება გააჩნია ყველა ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი წესის თანახმად, სიცოცხლის დაცვის წარმოშობა ადამიანის დაბადებას უკავშირდება, კონსტიტუციის განმარტებისას იურიდიულ დოქტრინაში აღიარებულია ჩანასახის სიცოცხლის უფლება, ვინაიდან სწორედ ჩასახვიდან იწყება „თანმიმდევრული ბიოლოგიური განვითარების პროცესი, რომლის განმავლობაშიც უკვე საკუთარი, კონკრეტული ინდივიდუალობის მქონე სიცოცხლე თანდათანობით ადამიანის სახეს იძენს“(6,46). ამდენად, ეს უფლება წარმოიშობა ადამიანის ჩასახვისთანავე, თუმცა დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლე არასრულყოფილად არის დაცული.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით - „ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არავის სიცოცხლე არ შეიძლება განზრახ იყოს ხელყოფილი (1,25). ვინ მოიაზრება „ყველაში“ და ვრცელდება თუ არა აღნიშნული მუხლი ჩანასახზე, კონვენციაში დაკონკრეტებული არ არის და დღემდე საკამათო თემად რჩება (1,25). თუმცა ზოგიერთი კომენტატორი არ გამოორიხავს იმის შესაძლებლობას, რომ მითითებულმა ნორმამ დაიცვას დაუბადებელი სიცოცხლე. მაგრამ სანამ კონვენციის მე-2 მუხლის გავრცელებას დაბადებამდე სიცოცხლეზე არ გაეცემა კატეგორიული პასუხი, თითოეულ კონკრეტულ საქმეში აღნიშნული საკითხი თავიდან საჭიროებს განხილვას.

დაბადებამდელი ბავშვის - ფეტუსის („ფეტუსად განიხილება ადამიანის ნაყოფი 8 კვირის ასაკიდან) სიცოცხლის უფლება მჭიდროდაა გადაჯაჭვული აბორტის თემასთან. ემბრიონის სიცოცხლის აბსოლუტური უფლების აღიარება აბორტის სრულ აკრძალვას მოითხოვს და ხშირად უპირისპირდება დედის უფლებებს და ხშირად მის სიცოცხლის უფლებასაც, როდესაც ორსულობა სერიოზულ რისკთანაა დაკავშირებული. აბორტის აკრძალვა იმის აღიარება იქნებოდა, რომ ფეტუსის დაუბადებელი სიცოცხლე უფრო მაღალი ღირებულებაა, ვიდრე ორსული ქალის სიცოცხლე, ამიტომ ფეტუსის სიცოცხლის უფლება მხოლოდ ნაწილობრივად დაცული (4,74). ქართული კანონმდებლობით, აბორტი ნებადართულია თუკი ნაყოფის ასაკი არ აღემატება 12 კვირას, ხოლო 12 კვირის შემდეგ აბორტი მხოლოდ სამედიცინო ან სოციალური ჩვენებით არის ნებადართული (10,39).

იმდენად, რამდენადაც დაბადებამდელი სიცოცხლის სამართლებრივი დაცვის მექანიზმები ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი და არასრულყოფილია, სასამართლო პრაქტიკაც საკმაოდ მწირია, თუმცა საინტერესო და მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხება დავას - განაყოფიერებული კვერცხუჯრედის - ემბრიონის ბედის განსაზღვრას - სიცოცხლის მინიჭების საკითხს. უფრო კონკრეტულად- საქმე ეხება ოჯახური წყვილის სურვილს, თავიანთი გენეტიკური მასალის შექმნით და სუროგატი დედის მეშვეობით გაეჩინათ თავიანთი ბიოლოგიური შვილი. თუმცა, განქორწინების შემდეგ, პოტენციური მამა უარს აცხადებს გაყინული კვერცხუჯრედის - პრეემბრიონის სიცოცხლის მინიჭების თაობაზე.

სასამართლომ, თავისი გადაწყვეტილებით, აღიარა გაყინული კვერცხუჯრედის სიცოცხლის უფლება იმ თვალსაზრისით, რომ ბიოლოგიური დედის სურვილს (და ამავდროულად ერთადერთ შანსს გახდეს დედა) დაუქვემდებარა განაყოფიერებული- გაყინული კვერცხუჯრედის სიცოცხლის მინიჭების საკითხი პოტენციური მამის უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე, რადგან, როგორც გადაწყვეტილებაშია აღნიშნული - „ამ შემთხვევაში კანონმდებლობა ემბრიონს მთლიანად დედის დისკრეციის სფეროში აქცევს. შესაბამისად, კანონმდებლობა ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც მამაკაცის პირადი ცხოვრების ასპექტი ქალისა თუ ემბრიონის უფლებებისა და ინტერესების გათვალისწინებით გარკვეულწილად იზღუდება. მითითებული გარემოება წარმოადგენს იმ ფაქტორს, რომელიც სასწორის საპირწონეს დედის სასარგებლოდ გადასწონის“(14,7-8).მართალია სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში ემბრიონს სიცოცხლის უფლება მიანიჭა, მაგრამ ეს მოხდა მისი - ემბრიონის სიცოცხლის უფლებისა და ბიოლოგიური დედის უფლებათა თანხვედრის, არაკონფლიქტურობის ხარჯზე. უფრო ზუსტად, გადაწყვეტილება გამოდის მხოლოდ პოტენციური, ბიოლოგიური დედის ინტერესიდან (მხედველობაში იღებს რა მის ჯანმრთელობის მდგომარეობას და ერთადერთ შანსს გახდეს დედა), წინა პლანზე არაა წამოწეული თავად ემბრიონის - დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლება. გადაწყვეტილებიდან ჩანს, რომ ემბრიონი განიხილება, როგორც ობიექტი, საგანი, რომელზედაც მიმართულია დედის და მამის უფლებები და მოვალეობები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩანასახის უფლებები (მოცემულ შემთხვევაში სიცოცხლის უფლება) შეზღუდულია.

ზიანის ანაზღაურების უფლება

მართლია, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მუცლად ყოფნის დროს დაბადებამდელი ბავშვის უფლებები შეზღუდულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს ამ უფლებათა სრულ იგნორირებას. პირიქით, ზოგიერთი ქვეყნის სამართალი ჩანასახის უფლებებს საკმაოდ გაფართოებულ ფარგლებში განიხილავს. ავსტრიული სამართლის მიხედვით დედის საშვილოსნოში მყოფ ჩანასახს უფლება აქვს დაბადების შემდეგ მოთხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას საშვილოსნოში ყოფნის დროს მიადგა სხვისი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო. ზიანი შეიძლება წარმოიშვას ავტოავარიის ან დედისთვის არასწორად დანიშნული მედიკამენტების შედეგად (7,136).

გერმანული სამოქალაქო კოდექსის 823-ე პარაგრაფი (2,625) ითვალისწინებს სხეულისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობას. თუ მესამე პირის ბრალეული ქმედების შედეგად ზიანი მიადგება როგორც დედას, ასევე ჩანასახს, ამ უკანასკნელს აქვს კონპენსაციის მოთხოვნის უფლება დედის მოთხოვნისგან დამოუკიდებლად. გერმანული სასამართლოს მიერ მსგავსი კატეგორიის საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მუცლად ყოფნის დროსაც ბავშვს აქვს „ჯანმრთელად აღზრდის გამართლებული და დაცული მოლოდინი“ (1,38). გერმანული სამართალი უფრო შორს მიდის და კონპენსაციის ვალდებულებას აკისრებს პირს იმ ზიანისთვის, რომელსაც ჩასახვამდე ქონდა ადგილი. კერძოდ, სამედიცინო დაწესებულებას დაეკისრა ზიანის ანაზღაურება ბავშვის სასარგებლოდ ჩასახვამდე დედის დაინფიცირებისათვის, რამაც მისი მძიმე ფიზიკური ნაკლით დაბადება გამოიწვია (1,38).

საკამათოა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს დედის პასუხისმგებლობის განსაზღვრა, როდესაც არაჯანსაღი ცხოვრების სტილით, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარებით ან აუცილებელ სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმით ზიანი ადგება დაუბადებელ ბავშვს., რადგან აბორტის ლეგალიზაციის შედეგად ურთიერთგამომრიცხავ შედეგებს ვიღებთ:- ერთის მხრივ, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანი მიადგა ჩანასახს, მაგრამ ბავშვი დაიბადა, დედა პასუხს აგებს, მაშინ, როცა უფრო დიდი ზიანი, ჩანასახის არსებობის შეწყვეტა დედის კანონიერ უფლებაში თავსდება. როგორც წესი, აღნიშნული კონფლიქტის პირობებში, საკითხი ჩანასახის სასარგებლოდ არ წყდება, ვინაიდან იგი აღიარებული არ არის სამართლის სუბიექტად და უპირატესობა ენიჭება დედის ინტერესს (1,39).

ქართულ კანონმდებლობაში მუცლადყოფნისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე არაფერია ნათქვამი, თუმცა, ამ საკანონმდებლო ხარვეზის შევსებამდე, მსგავს შემთხვევებზე საავრაუდოდ უნდა გავრცელდეს ზოგადი დელიქტური ნორმები.

მემკვიდრედ ყოფნის უფლება

ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა, ძირითადად უკავშირდება მემკვიდრედ ყოფნის უფლებას სამოქალაქო სამართლებრივი დაცვის თვალსაზრისით. როგორც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად- მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე (13,14), თუმცა ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე. ამასთან, ჩანასახი შესაძლოა იყოს როგორც კანონით ისე ანდერძით მემკვიდრე. სსკ-ის 1336-ე მუხლი (13,425) პირველი რიგის კანონით მემკვიდრეთა შორის თანასწორი უფლებით გარდაცვლილის სხვა შვილებთან ერთად განიხილავს შვილს, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა იმ პირობით, თუ არ არის გასული მამკვიდრებლის გარადცვალებიდან ათ თვეზე მეტი-მ 1188 (13, 376). თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გვერდს ვერ ავუვლით თანამედროვე მედიცინის მიღწევებს, რამაც შესაძლებელი გახადა ჯერ კიდევ სინჯარაში მყოფი ემბრიონის საკმაოდ დიდი პერიოდით გაყინვის შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში სსკ-ის 1188-ე მუხლით იმპერატიულად

დაწესებული 10 თვიანი ვადა ყოველგვარ აზრს კარგავს და საკანონმდებლო ვაკუუმს ქმნის. ჩნდება აბსოლუტურად ლეგიტიმური კითხვები: - მოცემულ შემთხვევებში რომც იქნეს მიჩნეული ჩანასახი გარდაცვილილის კანონიერ მემკვიდრედ, 10-20- 30 წლის შემდეგ გაყინული კვერცხუჯრედით დაზარალებული ბავშვი მაინც ვერ ისარგებლებს სრულყოფილად მემკვიდრეობის უფლებით, ვინაიდან, სავარაუდოდ, და დიდი ალბათობით, სამკვიდროდან ფიზიკურად არაფერი იქნება დარჩენილი.

ამდენად, სასურველია სსკ-ის 1336-ე და 1188-ე მუხლები გავრცელდეს მხოლოდ სამედიცინო ჩარევის გარეშე არსებულ ფიზიოლოგიურ ჩანასახზე, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში შემუშავებულ იქნას ახალი საკანონმდებლო რეგულაცია.

დასკვნა

ამდენად, სტატიაში განხილული სამართლებრივი ნორმების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერული კვლევებისა და შეხედულებების შესაბამისად, დაზარალებული სიცოცხლის სტატუსი და მისი დაცვის მექანიზმები საკმაოდ ფაქიზი, პრობლემური და აქტუალური საკითხია და საჭიროებს განსაკუთრებულ მიდგომას, განსხვავებულ საკანონმდებლო რეგულაციას, რადგან ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული, სრულყოფილი არაა არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობაში და საჭიროებს დახვეწას და სრულყოფას. ვფიქრობთ, განხილულ საკითხებზე ყურადღების გამახვილება მეტად დაგვეხმარება და სწორ, გამართულ სამართლებრივ შედეგებამდე მიგვიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურდული ი. გოცირიძე ე. ერქვანია თ. ზოიძე ბ. იზორია ლ. კობახიძე ი. ლორია ა. მაჭარაძე ზ. ტურავა მ. ფირცხალაშვილი ა. ფუტკარაძე ი. ქანთარია ბ. წერეთელი დ. ჯორბენაძე ს. 2013. *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე - საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი*. თბილისი: პეტიტი.
2. გელაშვილი ი. 2012. *ჩანასახის სამართლებრივი მდგომარეობა*. თბილისი: მერიდიანი.
3. კერესელიძე დ. 2009. *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*. თბილისი: ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი.
4. კროპპოლერი ი. 2014. *გერმანიის სამოქალაქო კოდექსი სასწავლო კომენტარი*. თბილისი. GIZ.
5. ჭანტურია ლ. 2013. *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*. თბილისი: სამართალი.
6. ჭანტურია ლ. 2001. *უძრავი ნივთების საკუთრება*. თბილისი: სამართალი.
7. ჭანტურია ლ. 1997. *შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში*. თბილისი: სამართალი.
8. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.
9. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი.
10. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/1852-14.
11. საქართველოს კონსტიტუცია.
12. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
13. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი.
14. Staudinger/Weick/Habermann ,1995.

Regulations of Legal Protection of Germ

Summary

The content of the article reflects legal condition of the germ what includes definition of its place in the legal space: whether we shall consider the germ as subject of civil legal relationships or we shall examine it as subject - object of civil turnover. As a rule, being a subject means an ability of a person to be participator of legal relationships what depends on capability, because without capability a man could not be a subject of private legal relationships and correspondingly, could not be a person. In the work there are analyzed different opinions of legal doctrine in connection to the mentioned questions: how it is possible to consider yet unborn life as capable, because according to Georgian legislation, capability i.e. an ability of a person to have civil rights and obligations is related to his/her birth. We also discuss how the germ contains characteristics of an object of civil turnover. There is put a question on how the germ could enjoy right of dignity if we equal it to the item-object of civil turnover.

In the article there is examined viability of germ, whether it is equaled to the life right of the human and how the matter is decided at the time of conflict of interests of life at or before birth. In connection to this question there are examined scientific opinions, different thoughts and comments as well as modern court practice. Attention is also focused on the right of compensation of damage of germ, embryo, what includes the right of compensation of damage caused by illegal actions of other (among them mother's) people when it is in abdomen. This compensation shall be realized after birth. From this part, it is disputable and causes differences in opinions definition of mother's liability, because as result of legalization of abortion, we get different outcomes: on the one hand, if the germ is damaged by offensive action but the child was born, mother is responsible, and this is when bigger damage, ceasing of germ's existence, is legal right of the mother.

The work also includes the right of the germ to be an heir; its legal regulations toward achievements of modern medicine. Particularly, 10 months period imperatively determined by the Article 1188 of the Georgian Civil Code loses its sense and creates legislative vacuum. There is examined searching of ways for solving this question, and in total this will allow correct legal regulation of the examined problem. More concretely, according to the second part of the Article 11 of the Georgian Civil Code, the right to be an heir appears immediately upon conception, although realization of this right depends on birth. Besides the, germ can be an heir by law so, an heir by testament. The Article 1336 of the Georgian Civil Code, among heirs by law of the first row together with other children of the deceased, examines with equal right a child who was born after his death under condition that not more than ten months are passed from the death of the ancestor – the Article 1188. Although, here we shall note that we cannot ignore achievements of modern medicine what made it possible to freeze embryo being in probe for a quite long period. In this case, the 10 month period imperatively regulated by the Article 1188 of the Georgian Civil Code loses its sense and creates legislative vacuum. Here absolutely legitimate questions appear: - even if in the given case the germ is considered to be a legal heir of the deceased, a child born from frozen ovum after 10, 20, 30 years cannot completely use the right of heritage anyway, because supposedly and with great possibility nothing will be left from the heritage. Therefore, it is desirable the Articles 1336 and 1188 of the Georgian Civil Code to be spread only on physiologic germ existed without medical intervention, and in all other cases to develop new legislative regulation.

**ნარკოტიკული საშუალების - მარიხუანის შექმნა/შენახვის და ექიმის დანიშნულების გარეშე
უკანონოდ მოხმარების გამიჯვნა და კვალიფიკაცია**

აბსტრაქტი

აღნიშნული კვლევის განხორციელებისას განვიხილავთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ რა ცვლილებები განხორციელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. შევხებით ნარკოტიკული საშუალების გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვის მცირე ოდენობით კვალიფიკაციის საკითხებს. როგორც მსგავსების ისე გამოიჯვინის კუთხით.

მიზნად ვისახავთ გამოვიკვლიოთ და გამოვყოთ ის ძირითადი პრობლემები, რაც შეიძლება შეიქმნას საგამომიებო და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პარლამენტი არ შეიტანს სათანადო ცვლილებებს და დამატებებს სსკ-ის 260- და 273-ე მუხლებში.

მოვიყვან ჰიპოტეტურ შემთხვევებს და შევეცდებით მივცეთ სამართლებრივი კვალიფიკაცია განსახილველ მუხლებთან მიმართებით. რაც მოგვცემს შესაძლებლობას გავაკეთოთ დასკვნები აღნიშნული ნორმების კოლიზიის და ნორმათა კონკურენციის შესახებ.

ნაშრომის ბოლო ნაწილში შემოგთავაზებთ მსგავსებას და განსხვავებას განხილული მუხლებისას ნარკოტიკული საშუალების გამომშრალი მარიხუანის მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის და პირადი მოხმარების კონტექსტში. რაც მკითხველს შესაძლებლობას მისცემს დაინახოს ის პრობლემა, რაც შეიძლება წარმოიშვას საკონსტიტუციო სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

სამიებო სიტყვები: სსკ-ი (სისხლის სამართლის კოდექსი,) გამომშრალი მარიხუანა, სამართლის ნორმათა კოლიზია, ნორმათა კონკურენცია, დიდი ოდენობა, მცირე ოდენობა, შეძენა/შენახვა.

სამიებო სიტყვები: სსკ-ი (სისხლის სამართლის კოდექსი,) გამომშრალი მარიხუანა, სამართლის ნორმათა კოლიზია, ნორმათა კონკურენცია, დიდი ოდენობა, მცირე ოდენობა, შეძენა/შენახვა.

შესავალი

ნაშრომის საგანს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 273-ე მუხლებში ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე პირადი მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის დაწესებისა კვალიფიკაციის გამოიჯვინის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. კერძოდ გამომშრალი მარიხუანის 70 გრამამდე შეძენა/შენახვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვა შესაძლებლად მიიჩნია მოხდეს პირადი მოხმარების მიზნითაც. საკონსტიტუციო სასამართლომ გაუმართლებლად ჩათვალა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნებისათვის. მიმდინარე პერიოდის მოქმედ რედაქციაში 260-ე მუხლის 1 ნაწილით 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება დაუშვებლად იქნა ცნობილი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებულია მცირე ოდენობით

ნარკოტიკული საშუალების შეძენა/შენახვისათვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისათვის სხვადასხვა სასჯელებთან ერთად თავისუფლების აღკვეთაც. გვაქვს ისეთი ვითარება, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლი (260-ე, 273-ე) აწესრიგებს მცირე ოდენობით მარიხუანის შეძენა/შენახვის ქმედების დასჯადობას. სსკ-ის 260-ე მუხლს გააჩნია მაკვალიფიცირებელი გარემოება მე-3 ნაწილი „ა“ ქვეპუნქტის სახით. კერძოდ „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება ჩადენილი ა) დიდი ოდენობით“. 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რაც ითვალისწინებდა გამომშრალი მარიხუანის დიდი ოდენობით (50 გრამიდან) შეძენა/შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთას, ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვა პირადი მოხმარების მიზნებისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ ოდენობად და სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა არ უნდა იქნეს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში.

კვლევის საგანია, როგორ უნდა გავმიჯნოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვის ქმედება იმავე კოდექსის 273-ე მუხლის იმავე ნარკოტიკული საშუალების 70 გრამამდე ოდენობით შეძენა/შენახვისაგან და არის თუ არა წინააღმდეგობაში სსკ-ის 273-ე მუხლის სანქციის ერთ-ერთი სახე: „ანდა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით მიღებულ გადაწყვეტილებასთან.

მასალები და კვლევის მეთოდოლოგიური აპარატი

აღნიშნული სტატიის წერისას გავაანალიზე ჩემს საადვოკატო პრაქტიკაში არსებული შემთხვევები. აგრეთვე შევისწავლე საკონსტიტუციო სასამართლოს ადრინდელი პრაქტიკა და ყოველივე შევადარე საქართველოს პარლამენტის მიერ სტატიის კვლევის საგანზე კანონპროექტების მიღების დასაბუთებას.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიურ აპარატს სტატიაზე მუშაობისას გამოვიყენე ანალიზი, სინთეზი, შედარება განზოგადება, კონკრეტიზაცია.

მარიხუანის შეძენა/შენახვის და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების გამიჯვნა და კვალიფიკაცია

ჩატარებული კვლევისას მიმოვიხილავთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 273-ე მუხლების დისპოზიციას გამომშრალი მარიხუანის 70 გრამამდე ოდენობით შეძენა/შენახვის პირადი მოხმარების მიზნით ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარების ურთიერთგამიჯვნის და სისხლისსამართლებრივი პრობლემურ საკითხებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მუხლების დისპოზიციების მსგავსება გვაძლევს საფუძველს დავსვათ კითხვა: როგორ განვასხვავოთ ერთმანეთისაგან ქმედების კვალიფიკაციისას აღნიშნული მუხლების დისპოზიციები კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისას პირადი მოხმარების მიზნით და ხომ არ ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას სსკ-ის 273-ე მუხლის სანქცია: „ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი აწესებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის. აღნიშნული დანაშაული გათვალისწინებულია სსკ-ის მე-9 კარის 33-ე თავში ნარკოტიკული დანაშაული. დღეს მოქმედი რედაქციით სსკ-ის 260-ე მუხლი შედგება 6 ნაწილისაგან.

სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია სხვათა ჯანმრთელობა და ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“, აგრეთვე, იმ საერთაშორისო აქტებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო. სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული საშუალებები დაქვემდებარებულია სპეციალურ კონტროლს და ჩამოთვლილია „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N2-ში გათვალისწინებულ ნუსხაში. ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება შეიძლება განხორციელდეს მოქმედებით ან უმოქმედობით.

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის მანამდე არსებული რედაქციიდან, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადების, წარმოების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვის, გადაგზავნის და უკანონო გასაღების შემადგენლობიდან ცალკე გამოიყო უკანონო გასაღება და ის შევიდა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილში.

სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი ქმედების ჩადენა, გარდა უკანონო გასაღებისა საკმარისია სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის. აღნიშნული მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება განეკუთვნება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, ვინაიდან მას არ ჰყავს კონკრეტული მსხვერპლი ანუ ის არ ქმნის კონკრეტულ საფრთხეს. აგრეთვე, ხსენებული ნორმა არის ბლანკეტური ხასიათის და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებები და მათი ოდენობა, როგორც ქმედების კვალიფიკაციის აუცილებელი ნიშანი მოცემულია საერთაშორისო აქტებში, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემულ სხვა აქტებში.

სუბიექტური მხრივ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნეს მხოლოდ განზრახ. მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს. ისინი შეიძლება გათვალისწინებული იქნეს სასჯელის დანიშვნის დროს.

რაც შეეხება, სსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობას, მასში გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შეძენის, შენახვისთვის ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის, რომელიც ჩადენილია ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ. დანაშაულის საგანს წარმოადგენს მცირე ოდენობის ნარკოტიკული

საშუალებების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის დამზადება, შეძენა ან შენახვა. ფსიქოაქტიური ნივთიერება არ არის აღნიშნული დანაშაულის საგანი. დანაშაულის ობიექტური მხარეა ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით დამზადება, შეძენა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. თუკი პირს ასეთი ქმედებისათვის შეფარდებული ჰქონდა ადმინისტრაციული სახდელი ან წინ უძღვოდა ამ დანაშაულისათვის ნასამართლობა. ე. ი. აუცილებელია სსკ-ის 273-ე მუხლით ქმედების დასჯადობისას წინ უძღვოდეს ამ დანაშაულისათვის ნასამართლობა ან ადმინისტრაციული პრეიუდიცია.

აღნიშნული დანაშაულისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია არა ზოგადად მოქალაქეთა ჯანმრთელობა, არამედ კონკრეტული პირის ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობა (1).

საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება შეძენა, შენახვა ობიექტური მხრივ იგივენაირად ხდება, როგორც სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით გათვალისწინებული იმავე ქმედების ჩადენის დროს. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხარტება ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებაში, შეძენაში ან შენახვაში, როცა პირი ნებართვის გარეშე დაამზადებს, შეიძენს ან შეინახავს სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებას პირადი მოხმარების მიზნით ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში, ანდა ექიმის ნებართვის გარეშე პირის მიერ ხსენებული ნივთიერების მოხმარების გამო ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში. სსკ-ის 273-ე მუხლის დისპოზიცია თითქმის იდენტურია სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციისა. განსხვავება სსკ-ის 273-ე მუხლში არის დათქმა: მცირე ოდენობა და პირადი მოხმარების მიზნები. თუმცა სსკ-ის 260-ე მუხლის ფარგლებში პირადი მოხმარების მიზნებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა გამორიცხული არ არის. სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტურ მხარეში არ შედის უკანონო წარმოება, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება.

განსახილველი დანაშაულის სუბიექტური მხარე ხასიათდება პირდაპირი განზრახვით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე და 260-ე მუხლების პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარის ანალიზის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორივე მუხლის შემადგენლობა აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სსკ-ის 273-ე მუხლი მიზნის და ოდენობის გათვალისწინებით შეიძლება ჩაითვალოს სპეციალურ ნორმად. ნორმის დისპოზიცია ეხება მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, შეძენას შენახვას ან და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელი პირობაა ადმინისტრაციული პრეიუდიცია ანუ ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იგივე ქმედების ჩადენა სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ან აღნიშნული დანაშაულისათვის ნასამართლობა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის #1/4/592 გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 70 გრამი გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი „დიდი ოდენობით“ შეიცვალა და ნაცვლად 50 გრამიდან 500 გრამამდე, მინიმალური ზღვარი განისაზღვრა 70 გრამიდან. ამასთანავე სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება 70 გრამამდე

გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა არაკონსტიტუციურად. სსკ-ის 273-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოება მცირე ოდენობით გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვისათვის „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ითვლებოდა 5 გრამიდან 50 გრამამდე, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობამდე სასჯელის და ოდენობის ნაწილში, სსკ-ის 260-ე მუხლის მიზნებისათვის 50 გრამიდან 500 გრამამდე ითვლებოდა დიდ ოდენობად. სსკ-ის 260-ე მუხლის 1 ნაწილი პარლამენტის მიერ განხორციელებულ ცვლილებებამდე დამამძიმებელი გარემოების გარეშე ითვალისწინებდა 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას, ხოლო მე-2 ნაწილი გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისათვის დიდი ოდენობით, ანუ 50 გრამიდან 500 გრამამდე, ითვალისწინებდა სასჯელის სახით 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას. პარლამენტის მიერ „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2015 წლის 8 ივლისის #3975 -რს საქართველოს კანონის პირველი მუხლის შესაბამისად სსკ-ის 260-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელიც ამოქმედდა 2015 წლის 31 ივლისს. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა და გადაზავნა დარჩა უცვლელი, ხოლო იმავე ნორმით გათვალისწინებული ისეთი აკრძალული ქმედება, როგორცაა სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერებების/საშუალების გასაღება აისახა იმავე სსკ-ის 260-ე მუხლის მე-4 ნაწილში. შეტანილი ცვლილებების შემდეგ, 260-ე მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული ქმედებისათვის (გამომშრალი მარიხუანას შეძენა/შენახვისათვის) განისაზღვრა ექვს წლამდე თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დიდი ოდენობის შემთხვევაში (მე-3 ნაწილი) ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა.

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის და იმავე კოდექსის 273-ე მუხლის შედარებითი ანალიზით ირკვევა, რომ გამომშრალი მარიხუანის 70 გრამამდე ოდენობის, როგორც დიდი ოდენობის არაკონსტიტუციურად ცნობის გათვალისწინებით ვიღებთ შემდეგ ვითარებას: სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის ქმედების კვალიფიკაცია, ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ დამზადება შეძენა ან შენახვა პირადი მოხმარების მიზნებისათვის, თუ კი პირი შეიძენს ან შეინახავს 70 გრამამდე გამომშრალ მარიხუანას მას არ დაენიშნება სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი) რედაქცია სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით 7 დან 14 წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N2 -ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ოდენობა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისათვის შეძენის და შენახვის გამო (2). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლი ხსენებული ქმედებისათვის სასჯელის სახით მაინც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას.

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება დაასაბუთა იმ არგუმენტებზე დაყრდნობით, რომ სადავო ნორმა არის ბლანკეტური და თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს ისეთი ქმედებისათვის, რომელიც არ უქმნის საფრთხეს სხვების ჯანმრთელობას. გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ ადამიანის თავისუფლებაში ჩარევა არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფოს აუცილებელ და პროპორციულ ჩარევად (2,62).

საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის ფლობა მისი პირადი მოხმარების მიზნით, ავტომატურად არ ქმნის სხვათა ჯანმრთელობის გარდაუვალ საფრთხე (2,59). თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ადამიანმა შეიძლება მცირე ოდენობაც რეალიზაციისათვის გამოიყენოს და არა (მხოლოდ) პირადი მოხმარებისათვის (2,57).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 26 თებერვლის განმწესრიგებელ სხდომაზე 708,709,710 საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად და მიღებულ იქნა განჩინება N3/1/708,709,710, რომლის საფუძველზეც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი N2 -ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ოდენობა 70 გრამამდე ნარკოტიკული საშუალება - გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისათვის შექმნის და შენახვის გამო.

საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებაში გამიჯნა მარიხუანის შექმნა-შენახვის შედეგად თავად ამ პირის მფლობელის და სხვა პირებისათვის (საზოგადოებისათვის) გამოწვევადი საფრთხეები. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მარიხუანის მოხმარებისათვის, ან საკუთარი ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებისათვის, პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე გაუმართლებლად ჩათვალა სხვათა ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად პირისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება.

ამრიგად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის დისპოზიცია მოიცავს შემდეგ ქმედებებს: პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. იმავე კოდექსის 260-ე მუხლის მოქმედი რედაქცია მოიცავს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონო დამზადებას, წარმოებას, შექმნას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. ჩვენს მიერ წინამდებარე სტატიაში განხილულ იქნა ხსენებული მუხლების მხოლოდ ის საერთო შემადგენლობები, რაზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებაში იმსჯელა კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვის ქმედების გამო პირადი მოხმარების მიზნებთან მიმართებით. გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნებისათვის 70 გრამამდე ოდენობით საკონსტიტუციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არის მხოლოდ მოხმარებისათვის საფრთხის შემცველი. ამასთანავე საკონსტიტუციო სასამართლომ დაუშვებლად ჩათვალა სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა აღნიშნულ ოდენობამდე პირის მიერ მარიხუანის შექმნა/შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნის შემთხვევაში. საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის შემადგენლობა მარიხუანას შექმნა/შენახვისათვის ადმინისტრაციული სახელდადებული პირის ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ მცირე ოდენობით გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთასაც. მცირე ოდენობად საქართველოს კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ მიიჩნევს 5-50 გრამამდე გამომშრალ მარიხუანას.

შედეგები

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების შედეგ 273-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი გარემოება „მცირე ოდენობად“ მიიჩნევა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანა ხოლო 260-ე მუხლის 1 ნაწილის დისპოზიციის ნარკოტიკული საშუალების შექმნა/შენახვისათვის პირადი მოხმარების მიზნით დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. სსკ-ის 273-ე მუხლის სტრუქტურის ანალიზი გვადლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ იგი არის სპეციალური ნორმა სსკ-ის 260-ე მუხლის 1 ნაწილის დისპოზიციასთან შექმნა/შენახვასთან მიმართებით. სახეზეა ნორმათა კოლიზია. სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებულ მცირე ოდენობად გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვის შემთხვევაში მიიჩნევა 70 გრამამდე. სსკ-ის 260-ე მუხლის 1 ნაწილის დისპოზიციის გამომშრალი მარიხუანას შექმნა/შენახვისათვის გამოიყენება 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვის ქმედების მიმართ პირადი მოხმარების მიზნით. ასეთი გამიზვნიტი კვალიფიკაცია სსკ-ის 260-ე მუხლის არ აქვს. ზოგადი და სპეციალური ნორმების კონკურენციის შეთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს სპეციალური ნორმა. კერძოდ, სსკ-ის 273-ე მუხლი, რომელიც უშვებს პირის მიმართ სხვა სასჯელებთან ერთად თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას. გარდა ამისა სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც მოიცავს იმავე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენას დიდი ოდენობით გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვის შემთხვევაში. 1-ლი ნაწილით ქმედების კვალიფიკაცია 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვის შემთხვევაში ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გარდა სასჯელის სხვა ალტერნატიულ სახეს და ქმედების კვალიფიკაციისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 273-ე მუხლი, რომელიც სხვა ალტერნატიულ სასჯელებთან ერთად სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ვადით. სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს მაკვალიფიცირებელ გარემოებად ქმედების ჩადენას იმ პირის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. თუ მოვიყვანთ ისეთ შემთხვევას, როცა პირს 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის, კერძოდ გამომშრალი მარიხუანის მცირე ოდენობით შექმნა/შენახვისათვის დაენიშნა სასჯელის სახედ ჯარიმა, შესაძლებელია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაენიშნოს ხუთიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთა. მიგვაჩნია, რომ ხსენებული მუხლის მე-3 ნაწილის დასათაურება წინააღმდეგობაში მოდის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის გამოყენების წინაპირობასთან.

დასკვნა

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საგამომიებო და სასამართლო ორგანოების მიერ ქმედების, კერძოდ 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შექმნა/შენახვის კვალიფიკაციისას შესაძლოა ნორმათა კოლიზიის ან ნორმათა კონკურენციის გამო მიიღონ არასწორი გადაწყვეტილება და მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2015 წლის 24 ოქტომბერს მიღებული N1/4/592 გადაწყვეტილების მიზნებისა, პირს მაინც დაენიშნოს სასჯელის სახედ მცირე ოდენობის გამომშრალი მარიხუანის შექმნა/შენახვისათვის ან/და პირადი მოხმარებისათვის თავისუფლების აღკვეთა, ხოლო იგივე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოიყენებულ იქნეს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით ქმედების დასჯადობაც.

საკითხის სრულყოფისათვის საჭიროა შევიდეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 273-ე მუხლებში შემდეგი მიმართებით: სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციას უნდა დაემატოს ალტერნატიული სახის თავისუფლების

აღკვეთაზე უფრო მსუბუქი ალტერნატიული სახის სასჯელის სახე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღოს ან შეცვალოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქცია, რომელიც იძლევა შესაძლებლობას მცირე ოდენობით გამომშრალი მარიხუანის შეძენა/შენახვის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში პირს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ხუთიდან რვა წლამდე. აღნიშნული შესაძლებლობა გათვალისწინებულია სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მოქმედი რედაქციით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების საფუძვლის და მიზნის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ სსკ-ის 273-ე მუხლის საქართველოს პარლამენტმა უნდა უნდა გააუქმოს სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა, რათა სასამართლოს მიერ არ მოხდეს გამომშრალი მარიხუანის 70 გრამამდე ან სხვა საშუალებების პირადი მოხმარების დროს ან ამავე მიზნით შეძენა/შენახვისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა, რაც წინააღმდეგობაში მოვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის N1/4/592 გადაწყვეტილებასთან, აგრეთვე მიგვაჩნია, რომ „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი #2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში გამომშრალი მარიხუანის ოდენობების მიმართ საქართველოს პარლამენტმა უნდა შეიტანოს ცვლილება და „დიდი ოდენობა“ ნაცვლად 50 გრამიდან, უნდა განისაზღვროს 70 გრამიდან 500 გრამამდე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. 2011. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი I*. თბილისი: მერიდიანი.
2. საქართველო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. 2015. გადაწყვეტილება (#1/4/592, 24,10,2015) ბათუმი.
2. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1999. სისხლის სამართლის კოდექსი: ცვლილებების შეტანის შესახებ (#3975-რს, 08/07/2015). თბილისი, საკანონმდებლო მაცნე #2287.
3. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2012. კანონი „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ თბილისი, საკანონმდებლო მაცნე #6245-ილ.
4. Gosekzam <https://sites.google.com/site/gosekzam/61> (08.05.2016)

Separation and Qualification of Purchasing/Keeping of the Narcotic Drug - Marijuana and Its Illegal Use without the Doctor's Prescription

Jumber Mailashbili, PhD student

Summary

The study will review what changes have been implemented in the Criminal Code of Georgia after the Decision #1/4/592 was adopted by the Constitutional Court of Georgia on October 24, 2015. I will refer to qualification issues about the purchase/keeping of the drug Dried Marijuana in terms of similarities and separation.

Our goal is to examine and highlight the main problems that might arise in investigation and judicial bodies in case the Parliament of Georgia does not include appropriate changes and additions to the Articles 260 and 273 of the Criminal Code.

The disposition of the Article 273 of the Criminal Code of Georgia includes the following actions: production, purchase, keeping of drugs, its analog or precursor in small amount or its illegal usage without a doctor's prescription. The acting edition of the Article 260 of the same Code includes illegal production, manufacture, purchase, keeping, transportation, transfer or sale of narcotic drugs, its analog, precursor or a new psychoactive substance. The presented paper discusses only the common parts of the above Articles about which the Constitutional Court of Georgia discussed in its decision #1/4/592 of October 24, 2015 because of purchase/keeping of a particular narcotic drug, dried marijuana with regard to personal use. The Constitutional Court considered that the use of up to 70 grams of dried marijuana for personal use is threatening to the consumer only. Besides, the Constitutional Court considered it inadmissible to use imprisonment as a form of punishment for the purchase/keeping of marijuana intended for personal use. The Article 273 of the Criminal Code of Georgia regarding the purchase/keeping of marijuana also considers imprisonment as a form of punishment of a convicted person who purchased/kept small amount of dried marijuana or illegally used it without a doctor's prescription. The Law of Georgia "on Narcotic drugs, Psychotropic Substances, Precursors and Narcological Assistance" considers 5-50 grams of dried marijuana as a small amount.

For the improvement of the issue, the amendments and additions are required to be included in the Articles 260 and 273 of the Criminal Code of Georgia in the following way: the sanction of the first part of the Article 260 of the Criminal Code should be added by a lighter alternative form of punishment than the alternative form of imprisonment. We consider it appropriate that the Parliament of Georgia should remove or amend the current edition of sub – paragraph "e" of the 3rd part of the Article 260 from the Criminal Code of Georgia which allows the imprisonment of a person from five to eight years in case he repeats offenses such as purchase/keeping of small amount of dried marijuana. This possibility is provided by the current edition of sub – paragraph "e" of the 3rd part of Article 260 of the Criminal Code. Based on the reason and purpose of the Decision of the Constitutional Court of Georgia, we think that the Parliament of Georgia should cancel the imprisonment as a form of punishment of the Article 273 of the Criminal Code in order to prevent the Court from imposing imprisonment as a form of punishment for purchase/keeping of up to 70 grams of dried marijuana or other drugs for personal purposes which will be in contradiction to the Decision #1/4/592 of October 24, 2015 of the Constitutional Court of Georgia; we also believe that the Parliament of Georgia should include amendment in the 92nd horizontal graph of Annex #2 of the Law of Georgia "on Narcotic drugs, Psychotropic substances, Precursors and Narcological Assistance" and "large amount" should be determined from 70 grams to 500 grams instead of from 50 grams.

ყაჩაღობა და მომიჯნავე შემადგენლობები

ქეთევან სუპატაშვილი, დოქტორანტი

გრეგოლ რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

„კვალიფიკაცია“ ლათინური ტერმინია და „თვისებას“ ნიშნავს. აქედან გამომდინარე, უპირველესად დანაშაულის კვალიფიკაცია არის ჩადენილი ქმედების თვისობრივი მახასიათებლების მიხედვით მიკუთვნება დანაშაულთა განსაზღვრული ტიპისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ კვალიფიკაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ზუსტად განისაზღვროს სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციის, როგორც ჩადენილი ქმედების ნიშნებსა და დანაშაულის შემადგენლობას შორის კორელაციის განსაზღვრის საქმიანობა, რომლის შედეგსაც წარმოადგენს ასეთი ნიშნების თანხვედრისა თუ განსხვავებების კონსტატაცია.

დანაშაულის სწორ კვალიფიკაციაზე დამოკიდებულია მრავალი სამართლებრივი შედეგი: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძვლის არსებობა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა (ან შეუძლებლობა), სასჯელის სახე და ზომა, რეციდივის არსებობის განსაზღვრა, სასჯელისაგან ვადამდე გათავისუფლების პირობები, ნასამართლობა, პატიმრობის გამოყენება და სხვა.

გამოყოფენ დანაშაულის კვალიფიკაციის ფილოსოფიურ, ლოგიკურ, ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ საფუძვლებს.

კვალიფიკაციის ფილოსოფიურ (მეთოდოლოგიურ) საფუძველს წარმოადგენს ერთეულისა და საერთოს შესაბამისობა.

ლოგიკური საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია არის გონებრივი საქმიანობის პროდუქტი, რომელსაც საფუძვლად უდევს დედუქციური მსჯელობა.

დანაშაულის კვალიფიკაციის სამართლებრივ საფუძველს ქმნის სისხლის სამართლის კანონი, უფრო კონკრეტულად კი - დანაშაულის შემადგენლობა, როგორც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი და საკმარისი საფუძველი.

კვალიფიკაციის ფსიქოლოგიური საფუძველი მდგომარეობს იმაში, რომ კვალიფიკაცია არის აზროვნების პროცესი, რომელიც ხორციელდება კონკრეტული პირის მიერ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას.

სწორედ ზემოთქმული ფაქტორების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციის საკითხი განხილული უნდა იქნეს სხვა მსგავსი შემადგენლობის მქონე დანაშაულებთან შედარებითი ანალიზით.

საძიებო სიტყვები: ყაჩაღობა, ბანდიტიზმი, ანგარებითი მკვლელობა, გამოძალვა, თვითნებობა, მეკობრეობა, კვალიფიკაცია.

შესავალი

რეზიუმეში მითითებული ფაქტორების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციის საკითხი განხილული უნდა იქნეს სხვა მსგავსი შემადგენლობის მქონე დანაშაულებთან შედარებითი ანალიზით.

ყაჩაღური თავდასხმის სწორი კვალიფიკაციის ერთ-ერთი პირობაა ამ დანაშაულის არსებითი განსხვავება მისი მომიჯნავე შემადგენლობებისაგან. ასეთებს მიეკუთვნება: ბანდიტიზმი, მარცვა, ანგარებითი მკვლელობა, გამოძალვა, თვითნებობა, მეკობრეობა.

ნაშრომში განხილული იქნება ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულთა ცნებები, ის თავისებურებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია პრაქტიკოსი იურისტებისათვის ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებისას, აღნიშნულ დანაშაულთა შორის არსებული საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

მასალები და მეთოდები

დასახელებულ ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის ლიტერატურა, თეორიული და პრაქტიკული სახელმძღვანელოები, ელექტრონული წყაროები, ასევე სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითები. ნაშრომში გამოყენებულია დოკუმენტების ანალიზის, სტატისტიკური და შედარებითი მეთოდები.

ყაჩაღობა და მსგავსი შემადგენლობები

იმისათვის, რომ ყაჩაღობის დანაშაული დავახასიათოთ სხვა მსგავსი შემადგენლობების მქონე დანაშაულებთან მიმართებაში, მოვიყვან ყაჩაღობის ცნებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან, რომლის 179-ე მუხლის დისპოზიცია ამბობს, რომ ყაჩაღობა არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით.

ბანდიტიზმისაგან ყაჩაღობის გამიჯვნის პრობლემა წარმოიშვება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება ისეთ მაკვალიფიცირებელ გარემოებას, როგორც არის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღური თავდასხმა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 224 -ე მუხლის შესაბამისად, ბანდიტიზმი არის მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით. კანონში პირდაპირ არ არის მითითებული პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანი. არსებობს მოსაზრება, რომ ბანდიტიზმის „ობიექტური მხარე გამოიხატება სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდებაში“ (4, 282), თუმცა არ შეიძლება ბანდიტიზმის ობიექტური მხარე მხოლოდ ქონების ხელში ჩაგდება იყოს. ბანდიტური თავდასხმა გათვლილია უფრო შორს გამიზნულ და მასშტაბურად დიდ გეგმებზე. ასეთი შეიძლება იყოს ორგანიზაციის ფუნქციონირების შეწყვეტა თანამშრომლებზე თავდასხმის და დაშინების გზით, ასევე ისეთი ქმედებების ჩადენა, რომლებიც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს. გარდა ამისა, ბანდა უნდა იყოს შეიარაღებული. ასევე ბანდა ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

ა) მონაწილეთა რაოდენობა, ბანდა შედგება ორი ან მეტი წევრისაგან;

ბ) ბანდის წევრების ერთმანეთთან კავშირის სიმყარე. ჯგუფი მყარია მაშინ, როდესაც ჯგუფში მყოფ ადამიანებს აქვთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე დანაშაულის ჩადენის მიზანი. ბანდასა და ორგანიზებულ ჯგუფს შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ ყაჩაღობის ჩადენისათვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ყაჩაღობა რადიკალურად

განსხვავდება ბანდიტიზმისაგან. „ყაჩაღობის დროს ჯგუფის მიზანი არის ნივთის მისაკუთრება და სწორედ ამ მიზნით არის ის ორგანიზებული, ხოლო ბანდის ან მისი შექმნის მიზანი არის პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმა. მართალია, ყაჩაღობის დროს ნივთის მისაკუთრება ხდება თავდასხმის გზით, მაგრამ შეიძლება ეს ორგანიზებული ჯგუფი არ იყოს შეიარაღებული და შეიძლება ჯგუფის წევრები ფლობდნენ ადამიანზე ფიზიკური ზემოქმედების ილეთებს და საშუალებებს, რომელიც საფრთხეს უქმნის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ნივთის მისაკუთრების მიზნით, არის ყაჩაღობის მომზადება, ხოლო ბანდის შექმნა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით არის ბანდიტიზმი. ამას გარდა, ბანდას შეიძლება ჰქონდეს ორგანიზებულობის ნიშანი, ანუ იყოს გარკვეული დარგის სპეციალისტი, სპეციალურად შერჩეულ დამნაშავეთა და სტრუქტურულად მართვად ადამიანთა ჯგუფი“ (1, 162). განსხვავება ბანდიტიზმსა და ყაჩაღობას შორის განისაზღვრება აგრეთვე ამ დანაშაულების დამთავრებულად ჩათვლის მომენტის გათვალისწინებით. ბანდიტიზმი დამთავრებულად ითვლება ბანდის ორგანიზაციის მომენტიდან, იმის მიუხედავად, მოასწრო თუ არა მან თავდასხმის განხორციელება, ხოლო ყაჩაღობის დამთავრებული შემადგენლობისათვის აუცილებელია, რომ თავდასხმა უკვე ჩადენილი იყოს (ალმანახი, №12).

იმისათვის, რომ ყაჩაღობა დავახასიათოთ ძარცვასთან მიმართებაში, უნდა მოვიყვანოთ ძარცვის განმარტება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად, ძარცვა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება არის პირის მიერ მესაკუთრისათვის ან მფლობელისათვის ხელმიუწვდომელ (უცნობ) ადგილას ნივთის გადატანის (გადაადგილების) ან სხვა ნებისმიერი გზით მისი ფლობის, სარგებლობის და განკარგვის პრაქტიკული შესაძლებლობის მართლსაწინააღმდეგოდ წართმევა და მოპოვება. ძარცვისას ნივთის აშკარად დაუფლება ნიშნავს ნივთის დაუფლებას მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან აუცილებელია ძარცველს შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების აშკარა ხასიათი. „თუ დანაშაულის თვითმხილველს არ აქვს შეგნებული ჩადენილი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა ან თუ იგი წარმოადგენს დამნაშავეს თანაამსრულებელს (თანამონაწილეს), ან თანამოაზრეს, ან ახლობელს, აშკარაა არა ძარცვა, არამედ ქურდობა“ (8, 32-33). თუკი ძარცვისას ნივთის მფლობელმა ან მესაკუთრემ ხელი შეუშალა დაუფლებას და ძარცველმა მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, რომელიც არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად.

ობიექტური მხრივ, ძარცვა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატება. ამ დროს ხდება სხვისი მოძრავი ქონების აშკარა მართლსაწინააღმდეგო დაუფლება. ძარცვის აშკარა ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ სხვისი ქონების ანგარებით დაუფლება ხდება თვალნათლივ, ან იმ პირისათვის, ვის საკუთრებაში, მფლობელობას ან სარგებლობაში იმყოფება ნივთი, ან სხვა ადამიანისათვის. ძარცვის ობიექტური მხარე გულისხმობს მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის შეგნებას, რომ ისინი ხედავენ და აღიქვამენ პირის მოქმედების დანაშაულებრივ ხასიათს. ძარცვის სუბიექტური მხარე კი მდგომარეობს პირდაპირ განზრახვაში, ანუ თვით დამნაშავესაც შეცნობილი აქვს, რომ სხვა პირი აღიქვამს ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლების ფაქტს.

ყაჩაღობასა და ძარცვას შორის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს ძალადობის ინტენსივობის ხარისხი. თუ ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების ან ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარის ფაქტის დადგენა, ძარცვისას ასეთი სახის ძალადობის გამოყენების დადგენის აუცილებლობა არ არის, რადგან ძარცვის დისპოზიცია სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას ან ასეთი ძალადობის მუქარას არ ითვალისწინებს.

ყაჩაღობისას აუცილებელია თავდასხმის არსებობა, ხოლო მარცვისას – არა. ამასთან, მარცვა დანაშაულის მატერიალურ შემადგენლობას მიეკუთვნება. იგი დამთავრებულია ქონების ფაქტობრივი დაუფლების მომენტიდან, რომლის შედეგადაც დანაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, თავისი შეხედულებით გამოიყენოს ან განკარგოს სხვისი ქონება. ყაჩაღობა კი ფორმალური შემადგენლობის დანაშაულია და იგი დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან. მარცვისა და ყაჩაღობის საერთო ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ ორივე დანაშაულის გვარობითი ობიექტია საკუთრება, უშუალო ობიექტი კი მესაკუთრის ან მფლობელის მიერ ნივთის მიმართ მისი უფლებების განხორციელების პრაქტიკული შესაძლებლობა, ხოლო საგანი – სხვისი მოძრავი ნივთი.

როგორც უკვე აღინიშნა, მარცვის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს მისი ჩადენა ძალადობით ან ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. ძალადობა მარცვისას არ აღწევს იმ ინტენსივობას, რომელიც დამახასიათებელია ყაჩაღობისათვის. გ. მამულაშვილისა და მ. ლეკვეიშვილის განმარტებით, „მარცვისას საუბარია ისეთ ძალადობაზე, რომელიც არ ქმნის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე, ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანების დანაშაულის შემადგენლობას, ვინაიდან, ამ დროს არ ხდება ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლა ან საერთოდ შრომის უნარის უმნიშვნელო არამყარი დაკარგვაც კი“ (3, 28). ამავე საკითხზე პროფ. მ. ტურავას მიერ გაკეთებული კომენტარის მიხედვით, „ძალადობა, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარა გულისხმობს მსუბუქ დაზიანებას ან ფიზიკურ, ან ფსიქიკურ ძალადობას ასეთი დაზიანების გარეშე. მთავარია არა რეალური შედეგი, არამედ დანაშაულის განზრახვა და დაზარალებულის მიერ ძალადობის ან ძალადობის მუქარის შინაარსის რეალური აღქმა“ (8, 45).

თავის სადისერტაციო ნაშრომში პროფესორი რ. კვარაცხელია იზიარებს მ. ტურავას მოსაზრებას და განმარტავს, რომ „სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელიც მიყენებულია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების გარეშე და რომელსაც არ გამოუწვევია ჯანმრთელობის შერყევა და არ მოჰყოლია შრომისუნარიანობის უმნიშვნელო დაკარგვაც კი, მაშინ მათი მიყენება ან მუქარა მსგავსი ქმედებისა ნივთის დაუფლების მიზნით ქმნის ძალადობრივი მარცვის ნიშნებს“ (1, 165).

მარცვასა და ყაჩაღობას შორის არსებული სხვაობის ზუსტი განსაზღვრა მნიშვნელოვანია პრაქტიკაში შეცდომების თავიდან აცილებისათვის, რის ნათელ მაგალითად მინდა მოვიყვანო შემთხვევა, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის პირველი ნაწილით დააკვალიფიცირა პირის ქმედება, როდესაც ის თავს დაესხა მაღაზიის მოლარეს და დანის მსგავსი საგნის დემონსტრირებით, ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარით დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ მობილურ ტელეფონს. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ კი შეცვალა კვალიფიკაცია და აღნიშნული ქმედება მიიჩნია მარცვად იმ დასაბუთებით, რომ ყაჩაღობა გამოიხატება სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად თავდასხმაში, რასაც თან ერთვის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობა ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარა. ყაჩაღობის დროს მუქარა უნდა იყოს რეალური, იგი შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად ან ჟესტით, მაგალითად, ცეცხლსასროლი ან ცივი იარაღის დემონსტრირებით. დაზარალებული დარწმუნებული უნდა იყოს ან საფუძვლიანი ეჭვი უნდა ჰქონდეს, რომ თუ იგი ქონების გადაცემის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, მუქარა რეალიზებული იქნება. ქმედების ყაჩაღობად დაკვალიფიცირებისათვის დანაშაულის ჩადენის მთელი ვითარება უნდა მოწმობდეს, რომ არსებობს ადამიანის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის რეალური საფრთხე. მუქარის ხარისხის განსაზღვრავად გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოება, მათ შორის, თავდამსხმელთა რაოდენობა და იმ საგნის თვისება, რომელიც

გამოყენებულია მუქარის განსახორციელებლად. მოცემულ შემთხვევაში კი დაზარალებული ვერ აკონკრეტებდა, თუ რა საგანი ეჭირა ხელში ბოროტმოქმედს და მხოლოდ ვარაუდს გამოთქვამდა, რომ ეს იყო დანა.

ზოგიერთ ლიტერატურაში და პრაქტიკოს იურისტებს შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ყაჩაღობასა და ანგარებით მკვლელობას შორის კვალიფიკაციის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მკვლელობის ხერხი. ამასთან, აღიარებულია, რომ ყაჩაღური თავდასხმა, რომელიც დასრულდა მკვლელობით, შესაძლებელია ჩადენილი იქნეს მხოლოდ ღიად, დაზარალებული უნდა აცნობიერებდეს, რომ მას კლავენ ქონების დაუფლების მიზნით. ანგარებითი მკვლელობა კი შესაძლებელია ჩადენილი იქნეს როგორც ღიად, ასევე დაზარალებულისათვის შეუმჩნეველად. გარდა ამისა, ლიტერატურაში მითითებულია, რომ ყაჩაღობის შემთხვევაში ქონების მიღება ხდება მკვლელობის ჩადენისას და უკავშირდება მკვლელობის დროსა და ადგილს, ანგარებითი მკვლელობის დროს კი ქონება დამნაშავეს გადაეცემა მოგვიანებით.

კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ეს კრიტერიუმი არ არის სავალდებულო, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა ქმედების სწორად კვალიფიკაციისათვის. აღნიშნული ნათლად ჩანს ერთ-ერთი მაგალითიდან, როდესაც კ. ბრალდებული იყო რ.კ.-ს მკვლელობაში. კ. კარგად იცნობდა რ.-ს და გადაწყვიტა მოეკლა ის, რათა დაუფლებოდა მის ფულს, რომელსაც ინახავდა სახლში. ამ მიზნით, კ. მიუახლოვდა რა უკნიდან რ.-ს, მიაყენა მას რამდენიმე დარტყმა ნაჯახით, რის შედეგადაც რ. ადგილზე გარდაიცვალა. შემდეგ კ.-მ გაჩხრიკა რ., აიღო მისი სახლის გასაღები, რათა წაეღო ფულადი თანხა, მაგრამ შემდეგ შეეშინდა და უარი თქვა თავის განზრახვაზე. სასამართლომ კ.-ს ქმედება მიიჩნია ანგარებით მკვლელობად და გაამართლა ყაჩაღურ თავდასხმაში. თავისი გადაწყვეტილების არგუმენტად სასამართლომ მიუთითა პირველ რიგში იმაზე, რომ თავდასხმა არ იყო შესამჩნევი დაზარალებულისათვის, მეორე რიგში კი, კ.-მ, მკვლელობის შემდეგ ნებაყოფლობით თქვა უარი თანხის დაუფლებაზე. თუმცა, სასამართლოს ეს არგუმენტები არ გამომდინარეობს კანონიდან. მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს სავალდებულო მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ყაჩაღობის დროს თავდასხმა უნდა იყოს აშკარა. შესაბამისად, კ.-ს ქმედების კვალიფიკაცია არ შეიძლება შეიცვალოს იმის გამო, იყო თუ არა თავდასხმა შესამჩნევი დაზარალებულისათვის. მით უფრო, ასეთ შემთხვევებში ქმედების კვალიფიკაციისათვის არ აქვს მნიშვნელობა, შეცნობილი ჰქონდა თუ არა დაზარალებულს, რა მიზნით კლავდნენ მას. ამის დადგენა საკმაოდ რთულია. მოწმეთა არსებობის შემთხვევაშიც კი მხოლოდ ვარაუდის გადმოთქმა შესაძლებელია. დასახელებულ საქმეზე სასამართლოს მეორე არგუმენტსაც შეიძლება არ დავეთანხმეთ. ცნობილია, რომ ყაჩაღობა დამთავრებულად მიიჩნევა სხვისი ქონების დაუფლების მიზნით თავდასხმის მომენტიდან, იმის მიუხედავად, თავდამსხმელი დაუფლება თუ არა დაზარალებულის რაიმე ქონებას. ანგარებითი მკვლელობის დამთავრებულად მიჩნევისთვის კი არ აქვს მნიშვნელობა, მიიღო თუ არა დამნაშავემ ის სიკეთე, რომელთა დაუფლებისთვისაც ჩაიდინა დანაშაული.

თავდასხმა არ შეიძლება განხილული იქნეს დამოუკიდებელ კრიტერიუმად ანგარებითი მკვლელობისა და ყაჩაღობას შორის განსხვავების დასადგენად, ვინაიდან თავდასხმა, მართალია, წარმოადგენს ყაჩაღობის ნიშანს, მაგრამ მისი არსებობა არ არის გამორიცხული ანგარებითი მკვლელობის დროს. მაგალითად, თავდასხმის გზით შესაძლებელია ჩადენილი იქნეს მკვლელობა მეუღლის მიერ საერთო საკუთრების ან ერთობლივად შეძენილი ქონების დაუფლების მიზნით. ასეთი მკვლელობა არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს ყაჩაღობასთან ერთად. ყაჩაღობასთან ერთობლიობაში უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობა ნათესავზე თავდასხმის გზით, მისი ქონების დაუფლების მიზნით. აქ საუბარია ისეთ ნათესავზე, რომელთანაც დამნაშავეს არ გააჩნია საერთო ქონება. აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინ-

ნარეობს, რომ ყაჩაღობისა და მკვლელობის მუხლით ქმედების ერთობლივად კვალიფიკაციისათვის, მნიშვნელობა ენიჭება ქონების დაუფლების ფაქტის არსებობას, ვინაიდან, ანგარებითი მკვლელობის შემადგენლობა არ მოიცავს ქონების დაუფლებას.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, ქმედების ანგარებით მკვლელობად მიჩნევისათვის, აუცილებელია დადგინდეს, რომ დამნაშავეს ქონების დაუფლების მიზანი წარმოეშვა მკვლელობამდე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც ასეთი მიზანი წარმოიშვა მკვლელობის ჩადენის შემდეგ, ქმედება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ანგარებითად. მაგალითად, შურისძიების ან ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის შემდეგ, დამნაშავე ითვისებს დაზარალებულის ქონებას. მისი ქმედება მიიჩნევა მკვლელობად მაკვალიფიცირებელი გარემოებების გარეშე, ხოლო ქონების მითვისება ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს ქურდობას და არა ყაჩაღურ თავდასხმას. ასეთ დროს განსხვავება უნდა მოვახდინოთ სუბიექტური მხარის გათვალისწინებით: მკვლელობის შემდეგ ქურდობის შემთხვევაში, სხვისი ქონების დაუფლების მიზანი წარმოიშვება დაზარალებულის სიკვდილის დადგომის შემდეგ, ხოლო ყაჩაღობის თანმდევი მკვლელობა მკვლელობის ობიექტური მხარის განხორციელებამდე გულისხმობს სხვისი ქონების დაუფლების მიზნის არსებობას.

სისხლის სამართლის კანონი იცნობს ფორმალური შემადგენლობის დანაშაულებს, სადაც დანაშაულის შემდგომ სტადიას დამთავრებული დანაშაული წარმოადგენს. ასეთებია, მაგალითად, გამოძალვა, ყაჩაღობა, მეკობრეობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 181-ე მუხლი იძლევა გამოძალვის განმარტებას, რომლის თანახმად, გამოძალვა, ესე იგი სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების გადაცემის ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა, რასაც ერთვის დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან მათი ნივთის განადგურების ან დაზიანების ანდა მათთვის სახელის გამტეხი ცნობის გახმაურების ან სხვა ისეთი ცნობის გავრცელების მუქარა, რომელმაც შეიძლება არსებითად დააზიანოს მათი უფლებები.

გამოძალვა უდავოდ წააგავს ყაჩაღობას, რადგან ყაჩაღობა დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, თავდასხმა კი გულისხმობს ნივთის დაუყოვნებლივ გადაცემის მოთხოვნას. გამოძალვის დისპოზიცია პირდაპირ მიუთითებს, რომ გამოძალვა არის სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების ან ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა. ორივე დანაშაული დამთავრებულია მოთხოვნის წაყენებისთანავე. განსხვავება მათ შორის მდგომარეობას იმაში, რომ ყაჩაღობის საგანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთი, ხოლო გამოძალვისას კი ქონებრივი უფლება ან ქონებრივი სარგებლობა. გარდა ამისა, ყაჩაღობის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს ძალადობის განხორციელებას დაუყოვნებლივ, ხოლო გამოძალვისას კი – მომავალში.

ყაჩაღობისა და გამოძალვის საერთო ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ორივე ერთდროულად ხელყოფს საკუთრებასა და პიროვნებას, მაგრამ თუ ყაჩაღობის დროს ხელყოფის საგანს წარმოადგენს ქონება მატერიალური ღირებულების მქონე ნივთების სახით, გამოძალვის დროს ხელყოფის საგანია არა მარტო ნივთები, არამედ უფლება მათზე, აგრეთვე ქონებრივი ხასიათის მოქმედება. მუქარას, რომელიც გამოიყენება გამოძალვის დროს, აქვს უფრო ფართო გაგება იმ მუქარასთან შედარებით, რომელსაც ადგილი აქვს ყაჩაღობისას. ეს განპირობებულია იმით, რომ გამომძალველი დაზარალებულს ემუქრება არა მარტო სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, არამედ დაზარალებულის ან მისი ახლობლის სახელის გამტეხი ცნობების გახმაურებით ან ქონების განადგურებით. ყაჩაღობა ყოველთვის გულისხმობს სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობის გამოყენების მუქარას მაშინ, როდესაც გამოძალვისათვის მნიშვნელობა არ აქვს იმ ზიანის ხასიათს,

რომლითაც დამნაშავე დაზარალებულს ემუქრება. ძალადობის გამოყენების მუქარა გამოძალვის დროს შეიძლება გამოიხატოს „დაპირებაში“ - დაზარალებულზე ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედების განხორციელებისა, დაწყებული ცემიდან დამთავრებული მკვლელობით. იმ შემთხვევაში, როდესაც გამოძალვის საგანს წარმოადგენს ქონება კონკრეტული ნივთების სახით და როდესაც გამომძალველი ემუქრება დაზარალებულს სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით, მაშინ იგი ყაჩაღობისაგან განსხვავდება მუქარის სისრულეში მოყვანის მომენტი. ყაჩაღობისას მუქარა არის უშუალო, რეალური და ატარებს დაზარალებულზე წინასწარი ზემოქმედების ხასიათს, ასრულებს გაფრთხილების როლს იმის შესახებ, რომ მის მიმართ იმ წუთშივე იქნება გამოყენებული ფიზიკური ძალადობა. დაზარალებულის უარი მოთხოვნის შესახებ იწვევს მუქარის მაშინვე სისრულეში მოყვანას. გამოძალვისას დამნაშავე დაზარალებულს „ჰპირდება“ მუქარის სისრულეში მოყვანას მომავალში და ამ დროის მონაკვეთის არსებობა მუქარასა და მის რეალიზაციას შორის გამოძალვას, ყაჩაღობასთან შედარებით, ნაკლებად მძიმე დანაშაულად აქცევს, ვინაიდან დაზარალებულს შესაძლებლობა აქვს მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს და თავიდან აიცილოს ძალმომრეობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის თანახმად, მეკობრეობა არის წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებაზე თავდასხმა სხვისი ნივთის დასაუფლებლად, მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით.

ქმედების მეკობრეობით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია თავდასხმა მოხდეს მცურავ საშუალებაზე (წყლის ხომალდი ან სხვა მცურავი საშუალება). ეს იმას ნიშნავს, რომ თავდასხმის მომენტში კონკრეტული ხომალდი, რომელსაც თავს ესხმიან უნდა ახორციელებდეს ცურვას წყალში. თუ თავდასხმა მოხდა ისეთ ხომალდზე, რომელიც ნაპირზე იყო დამაგრებული და არ ცურავდა, ქმედება არ დაკვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლით, არამედ კვალიფიკაცია მოხდება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლით.

მეკობრეობა არის ფორმალური დანაშაული. იგი დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, როცა განხორციელდება ძალადობა ან ძალადობის მუქარა. დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის მნიშვნელობა არ აქვს მოჰყვება თუ არა თავდასხმას პირის ჯანმრთელობის დაზიანება ანდა დაუფლება თუ არა მეკობრე სხვის ნივთს.

სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლში არ არის დაფიქსირებული მეკობრეობის ჩადენის ადგილი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მცურავ საშუალებაზე თავდასხმა, სადაც არ უნდა განხორციელდეს იგი (რომელიმე სახელმწიფოს კონტინენტური შელფის ტერიტორიაზე, შიდა წყლებსა თუ ღია ზღვაში), ყველა შემთხვევაში გვამლევს მეკობრეობის შემადგენლობას, რაც ეწინააღმდეგება 1958 წლის ჟენევისა და გაეროს 1982 წლის კონვენციების შინაარსს. ამ კონვენციათა თანახმად, მეკობრეობა ისეთი აქტია, რომელიც მიმართულია სხვა გემის ან მასზე მყოფი პირებისა თუ ქონების წინააღმდეგ, რაც ხორციელდება ღია ზღვაში ან რომელიმე სახელმწიფოს იურისდიქციის გარეთ არსებულ ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როდესაც თავდასხმა მცურავ საშუალებაზე ხდება რომელიმე სახელმწიფოს ეროვნულ ან ტერიტორიულ წყლებში (მაგალითად, საქართველოს რომელიმე ტბაზე ან მდინარეზე მცურავ საშუალებაზე) ნივთის მართლსაწინააღმდეგო დაუფლების მიზნით, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს არა მეკობრეობით, არამედ შესაბამისად, ყაჩაღობით, ბანდიტიზმით ან მარცვით (2, 631-635).

ასევე საინტერესოა ყაჩაღობისა და თვითნებობის ცნებების შედარება, რისთვისაც თავდაპირველად უნდა განიმარტოს თვითნებობის შინაარსი. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 360-ე მუხლის შესაბამისად, თვითნებობა, არის ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ყაჩაღობისა და თვითნებობის გამიჯვნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ რიგ შემთხვევებში თვითნებური მოქმედებები ისევე, როგორც ყაჩაღობა, შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების მიმართ ძალადობასთან და მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დარღვევასთან. თუმცა, არც ძალადობრივი მოქმედება და არც სხვა პირისათვის ქონებრივი ზარალის მიყენება წარმოადგენს თვითნებობის აუცილებელ ნიშნებს. თვითნებური მოქმედების არსი მდგომარეობს დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ, ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების თვითნებურად განხორციელებაში. თუ პირი, რომელიც იყენებს ძალადობას, მიზნად ისახავს დაეუფლოს ქონებას, რომელსაც იგი თვლის თავის საკუთრებად, მაშინ ჩადენილი მოქმედება არ განიხილება ყაჩაღობად და დაკვალიფიცირდება, როგორც თვითნებობა და შესაბამისი დანაშაული პიროვნების წინააღმდეგ.

შედეგები

წინამდებარე ნაშრომში განხორციელებულ ანალიზს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. ვფიქრობ, მეტ-ნაკლები სიცხადით წარმოშენილი იქნა ყაჩაღობის დანაშაულის განსხვავება მისი მსგავსი შემადგენლობებისაგან. პრაქტიკულ მაგალითებზე და თეორიულ კვლევაზე დამყარებული ანალიზი საშუალებას იძლევა თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ქმედების ამა თუ იმ დანაშაულად კვალიფიკაციის დროს.

აღნიშნულ კვლევაში მოყვანილია ყაჩაღობის შემადგენლობის შეპირისპირება ისეთ დანაშაულებთან, როგორებიც არის ბანდიტიზმი, ძარცვა, ანგარებითი მკვლელობა, გამოძალვა, თვითნებობა, მეკობრეობა. თავიანთი შინაარსით და ნიშნებით, ყველა ჩამოთვლილი დანაშაული სერიოზული ხასიათისაა და მაღალი საზოგადოებრივი საშიშროებით გამოირჩევა. შესაბამისად, აუცილებელია აღნიშნულ შემადგენლობებს შორის არსებული განსხვავებების მკვეთრად გამიჯვნა. ჩვენ დავინახეთ, რომ ხშირად, ეს განსხვავებები იმდენად მიზეზურია, რომ შეცდომისგან დაზღვევა შეუძლებელი ხდება. სწორედ ასეთი სახის კვლევები იძლევა საშუალებას, თავიდან იქნეს აცილებული შეცდომები ქმედების ამა თუ იმ დანაშაულად კვალიფიკაციის პროცესში.

დასკვნა

კვლევის ბოლოს შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის კოდექსში საკმარისად მოიპოვება დანაშაულთა ისეთი შემადგენლობები, რომლებიც ყაჩაღობის შემადგენლობის მსგავსია. ნაშრომში განხილულია ყაჩაღობის შედარება როგორც შედეგიან, ასევე შედეგგარეშე (ფორმალური) დანაშაულთა შემადგენლობებთან. თავად ყაჩაღობა ფორმალური ხასიათის დანაშაულია, თუმცა ქმედების ყაჩაღობად კვალიფიკაციას სხვა, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა განაპირობებს. განხილულ დანაშაულთა დისპოზიციები ერთი შეხედვით საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა მათ შორის არსებითი სხვაობის დადგენა აუცილებელი ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ასე მაგალითად: ყაჩაღობისა და **ბანდიტიზმს** შორის სხვაობის გარჩევა მაშინ დგას დღის წესრიგში, როდესაც საქმე ეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ ყაჩაღური თავდასხმას; **ძარცვისას** ნივთის ამკარად დაუფლება ნიშნავს ნივთის დაუფლებას მესაკუთრის, მფლობელის ან სხვა პირის თანდასწრებით, ამასთან აუცილებელია მძარცველს შეგნებული ჰქონდეს თავისი ქმედების ამკარა ხასიათი. თუკი ძარცვისას ნივთის მფლობელმა ან მესაკუთრემ ხელი შეუშალა

დაუფლებას და მძარცველმა მის მიმართ გამოიყენა ძალადობა, რომელიც არის საშიში სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის, ქმედება დაკვალიფიცირდება ყაჩაღობად; ყაჩაღობასა და ანგარებით მკვლელობას შორის კვალიფიკაციის საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია მკვლელობის ხერხი; ყაჩაღობა და **გამოძალვა** დამთავრებულია მოთხოვნის წაყენებისთანავე. განსხვავება მათ შორის მდგომარეობას იმაში, რომ ყაჩაღობის საგანს წარმოადგენს სხვისი მოძრავი ნივთი, ხოლო გამოძალვისას კი ქონებრივი უფლება ან ქონებრივი სარგებლობა. გარდა ამისა, ყაჩაღობის დროს ძალადობის გამოყენების მუქარა გულისხმობს ძალადობის განხორციელებას დაუყოვნებლივ, ხოლო გამოძალვისას კი – მომავალში; **მეკობრეობაც** არის ფორმალური დანაშაული. იგი დამთავრებულია თავდასხმის მომენტიდან, როცა განხორციელდება ძალადობა ან ძალადობის მუქარა. ყაჩაღობისაგან განსხვავებით, ქმედების მეკობრეობით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია თავდასხმა მოხდეს მცურავ საშუალებაზე; ყაჩაღობისა და **თვითნებობის** გამიჯვნის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ რიგ შემთხვევებში თვითნებური მოქმედებები ისევე, როგორც ყაჩაღობა, შეიძლება დაკავშირებული იყოს პიროვნების მიმართ ძალადობასთან და მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესების დარღვევასთან.

როგორც აღინიშნა, ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მიცემა მეტად საპასუხისმგებლო საკითხია. მასზეა დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმის შემდგომი განვითარება, დამნაშავე პიროვნების მომავალი ბედი და სხვა სამართლებრივად მნიშვნელოვანი ასპექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კვარაცხელია რ. 2009. *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ყაჩაღობისათვის*, თბილისი.
2. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ. 2016. *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი*. წიგნი I. თბილისი: მერიდიანი.
3. მამულაშვილი გ., ლეკვეიშვილი მ. 1999. *პასუხისმგებლობა ეკონომიკური დანაშაულისათვის*. თბილისი: მერიდიანი.
4. მუჟაანაძე ზ. 2000. *სისხლის სამართალი (კერძო ნაწილი, კომენტარები)*. ქუთაისი: ქსუ.
5. ნაჭყებია გ. 2000. *ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი*, თბილისი: ინტელექტი. , წელი, გვ.28
6. აღმანახი N 12. 1999. სისხლის სამართალი, ყაჩაღობისათვის პასუხისმგებლობის თავისებურებანი. თბილისი.
7. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.
8. სისხლის სამართლის სასამართლოს პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული). 2004. თბილისი, 32-33, 45.
9. Кудрявцев В. Н. 1973. *Общая теория квалификации преступлений*. Москва: Юридическая литература.
10. Новое уголовное право России, особенная часть. 1996. Москва.
11. http://studbooks.net/946675/pravo/otgranichenie_ubiystva_korystnyh_pobuzhdeniy_drugih_vidov_ubiystva
12. <http://www.procuror.spb.ru/k808.html>
13. <http://www.grandars.ru/college/pravovedenie/kvalifikaciya-prestupleniy.html>

Robbery and Neighboring Corpus Delicti

Ketevan Supatashvili, PhD student

Summary

In Latin, the term "qualification" means quality. Hence, at the first approximation, the qualification of a crime is the attribution of a crime committed according to qualitative characteristics to a certain class, a kind of crime.

The qualification of crimes is discussed in two senses: • As an activity, a certain logical process; • As a result of the activity, the final legal assessment of a socially dangerous behavior and the fixing of this assessment in the relevant procedural document.

Here it is appropriate to compare the terms "murder", "embezzlement" which also signify the process (deprivation of life, seizure and possession of property), and the result (death of a person, profit). It should be admitted that it is more important to emphasize the connection and unity of these aspects - activity and result - with regard to qualification than to note their difference.

Certain differences among scientists are concerning the essence of the qualification of the act: what is it - the establishment and consolidation of the correspondence between the signs of the crime and the composition of the crime or identity, similarity? Apparently, it is more accurate to define the criminal legal qualification as an activity of correlating (comparing) the signs of what was done and the characteristics of the crime, the result of which is a statement of the coincidence or incompatibility of such characteristics.

Many legal consequences depend on the correct qualification of crimes: recognition of the existence of a criminal liability; possibility (or impossibility) of exemption from criminal liability; the type and size of punishment; possibility of recognizing the presence of a particular type of relapse; terms for early release from punishment; jurisdiction; use of arrest, etc. From this it is clear that the qualification (criminally-legal assessment) of the deed is a very important act, on the quality of implementation of which the future of the accused and the normal functioning of justice depend.

Scholars distinguish philosophical, logical, psychological and legal foundations of the qualification of crimes.

The philosophical (methodological) basis of qualification is the ratio of the individual and the general. The individual (crime) expresses the qualitative certainty of the phenomenon being assessed, its individuality, its originality. The general (criminally-legal norm) is an abstraction that reflects only typical signs of the phenomenon.

The logical basis is that the qualification of a crime is a product of thinking activity which is based on deductive reasoning: the greater premise (judgment) is the criminal legal prescription, and the smaller (the second judgment) - the signs of what was done on the basis of which the conclusion is drawn about the similarity (identity) of the actual signs of the deed and the signs of the composition provided for by the criminal law norm.

The legal basis for the classification of crimes is the criminal law, and more specifically - the offense as a necessary and sufficient basis for criminal liability. Most of its features are described in the relevant articles of the Special Part of the Criminal Code, the rest - in the articles of the General Part.

The psychological basis of qualification is that qualification is a thought process carried out by a specific person in connection with the solution of a specific task.

Naturally, the forms and outcomes of the decision are affected by a variety of incidental circumstances of an intellectual and emotional nature (level of knowledge, life and professional experience, psychophysiological state, the availability of time, the complexity of the task, skill and desire to resist "telephone law", etc.).

Considering the above mentioned factors, I think that the qualification issue for the robbery should be examined by comparative analysis with other similar crimes. One of the conditions for the correct qualification of robbery is the substantial difference of this crime from its neighboring corpus delicti. These include: banditism, plunder, assassination, extortion, arrogance, piracy.

მიზეზის პასიური ხასიათით განპირობებული მიზეზობრივიკავშირის თავისებურებები
უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში

ლამა კუხიანიძე, დოქტორანტი

აბსტრაქტი

აღნიშნულ სტატიაში კვლევის მიზანია იურიდიულ, ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შესწავლილი და გაანალიზებული იქნეს მიზეზის პასიური ხასიათით განპირობებული მიზეზობრივი კავშირის თავისებურებები უმოქმედობით დელიქტებში.

ადამიანის ქცევა, რომელთანაც შეიძლება დაკავშირებულ იქნას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეიძლება გამოიხატებოდეს როგორც პოზიტიურ მოქმედებაში, ისე მოქმედებისაგან თავის შეკავებაში. მოქმედებისაგან თავის შეკავება ე.ი უმოქმედობა თავის მხივ შეიძლება ორ ნაწილად დავყოთ: წმიდა უმოქმედობად და შერეულ უმოქმედობად.

თავისთავად ცხადია, რომ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული მოვალეობის შეუსრულებლობა მხოლოდ მაშინ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, როცა მოქმედების შესრულება პირისათვის შესაძლებელი იყო (1, 180).

შერეული უმოქმედობისათვის პასუხისმგებლობის საკითხი კი ერთგვარ სიძნელეს წარმოადგენს, რადგანაც იგი მიზეზობრივი კავშირის პრობლემასთან არის დაკავშირებული.

აღნიშნულ სტატიაში სწორედ უმოქმედობის მიზეზობრიობის პრობლემის ანალიზს შევეცდებით და მისი ზოგადი კომპლექსური ანალიზს.

საძიებო სიყვები: მიზეზობრივი კავშირი, მიზეზი, პასიური უმოქმედობა, სისხლის სამართალი, ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება

შესავალი

დანაშაულებრივი უმოქმედობა სისხლის სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ურთულესი ცნებაა. მას რიგი სპეციფიური თავისებურებანი გააჩნია. ეს თავისებურებანი შეეხება არამარტო უმოქმედობის მიზეზობრივ ხასიათს, არამედ მის მართლწინააღმდეგობასაც. სანამ უშუალოდ მიზეზობრიობის ანალიზს დავიწყებდეთ, ზოგადად მიმოვიხილავთ მიზეზობრივი კავშირის საკითხს და შემდგომ უშუალოდ გადავალთ უმოქმედობის მიზეზობრიობაზე.

მიზეზობრივი კავშირი მატერიალური დანაშაულის ობიექტური მხარის ერთ-ერთი ნიშანია. მის გარეშე შეუძლებელია პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი აუცილებლად მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს პირის მიერ ჩადენილ ქმედებასთან. იგი სისხლის სამართლის დოგმატიკის ერთ-ერთი კლასიკური პრობლემათაგანია. ერთი მხრივ, ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ფილოსოფიური საკითხი სისხლის სამართალში, მეორე მხრივ დიდია მისი სამართალ-გამოყენებითი მნიშვნელობა. მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენის გარეშე შეუძლებელია შედეგიანი დანაშაულის და კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების დამთავრებულად გამოცხადება.

საკითხის აქტუალობას ხაზი გაუსვა საქართველოს მოქმედმა სისხლის სამართლის კოდექსმა. რომელმაც წინა კოდექსებისა და ამ მხრივ მსოფლიოს უმეტესი ქვეყნებისაგან განსხვავებით ნორმატიულად განსაზღვრა მიზეზობრივი კავშირი. სსკ-ის მე-8 მუხლი: „მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც, ამჯერად, ეს შედეგი არ განხორციელდებოდა, ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა“ (2, 10). აღნიშნულ დეფინიციაში ასახულია თ.წერეთლის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ თუ ადამიანის მოქმედება დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, ე.ი თუ

მან სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო მართლსაწინააღმდეგო შედეგის წარმოშობას, ეს საკმარისია ვცნოთ მიზეზობრივი კავშირის არსებობად ადამიანის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. სწორედ ეს თვალსაზრისია ასახული საქართველოს სსკ-ის მე-8 მუხლის 2 ნაწილში. მაგრამ როგორ უნდა დადგინდეს: ადამიანის მოქმედება აუცილებელი პირობა იყო თუ არა? ამ შემთხვევაში თ. წერეთლის აზრით: "ადამიანის ქცევა მაშინ უნდა ჩაითვალოს ასეთი შედეგის აუცილებელ პირობად, როდესაც ქმედების გარეშე შედეგი არ განხორციელდებოდა". იმის დასადგენად, განხორციელდებოდა თუ არა შედეგი შეიძლება გამოვიყენოთ ქმედების აზრობრივი გამორიცხვის მეთოდი, ე.ი ჩვენს წარმოდგენაში დავუშვათ, რომ ეს ქმედება ადამიანს არ ჩაუდენია. თუ ასეთი აზრობრივი გამოთიშვისას აღმოჩნდება, რომ შედეგი მაინც დადგებოდა, თანაც დადგებოდა სწორედ იმ დროს და იმ სახით, როგორც იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანის მოქმედება არ ყოფილა მიზეზობრივ კავშირში, ხოლო პირიქით თუ აღმოჩნდება, რომ მოქმედების არ არსებობის შემთხვევაში შედეგი ან სრულად ან სხვა დროს თუ სხვა წესით დადგებოდა, ვიდრე იგი სინამდვილეში განხორციელდა, ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანის მოქმედება იყო საზოგადოებრივი შედეგის აუცილებელი პირობა" (4, 266).

ქმედება, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ელემენტი შესაძლოა წარმოდგენილი იყოს ორი ფორმით: მოქმედებისა და უმოქმედობის.

დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარის კონსტრუქცია უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში საფუძვლიანად განსხვავდება აქტიური მოქმედებით ჩადენილ დანაშაულთა ობიექტური მხარის კონსტრუქციისაგან. განსხვავება მდგომარეობს ორ ასპექტში, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული, მაგრამ შესაძლებელია საზღვრის გავლება მათ შორის: 1. ქმედების გამოვლენის გარე აქტი. 2. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი (3, 97).

მოქმედებისა და უმოქმედობის განსხვავების დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს მისი არსიც, ის რომ უმოქმედობა არ წარმოადგენს მხოლოდ აბსოლიტურ პასიურ მდგომარეობას, არამედ ის არის მოქმედების სახე, რომლის დროსაც მართალია პირი არ ახორციელებს აქტიურ მოქმედებას, თავს იკავებს მოქმედების განხორციელებისგან, მაშინ როდესაც იგი ვალდებული იყო ემოქმედა (6, 68).

მიზეზობრივი კავშირის თავისებურებები უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულებში

მიზეზობრივი კავშირი ვიწრო (პირდაპირი) გაგებით, როგორც ორი მოვლენის თვით კავშირის თანაფარდობა ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შემადგენლობების შემცენებასა და შესწავლაში.

ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმი დგინდება მოცემული საბუნების-მეტყველო მეცნიერების საფუძველზე და წარმოადგენს პროცესს, რომელთა აშკარა მიზეზი შეიძლება მოიძებნოს დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ. ეს ობიექტური ბუნებრივი მიზეზი კვალიფიკაციის პროცესში თანაფარდობაშია ნორმატიულ მიზეზთან თეორიული კონსტრუქციის შემადგენლობაში, და მიღებული მიზეზობრივი კომპლექსი უკავშირებს რა ერთმანეთს ორივე მიზეზს, იძლევა წარმოდგენას უმოქმედობითი დანაშაულის ჩადენაზე.

სწორედ ვიწრო (პირდაპირი) გაგებით მიზეზობრივი კავშირის შესწავლის სირთულე ქმნის უმოქმედობის აკაუხალობის მომხრეებისათვის შესაძლებლობას, უარყონ მიზეზობრივი კავშირი პასიური დანაშაულებრივი ქცევის გზით ჩადენილ დანაშაულების შემადგენლობებში. ძირითადი პრობლემა აქ იმაში მდგომარეობს, რომ ცნობიერებისთვის, რომელიც მოცემულ დაკვირვებებს ძირითად კრიტერიუმად აღიქვამს, რთულია ისეთი სისტემის კონსტრუირება, რომელშიც ერთი შეხედვით პასიური მოვლენა სწორედ მიზეზს წარმოადგენს ამ სიტყვის

სრული გაგებით. ენერგეტიკული მიდგომის შესაბამისად ა. ა. ეისმანის მიხედვით: „ამ სიტყვის სპეციფიურ მნიშვნელობაში არ არის მიზეზი (პირობებისგან განსხვავებით). მიზეზი გარდაისახება პირობების ერთობლიობაში, ხოლო მიზეზობრიობა - განპირობებაში... ამ შემთხვევაში მიზეზზე შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ სრული მიზეზის, ანუ ყველა აუცილებელი და საკმარისი პირობის მნიშვნელობით“ (7.34). თუმცა, ამასთან განპირობება სხვა არაფერია, თუ არა დეტერმინიზმი, და მოცემულ შემთხვევაში საუბარია, რა თქმა უნდა, მიზეზობრივ დეტერმინაციაზე. გ.ა. ზლობინის სისტემური მიდგომის შესაბამისად, პირდაპირი გაგებით მიზეზი არის ის მოვლენა, რომელთა საჭიროება დაფუძნებულია შესაბამის სისტემაში ჩართვის ელემენტარულ აუცილებლობაზე.

ა. ა. ეისმანის მიდგომა კი მოცემული ნაშრომის ტერმინოლოგიაში უმოქმედობით ჩადენილ დანაშაულთა შემადგენლობაში მიზეზობრიობის კატეგორიის არსებობის მტკიცებას უფრო მიეკუთვნება. მისგან განსხვავებით, გ.ა. ზლობინი აღწერს სწორედ მიზეზობრივ კავშირს, და არა ზოგადად მიზეზობრიობის უნივერსალურ მახასიათებლებსა და კატეგორიის ცნებებს.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის პირველი თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: მიზეზობრივი კავშირი უნდა განიხილებოდეს „შესაბამისი სისტემის ჩარჩოებში და მასთან მიმართებაში“, რაც შესაძლებელს ხდის გამოვყოთ რიგი მოვლენის მიზეზი ყველა წინამავალი მოვლენის საერთო ჯაჭვიდან, რადგან, როგორც ცნობილია, „მას შემდეგ - არ ნიშნავს ამის - შედეგად“ (10, 86).

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის მეორე თავისებურება მჭიდროდ არის დაკავშირებული შემთხვევებისა და მოვლენების სისტემურ განხილვასთან და აისახება მიზეზობრივი კავშირის დადგენის პროცესებზე პასიური მიზეზის დროს. აქ მიზეზობრივი კავშირის დასადგენად აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, არა ფიზიკური დაკვირვება აქტიურ პროცესებზე, არამედ სისტემების ელემენტების აზრობრივი ანალიზი, რაც შესაძლებელს ხდის სწორად განვასხვავოთ მიზეზები არა-მიზეზებისგან. აქტიური მიზეზით (დანაშაულებრივი ქმედებით) დადგენილი მიზეზობრივი კავშირის გამოკვლევისას თავდაპირველად მოითხოვება სწორედ ფიზიკური დაკვირვება ფაქტებზე, რომლებიც შესაძლებელს ხდის გადაწყდეს საკითხი მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესახებ. სისტემის განსაზღვრის მოთხოვნა, რომლის ჩარჩოებში უმოქმედობას ზიანის მიყენების ხასიათი აქვს.

აღნიშნულ ნაშრომში შესაბამის ადგილზე გადმოცემული გვექონდა კაუზალური დეტერმინიზმის ცნებების მახასიათებლები, კერძოდ, მიზეზობრივი კავშირი ვიწრო გაგებით.

საჭიროა შემოწმდეს, თუ როგორ მუშაობს ეს მახასიათებლები პასიური მოვლენით დადგენილ მიზეზობრივ კავშირთან მიმართებაში. თვალსაჩინო მაგალითისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას ავადმყოფის განსაცდელში მიტოვების სახით ჩადენილ დანაშაულის შემადგენლობის ანალიზისას. საქართველოს სსკ 130 -ე მუხლის დისპოზიციით: სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმმა, რომელიც შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში იმყოფებოდა, ასრულებდა თავის მოვალეობას, უარი განაცხადა აუცილებელი დახმარების გაწევაზე მწვავე აპენდიციტიანი ავადმყოფისთვის, მის ოპერატიულ მკურნალობაზე და ავადმყოფი მიატოვა განსაცდელში, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გარდაიცვალა.

მიზეზობრივი კავშირის შეუქცევადობა უმოქმედობისას

ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმში მოქცევად პროცესებს აქვს საკუთარი მიზეზი, რომლის დადგენა შეიძლება მხოლოდ ცოდნის სპეციალური დარგის ჩარჩოებში.

იმ ფაქტის საფუძველზე, რომ ექიმის უმოქმედობას ზიანი მოაქვს, დადგენილია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მოდელირებულია მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია.

გ. ა. ზლობინის მიხედვით სისტემური მიდგომის შესაბამისად, გამოიყოფა სისტემა, სადაც გარკვეული ელემენტები (კერძოდ-პასიური ქცევა) მიზეზს წარმოადგენს (7, 29).

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის შეუქცევადობა ნიშნავს, რომ ექიმის მიერ დახმარების არგაწევამ ავადმყოფის ორგანიზმში არსებულ პროცესებთან ერთობლიობაში, შეადგინა მიზეზობრივი კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში მიზეზს წარმოადგენს, როგორც ექიმის უმოქმედობა, ასევე პაციენტის დაავადება. დახმარების არგაწევა, როგორც მიზეზი, იწვევს დაავადების ისეთ შეუქცევად განვითარებას, რომელსაც მოსდევს პაციენტის გარდაცვალება. დახმარების გაწევა უფრო მოგვიანებით, როდესაც მიზეზი შედეგში გადაიზარდა (პაციენტი გარდაიცვალა), უკვე არა ეფექტური ხდება.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის მესამე თავისებურება დაკავშირებულია შეუქცევადობის მახასიათებელთან. თუ მოქმედების გზით ჩადენილ დანაშაულებრივი ქმედების უმრავლესობისას მიზეზობრივი კავშირის შეუქცევადობა უმაღლეს ვლინდება, უმოქმედობისას, როგორც წესი, არის დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, რომლის განმავლობაში მიზეზობრივი კავშირი ჯერ არ არის შეუქცევადი. ეს საშუალებას აძლევს სუბიექტს, რომელმაც დასაწყისში უარი განაცხადა ნაკისრი მოვალეობის შესრულებაზე, შემდგომში მაინც შეასრულოს აღნიშნული მოვალეობა. თუ ამასთან დანაშაულებრივი შედეგები საერთოდ არ დადგა, მაშინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, არ ეკისრება. მაგრამ, თუ მოგვიანებით გაწეული დახმარების მიუხედავად, დანაშაულებრივი შედეგი დადგა, მაშინ საკითხი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა უნდა გადაწყდეს შემადგენლობის სხვა ნიშნების გათვალისწინებით. კერძოდ, სამედიცინო დახმარების გაწევის განზრახ დაყოვნებამ და ავადმყოფის განსაცდელში მიტოვებამ შეიძლება სიკვდილიც გამოიწვიოს ანუ დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 130-ე მუხლის 2 ნაწილით.

ამგვარად, შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ მოქმედებისას მიზეზობრივი კავშირის ტოტალური შეუქცევადობა არსებითად კორექტირდება უმოქმედობით მიზეზობრივ კავშირში და ამასთან რაღაც „შექცევად“ გარკვეულ თვისებებს იძენს.

მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან მიზეზობრივი კავშირის ისეთი მახასიათებლები, როგორც ფარდობითობა და კანონზომიერებაა. „მიზეზობრივი კავშირი ყოველთვის *ფარდობითია*, ანუ დამოკიდებულია თანხლებ პირობებზე... პირობების შეცვლით იცვლება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ხასიათი“ (8, 17-18). ყველაზე მკაფიოდ მიზეზობრივი კავშირის ფარდობითობა უმოქმედობისას ვლინდება. უმოქმედობისას - პასიური მიზეზის შემთხვევაში - თანხლები პირობების ერთობლიობა შეადგენს სისტემას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება პასიური ქცევა სწორედ *მიზეზად* ჩაითვალოს, ამ სიტყვის სრული გაგებით. ამასთან ერთად, მიზეზობრივი კავშირი უნივერსალურად კანონზომიერ (ნომოლოგიურ) ხასიათს ატარებს. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე მიზეზი (მიზეზთა ერთობლიობა) ერთი და იგივე პირობებში იწვევს ცნობილი შედეგის დადგომას. უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის აუცილებელი ერთმნიშვნელოვანი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ ერთსა და იმავე პირობებში უარი სავალდებულო მოქმედებების შესრულებაზე იწვევს სრულიად გარკვეული დანაშაულებრივი შედეგის დადგომას.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის მეოთხე თავისებურება დაკავშირებულია ფარდობითობასთან და კანონზომიერებასთან, რადგან აქ ყველაზე მნიშვნელოვანია იმ ფაქტის დადგენა, რომ სწორედ უმოქმედობა წარმოადგენს მიზეზს. პირველი ნაბიჯი ამის დასადგენად იქნება მიზეზობრივი კავშირის სწორი შეფასება მისი ფარდობითობის პოზიციებიდან; შემდეგი

ნაბიჯი იქნება საკითხის გადაწყვეტა მიზეზობრივი კავშირის კანონზომიერების შესახებ. შემდეგი იქნება დასკვნა იმის შესახებ, რომ იყო თუ არა უმოქმედობა დამდგარი შედეგის მიზეზი, თუ უმოქმედობა იყო მხოლოდ თანხლები მოვლენა, მაგრამ დამდგარი შედეგის მიზეზი სხვა რამ იყო. მიზეზობრივი კავშირის შესახებ საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის და მის დასადგენად აუცილებელია სრულად შეფასდეს მიზეზობრივი კავშირის ფარდობითობა, ანუ გათვალისწინებულ იქნას ყველა პირობა, რომელიც შეადგენს იმ სისტემის ელემენტს, რომლის ჩარჩოებშიც შეიძლება გამოიყოს უმოქმედობა, როგორც მიზეზი. პაციენტის დაავადება (რომელიც აგრეთვე წარმოადგენს მიზეზს ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმის მნიშვნელობით), ამ დაავადების განვითარების მსვლელობა, ექიმის ვალდებულება გაუწიოს დახმარება, ოპერატიული მკურნალობისათვის სპეციალური ჩვენებების არსებობა, ასეთი მკურნალობის ჩატარების ობიექტური შესაძლებლობა, პაციენტის მიმართვა პრაქტიკოსი ექიმისადმი შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში - ყველაფერი ეს აუცილებელი პირობების ერთობლიობას შეადგენს, გარკვეულ სიტუაციას ქმნის, რომელშიც შეიძლება განვიხილოთ მიზეზობრიობის კატეგორიის ჩარჩოები. მას შემდეგ, რაც დადგენილია პირობების მთელი ერთობლიობა და განისაზღვრა, რომ ისინი ჯამში მოთხოვნილ სისტემას შეადგენენ, წყდება საკითხი მიზეზობრივი კავშირის კანონზომიერების შესახებ. თუ ექიმმა უარი განაცხადა პაციენტისთვის დახმარების გაწევაზე და ავადმყოფი დაიღუპა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო, მაშინ მიზეზობრივი კავშირის კანონზომიერების ნიშანი არ არსებობს და, მაშასადამე, არ არსებობს თავად მიზეზობრივი კავშირიც ექიმის უმოქმედობასა და დაზარალებულის სიკვდილს შორის.

ფარდობითობის პოზიციებიდან შეფასებული მიზეზობრივი კავშირის თანხლები პირობების ერთობლიობა მდგომარეობს სიტუაციის შესაბამისობაში კანონის ყველა მოთხოვნასთან, აღნიშნული ფორმით დანაშაულის შემადგენლობის მაგალითის სახით შეიძლება მოყვანა: საქართველოს სსკ-ის 383-ე მუხლი (უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა). მოცემულ პირობებში დადგენილი წესით გაცემული უფროსის ბრძანების შეუსრულებლობა ხელქვეითის მიერ, რამაც არსებითად დააზიანა სამხედრო სამსახურის ინტერესი, თუ მიყენებულია რაიმე არსებითი ზიანი (ფიზიკური, ქონებრივი, საორგანიზაციო) სამსახურის ინტერესებისადმი, მაგრამ ბრძანების შესრულების ან შეუსრულებლობის თავად ფაქტმა არანაირად გავლენა არ მოახდინა არსებითი ზიანის გამოჩენაზე, მაშინ კანონზომიერება, როგორც მიზეზობრივი კავშირის არსებითი ნიშანი, არ არსებობს. არ არსებობს მიზეზობრივი კავშირიც. თავის თავად ბრძანების შეუსრულებლობა სისხლის სამართლის წესით არ ისჯება.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის გენეტიკური ხასიათი.

პასიური მიზეზის შემთხვევაში გენეტიკური ხასიათის არსებობის შესახებ საკითხის გაუმჭვირვალობა, როგორც სჩანს, უმოქმედობის აკაუზალობის მომხრეებს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უქმნის უმოქმედობის სრულფასოვან მიზეზად აღიარებისათვის. მართლაც, საკითხი აქტიური მიზეზის გენეტიკური ხასიათის შესახებ ადვილად გადაწყდება: ტყვია გულში მოხვდა, გამოიწვია ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოს სიცოცხლესთან შეუთავსებელი დარღვევები და დაზარალებული გარდაიცვალა. ამ მკაფიოდ გამოხატული ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმს კვალიფიკაციისას „ზემოდან დაედება“ მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია და მათი მოთხოვნილი შესაბამისობა განსაზღვრავს საკითხს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. უფრო რთული ვითარებაა პასიური მიზეზის გენეტიკურ ხასიათთან დაკავშირებით. გ.ხ. ფონ ვრიგტი აღნიშნავს შემდეგს: „მოქმედებას აქვს „პასიური“ ანალოგი, რომელსაც ჩვეულებრივ უწოდებენ თავშეკავებას. რადგან თავშეკავება- ინტენციონალური პასიურობაა, ის შეიძლება განვასხვავოთ უბრალო პასიურობისგან, უმოქმედობისგან. თავშეკავების გზით არ შეიძლება უშუალოდ რამის წარმოება ან რაიმეს ხელის შეშლა, მაგრამ შეიძლება ცვლილების დაშვება ან რაიმეს უცვლელად დატოვება. ასეთი ცვლილებები ან არაცვლილებები მოქმედებისგან თავშეკავების გარე ასპექტს

შეადგენენ. შეიძლება თუ არა დაერქვას თავშეკავებას „ქცევა“? თუ განისაზღვრება თავშეკავება როგორც („პასიური“) ქმედების სახე, მაშინ არ შეიძლება შედავება მისი როგორც ქცევის სახის განსაზღვრის წინააღმდეგ... საჭიროა ერთმხრივი მიდგომის საშიშროებების გაცნობიერება, რომლებიც წარმოიქმნება, მხოლოდ ცვლილებების მომხდენი მოქმედებით " (5, 123).

რადგან პასიურ მიზეზს გენეტიკური ხასიათი გააჩნია, უნდა გვახსოვდეს გ.ა. ზლობინის სისტემური მიდგომა, რომლის პოზიციებიდანაც ხდება უმოქმედობის მიზეზობრივი კავშირის შეფასება და თავად მიზეზის გამოიყოფა.

ვისარგებლოთ ადრე მოყვანილი მაგალითით

ცხრილი 1

ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმი	მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია საქართველოს სსკ 130-ე მუხლის მიხედვით
1. მწვავე აპენდიციტი (მიზეზი) ↓ 2. პერიტონიტი ↓ 3. სეფსისი ↓ 4. ყველა ორგანოს და სისტემის მოქმედების დარღვევით გამოწვეული სიკვდილი (შედეგი)	I. ვალდებული პირის (მედიცინის მუშაკის) უმოქმედობა (განსაცდელში მიტოვება საპატიო მიზეზის გარეშე) (მიზეზი) ↓ II. ავადმყოფის გარდაცვალება (შედეგი)

ცხრილის პირველ სვეტში წარმოდგენილია ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმი, ანუ ნაჩვენებია, თუ როგორ ხდება, მედიცინის თვალსაზრისით, პაციენტის გარდაცვალება დიაგნოზით „მწვავე აპენდიციტი“.

გ.ა. ზლობინის მიხედვით : მიზეზობრივი კავშირის ფარდობითობის ნიშნის შესაბამისად, ელემენტების სისტემის გათვალისწინებით, მიზეზი ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენაა (7.35). შედეგს განხილულ მაგალითში წარმოადგენს ავადმყოფის გარდაცვალება. ცხრილში წარმოდგენილი პერიტონიტი და სეფსისი - პროცესია, რომელიც ნათლად წარმოადგენს იმ მიზეზის (მწვავე აპენტიციტს) მოქმედების გენეტიკურ ხასიათს, რომელიც იწვევს ახალი მოვლენის წარმოქმნას - გარდაცვალებას და, თუმცა შეიძლება იმის მტკიცება, რომ პაციენტი სეფსისისგან, სისხლის მოწამვლისგან გარდაიცვალა, მაგალითის სახით მოყვანილი პროცესის კაუზალური განხილვა შესაძლებლობას იძლევა გამოიყოს სეფსისი, როგორც სიკვდილის მიზეზი, როგორც მიზეზობრივი კავშირის გენეტიკური განვითარების პროცესი, სადაც მიზეზს წარმოადგენს სწორედ მწვავე აპენტიციტი (იმ პირობით, რომ სწორედ ამ ეტაპზე ავადმყოფმა მიმართა ექიმს დახმარებისათვის).

მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია ცხრილის მეორე სვეტში წარმოდგენილია მისი იმ საკანონმდებლო განსაზღვრის შესაბამისად, რომელიც არის საქართველოს სსკ 130-ე

მუხლში, სადაც ნორმატიულად დაფიქსირებულია, რომ სისხლის სამართლით დასჯადია“ ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება“, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისათვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობა (2, 60). ისრები მოცემულ ცხრილში ნიშნავს მიზეზობრივ კავშირს, მიზეზის გენეტიკურ გავლენას ახალი მოვლენის შედეგის გამოჩენაზე.

მამასადამე, მოყვანილი ცხრილი ორი საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა: 1) პასიური მიზეზის გენეტიკური ხასიათის შესახებ; 2) ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმისა და უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქციის თანაფარდობის თავისებურებების შესახებ. პასიური მიზეზის გენეტიკურ ხასიათზე გადასვლამდე აუცილებელია პასუხის გაცემა პირველ საკითხზე.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის მეხუთე თავისებურება მდგომარეობს მიზეზის განსაკუთრებული დროით თანაფარდობაში ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმის შემადგენლობაში. ამ თანაფარდობით არსებითად განსხვავდება აქტიური მიზეზის შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის განვითარება პასიური მიზეზობრიობისგან.

მართალსაწინააღმდეგო ქმედება (ანუ მიზეზი მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქციის შემადგენლობაში) წარმოიშვება დროის მიხედვით ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმზე ადრე. უფრო მეტიც, მართალსაწინააღმდეგო ქმედება თავის თავად წარმოქმნის ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმს (9, 95).

ასე, მაგალითად, დანის დარტყმა გულის არეში იწვევს შეუქცევად პროცესებს ადამიანის ორგანიზმში, რომელსაც მოსდევს სიკვდილი. სხვანაირია საქმის ვითარება უმოქმედობისას. ეს თვალსაჩინოდ არის ნაჩვენები ჩვენს მიერ წარმოდგენილ ცხრილში, მიზეზი ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმის შემადგენლობაში უკვე არსებობს ექიმის მიერ უმოქმედობის განხორციელები დასაწყისისთვის. უმოქმედობას, როგორც მართალსაწინააღმდეგო შედეგის მიზეზს, მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქციის შემადგენლობაში შეიძლება ადგილი ქონდეს ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე; ამიტომ, უმოქმედობა არ არის აღნიშნული იმავე სტრიქონზე, სადაც გარდაცვალების მიზეზი (მწვავე აპენდიციტი), არამედ ქვევით, რადგან პერიტონიტიც და სეფსისიც ექვემდებარება მკურნალობას. თუმცა ეს არ ცვლის აღწერილ მდგომარეობას: ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმი დროის სიბრტყეში უფრო ადრე წარმოიქმნება, ვიდრე რეალიზებას იწყებს მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქცია. ამასთან, მიზეზობრივი კავშირის თეორიული კონსტრუქციაც და ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმიც ერთმანეთს დასასრულის მომენტში, რომელსაც წარმოდგენს შედეგის დადგომა. ემპირიული შედეგი და დანაშაულებრივი შედეგი (დასრულებულში) ერთმანეთს ემთხვევა.

ეხლა შეიძლება პასუხი გაეცეს კითხვას პასიური მიზეზის გენეტიკური ხასიათის შესახებ. მიზეზის გენეტიკური ხასიათი - ზოგადად კაუზალური დეტერმინიზმის მაკონსტიტუირებული ნიშანია, ამიტომ თუ უმოქმედობას ასეთი ხასიათი არა აქვს, ეს მაინც არ იძლევა იმის საშუალებას, რომ აღიარებული იყოს მიზეზობრივი კავშირის არსებობა უმოქმედობის გზით ჩადენილი დანაშაულების შემადგენლობაში და ყველა მოყვანილ თავისებურებებს აკაუზალური დეტერმინიზმის ან საერთოდ ინდეტერმინიზმის მხოლოდ ცალკეულ ნიშნებად ხდიდეს. პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება მხოლოდ საწინააღმდეგოდან დამტკიცების გზით. თუ პასიური მიზეზი არ ატარებს გენეტიკურ ხასიათს, მაშინ ვალდებული პირის უმოქმედობა არ გამოიწვევს დანაშაულებრივ შედეგებს. ასეთ შემთხვევაში ვალდებული პირის უმოქმედობას კავშირი არა აქვს ზიანის მიყენების ემპირიული გამოვლენის მექანიზმთან და ვერ უკავშირდება

საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომას. თავად შედეგი ამ თვალსაზრისით არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივად, თუმცა საზოგადოებრივად საშიშად რჩება, მაგრამ ამავე დროს არ ხვდება სისხლის სამართლის დამცავი ფუნქციის მოქმედების სფეროში. რჩება რა საზოგადოებრივად საშიშად, შედეგი მოითხოვს საკითხის გადაწყვეტას დამნაშავე პირის შესახებ. როგორც ჩანს, დამნაშავედ უნდა ჩაითვალოს თვითონ ავადმყოფი. ამასთან, სისხლის სამართლის კანონში არის ისეთი დანაშაულების შემადგენლობები, რომლებიც ითვალისწინებენ გარკვეული სახის მართალსაწინააღმდეგო შედეგებს. თუმცა, თუ არ არსებობს პასიური „მიზეზის“ გენეტიკური ხასიათი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ვინმეზე დაკისრება არ შეიძლება.

პასიური მიზეზის გენეტიკური ხასიათის არ აღიარების შედეგებიდან არცერთი არ არის დასაშვები, პრობლემაზე არც ზოგადფილოსოფიური შეხედულების თვალსაზრისით და არც სისხლის სამართლის-სამართლებრივი მნიშვნელობით.

უმოქმედობისას მიზეზობრივი კავშირის მექანიზმები თავისებურება პასიური მიზეზის გენეტიკურ თვისებას წარმოადგენს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ პასიური მიზეზი სწორედ გენეტიკურად წარმოქმნის შედეგს, მაგრამ უკვე არსებულ სხვა მიზეზთან ერთად და მასთან ერთად მიზეზობრივ კომპლექსს - სისტემას, სადაც ყოველი ელემენტი აუცილებელია.

ამგვარად, პასიურ მიზეზს გენეტიკური ხასიათი გააჩნია,

დასკვნა

უმოქმედობა ამკრძალავი ნორმის რეალიზების, მისი პრაქტიკული არსებობის ფორმაა. მის ცნებაში მოცემულია მოქმედების კაუზალობის ანალოგიური ნიშანი, მაგრამ არა თვით კაუზალობა.

ამგვარად, პასიურ მიზეზს გენეტიკური ხასიათი გააჩნია, თუმცა, უმოქმედობით დადგენილ მიზეზობრივ კავშირს რიგი თავისებურება გააჩნია, და სწორედ ეს თავისებურებები იყო ნაჩვენები აღნიშნულ სტატიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე ო. 2013. *სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება*. თბილისი.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2016. თბილისი: ზონა კაუზა.
3. ტურავა მ. 2011. *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*. თბილისი: ზონა კაუზა.
4. წერეთელი თ. ტყემელიაძე გ. 1969. *მოდერნობა დანაშაულზე*. თბილისი: მერიდიანი.
5. Вригт Г. Х. фон. 1986. *Логико-философские исследования*. Москва: прогресс.
6. Ведерникова О. Н. 2004. Современные уголовно-правовые системы: типы, модели, характеристика. *Государство и право*. Вып. 1. Москва.
7. Злобин Г. А. 1967. Противоправное бездействие и причинная связь. *Советское государство и право*. 5, 28-36.
8. Козаченко И. Я., Курченко В. Н. 1991. Как установить причинную связь. *Социалистическая законность*. 4, 17-18.
9. Малинин В. Б. 2000. *Причинная связь в уголовном праве*. Санкт-петербург.
10. Флетчер Дж., Наумов А. В. 1998. *Основные концепции современного уголовного права*. Москва: Юрист.

Specificity of Causation Caused by the Reason's Passive Nature in Crimes Committed under Inaction

Lasha Kukhianidze, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

This article aims to study and analyze the characteristics of causation stipulated by a passive nature of a reason in the delicts of inaction on the basis of legal, philosophical and sociological literature. Human behavior, which may be related to a criminal responsibility, can be expressed in a positive action, as well as in the refraining from action. Refraining from action, i.e. the inaction may be divided into two periods: a net inaction and a mixed inaction. Obviously, the failure to perform the duties set forth by the offense composition leads to the criminal responsibility only if performance of the action was available to an individual.

The issue of responsibility for a mixed inaction is in some way complicated, because it is related to the causation issue. The issue is too difficult in terms of theoretical point of view, namely: is inaction in a causal link with the outcome of a crime? Or maybe this inaction in terms of legal point of view is just equivalent to the result of a crime originated as a result of an action?

Causal link is one of the signs of the objective side of material crime. An individual cannot be prosecuted without the causal link, i.e. completed unlawful result should be causally linked with action committed by such individual. This is one of the classic problems of criminal law. On the one hand, this is one of most philosophical issues of criminal law; on the other hand, it is of great law-enforcement importance. As a result, crime and endangering delict cannot be announced as completed without ascertaining cause-effect relation. Urgency of the above mentioned issue was underlined by the effective Criminal Code of Georgia. In opposition to the previous Codes and majority of countries of the world, the causative link is normatively described by the Article 8 of the mentioned Code: "Causation shall exist when an act constituted a necessary condition for the unlawful result or specific threat provided under the relevant Article of this Code, when a person had special legal obligation to act, was able to act and the result would have been avoided by taking mandatory and possible action". In the mentioned definition, the following point of view of T. Tsereteli is provided: in case an action of an individual was one of the compulsory conditions of offensive criminal result, i.e. if origin of unlawful result was contributed by the above mentioned together with other factors, it is sufficient for recognition of existence of causal links between the action of an individual and its outcome. Precisely the above mentioned standpoint is described within the paragraph II of the Criminal Code of Georgia. But how can one ascertain whether the action of an individual was a necessary condition? In such case T. Tsereteli considers the following: "conduct of an individual should be considered as a necessary condition of such result when the result would not be achieved without the action. In order to ascertain whether the action should be taken or not, we can apply the method of conceptual exception, i.e. let us suppose that this action was not taken by an individual. If during the course of such conceptual exception it will be established that the result still would occur and it would occur at the same time and in a manner that it actually took place, it turns out that the action of an individual had no causal link, and vice versa; if it is ascertained that in case of absence of an action the result would not occur completely or would occur in another time and through different manner than it had taken place really, the mentioned proves the fact that the action of an individual was the necessary condition of public result".

In the presented article we try to analyze the issue of inaction causation and set its general elements complex.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის
ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები

თამთა საჯაია, დოქტორანტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიით - „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები“ ავტორი სრულად იზიარებს მოსაზრებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე ისე დაბადების შემდეგ“. აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს არასრულწლოვნები როგორც სოციალური გარანტიებით, ასევე ჩამოყალიბებული მართლმსაჯულების სისტემით, ვინაიდან დევიანტური ქმედებებისაკენ მიდრეკილი ან დანაშაულის ჩამდენი მოზარდები კიდევ უფრო მეტად საჭიროებენ გარშემომყოფთა თანადგომას, რათა სამომავლოდ მოხდეს მათი საზოგადოებასთან და მშვიდობიანი თანაარსებობის აღიარებულ პრინციპებთან ინტეგრირება.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა ქმედითი მართლმსაჯულების ჩამოყალიბების წინაპირობაა უპირველესად სწორად განისაზღვროს სისტემის სუბიექტთა წრე ე.ი. კანონმდებლის მიერ განიმარტოს რა ასაკიდან შესაძლოა დაეკისროს არასრულწლოვანს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

სამწუხაროდ, მსოფლიოში მოზარდთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის სხვადასხვა სტანდარტი არსებობს, შესაბამისად, საკანონმდებლო მიდგომათა არაერთმნიშვნელოვანი ხასიათი საკითხის აქტუალობაზე მიგვანიშნებს.

სტატიაში ავტორის მიერ ეროვნული საკანონმდებლო აქტების; გაერო-ს კონვენციების; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეგულირებისათვის შემუშავებული წესების; ანგარიშებისა და დასკვნების გაანალიზების საფუძველზე თანმიმდევრულადაა განხილული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის არსის წვდომისა და ერთიანი ცნების ჩამოყალიბების პრობლემები; კლასიფიცირებულია პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის ტექნიკა სახელმწიფოების მიხედვით; ისტორიულ ჭრილში განხილულია საკითხთან მიმართებაში ქართული კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; მინიმალური ასაკი; ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

შესავალი

„14 წლის რომ გავხდები, მერე აღარ მოვიპარავ. მანამდე კი ფულს ვაგროვებ...“- აღნიშნული სიტყვები ეკუთვნის ქ. თბილისში 2017 წლის თებერვალში მაღაზიებში უკანონო შეღწევის გზით თანხის ფარულად დაუფლების ორმოცდაათამდე ეპიზოდში მონაწილე მოზარდს.

მართალია, სამართალდამცავებმა მოახდინეს დასაბუთებული ვარაუდით მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენ პირთა დროული იდენტიფიცირება, თუმცა საკანონმდებლო ბერკეტების არქონის გამო ვერ ახდენენ მოზარდთა მიერ განხორციელებულ ქურდობათა ციკლზე სამართლებრივ რეაგირებასა და ქმედებათა პრევენციას, ვინაიდან საქართველოში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ 14 წლის ასაკს მიღწეულ პირებს.

განვითარებულ მოვლენებს საზოგადოების მძაფრი რეაგირება მოჰყვა. განსაკუთრებით დაზარალებულთა - მაღაზიების მეპატრონეთა მხრიდან იგრძნობა უკმაყოფილება, ვინაიდან მათ მიადგათ მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, სახელმწიფო კი ვერ უზრუნველყოფს აღნიშნული ზიანის ანაზღაურებას და, რაც მთავარია, დამნაშავეთა „სათანადო დასჯას“. მოქალაქეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავს ვითარებაში სახელმწიფოს უმოქმედობა გაუმართლებელია. ილახება უფლებები, დამნაშავეთა დაუსჯელობა კი შემდგომში სხვა მოზარდთა კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა წახალისებას გამოიწვევს. „დაუსჯელობის სინდრომი“ თავიდან რომ ავიცილოთ, აცხადებს საზოგადოების ნაწილი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელზე ნაკლები უნდა გახდეს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, გამოვარკვიოთ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის არსი; პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები და მათი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

მასალები და მეთოდები

სრულყოფილი კვლევისათვის გამოვიყენებთ შედარებით-სამართლებრივ მეთოდს, რითაც შესაძლებელი გახდება საკითხის განხილვა ფართო ჭრილში - კერძოდ, ეროვნული კანონმდებლობისა და მართლმსაჯულების შედარება მსოფლიოში არსებულ ძირითად სამართლებრივ სისტემათა მქონე სახელმწიფოთა სამართლებრივ ბაზასთან.

მივმართავთ ისტორიულ-სამართლებრივ ანალიზს, რაც გამოკვეთს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკთან მიმართებაში ქართული კანონმდებლობის განვითარების ძირითად ტენდენციებს.

ზემოაღნიშნული განხორციელდება ეროვნული საკანონმდებლო აქტების; გაერო-ს კონვენციების; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეგულირებისათვის შემუშავებული წესების; ანგარიშებისა და დასკვნების განხილვის საფუძველზე.

ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო სტანდარტები

სამართლებრივი ტრადიციებისა და ისტორიული განვითარების გათვალისწინებით სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა სხვადასხვაგვარად წყვეტს არასრულწლოვანთა პასუხისმგებლობის საკითხს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ასაკის განსაზღვრის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას, ე.ი იმ ასაკის რეგლამენტირებას, რომლის მიღწევის შემთხვევაში პირს დაეკისრება პასუხისმგებლობა თანმდევი ნასამართლობისა და სასჯელის შეფარდების შედეგებით.

შესაძლოა გამოიყოს სახელმწიფოთა ცალკეული ჯგუფები, რომლებიც განსხვავებული საკანონმდებლო ტექნიკით ხასიათდებიან:

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დაბალი ზღვარი პასუხისმგებლობა 12 წლამდე

აღსანიშნავია, რომ კონტინენტების მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ზღვარი მერყეობს 6 - დან 12 წლამდე (10). ამ კუთხით აზიის სახელმწიფოთა

გარკვეული ნაწილი 7-დან 10 წლამდე პასუხისმგებლობას ითვალისწინებს; ევროპულ სახელმწიფოებში მეტი ლიბერალიზმი იგრძნობა, ვინაიდან პასუხისმგებლობის უდაბლეს ზღვრად 10 წელი არის მიჩნეული. (იხ. ცხრილი №1).

კონტინენტი	6 წელი	7 წელი	8 წელი	9 წელი	10 წელი	11 წელი	12 წელი
აზია							
იემენი		*					
კატარი		*					
ინდონეზია			*				
ირანი				*			
ბანგლადეში				*			
ბუტანი					*		
ამერიკა							
ანტიგუა და ბარბადუ			*				
სენტ-ვინსენტი და გრენადინები			*				
აფრიკა							
კამერუნი	*						
ეთიოპია				*			
კოტ-დ'ივუარი					*		
გამბია							*
ევროპა							
ინგლისი					*		
შვედეთი					*		
ბელგია							*
ნიდერლანდები							*

ცხრილი №1

საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო პრაქტიკა, ვინაიდან 33 შტატი საერთოდ არ ადგენს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, შესაბამისად, ნებისმიერი ასაკის ბავშვი შესაძლოა მიეცეს პასუხისმგებლობაში. დანარჩენ შტატებში პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 7 წლიდან მერყეობს.

“Doli incapax” - გათვინობიერებაზე დამყარებული მიდგომა

რიგ სახელმწიფოებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი დამოკიდებულია ბავშვის სიმწიფეზე. შესაბამისად, პასუხისმგებლობის ასაკზე უფროსი ბავშვის სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ მას არ მიუღწევია განსაზღვრული ასაკისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დადასტურდება, რომ ბავშვს აქვს უნარი, მიხვდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება სამართალდარღვევაა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ბავშვი „ათვინობიერება“ ქმედების მართლწინააღმდეგობას, პოლიცია, პროკურორი და სასამართლო აფასებს იმ ბავშვის მდგომარეობას, რომელიც ხვდება

ზემოაღნიშნულ ასაკობრივ ფარგლებში, გამოძიებამდე ან სასამართლო პროცესამდე, რათა გაირკვეს, დაიწყოს თუ არა საქმისწარმოება.

აღსანიშნავია, რომ 2000 წლამდე სიერა-ლეონეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 10 წლით განისაზღვრებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო 10-დან 14 წლამდე ასაკის ბავშვთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელი იქნებოდა იმის დემონსტრირება, რომ ბავშვი ათვიცნობიერებდა თავისი ქმედების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს (9, 17-19).

დღესდღეობით “**doli incapax**” მიდგომა გამოიყენება ბევრ სახელმწიფოში (10). ასე მაგალითად, ინდოეთსა და ბრუნეში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განისაზღვრება 7 წლით, თუმცა 7-დან 12 წლამდე პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საკმარისად მომწიფებულია საიმისოდ, რომ გაათვიცნობიეროს მის მიერ განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედების ბუნება და შედეგები.

ბელიზში პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განისაზღვრება 9 წლით, თუმცა 9-დან 12 წლამდე მოქმედებს „გათვიცნობიერების მიდგომა“.

ალტერნატიული ღონისძიებები ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის მაღალი ზღვარი - პასუხისმგებლობა 14 წლიდან

აღსანიშნავია რიგ სახელმწიფოთა ლიბერალური საკანონმდებლო მიდგომა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. კერძოდ:

ბრაზილიაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ზღვრად მიჩნეულია 18 წელი. 12 წლამდე პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას მოჰყვება ბავშვთა სახლში განთავსება ან ოჯახში დარჩენის პირობებში სავალდებულო საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა. 12 წლიდან კი აღნიშნულს შესაძლოა დაემატოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

სახელმწიფოთა დიდმა ნაწილმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეგულირების სფეროში მოხვედრის ზღვრად 14 წელი დაადგინა. ამ სახელმწიფოთა წრეს მიეკუთვნება საქართველო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლოა დაეკისროს მხოლოდ სსკ-ით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის (6).

ნორმატიული ანუ შეფასებითი თეორიის მიხედვით, ბრალი არის მოსამართლის მიერ პირის ინდივიდუალურ-სამართლებრივი გაკიცხვა მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისათვის და არა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი ქმედებისადმი.

14 წლის ასაკამდე პირს ბრალად არ შეერაცხება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ე.ი პირი ბრალუნარიანი ხდება 14 წლის ასაკიდან (1, 207-213).

ამ წესიდან გამონაკლისი კანონმდებელმა დაადგინა 2007 წლის 23 მაისის საქართველოს კანონით, რომლითაც ცვლილება შევიდა სსკ-ის 33-ე მუხლში და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი შემცირდა 12 წლამდე შემდეგი დანაშაულებისათვის: 108-ე (განზრახ

მკვლელობა), 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 137-ე (გაუპატიურება), 178-ე (ძარცვა, გარდა პირველი ნაწილისა), 179-ე (ყაჩაღობა) და 238¹ -ე (21 წლის ასაკს მიუღწეველი ან ნასამართლობის მქონე ან/და ნარკოტიკების მოხმარებისათვის ადმინისტრაციულ სახდელდადებული პირის მიერ ცივი იარაღის ტარება) მუხლები.

2010 წლის 23 თებერვლის კანონით გაუქმდა ზემოაღნიშნული ცვლილება და სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკად კვლავ 14 წელი დაწესდა.

ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრა საერთაშორისო ხასიათის პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, მსგავსი საკანონმდებლო დებულებები მსოფლიო მასშტაბით უნიფიცირებული ვერ იქნება, თუმცა მისაღებია ზოგად პრინციპებთან შესაბამისი რეგულაციების არსებობა.

სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, საერთაშორისო საზოგადოება მშვიდობიანი თანაარსებობისათვის გაერთიანდა და 1945 წელს შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ადამიანის ძირითად უფლებათა საყოველთაო პატივისცემის ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნებისათვის გაერომ მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტები მიიღო, მათ შორის ბავშვთა უფლებების სფეროში, რომლებიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებსაც ეხება.

1989 წლის 20 ნოემბრის „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ პირველი მუხლის თანახმად, ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას. კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს ბავშვთა ინტერესების უპირატესად დაცვას სოციალური თანაარსებობის ნებისმიერ ასპექტში და მიუთითებს, რომ *„ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.“*

ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ ბევრ ქვეყანაში დაინერგა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება. **მე-40 მუხლის პირველი ნაწილის** თანახმად: *„მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.“*

მართალია, ზემოაღნიშნული დანაწესი იძლევა არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის გარანტიებს სისხლის სამართლის პროცესში, თუმცა სამწუხაროა ის გარემოება, რომ არც ბავშვის უფლებათა კონვენციითა და არც სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული არ არის კონკრეტულად რა ასაკიდან შესაძლოა გახდეს პირი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სუბიექტი - ე.ი არ არის განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი. **კონვენციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი** მხოლოდ იმას სთხოვს სახელმწიფოებს, რომ მათ „სცადონ, ხელი შეუწყონ მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, მიიჩნევა, რომ ბავშვს არ აქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი“.

შედარებით მეტ დაკონკრეტებას გვთავაზობს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ე.წ. „პეკინური წესები“. მე-4 პუნქტის შესაბამისად : „იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებს არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნებას, ასეთი ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით“ (4).

იმ შემთხვევაში, თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალ ზღვარზეა დადგენილი ან თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება მნიშვნელობას კარგავს. ზოგადად, არსებობს ახლო კავშირი დელიქტენტურ ან სისხლისსამართლებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობის ცნებასა და სხვა სოციალურ უფლებებსა და პასუხისმგებლობას (როგორცაა ოჯახური მდგომარეობა, სამოქალაქო უმრავლესობა და ა.შ.) შორის. ამიტომ, უნდა მოხდეს შეთანხმება კეთილგონივრულ ასაკობრივ ქვედა ზღვარზე, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დონეზეც.

რა თქმა უნდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეუძლებელი იქნებოდა კონვენციაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის იმპერატიული მითითება და თითოეული ხელმომწერი სახელმწიფოს შიდა-სამართლებრივი ტრადიციების უფლებებელყოფა, თუმცა აღნიშნული დანაწესის დისპოზიციურმა ხასიათმა მრავალი წინააღმდეგობის წინაშე დააყენა ბავშვთა უფლებების კომიტეტი, რომელიც სახელმწიფოების მიერ კონვენციის შესაბამისად აღიარებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით დაფუძნდა (5).

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა თავისი დაარსებიდან 2009 წლის თებერვლამდე არანაკლებ 65 შემთხვევასთან დაკავშირებით მისცა რეკომენდაცია მონაწილე სახელმწიფოებს, გაეზარდათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი, ხოლო იქ, სადაც ამგვარი ზღვარი არ არსებობდა, დაეწესებინათ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი (9, 16).

სახელმწიფოების ანგარიშებთან დაკავშირებულ დასკვნით შენიშვნებში და **მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ 2007 წლის №10 კომენტარში** კომიტეტმა გამოხატა უარყოფითი დამოკიდებულება *doli incapax*- ის და გათვინობიერებაზე დამყარებულ მიდგომებთან დაკავშირებით. **34-ე პუნქტის თანახმად:** „კომიტეტი შემოთავაზებს გამოთქვამს მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული გამონაკლისების თაობაზე, რომელიც იძლევა უფრო დაბალი მინიმალური ასაკის გამოყენების საშუალებას იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისად მოწიფულად ითვლება. კომიტეტი ხაზგასმით სთხოვს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ პასუხისმგებლობის ისეთი ასაკი დააწესონ, რომელიც არ ითვალისწინებს გამონაკლისების სახით, უფრო დაბალი ასაკობრივი ზღვარის გამოყენებას“ (3).

აღსანიშნავია, რომ ბავშვის უფლებათა კომიტეტმა **2008 წლის 6 ივნისის** საქართველოს მესამე სამოქმედო ანგარიშის განხილვის შემდეგ გამოსცა „**დასკვნითი მოსაზრებანი ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების შესახებ**“, რომლის დასკვნითი შენიშვნების 72-73 პუნქტებში დიდი სინანული გამოთქვა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ მონაწილე სახელმწიფოს - საქართველოს გადაწყვეტილებით მინიმალური ასაკი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად 14-დან 12 წლამდე შემცირდა.

„კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს მოუწოდებს, არ დასწიონ მინიმალური ასაკი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად 12 წლამდე იმ მიზეზით, რომ უფრო მაღალი

ასაკი, როგორც არის 14 და 16 წელი, ხვდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, რომელიც აგვარებს კანონის დამრღვევი ბავშვების საკითხებს სასამართლოსთვის მიუმართავად და უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს კონვენციის 40(3)(ბ) მუხლის შესაბამისად” (2, 23).

საქართველოს მიერ 2015 წელს ბავშვის უფლებათა კომიტეტისადმი გადაცემულ „ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით” მეოთხე პერიოდულ ანგარიშში უკვე განსხვავებულ დებულებებს ვხვდებით:

„ბავშვის უფლებათა კომიტეტის დასკვნითი შენიშვნების (CRC/C/GEO/CO/3) 73-ე პარაგრაფის შესაბამისად და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელია. შესაბამისად, დანაშაულის ჩამდენ 14-დან 18 წლამდე პიროვნებას არასრულწლოვანი დამნაშავე ეწოდება” (8, 49).

შედეგები

საქართველომ გაითვალისწინა საერთაშორისო რეკომენდაციები და 2010 წლიდან აქტიურად დაიწყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმა. 2016 წლის იანვრიდან ძალაში შევიდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც 18 წლამდე მოზარდებისათვის სპეციალიზებული, ევროპული სტანდარტებისა და გაერო-ს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამის სისტემას ითვალისწინებს. კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი 14 წელია (7). საერთაშორისო რეკომენდაციების გაზიარების შედეგად საქართველო შეჯერდა იმ მიმართულებაზე, რომ აღნიშნული ასაკის დაწევა 14 წელზე დაბლა იწვევს მოზარდთა უფრო ფართო წრის სტიგმატიზებასა და მათ ე.წ. „ეტიკეტირებას დამნაშავეებად”. სწორედ აქედან გამომდინარე, შესაძლოა ითქვას, კოდექსი არათუ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის შემცირებაზე, არამედ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიულ მექანიზმთა გამყარებაზე ორიენტირდება, რაც ბავშვის საუკეთესო ინტერესთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტის დანაწესს პასუხობს.

დასკვნა

ჩვენ გავეცანით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის განსაზღვრის საერთაშორისო პრაქტიკას და გამოვკვეთეთ ძირითადი საკანონმდებლო მიდგომები, რომლებსაც იზიარებს მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფო. რა თქმა უნდა, თითოეულ მოდელს ინდივიდუალური ისტორიულ-სამართლებრივი საფუძვლები განაპირობებს, თუმცა შევჯერდით იმ მიდგომაზე, რომელსაც გაერო-ს რეკომენდაციები გვთავაზობს, კერძოდ, გამართლებულია, რომ სახელმწიფოებმა, სადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მინიმალური ასაკის კატეგორიას, გაითვალისწინონ მსგავსი დანაწესი, ხოლო იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც დაბალი ზღვარი დააწესეს, გაზარდონ პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წლამდე და უფრო მაღლა.

ამ კუთხით მისასალმებელია საქართველოს ქმედითი ნაბიჯები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში. რა თქმა უნდა, სახელმწიფო უნდა ეცადოს, განარიდოს მოზარდები სამართალწარმოებისა უარყოფითი შედეგებისაგან, თუმცა ვერ გამოვრიცხავთ იმ ფაქტს, რომ მან რეაგირების გარეშე არ უნდა დატოვოს 14 წლამდე მოზარდების ქმედება, რომელშიდაც დანაშაულის ნიშნები იკვეთება.

აუცილებელია პირველადი პრევენციის მექანიზმთა აქტიურად გამოყენება 7-14 წლამდე მოზარდებთან; განსაკუთრებული აქტივობები რისკ-ჯგუფებში მოხვედრილ პირებთან, კერძოდ, სოციალურად დაუცველ თუ ობოლ ბავშვებთან; ასოციალური ქცევისაკენ მიდრეკილ მოზარდებთან და სხვ.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ გაერო-ს რეკომენდაციების გვერდის ავლას არ გამოიწვევს, თუ 14 წელზე დაბალი ასაკის პირს სსკ-ის მუხლით გათვალისწინებული ცალკეული შემადგენლობების ჩადენისას დაეკისრება სავალდებულო ფსიქოლოგიური თუ საგანმანათლებლო პროგრამის გავლა.

იმ შემთხვევაში, თუ 12 წლის მოზარდი უკანონოდ იჭრება მაღაზიაში და ფარულად ეუფლება თანხას, მტკიცება იმისა, რომ ის უნდა განვარიდოთ სისხლის სამართალწარმოების სისტემას სტიგმატიზების თავიდან აცილების მიზნით, გამართლებულია, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის დაცვა იქნება არა მარტო სისტემისაგან დახსნა და მოლოდინი იმისა, რომ „გაიზრდება და შეიცვლება“, არამედ დანაშაულებრივი ქმედების მიზეზების აღმოფხვრა და პრევენცია, რასაც სათანადო ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო ღონისძიებები უზრუნველყოფს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტურავა მ. 2013. *სისხლის სამართალი. ზოგადი ნაწილის მიმოხილვა*. თბილისი. მერიდიანი.
2. [გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. 2008 წლის 6 ივნისი. დასკვნითი მოსაზრებანი ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების შესახებ.](http://unicef.ge/110/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83)

[94%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/63](http://www.unhcr.org/refugees/94%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%98/63).

3. გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. 2007. №10 კომენტარი მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ. <http://www.right-to-education.org/resource/crc-general-comment-10-childrens-rights-juvenile-justice>.
4. გაერო-ს გენერალური ასამბლეა. 1985 წლის 29 ნოემბერი. მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ „პეკინური წესები“. <http://www.ohchr.org/Documents/ProfessionalInterest/beijingrules.pdf>.
5. გაერო-ს გენერალური ასამბლეა. 1989 წლის 20 ნოემბერი. ბავშვის უფლებათა კონვენცია. <http://www.supremecourt.ge/information28>.
6. საქართველო. პარლამენტი. 1999. სისხლის სამართლის კოდექსი (2017 წლის აპრილის მდგომარეობით). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>
7. საქართველო. პარლამენტი. 2016. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2017 წლის აპრილის მდგომარეობით). <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2877281>.
8. საქართველო. საგარეო საქმეთა სამინისტრო. 2015. მეოთხე პერიოდული ანგარიში ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. http://unicef.ge/110/meotkhe_perioduli_angarishi/384.
9. Hamilton C. 2011. Guidance for Legislative Reform on Juvenile Justice. *Children’s Legal Centre and United Nations Children’s Fund (UNICEF), Child Protection Section*. <https://www.unicef.org/search/search.php?q=GUIDANCE%20FOR%20LEGISLATIVE%20REFORM%20ON%20JUVENILE%20JUSTICE>. (17.03.2017).
10. MINIMUM AGES OF CRIMINAL RESPONSIBILITY AROUND THE WORLD. [https://www.crin.org/en/home/ages.\(10.03.2017\)](https://www.crin.org/en/home/ages.(10.03.2017)).

National and International Standards for Determining the Minimum Age of Criminal Responsibility

Tamta Sajaia, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Summary

“When I'm 14 years old, I will no longer steal. I will be collecting money until that...”

These words belong to an adolescent participating in fifty episodes of taking money through illegal access to shops in Tbilisi, February 2017.

Although Law enforcement officers managed to timely identify perpetrators on the bases of presumption, legislative powers, due to lack of levers, fail to take legal and prevention actions against the cycle of robbery committed by juveniles, as criminal liability in Georgia may be imposed only on individuals who have reached the age of 14 by the moment of committing a crime.

Development of the matter was followed by a sharp response from the society especially, from the victims - shop owners felt discontent because of significant material damage. The state fails to compensate them for the damage, and most importantly, they cannot ensure "appropriate punishment" of criminals.

Most citizens believe that in such circumstances inactivity of the state is unjustified. Violation of the rights and impunity of the perpetrators will further encourage illegal actions of other juveniles.

To avoid the “syndrome of impunity” the minimum age of criminal responsibility should be less than 14 years.

Unfortunately, there are different standards for determining the minimum age of criminal responsibility of juveniles in the world. Variety of legislative approaches points out the importance of the issue.

The author of the article discusses the problems of minimum age of criminal responsibility and the formation of unified concept based on the national legislative acts, UN Conventions, juvenile justice regulations, reports and conclusions.

The article describes the technique of determining the minimum age for responsibility according to the examples of different States; the main trends of development of the Georgian legislation and their compliance with international standards are discussed in the historical context.

Finally, the author gives the conclusion according to which it is justified that states where criminal law does not envisage a minimum age category take into account similar provision, and the states, which have determined the lower limit, increase liability age up to 14 years and above.

It will not be against the United Nations recommendations to impose a person under 14 years of age, who violates any of the compositions provided by the Criminal Code of Georgia, to participate in compulsory psychological or educational program. If a 12-year-old teenager illegally breaks into the shop and takes money, it is justified to keep him/her away from the criminal justice system in order to avoid stigmatization.

However, it is important to remember that the best way to support the interests of a child is not only keeping him/her away from the system and waiting when he/she "grows up and changes", but also eliminating and preventing the reasons of criminal actions, that is best provided by the adequate psychological and educational measures.

ბიზნესის და მართვის სექცია

გაყიდვებზე მოქმედი ფაქტორების ანალიზი თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მაგალითზე

ალექსანდრე ვასილევია, მაგისტრი

საქართველოს საზოგადოებრივი ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

კვლევა ეხება თბილისის საბინაო ბაზრის სექტორში მიმდინარე ტრანზაქციების ანალიზს; საბინაო ბაზრის გაყიდვებზე მოქმედ როგორც ენდოგენურ, ასევე ეგზოგენურ ფაქტორებს, ტრანზაქციების ტრენდის განსაზღვრას, ბიზნეს ციკლის გამოყოფას, 2017 წლის მეორე და მესამე მეოთხედებში ტრანზაქციების სამომავლო განსაზღვრას (ამ შემთხვევაში მიგნებას) და, შესაბამისი ფუნდამენტური დეტერმინანტების შეფასებით, 2016-2017 (Q1) პერიოდებზე სფეროში არსებული საინვესტიციო გარემოს შესწავლას.

თბილისის საბინაო ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციების ტრენდზე არსებითი გავლენა რამ დენიმე ფაქტორმა მოახდინა: ესენია იპოთეკური განაკვეთების ცვლილება, მიწოდების ოდენობა და საერთო უმუშევრობის დონე. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო ეკონომიკური ზრდის პირობებში საქართველოში უმუშევრობის დონის დამატებით შემცირებას უნდა ველოდოთ, რაც, საპროცენტო განაკვეთების შემცირების ფონზე ტრანზაქციების დინამიკაზე დადებითად იმოქმედებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწოდების ცვლილება, რომელიც 2017 წლის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი კლების გათვალისწინებით ფასების სტაბილურობას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ბაზრის „გაგრძელების“ პირობებში 2017 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ტრანზაქციების ზომიერ, თუმცა დადებით ცვლილებას უნდა ველოდოთ.

საძიებო სიტყვები: სამშენებლო ბაზარი, უძრავი ქონება, ტრანზაქციები, ბიზნეს ციკლი, ფაქტორული ანალიზი.

შესავალი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია დაადგინოს უძრავი ქონების ფასის განმსაზღვრელ ფაქტორებსა და ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციებს შორის არსებული კორელაციური დამოკიდებულება. ნაშრომის ფარგლებში წარმოდგენილი დაშვების თანახმად, მაკროეკონომიკური ცვლადები, რომლებიც ბაზარზე კონიუქტურული წონასწორობის განმსაზღვრელ დეტერმინანტებს წარმოადგენენ და როგორც საშუალო, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში წონასწორულ ფასს აყალიბებენ და მიმდინარე ტრანზაქციების უმნიშვნელოვანეს გარემოებად გვევლინებიან. წინამდებარე ანალიზის თანახმად („თბილისის უძრავი ქონების მაგალითზე ფასის ცვლილების ძირითადი ფაქტორები“ (29), ქვეყანაში დასაქმების დონე და შემოსავლების ცვლილება გახდა. მნიშვნელოვანი (თუმცა მოცემული ანალიზის მიხედვით არაარსებითი) ცვლილება ინფლაციისა და ეკონომიკური განვითარების ტემპებსაც შეაქვთ. ასევე მოყვანილ იქნა ფასის შემდგომი ცვლილების (პროგნოზირების) მცდელობა, რომელიც შემგომი ორი კვარტლის მაგალითზე განვიხილოთ და, პროგნოზის თანახმად, საბინაო სექტორში ფასების კლების ტენდენცია დაადასტურა. ამასთან, ფასის თანმიმდევრული კლების მიუხედავად, ემპირიული ცნობების თანახმად, აღნიშნულ პროცესს საინვესტიციო დანახარჯების კლება არ მოჰყოლია (2016 წლის მთელს სიგრძეზე ისინი მატებას განაგრძობდნენ); საბინაო ფართებზე საშუალო ფასების კლების საერთო ტრენდისა და იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთის შემცირების შედეგად, ტრანზაქციების ოდენობა ზრდას განაგრძობდა და 2016 წლის უკვე დასკვნით კვარტალში პიკურ მაჩვენებლს მიაღწია. შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანალიზის მიზანია მნიშვნელოვანი ენდოგენური პარამეტრების მაგალითზე ისეთი მოდელი მივიღოთ, რომელიც მიმდინარე ტრანზაქციების გათვალისწინებით, მაკროეკონომიკური ცვლადების გავლენას რაოდენობრივი სახით წარმოაჩენს, გარდა ამისა საშუალებას მოგვცემს მიღებული ეკონომეტრიკული მოდელის თანახმად 2017 წლის მომდევნო 3 (სამი) კვარტლის მაგალითზე ტრანზაქციების ტრენდი განვსაზღვროთ და სამომავლო ბიზნეს ციკლები დავსახოთ. აღნიშნული კვლევის ფარგლებში (და ემპირიული გამოცდილების საფუძველზე) საჭიროდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი შეირჩა: ტრანზაქციების ოდენობა, შემოსავალი, უმუშევრობის დონე, საპროცენტო განაკვეთები, მიწოდება და საბინაო ბაზრის

საშუალო ფასის ცვლილება. ჩვენს მიერ წარმოდგენილი ჰიპოთეზის თანახმად, ტრანზაქციების ოდენობა ძირითად გავლენა საბინაო ფასების ცვლილების, უმუშევრობის დონისა და შემოსავლების ზრდის ტრენდით განისაზღვრება, ხოლო მიმდინარე ეტაპზე (ტრენდის 2017 წლის პირველი სამი კვარტლის მწკრივებზე ექსტრაპოლირების პირობებში) თავად ტრანზაქციების დინამიკა ან სტაბილურ მდგომარეობას შეინარჩუნებს, ან ოდნავი უარყოფითი დახრილობით შემოიფარგლება, რის ფონზეც უძრავი ქონების ბაზარზე მიწოდების (მათ შორის ინვესტიციების) ზრდადი მოცულობა ვაკანტური ფართების ოდენობას გაზრდის, რაც, თავის მხრივ, გარკვეული „ლაგების“ (შეყოვნებების) შემდგომ, ფასებზე უარყოფით ზემოქმედებას განაგრძობს. ჩვენი გათვლებით, ფასების, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორის კლება ტრანზაქციების ზრდაზე დადებითად აისახება.

ჰიპოთეზა

აღნიშნული ანალიზის ფარგლებში ჩვენი მიზანია ემპირიული მონაცემების საფუძველზე თბილისის საბინაო ბაზრის კონიუქტურული დინამიკის განმსაზღვრელი ფაქტორების გამოკვეთა და ელასტიურობების განსაზღვრა, რა მიზნითაც რედუცირებული განტოლების პირობებში რამდენიმე ფაქტორი შეირჩა. ესენია საბინაო ბაზარზე საშუალო ფასების, იპოთეკური სესხების, დაქირავებული სამუშაო ძალის ანაზღაურება, საპროცენტო განაკვეთების, მიწოდებისა და უმუშევრობის საერთო დონის ცვლადები. თავად დამოკიდებულება შესაძლებელია შემდეგნაირად გამოისახოს:

$$Th = f(P, M, W, r, I, U)$$

მოცემული მულტიფაქტორული დამოკიდებულების განსაზღვრისას ფუნდამენტალური კლასიკურ მოდელად (გრძელვადიან პერსპექტივაში) Salo (1994) and Poterba (1984) მოდელი გამოვიყენეთ. გალოგარითმებული მიწოდების ფუნქცია შემდეგ სახეს იღებს:

$$pdt = \alpha_1 ht + \alpha_2 yt + \alpha_3 uct + \alpha_4 nt + \varepsilon$$

სადაც p კვადრატულ მეტრზე ფართობის ფასია, uc მოხმარების ხარჯი, h - ფართების საწყისი ოდენობა (ან ვაკანტური ფართობების ჯამი), y - შემოსავალი, n - დემოგრაფიული ფაქტორი. მოთხოვნის მხრივ განტოლებას შემდეგი სახე აქვს:

$$pdt = \alpha_1 ht + \alpha_2 yt + \alpha_3 uct + \alpha_4 nt + \varepsilon d$$

სადაც დათვლა პოდებრას (1992) ინტერპრეტაციით ხორციელდება.

აღნიშნული ფუნქციის თანახმად, უძრავი ქონების ფართები მოსახლეობის შემოსავლის ზრდასთან ერთად უნდა იზრდებოდეს. დემოგრაფიული ფაქტორიც (მათ შორის მიგრაცია) ფასზე ასევე დადებით გავლენას ახდენს, თუმცა ვინაიდან ეს ცვლად ქართულ ბაზარზე დემოგრაფიული დინამიკის სტაბილური ტრენდიდან გამომდინარე რეალურ სხვაობას არ იძლევა, ის ამ შემთხვევაში მხოლოდ პირობითად ვაჩვენეთ.

მოთხოვნის მხრიდან მნიშვნელოვანია სამშენებლო მასალებზე ფასის ცვლილებაც, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფასი, ისევე როგორც შემოსავლის ცვლილება და საინვესტიციო დანახარჯები მოკლევადიან პერსპექტივაში არაელასტიური და გარკვეული შეყოვნებებით (ე.წ. ლაგებით) გამოირჩევა. შესაბამისად, გარკვეული დროის შუალედში მართებულია ნომინალური (საინვესტიციო) ფასებისა და ფუნდამენტალურ ფასებს შორის რეალური აცდენა დავუშვათ (DiPascale and Wheaton, 1994).

არსებული დაშვებით, მოკლევადიან პერსპექტივაში მოთხოვნის განტოლება ასე გამოიყურება:

$$\Delta pt = \alpha_1 \varepsilon dt - 1 + 5 \sum_{n=1} \alpha_{n+1} \Delta pt - n + \alpha_7 \Delta ht + \alpha_8 \Delta yt + \alpha_9 \Delta nt + \alpha_{10} \Delta rrt + \varepsilon t$$

მიწოდების მხარე კი ასეთია:

$$\Delta it = \beta_1 \varepsilon st - 1 + 5 \sum_{n=1} \beta_{n+1} \Delta it - n + \beta_7 \Delta cct + \beta_8 \Delta pt + \varepsilon t$$

სადაც cc მშენებლობის ხარჯები, i -საპროცენტო განაკვეთები, p უძრ. ქონების რეალური ფასი. ამავე განტოლებებით ჩანს, რომ ზრდის პერიოდში ფასები წონასწორულ მდგომარეობას სცდება (დროის გარკვეულ მონაკვეთში) მაშინაც კი, როცა მოთხოვნის ტრენდი უარყოფითია და პირიქით, კრიზისის შემდგომ ეტაპზე, მზარდი მოთხოვნის პირობებში, ფასები ვარდნას განაგრძობენ (Gao, 2009).

შესაბამისად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი რედუცირებული განტოლება, რომელიც 2010-2017(Q1) კვარტლურად ჩაშლილი დროის მწკრივებიდან მიღებულ მონაცემებს ეყრდნობა, შემდეგ სახეს იღებს:

$$\text{Log}(Tht) = \alpha + \beta_1 \log(Pt) + \beta_2 \log(Mt) + \beta_3 \log \Delta(Wt-1) - \beta_4 \log(rt) + \beta_5 \Delta(It-1) + \beta_6(Ut) + \varepsilon$$

სადაც Tht ტრანზაქციების ცვლადია, Pt - ფასი, Mt - იპოთეკური სესხების საერთო ოდენობა, $Wt-1$ - ანაზღაურება, rt - საპროცენტო განაკვეთები, $It-1$ - საინვესტიციო დანახარჯები, Ut - ქვეყანაში არსებული უმუშევრობის დონე.

ნაშრომის ფარგლებში მულტიფუნქციური დამოკიდებულებით ჩვენს მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ინსტრუმენტის გამოყენებით (ANOVA Multifunctional VAR) როგორც თეორიული პრინციპების, ასევე პრაქტიკული გაანგარიშებების საფუძველზე ვასკვნით, რომ მოცემული განმსაზღვრელი ცვლადების გავლენა საბინაო ბაზრის კონკურენტულ აქტივობაზე არსებითია და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ($H_0: F > F_c$). ასევე, აღნიშნული ჰიპოთეზის ფარგლებში შეგვიძლია დავუშვათ, რომ მთლიანი შიდა პროდუქტისა და რეგიონში საერთო ეკონომიკური ვითარების ფონზე, აღნიშნული ფაქტორების შემდგომი დადებითი გავლენის პირობებში შესაძლებელი ხდება ტრენდის 2017 წლის მომდევნო მეორე და მესამე მეთოხედევზე ინტერპოლირება და ამ მხრივ დადებითი ტენდენციის გამოკვეთა. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეოთხე კვარტლის სიგრძეზე ეკონომიკური აქტივობა მეტ წილად დადებითია, გამართლებულია დავუშვათ, რომ წლის განმავლობაში კონიუნქტურული ციკლი მცირედი შენელებებისა და რყევების მიუხედავად ჯამურად დადებით ცვლილებას აჩვენებს (მიგნება).

მეთოდოლოგია

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ყურადღება საჭირო მონაცემების შეგროვებას დაეთმო, თავად მონაცემები 2010 – 2017 (Q1) პერიოდის კვარტალურ მწკრივებზე ჩავშალეთ და რამდენიმე ცვლადის გალოგარითმებული მონაცემებით ერთიან მატრიცაში ჩავრთეთ.

ამავრდოულად, გარკვეული ცვლადები გალოგარითმებული სიდიდეებით წარმოვადგინეთ, ხოლო შემოსავლის, საინვესტიციო დანახარჯებისა და ფასების შემთხვევაში პირველი ხარისხის

ლაგები წარმოვადგინეთ. რაც შეეხება უმუშევრობის დონეს (რომელიც მოცემულ მატრიცაში პროცენტული სიდიდეებითაა მოცემული), სამწუხაროდ, მეოთხედ მწკრივებად მონაცემების არ ქონის პირობებში მხოლოდ წლიური სიდიდეები მოვიყვანეთ (პირობითათ, წლის განმავლობაში ოთხივე მეოთხედზე უცვლელად დავტოვეთ, რაც, ბუნებრივია, გარკვეულ სტატისტიკურ ხმაურს არ გამოიწვევს). თავად მიღებული მატრიცა მულტიფუნქციური ვექტორული ავტორეგრესიის მეთოდით გადამოწმდა და სტატისტიკური მნიშვნელობა (%95 არე) Fc-კრიტიკული დონით განისაზღვრა. მიღებული მონაცემების საფუძველზე წარმოდგენილი ჰიპოთეზის ვალიდურობა ანალიზის შემდგომ ნაწილში, კერძოდ, დასკვნის სექციაში წარმოვადგინეთ.

უძრავი ქონების ბაზრის ზოგადი სპეციფიკაცია

ამა თუ იმ ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის ერთ ერთი ინტეგრალური სეგმენტი უძრავი ქონების ბაზარია, რომელიც რომელიც მეტ წილად საინვესტიციო დანახარჯების (და ნაწილობრივ სახელმწიფო დაკვეთის) საშუალებით ფართოვდება და თავისუფალი ბაზრის პირობებში ნებისმიერი სხვა საბაზრო ურთიერთობებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს, სადაც მიწის ერთეული ან შენობა-ნაგებობის ცალკეული კვადრატული მეტრი საბოლოო პროდუქტს წარმოადგენს. მასზე, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე, მოთხოვნა მიწოდების კანონები და სხვა ეკონომიკური პროცესები ვრცელდება (19), (18).

ისევე, როგორც თავისუფალი ბაზრის ნებისმიერი სფერო, უძრავი ქონების ბაზარი რიგი უპირატესობებით და ნაკლოვანებებით ხასიათდება. მაგალითად, ექსპლუატაციის პროცესში პროდუქტს მდგრადი, სტაბილური შემოსავალი მოაქვს; ხშირ შემთხვევაში მაღალია სარეალიზაციო მარჟა; სტაბილურია მოთხოვნა (განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ სადღეისოდ ისეთ ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, გერმანია, ინგლისი, ჰოლანდია და სხვა კერძო საკუთრების ფლობის პროცენტული მაჩვენებელი უმეტეს შემთხვევებში მაღალია (ევროკავსირის ქვეყნებში საშუალო მაჩვენებელი 65.1%-ს შეადგენს (22). აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კერძო ბინადრობისა და იპოთეკური სესხების ჯამური ოდენობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებას აჩვენებს (27).

უძრავი ქონების ბაზარს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია: დაკავშირებულია მაღალ დანახარჯებთან, ტრანზაქციულ და სხვა რეგულატორულ შეზღუდვებთან, ნაკლებად გამჭვირვალეა, მოკლევადიან პერსპექტივაში ვერ პასუხობს ფასების ცვლას და თითქმის არაელასტიურია, გარკვეულწილად დაბალი ლიკვიდურობით გამოირჩევა და ზოგჯერ მაღალ რისკებთანაა დაკავშირებული. საერთო მაკროეკონომიკური პროცესები, როგორცაა ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, შემოსავლისა და დასაქმების დონე და სხვა ამ სფეროს რისკების მხრივ მეტად მოწყვალდს ქმნის. გარდა ამისა, ის საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან მიჭიდრო კავშირშია, რასაც, თავის მხრივ, როგორც უპირატესობები, ასევე თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნია.

უძრავი ქონების მახასიათებლებში შედის ლოკალიზაცია: რადგან პროდუქტის გადანაცვლება ვერ ხდება, ის მთლიანად ადგილმდებარეობაზეა დამოკიდებული (რამდენად განვითარებულია ინფრასტრუქტურა, რა გარემოა, როგორი სამეზობლო, ხედი და ა შ). ბაზარი არაბალანსირებულია, რასაც ხელს ძირითადად ორი ფაქტორი უწყობს: აბსოლუტური კონკურენციის არ ქონა (თითოეული შენობა თავის მხრივ უნიკალურია) და სამშენებლო პროცესის ხანგრძლივობის შედეგად ფასის არაელასტიურობა დროის ახლო პერსპექტივაში, რაც საბოლოოდ ნიშნავს იმას, რომ ხშირ შემთხვევაში მოთხოვნა მიწოდების მახალანსირებელი ფასი მხოლოდ თეორიის დონეზეა წარმოდგენილი, ხოლო პრაქტიკა მისგან სერიოზულად აცდენილ სცენარს აჩვენებს (ფასი მხოლოდ მიახლოებითია და პირობითი, მათ შორის სხვა

პროდუქციისგან განსხვავებით ნელა და დროის შედარებით ხანგრძლივი მონაკვეთებით იცვლება). ბაზრის კიდევ ერთი სპეციფიკაცია მის შესახებ არასრული ან შეყოვნებული ინფორმაციაა. როგორც წესი, მის შესახებ ინფორმაცია ან არასრულია ან სინამდვილეს ხშირად ზუსტად ვერ ასახავს, ამავფროულად მაღალი რეგულირებით ხასიათდება და სახელმწიფო დაგეგმარების ან პოლიტიკის გატარებისას ხშირად იმ მონაცემებზეა დამოკიდებული, რაც სანდო მაჩვენებლებთან ერთად დროის ერთეულში სხვადასხვა ე.წ. „ლაგებს“ (შეყოვნებებსაც) მოითვლის.

უძრავი ქონების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი ისაა, რომ ამ ბაზრის მაგალითზე ზოგადად ეკონომიკური პროგნოზის გაკეთებაა შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ უძრავი ბიზნეს ციკლები საერთო ეკონომიკურ ციკლებს არ ემთხვევა. მაგალითად, ამ ბაზარზე ეკონომიკური აქტივობის შენელება ხშირ შემთხვევაში რეცესიის მანიშნებელია ხოლმე და პირიქით, რეცესიის ფაზის დასრულება პირველ ყოვლისა სწორედ ამ ბაზარზე გამოცოცხლებით შეინიშნება (20). მსოფლიო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჯერ კიდევ 2008-2009 წლის მსოფლიო კრიზისის წინა პერიოდში, აშშ ეკონომიკური კვლევების ბიურომ სწორედ ერთი წლით ადრე, 2007 წელს უძრავი ქონების ბაზრის „გადახურების“ შესახებ მოხსენება გააკეთა და რეცესიის ნიშნებზე მიუთითა ხოლო ფედერალური რეზერვის იმდროინდელმა თავმჯდომარემ, ალან გრინსპენმა სექტორში მიმდინარე ინფლაციური პროცესების შესახებ განცხადება ჯერ კიდევ 20015 წლის ივლისში გააკეთა, რასაც „არამდგრადი და დროებითი უწოდა“ (24), (25).

როგორც ვახსენეთ, უძრავი ქონების ბაზარი საინვესტიციო გადაწყვეტილებების შედეგია. აქვე შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ისევე როგორც სხვა სფეროში, მისი აქტორები ერთის მხრივ მომხმარებლები არიან (ესენია კერძო პირები, იურიდიული პირები და თვით სახელმწიფო), ხოლო მეორე მხრივ ინვესტორები, რომლებიც საინვესტიციო დაბანდებას სფეროში გატარებული ანალიზის მიხედვით განსაზღვრავენ (ეს შესაძლოა იყოს მიმდინარე სიტუაციის შეფასება ან პროგნოზი, ბიზნეს ციკლების განსაზღვრა და დაგეგმარების პროცესში ხელმისაწვდომ ინფორმაციაზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღება. ხშირ შემთხვევაში დაგეგმარების პროცესში ჩატარებული ანალიზის შედეგები არაზუსტია და სინამდვილეს სცდება, განსაკუთრებით პროგნოზი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ უძრავი ქონების ბაზრის ტრენდის შემთხვევაში შედარებით საიმედოა (ტრენდის ცვლა არც ისეთი სიხშირით ხდება და ბიზნეს ციკლები პერიოდული ცვლილების მიუხედავად ნაკლებ სიმკვეთრეს და მეტ პერიოდულობას ამჟღავნებენ), მისი ზუსტად განსაზღვრა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება და ხშირად დიდ ცდომილებებსაც აქვს ადგილი. უძრავი ქონების ბაზარი წარმოადგენს ისეთ ინფრასტრუქტურულ კატეგორიას, რომელიც ემსახურება პირობების შექმნას ისეთი ტიპის საქმიანობებისთვის, როგორცაა ეკონომიკური, სოციალური, კომერციული და სხვა (17, 148). მოგების შედარებით მაღალი მარჟის მიუხედავად, ბაზარზე შესვლის ბარიერებიც რთულად დასაძლევია: პირველ ყოვლისა ესაა დიდი დანახარჯები, კონკურენცია და სპეციფიური კვალიფიკაცია, რომელიც რეალტორებსა და ბაზარზე მოქმედ სუბიექტებს (ბიზნეს ანალიტიკოსებსა და ინვესტორებს) უძრავი ქონების ეფექტურად მართვის საშუალებას აძლევს. ფინანსური ბაზრებისგან განსხვავებით, უძრავი ქონება შეგვიძლია განვიხილოთ როგორც საერთო საინვესტიციო პორტფელის ნაწილი, რომელიც საერთო რისკების შემცირების შესაძლებლობას იძლევა და ცალკეული, დამოუკიდებელი აქტივის სახითაა წარმოდგენილი (17). უძრავი ქონების მსოფლიო ბაზრებზე შესაძლებელია რამდენიმე ტენდენციის გამოყოფა: პირველყოვლისა, ესაა ინვესტიციების ზრდა. ინვესტორების ძირითადი ყურადღება სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებზე მოდის (ე.წ. საკვანძო ქალაქებზე), თუმცა საერთო ჯამში (17) გარკვეული გამონაკლისების გარდა, უძრავი ქონების ბაზრის საერთო ზრდის დინამიკა 2007-8 წლის მსოფლიო კრიზისის მერე შენედა, თუმცა სტაბილურად ზრდადია (იგივე რუსეთის ფედერაციის მაგალითზე, თვეში საშუალოდ 2%-ით იზრდება (9).

უძრავი ქონების ბაზარი საერთო ეკონომიკური მდგომარეობის ფუნქციას წარმოადგენს. თუ ეკონომიკა მთლიანობაში ზრდად ტრენდს აჩვენებს, იზრდება უძრავი ქონების ბაზარიც და პირიქით, რეცესიის დროს დაცემას განიცდის. გამომდინარე იქიდან, რომ ზრდისა და შენელების (თუ ვარდნის) ტენდენცია აღნიშნულ ბაზარზე სხვა სექტორებს უსწრებს, ის ხშირ შემთხვევაში საერთო ეკონომიკური პროცესების ინდიკატორს წარმოადგენს. შესაბამისად, როგორც ავლნიშნეთ, საერთო ეკონომიკური მოსწრება სწორედ აღნიშნული ბაზრის მაგალითზე შეინიშნება.

უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა და პერსპექტივები საქართველოში


მშენებლობას 2016 წლის მდგომარეობით საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის 8.2% უკავია (15). თბილისის უძრავი ქონების ბაზარზე (კერძოდ, საცხოვრებელი ბაზრის სექტორში) მეტწილად იგივე ფუნდამენტური ფაქტორები მოქმედებს, რაც მსოფლიოს (მათ შორის ევროკავშირის) საცხოვრებელ ბაზრებზე. ბუნებრივია, ფასიც მოთხოვნა-მიწოდების ორი ძირითადი საბაზრო ფუნქციით განისაზღვრება და ბაზარზე მოქმედი ტრანზაქციების განმსაზღვრელი პირობაა. ფასების განმსაზღვრელი ფაქტორებია: ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული პროცესები, მოსახლეობის დამოკიდებულებები ქონებრივი მესაკუთრეობის მიმართ, ფინანსური და უძრავი ქონების (სიმდიდრის) ეფექტები, მუდმივი შემოსავალი და ქვეყანაში მიმდინარე უმუშევრობის დონე, დანაზოგების ოდენობა, იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობა და პირობები, საპროცენტო განაკვეთები, სამშენებლო მასალებისა და მშენებლობის ღირებულება, ჩამნაცვლებლები (ქირისა და იპოთეკური განაკვეთების თანაფარდობა), სახელმწიფო პოლიტიკა (ფისკალური შეღავათები და სხვა სტიმულები), სავალუტო კურსის ცვლილება, ინფლაციის დონე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მშპ და ქვეყანაში შექმნილი საერთო ეკონომიკური კლიმატი (საინვესტიციო გარემო).

თბილისის მოსახლეობა ბოლო მონაცემებით (14) 1114 ათას ადამიანს შეადგენს (რაც საქართველოს მოსახლეობის 29.9%-ა). 2011-დან 2014 წლის ჩათვლით ის არსებითი ცვლილებებით არ გამოირჩეოდა, 2014-დან 2015 განმავლობაში კი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო 2016-2017 წლებში (დღეის მდგომარეობით) ცვლილება უმნიშვნელოა (14). ასეთ ვითარებაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დემოგრაფიული ფაქტორი თბილისის საცხოვრებელი ბაზრის მაგალითზე (რომელიც საერთო ბაზრის დაახლოებით 80% იკავებს) არსებითად განმსაზღვრელი ფაქტორი ვერ გახდება. თუმცა, სადღეისოდ შეინიშნება უძრავ ქონებაში კაპიტალდაბანდების მზარდი ტენდენცია, როგორც საფინანსო აქტივების კიდევ ერთი ალტერნატივა, რომელიც, თავის მხრივ, გარკვეული ლიკვიდურობით და ქირა/ღირებულების თანაფარდობის მზარდი განაკვეთით გამოირჩევა (იმ პირობით, როცა საცხოვრებელ ფართებზე – 1 კვ. მეტრზე საშუალო ღირებულება მცირდება, ხოლო ქირის განაკვეთი სტაბილურობას ინარჩუნებს, აღნიშნული (ჩამნაცვლებელი) ფაქტორი სულ უფრო მეტ წონას იღებს). ამავდროულად აღსანიშნავია ქვეყანაში მიგრანტების სულ უფრო მზარდი ოდენობა, რასაც თბილისის საბინაო ბაზრის სექტორში მიმდინარე ტრანზაქციების ტრენდზე გარკვეული გავლენას ახდენს (თუმცა ეს საკითხი მოცემული ანალიზის თემას აწ წარმოადგენს და შემდგომი შესწავლის საგანია).

ჩვენს მიერ წარმოდგენილი წინამდებარე ანალიზის შედეგად თბილისის უძრავ ქონებაზე ფასის ცვლილების განმსაზღვრელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებად ქვეყანაში დასაქმების დონე და დაქირავებულთა ანაზღაურების ცვლილებაა (შემოსავალი) (1), (29). თუკი იმავე საქსტატის მონაცემებს დავეყენოთ, ქვეყანაში უმუშევრობის დონე, ისევე როგორც ანაზღაურების მაჩვენებელი მზარდ ტენდენციას აჩვენებს (მაგალითად, 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემით მამაკაცებში საშუალო ნომინალური ხელფასი 1306 ლარს, ხოლო ქალების ანაზღაურება 1191.5-ს შეადგენს (აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შემოსავლის ზრდასთან ერთად

იზრდება ანაზღაურების სხვაობა ქალებსა და მამაკაცების კატეგორიებს შორის და 2007 წლიდან ეს სხვაობა სულ უფრო ღრმავდება) (14). ბუნებრივია, ეს მონაცემები ანაზღაურებისა და შემოსავლის ზუსტ სურათს ვერ ასახავს. საქმე ისაა, რომ მიუხედავად უმუშევრობის რეკორდულად დაბალი მაჩვენებლისა (2005-2016 წლების პერიოდისთვის), რაც 2016 წლის ბოლოსთვის 11.8%-ს შეადგენს (14), ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე მწვავე საკითხად მოიაზრება. ვერც აქ მოყვანილი საშუალო ნომინალური შემოსავალი (ინფლაციისა და კურსის ცვლილების, მათ შორის ჯერ კიდევ მაღალი საპროცენტო განაკვეთების პირობებში) ფართო შესყიდვების შესაძლებლობას ვერ იძლევა, თუმცა, საჯარო რეესტრის ევოლუციური ბიუროს მონაცემების თანახმად, უძრავ ქონებაზე (საცხოვრებელ ფართებზე) საშუალო ფასების კლების ფონზე ტრანზაქციების ოდენობა თანმიმდევრულად იზრდება (განსაკუთრებული ზრდა 2015 წლის მესამე კვარტლიდან შეინიშნება და პიკურ მაჩვენებელს 2016 წლის მეოთხე კვარტალში აღწევს, რაც 2007-2017 (1 კვარტალი) მდგომარეობით უპრეცედენტო მაღალი მაჩვენებელია) (13), (26).

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს (და იპოთეკური სესხების დინამიკას), Colliers Georgia-ს ანალიზის მიხედვით, „2015 წელს იპოთეკური სესხების გაცემა გასულ წელთან შედარებით 24%-ით დაეცა (413 მილიონ აშშ დოლარამდე). 2015 წელს იპოთეკური სესხის უდიდესი ნაწილი გაცემულ იქნა დეკემბერში (132 მილიონი აშშ დოლარი). 2015 წელს ჯამური იპოთეკური სესხების ნაშთი 6%-ით გაიზარდა და 950 მლნ დოლარს მიაღწია” (21). ეროვნული ბანკის მონაცემებით, იპოთეკური სესხების საერთო ოდენობა 2007 წლიდან განუხრელად იზრდება და პიკს ასევე 2016 წლის დეკემბერში აღწევს (\$964,140), რაც ტრანსაქციების საერთო ტრენდთან მაღალ კორელაციას აჩვენებს (12). რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს, იმავე მონაცემების თანახმად, ისინი განუხრელად კლებულობს და 2016 წლის აპრილის მონაცემთან შედარებით 2017 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 13.99% ით არის შემცირებული (საშუალოდ 8%-ს შეადგენს) (12).



ცხრილი #1 თბილისის საცხოვრებელ ბაზარზე საცხოვრებელი ერთეულების ტრანზაქციების მრუდი (13), (26).

თუკი გამოშვების მაჩვენებლებს დავაკვირდებით (26), რომელიც 2015 წლის დეკემბრის - 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებს მოიცავს, დავინახავთ, რომ გასული წლის განმავლობაში იგი გარკვეული პერიოდულობით გამოირჩეოდა და ჯამური სტაბილურობით ხასიათდებოდა, თუმცა 2017 წლის პირველი კვარტალი მიწოდების მხრივ აშკარა კვლებას აჩვენებს. შესაძლებელია ეს რიგი მიზეზებით იყო გამოწვეული, მაგალითად ფასების კლება, ვაკანტური ფართებით ზრდა (რაც ფასზე ნეგატიურ გავლენას ახდენს), სეზონური ფაქტორი ან სხვა მაკროეკონომიკური (მათ შორის ეგზოგენური) დეტერმინანტები. იმდენად რამდენადაც ჯერ-

ჯერობით მიწოდებასთან დაკავშირებით მონაცემები მწირია, მხოლოდ ერთი კვარტლის თანახმად საერთო სურათის მიღება რთულია, თუმცა მისი ცვლილება ალბათ ტრანზაქციების გააქტიურების, ფასის ცვლილების, ვაკანტური ფართების შემცირებისა და სხვა (მათ შორის სამშენებლო პროდუქციის როგორც გამოშვების, ასევე ფასის) ცვლადებზე იქნება დამოკიდებული. როგორც წესი, რიგ შემთხვევაში მიწოდების ფუნქცია მხოლოდ მოთხოვნით არ განისაზღვრება. ისევე როგორც სხვა ბაზრების შემთხვევაში მას თავისი, ენდოგენური ფაქტორებიც განსაზღვრავენ და ხშირ შემთხვევაში (განსაკუთრებით მშენებლობის დარგში) ის გარკვეულწილად დამოუკიდებლად ყალიბდება (სახელმწიფო რეგულაციები, შეყოვნებები, მშენებლობის ვადები, დასრულებული ფართების ოდენობა, ტექნოლოგიური ინოვაციები და სხვა). მათ შორის სახელმწიფო პოლიტიკა (როგორც ფისკალურ, ასევე მონეტარულ ნაწილში) მოთხოვნა-მიწოდების მრუდზე განსხვავებულ ეფექტს ახდენს და ფასების რეგულირება (და ახალი წონასწორობის მიღება - საშუაო და გრძელვადიან პერსპექტივაში) ამ შემთხვევაში, როგორც წესი, განსხვავებული სპეციფიკაციებით მიიღება.

საინტერესოა ფორბსი საქართველოს მიერ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები (რომლებიც Colliers Georgia-სა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ცნობებს ეყრდნობა) (ფორბსი საქართველო, 11 ივლისი, 2017) (23), (21), (12). მოყვანილი წყაროების მიხედვით, ტრანზაქციების ჩაშლილი მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება: მოთხოვნის უდიდესი ნაწილი კვლავინდებურად საბურთალოს რაიონზე მოდის (ტრანზაქციების 27%), შემდეგ მოდის სამგორისა და გლდანის რაიონები, ხოლო ტრანზაქციების ყველაზე მცირე ოდენობით მთაწმინდა და ჩუღურეთი გამოირჩევა. განხორციელებული ტრანზაქციების 53% 51-100კვ.მ. ბინებზე მოდის; 101-150 კვ.მ ფართების ტრანზაქციებს 11%, ხოლო 150 კვ.მ ფართზე მეტი ბინების ტრანზაქციების წილი 5%-ს იკავებს (23). ფორბსის მიხედვით, 2016 წელს მიმდინარე დეველოპერული პროექტების 178 საცხოვრებელი კორპუსი უკვე დასრულებულია, რომელთა ბინების 80% იმ დროისთვის უკვე გაიყიდა. 2016 წელს პროექტების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 9%-ით გაიზარდა და ჯამში 3.47 მილიონ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს მოიცავს (23), (21), (13).

საინტერესოა იმავე წყაროს მიერ მითითებული გასაყიდი ფასის ზღვარიც, რომელიც \$350-\$3500-ით შემოიფარგლება (23). 2016 წელს წინა წელთან შედარებით პრემიუმის ტიპის ბინებზე ფასი 6%-ით, ხოლო საშუალო ტოპზე - 1%-ით მოიმატა. ეკონომ კლასის ბინებზე კი ფასი 1%-ით შემცირდა და საშუალოდ კვ.მ.-ზე \$576 შეადგინა (აღსანიშნავია, რომ იმავე წყაროს მიხედვით, ეკონომ კლასის ტიპის ბინებს საქართველოს საცხოვრებელ ბაზარზე 69%-ს შეადგენს). რაც შეეხება 2017 წლის მაისის ჩათვლით მონაცემებს, გასაყიდი ფასი ახლადამშენებულ ბინებზე 4%-ით შემცირდა და \$618 შეადგინა (საშუალოდ). რაც შეეხება გასაყიდ ფასებს უბნების მიხედვით, ყველაზე მაღალი გასაყიდი ფასი მთაწმინდის (\$975), ვაკის (\$805) და საბურთალოს (\$674) რაიონებში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი ფასები სამგორის (\$521), გლდანის (\$502) და დიდი დიდმის (\$477) რაიონებში ნარჩუნდება (23).

მეცნიერებათა დოქტორის, ბ. შოთა გუჯაბიძის შეფასებით, „უკანასკნელი დეკადის მანძილზე თილისში საცხოვრებელი ფართის საშუალო ფასი განუხრელად იზრდებოდა და 2013 წელს კვადრატულ მეტრზე საშუალოდ \$925, ხოლო ცენტრალურ უბნებში \$1300-\$1500 შეადგინა. გამონაკლისი 2008-2009 წლები იყო, როდესაც გლობალურ ფინანსურ კრიზისს საქართველოს შემთხვევაში რუსეთთან ომიც დაემატა. აღნიშნული შოკის შედეგად ფასებიც, ბუნებრივია, დაეცა. ამ პერიოდში საშუალო გასაყიდი ფასი 1კვ./მ-ზე 13.4%-ით შემცირდა და \$745 შეადგინა, ხოლო 2009 წელს დამატებით 12.8%-ით შემცირდა და \$640 შეადგინა.“ გუჯაბიძის შეფასებით, 2014 წლის ნოემბრიდან ლარის მკვეთრი გაუფასურების ტენდენციას უძრავი ქონების ბაზარზე სამშენებლო მასალების გაძვირების შედეგად ფასების ზრდა უნდა გამოეწვია, თუმცა, როგორც სინამდვილემ აჩვენა, საშენი მასალების გაძვირება და შესაბამისად მიწოდების მხრიდან ფასების

მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ „მშენებლობისთვის საჭირო ძირითადი საშენი მასალები უმეტესად ადგილობრივი წარმოების გახლდათ, ხოლო ლარის დევალვაციის ფონზე იმპორტული პროდუქცია თითქმის სრულად ჩაანაცვლა. ძირითადი საშენი მასალებიდან იმპორტული მხოლოდ არმატურაა, რომელიც მეტწილად უკრაინიდან, ასევე რუსეთიდან, თურქეთიდან და ბელარუსიდან შემოდის. უკრაინაში, მიმდინარე რეგიონალური კონფლიქტისა თუ პოლიტიკური პროცესების გამო ინფლაციის დონე საკმაოდ მაღალია, ამიტომ არმატურა იქ დაახლოებით ორჯერ გაიფადა.“ შესაბამისად, იაფი იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქციისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად გამოწვეული დისბალანსი მეტნაკლებობით დაკორექტირდა. გუჯაბიძე საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე ხელოვნური ფასწარმოქმნის საკითხდაც ეხება (რასაც პროფესორი ბერაია, ლომიძე და სხვებიც ეხმაურებიან) (1), (2). რაც ბანკების არაპროფილურ საქმიანობასა და უძრავი ქონების დეველოპმენტში ჩარევას გულისხმობს. მისი თქმით, კონკრეტული ბანკები იპოთეკურ სესხებს მხოლოდ მათ მიერ მართული კომპანიების სასარგებლოდ გასცემენ, რაც ბაზარზე კონკურენტუნარიანობას ართულებს და ფასების ხელოვნურ რეგულირებას უწყობს ხელს (ოლიგოპოლური ნიშნების დართვით).

საქართველოს უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვანია აღინიშნოს შოკური ზემოქმედების ეფექტიც. საქმე ისაა, რომ საქართველოში (მათ შორის თბილისის) უძრავი ქონების - საცხოვრებელი ფართების ბაზარზე ფასების ფუნდამენტური ღირებულებისგან მკვეთრი გადაცდენა მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდგომ არც დაფიქსირებულა. იპოთეკური კრედიტების ხელმისაწვდომობის მიუხედავად, პირველადი შესატანისა და შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთების შედეგად (9.4% და ზემოთ) (12) საცხოვრებელ ფართებზე მოთხოვნა გარკვეულწილად რიგი ბარიერებით ხასიათდებოდა. შესაბამისად, თუკი ტრანზაქციების ტრენდს დავაკვირდებით, დროის ხანმოკლე მწკრივებზე იგი მკვეთრი ცვლილებებით არ გამოირჩევა. კრიზისის შემდგომ პერიოდში კი, განსაკუთრებით 2010 წლიდან, ფასების ტრენდი სტაბილურ ტენდენციას ინარჩუნებს, ხოლო უკვე 2016 წლის პირველივე კვარტლიდან თანმიმდევრულ კლებას აჩვენებს მაშინ, როცა ანაზღაურება ყოველწლიურად მზარდ ტენდენციას განიცდის (14), (13), (26). ასეთ პირობებში (სხვა გარე შოკური ფაქტორების გარეშე) ფინანსური ბუშტის წარმოქმნის ალბათობა ნაკლებია, მითუმეტეს იმ დროს, როცა ვაკანტური ფართების მზარდი ოდენობა მიწოდების შედეგად ფასებზე ნეგატიურ გავლენას ახდენს (რაც 2015 წლიდან შეინიშნება (+86.8%, ხოლო 2017 წელს წინა წელთან შედარებით მეტ ნაკლებად მცირეა - აღსანიშნავია ის, რომ გაიზარდა შენობების რაოდენობა, მაგრამ ფართების ოდენობა - 29.6% -ით შემცირებულია წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით) (13), (26). თუკი არსებული ტენდენცია 2017 წლის მთელს სიგრძეზე გაიზრდება, მზარდი ტრანზაქციების პირობებში საცხოვრებელ ფართებზე ფასების დადებით ცვლილებას უნდა ველოდოთ, თუმცა აღნიშნული პროგნოზის გაკეთება მხოლოდ პირველი კვარტლის მაგალითზე რთულია. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ უცხოური კაპიტალის შემოდინების ტენდენცია, პირდაპირი ინვესტიციები და ცვალებადი მოთხოვნის პირობებში შექმნილი შოკური გავლენების როგორც თავისებურება, ასევე მიწოდების მხრიდან შესაბამისი რეაქციების დინამიკა (მათ შორის ინვენტარის ოდენობა, სამშენებლო მასალების გამოშვება და ღირებულება, ასევე სამშენებლო კომპანიების ადამიანური რესურსი, სახელმწიფო რეგულაციები და სხვა). ჯერ ჯერობით ქართულ სამშენებლო ბაზარზე ენდოგენური შოკები არ დაფიქსირებულა, თუმცა ადგილი ეგზოგენურმა ფაქტორმა იქონია, კერძოდ მკვეთრმა სავალუტო ცვლილებამ, რომელმაც დროის გარკვეულ პერიოდში გარკვეული პანიკაც შექმნა. მაგალითად, 2014 წლის ნოემბრიდან ეროვნული ვალუტის მკვეთრმა გაუფასურებამ საქართველოს ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროში გაურკვეველობისა და უკონტროლო ინფლაციის შესაძლებლობა წარმოქმნა (განსაკუთრებით, საქართველოში დოლარიზაციის მაღალი დონის გათვალისწინებით). ეროვნული ვალუტის გაუფასურების პიკი თებერვალში მოვიდა, მას შემდეგ როცა ქართული ლარი თითქმის 30%-ით გაუფასურდა (11). მას შემდგომ,

მცირედენი გამყარების მერე, ლარმა გაუფასურება კვლავ განაგრძო და უკვე 2016 წლის დეკემბერში უკიდურეს ნიშნულს მიაღწია (1/2.75). საბოლოოდ ქართული ვალუტა 2017 წლის მაისისთვის დასტაბილურდა და მას მერე მცირედი რყევებით გამყარებას განაგრძობს. ასეთ პირობებში ბაზარზე კონიუნქტურული გაგრძელება მთლიან შიდა პროდუქტზეც აისახა: კერძოდ, 2009 წლის შემდგომ 2015 წელს მან რეკორდულად მცირე მაჩვენებელი შეადგინა (2.8%) (14). მდგომარეობამ გამოსწორება მხოლოდ 2015 წლის შემდგომ იწყო და, როგორც ISET კვლევით ინსტიტუტის ანგარიშში ვკითხულობთ, მშპ-ს ზრდასთან ერთად (2016 წელს მან 3.1%- შეადგინა) სამშენებლო სექტორიც (განსაკუთრებით მიწოდების ნაწილში) მნიშვნელოვან გამოცოცხლებას იწყებს (14), (26).

იმდენად, რამდენადაც საქართველო ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანწილად ექსპორტზე დამოკიდევულ ეკონომიკას წარმოადგენს, შესაბამისად, სავალუტო ბაზრებზე არსებული რყევები ქართული ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორზე აისახება (11). მშენებლობა, როგორც ეკონომიკური აქტივობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდუკტორი, ამ პროცესს უპირველესად ეხმაურება. მართალია, სავაჭრო ბალანსს მასზე პირდაპირი გავლენა არ გააჩნია, თუმცა როგორც შუალედური ფაქტორი, იგი მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგალითად, ლარის გაუფასურება ესოდენ მასშტაბური იმპორტის პირობებში ინფლაციურ პროცესებს იწვევს, რაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას ასუსტებს და უძრავი ქონებისადმი მოთხოვნის ნაწილში მკვეთრად აისახება. ვინაიდან მშენებლობა, საკუთარი სპეციფიკიდან გამომდინარე, გარკვეული შენელებებით ხასიათდება, ფასების კორექტირებაც დაგვიანებული ინდიკატორებით წარმოებს, რაც მოთხოვნა მიწოდების ბალანსს კიდევ უფრო სცდება. შედეგად მზარდი ვაკანტური ფართების ოდენობა არსებული ინფლაციის პირობებში სამშენებლო ფასებზე ნეგატიურად აისახება და მას დროის შესაბამის მონაკვეთებზე ნაკლებად მომგებიანს ხდის. ეს არის პერიოდი, როცა დეველოპერები მოლოდინის რეჟიმში გადადიან და მიმდინარე პროექტების დასრულებას უკვე არ ჩქარობენ. ბუნებრივია, ეროვნული ბანკის ეფექტური ზომებისა და საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე ცვლილებების შედეგად ეროვნული ვალუტის ესოდენ მკვეთრ გაუფასურებას ქართულ სამშენებლო ბაზარზე ქაოსი არ გამოუწვევია (რაც მზარდი ტრანზაქციების მაგალითზეც ჩანს), თუმცა სამომავლოდ ამგვარი შოკის პირობებში დარგში შესაძლო შემფოთების რამდენიმე სცენარის დაშვებაა შესაძლებელი. აღსანიშნავია პროფ. ნინო ბერაიას ნაშრომის ის ნაწილიც, რომელიც თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ციკლურობის საკითხს ეხება (1). კერძოდ, მისი გათვლებით, მშენებლობის ყველაზე მცირე აქტივობა წლის პირველ კვარტალში ფიქსირდება, ხოლო ყველაზე მაღალი - მეოთხე კვარტალში. კვლევამ დარგში 4 წლიანი ციკლების არსებობა გამოავლინა. „სამშენებლო დარგის შესწავლით ჩანს, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზარი საკმაოდ ვოლატილურია. ციკლური კომპონენტის გამოყოფამ აჩვენა, რომ თბილისის უძრავი ქონების ბაზრის ციკლის საშუალო ხანგრძლივობა 2-2.5 წელს შეადგენს, ხოლო მისი ვარდნის ხანგრძლივობა საშუალოდ 3-4 კვარტალს იკავებს.“ (1).

მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის ფაქტორიც მიმოვიხილოთ, რომელიც როგორც ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი, უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს. პირველ ყოვლისა, უცილობელია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, უძრავი ქონების სექტორი მასშტაბური პრივატიზაციის შედეგად ჩამოყალიბდა (3), პროცესში, რომელიც ხშირ შემთხვევაში სტიქიურად და რიგი დარღვევების ფონზე მიმდინარეობდა. საბოლოოდ, მანამდე სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების დიდი წილი კერძო მესაკუთრეების ხელში აღმოჩნდა, - მაგალითად საქართველოს შემთხვევაში უკვე 2016 წლისთვის საბინაო ფონდის 98% კერძო საკუთრებაშია (13). სახელმწიფო იმთავითვე განაშენიანებისა და ბინათმესაკუთრეობის პოლიტიკას რიგი მიმართულებებით უწყობდა ხელს, მაგალითად: გაუქმნდა ლიცენზიებისა და კერძო ნებართვების დიდი უმრავლესობა, სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირება, შესუსტდა ქალაქდაგეგმარების

ნორმები, გამარტივდა არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობის წარმოება და სამშენებლო ნებართვების გაცემა (8), გამარტივდა ადმინისტრაციული წარმოების წესი და „ერთი სარკმლის“ პრინციპი დამკვიდრდა; გაუქმდა ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტრო (2005), გამარტივდა სააღსრულებო პროცედურები (პოლიციური გამოსახლებები) და სხვა. შეიძლება ითქვას, აღნიშნულმა ნაბიჯებმა, რაც ბაზრის დერეგულირების რეფორმას გულისხმობდა, აღნიშნული სექტორი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მზარდ სფეროდ აქციეს. მაგალითად, ეროვნული ბანკის შეფასებით, 2016-2017 (Q1) პერიოდში მშენებლობამ საქართველოს მშპ-ში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა და „ისევე, როგორც წინა წლებში, ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო (11). ქართული სამშენებლო ბაზრის გამაღებელი ზრდა მსოფლიო კრიზისისა და რუსეთ საქართველოს ომის შედეგად შეფერხდა (შედეგად, მშენებლობის 80% გაჩერდა (6); ზოგ შემთხვევაში ამხანაგობების მიერ შექმნილი ე.წ. „პირამიდები“ და სხვა თაღლითური სქემები (რაც ნაწილობრივ სახელმწიფო ჩაურევლობის შედეგად იყო) საერთო ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებდა. უძრავი ქონების ბაზარმა რეალური გამოცოცხლება 2010 წელს დაიწყო (14). აქვე წარმოდგენილია სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც სექტორის გამოცოცხლებას და საბინაო პირობების გაუმჯობესებას ისახავდა - „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“. პროგრამა მათ შორის დაუმთავრებელი პროექტების დასრულების ხელშეწყობასაც ითვალისწინებდა. აღასანიშნავია ისიც, რომ ამ პროგრამის შედეგად გაკოტრების პირას მყოფი არაერთი დეველოპერული კომპანია გადარჩა (3). სახელმწიფო ასევე საბანკო საფინანსო გაჯანსაღებასაც უწყობდა ხელს, რომლის გვერდით მოვლენად გასახლებული ადამიანების სულ უფრო მზარდი ტენდენცია გახდა (5). ეროვნული ბანკის მიერ წარმოებული პოლიტიკის მიუხედავად, საქართველოს ზოგიერთი მსხვილი ბანკი სამშენებლო სექტორში არასაბანკო/ არაპროფილურ საქმიანობას მაინც აგრძელებდა, რაც სექტორში ჯანსაღი კონკურენციის ხელშეწყობას არ ემსახურებოდა. შესაბამისად, არაერთი დეველოპერი იძულებული გახდა პროექტები ალტერნატიული გზებით დაეფინანსებინა (მოწვეული უცხოური ინვესტიციები, აქტივების გასხვისება და სხვა). აღნიშნული პრობლემების ფონზე, 2016 წელს სახელმწიფოს მხრიდან კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია მერიაში კომისიის ჩამოყალიბება და იმ კომპანიებისთვის, რომლებმაც საკუთარი პროექტები 2008 წლის აგვისტომდე წამოიწყეს სახელმწიფო ამნისტიის ფარგლებში საგადასახადო შეღავათების დაწესება (მოეხსნათ დღგ და კ2 მოსაკრებელი). ამნისტია 2020 წლის იანვრამდეა ძალაში. ეს ღონისძიებაც ქვეყანაში სექტორის გაჯანსაღებას და სარფიანი საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობას უწყობს ხელს (7). შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკა დეველოპერებისა და სამშენებლო კომპანიების მხარეზეა, თუმცა კრიზისის პერიოდში დაუმთავრებელი პროექტების შედეგად დაზარალებული პირების პრობლემების გადაწყვეტის გზები ჯერ-ჯერობით გამოკვეთილი არაა.

საინტერესოა სფეროში მიმდინარე დინამიკა პირდაპირი ინვესტიციების თვალსაზრისითაც. საქართველოში (სტატისტიკის ეროვნული ბიუროს თანახმად) უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია აზერბაიჯანი, ნიდერლანდები, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი და ჩინეთი. უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან წილს (ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, ფინანსური სექტორის, ენერჯეტიკის, მრეწველობისა და სხვა სფეროებს გარდა) მშენებლობის სფერო იკავებს (8.3%) (14), (4). კონკრეტულად თბილისის მაგალითზე საქსტატის მონაცემების მიხედვით (2006-2015 პერიოდი) პირდაპირი ინვესტიციების შემოდინებამ 2010-2011 წლებში მკვეთრი ვარდნა განიცადა (საყურადღებოა ისიც, რომ ამავე მონაცემების თანახმად, უშუალოდ თბილისში, მშენებლობის დარგში, ინვესტიციების შემოდინება 2008-2009 წლის კრიზისით გამოწვეული რეცესიის მიმართ იმუნურია), ხოლო 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით ის განუხრელად იზრდება. 2016 წლითსთვის მშენებლობის მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით გაზრდილია და იმის გათვალისწინებით, რომ 2016 წელს პირდაპირი ინვესტიციების 63% თბილისზე მოვიდა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ტრენდი ამავე პერიოდისთვისაც შენარჩუნდება (სამწუხაროდ, ჯერ ჯერობით ზუსტი მონაცემების მოძიება ვერ მოხერხდა) (14), (28).

2016 წელის საქართველოს ეკონომიკის შემთხვევაში საკმაოდ რთული წელი გამოდგა (საქსტატის მიხედვით, საერთო ზრდამ 2.7% შეადგინა) (14). საქმე ისაა, რომ საქართველო, როგორც მცირე ზომის ღია ეკონომიკა, მეტწილად მის მეზობლებთან მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზეცაა დამოკიდებული. ამრიგად, რეგიონში მიმდინარე რთული პოლიტიკური ვითარების შედეგად ეკონომიკური აქტივობის ტემპის საერთო შენელებამ მასზეც (და მასთან ერთად უძრავი ქონების ბაზარზეც) გარკვეული გავლენა იქონია. გარე ფაქტორებიდან აღსანიშნავია ე.წ. ბრექსიტის ფაქტორი, რომელმაც ევროკავშირში თავდაპირველად გარკვეული გაურკვეველობა წარმოქმნა; ვითარება დაიძაბა თურქეთშიც (გადატრიალების მცდელობას ლირის დოლართან გაუფასურებაც დაერთო (წლიურმა ინფლაციამ 8.5% შეადგინა) (11); ნავთობზე მსოფლიო ფასების ვარდნამ პრობლემები აზრბაიჯანის ეკონომიკასაც შეუქმნა, რომელმაც წინა წელთან შედარებით შემცირება განაგრძო (დამატებით 0.8%) (16). უკრაინისა და რუსეთის ეკონომიკების სტაბილიზაციაც მეტად მდორე ტემპებით მიმდინარეობდა (მიმდინარე კონფლიქტისა და ეკონომიკური სანქციების გათვალისწინებით), მათ შორის შენედა სომხეთის ეკონომიკის ზრდაც, რომელიც რუსეთის ეკონომიკაზე მნიშვნელოვან დამოკიდებულებას განიცდის (16).

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურის ჩაშლისას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულება იკვეთება. პირველი, და უმნიშვნელოვანესი, არის ლარის კურსის გაუფასურება, რომელმაც 2016 წლის სავაჭრო ბალანსზე მაკორექტირებელი ეფექტი გარკვეული შეყოვნების შემდგომ იქონია, კერძოდ შემცირდა ქვეყნის იმპორტი (4.9%). იმავე წლის სამივე კვარტლის განმავლობაში ექსპორტის კლება დაფიქსირდა (-12%, -16%, -2% შესაბამისად). სიტუაცია მხოლოდ მეოთხე კვარტალში გამოსწორდა, როცა ექსპორტმა მცირე დადებითი ცვლილება აჩვენა (3%) (10), (11).

საგარეო შოკის უარყოფითი გავლენის მიუხედავად, 2015 წლის მსგავსად, 2016 წელს ეკონომიკის ზრდის მთავარი მამოძრავებელი ძალა ინვესტიციებზე მოვიდა, რომელთა წვლილმაც რეალურ ზრდაში 2% პუნქტი შეადგინა. ინვესტიციების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა შეიტანეს. კერძო სექტორიდან კი ძირითადი აქტივობა მშენებლობის სექტორზე მოდიოდა. 2016 წლის განმავლობაში მოხმარებამ ეკონომიკის ზრდაში მცირე დადებითი წვლილი შეიტანა (0.8% პუნქტი), რასაც ძირითადად მთავრობის მოხმარების ზრდა განაპირობებდა. კერძო მოხმარება წლის პირველ ნახევარში მცირედით დაეცა, ხოლო მეორე ნახევარში ოდნავი მატება იწყო, რასაც ხელს გაიაფებული კრედიტები და ფულადი გზავნილები უწყობდა. რაც შეეხება ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლს, 2015-2016 წლებში ის 5% ზღვარს შეადგენდა (10), (11).

ეროვნული ბანკის ყოველწლიურ ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი სამშენებლო დარგი იყო, რომელიც წლის განმავლობაში 8.1%-ით გაიზარდა და ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი - 0.5% პუნქტის ტოლი წვლილი შეიტანა. მშენებლობის ზრდა მაღალი იყო როგორც მთავრობის მიერ დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების, ასევე კერძო სექტორის მშენებლობების შედეგად, რომელთაგან აღსანიშნავია BP-ის ახალი მილსადენის პროექტი.“ წლის განმავლობაში (განსაკუთრებით მეორე ნახევარში) მცირდებოდა საპროცენტო განაკვეთები, რამაც უძრავი ბაზრის მხირდან იპოთეკურ სესხებზე მოთხოვნა გაზარდა. საქსტატის მიხედვით, კიდევ ერთი კომპონენტის - ინფლაციის დონემ მიზნობრივ მაჩვენებლს მცირედით მხოლოდ 2015 წლის ბოლო კვარტალში გასცდა, ხოლო 2016 წლის მეორე კვარტლიდან დადმავალი ტრენდი აჩვენა (სექტემბერ-ოქტომბრის მონაცემებით).

ანალიზი და შედეგები

როგორც ვახსენეთ, ფაქტორული ანალიზის ჩაატარებისას ემპირიულ ცნობებზე დაყრდნობით კვლევის მიზანი ისეთი თეორიული მოდელი შემუშავება გახდა, რომელიც ჩვენს მიერ მოყვანილ მონაცემებს შესაბამის ვალიდურობას შესძენდა. ასევე გავითვალისწინეთ შესაბამისი მონაცემების ხელმისაწვდომობა და კლასიკური მაგალითის თანახმად, დროის მწკვრივები კვარტლური რეჟიმით ჩავშალეთ. განმსაზღვრელი ფაქტორების მხრივ ჯამში ექვსი დეტერმინანტი გამოვარკვიეთ, კერძოდ: ფასები, იპოთეკების ჯამური ოდენობა (ლოგარითმული სიდიდით), დაქირავებული მუშახელის შემოსავალი (ვინაიდან, საქართველოში დასაქმების ბაზრის უდიდეს ნაწილს სწორედ ეს სეგმენტი წარმოადგენს და ბოლო მონაცემებით), საპროცენტო განაკვეთების ცვლილება (იპოთეკურ სესხებზე უცხოური ვალუტით - რადგან საქართველოში დოლარიზაციის დონე ჯერ კიდევ მაღალია, და იპოთეკური სესხები მეტწილად სწორედ უცხოურ ვალუტაში გაიცემოდა), საცხოვრებელი ფართების მიწოდება (1000 კვ/მ თბილისის საბინაო ბაზრის მაგალითზე, ახლადაშენებული ფართების ოდენობით); უმუშევრობის დონის ცვლილება (აქვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ წინა კვლევაში გამოყენებულმა ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ ფასებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ცვლილება სწორედ შემოსავლის ზრდისა და უმუშევრობის დონის ცვლილების მიერ აისახება).

აქვე აუცილებელია ვახსენოთ, რომ 2016 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებს 2017 წლის პირველი კვარტლის მონაცემებიც დაემატა, თუმცა, იმდენად, რამდენადაც უმუშევრობის დონე საქართველოში წლიური მონაცემით აღირიცხება და კვარტლურად მოცემული არ გახლავთ, დაანგარიშების მიზნით თითოეულ კვარტალზე შესაბამისი წლის მონაცემი პირობითად იგივე დავტოვეთ, ხოლო ჯამური ტრენდი წრფივი ინტერპოლაციის შედეგად 2017 წლის პირველ კვარტალზე განვავრცეთ. აღნიშნულმა ოპერაციამ საკმაოდ რეალური სურათი მოგვცა, რაც ამავე კვარტალში შედარებით მაღალი ეკონომიკური ზრდის გათვალისწინებით (5.4%) საკმაოდ რეალისტური მონაცემია (უმუშევრობის დონე 11.8%-დან 11.1%-მდე დაეცა).

ჩვენს მიერ წარმოდგენილმა განტოლებამ შემდეგი სახე მიიღო:

$$\text{Log}(Th_t) = \alpha + \beta_1 \log(P_t) + \beta_2 \log(M_t) + \beta_3 \log \Delta(W_{t-1}) - \beta_4 \log(r_t) + \beta_5 \Delta(I_{t-1}) + \beta_6 (U_t) + \varepsilon$$

სადაც Th_t - ტრანზაქციების დროის შესაბამის მწკრივზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სამ პარამეტრზე, კერძოდ საპროცენტო განაკვეთების ცვლაზე, მიწოდების საერთო ოდენობასა და უმუშევრობის დონეზე მოვიდა. აქედან, ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა საპროცენტო განაკვეთებმა აჩვენეს (-4.701), რაც ასევე ტრანზაქციების საერთო მაჩვენებელთან ნეგატიურ დამოკიდებულებაშია (სრულიად საფუძვლიანია დავასკვნათ, რომ ტრანზაქციების ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სწორედ საპროცენტო განაკვეთების შემცირებაზე მოდის (იმ პირობით, როცა დანარჩენი ფაქტორები, როგორცაა საბინაო ბაზრის ფასები და შემოსავალი სავალუტო კურსთან კორექციის პირობებში არსებით ცვლილებას არ აჩვენებს). საყურადღებოა იპოთეკური სესხებისა და ტრანზაქციების მაღალი კორელაციის მაჩვენებელიც. მართალია, F -ტესტის პირობებში მან სტატისტიკური მნიშვნელობა არ აჩვენა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იპოთეკური სესხების მნიშვნელოვანი ზრდა (რომელიც ტრანზაქციების ტრენდთან მაღალი კორელაციით გამოირჩევა) საპროცენტო განაკვეთების და დანარჩენი - სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ფაქტორების შედეგია. მაგალითად, იგივე შემოსავლისა და კლებადი უმუშევრობის დონის პირობებში (ფასების სტაბილური ტრენდის გათვალისწინებით) იპოთეკური სესხების ოდენობა, ბუნებრივია, გაიზრდებოდა. რაც შეეხება თავად უძრავი ქონების ფასებს, 2007-2017 (Q1) მონაცემებით იგი ზოგადად კლების ტენდენციას აჩვენებს, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ 2010 - 2017 (Q1) წლის მონაკვეთს, წრფივი რეგრესიის პირობებში პარამეტრული სიდიდე დადებითია (2.47). შესაბამისად, დღესდღეობით საბინაო ფასის კლების ტენდენცია არ შეინიშნება, მეტიც - ის ზრდას განაგრძობს. ამასთან, ადვილი შესაძლებელია საბინაო ფასის ზრდა დამატებით სერვისებს, გარკვეულ უბნებზე მიწის

სიმწირეს და გართულებული რეგულაციების ფაქტორებსაც გამოეწვიათ; გარდა ამისა, ბაზარზე პრემიუმ ტიპის ფართების ზრდამ საშუალო ფასი გარკვეულწილად გაზარდა და იმდენად, რამდენადაც თბილისის მაგალითზე საბინაო ფასების დივერსიფიკაცია სულ უფრო მკვეთრ გამოხატულებას პოულობს, ადვილი შესაძლებელია დავუშვათ, რომ განსხვავებულ კატეგორიებზე ფასების ცვლილება მომავალშიც საერთო საშუალო ფასზე გარკვეულ ცვლილებას მოახდენს. შესაძლებელია დავუშვათ, რომ თუკი სამომავლოდ პრემიუმ კატეგორიის საბინაო სექტორი საშუალო და ეკონომ კლასის სექტორებისგან არ გაიმიჯნება, საბინაო ბაზარზე ერთიანი საშუალო ფასის გამოყვანით ფასებთან დაკავშირებით სინამდვილეში მიმდინარე პროცესებს მეტი სიზუსტით ვერ ავსახავთ, განსაკუთრებით იმ პირობით, როცა მხოლოდ ეკონომ კლასის ფართებს ქალაქში ახლადაშენებული საბინაო ფართების ტრანზაქციების უდიდესი წილი უჭირავთ (64%) (Colliers Georgia-ს 2015). იმდენად, რამდენადაც ჯერ ჯერობით სექტორების მიხედვით ფასი გამიჯნული არაა, ჩვენს მიერ ფასთან დაკავშირებული მონაცემები ძირითადად სამ წყაროს: საქსტატს, ISET კვლევითი ინსტიტუტისა და Colliers Georgia-ს მიერ მოყვანილ მონაცემებს ეფუძნება, რაც 2010 – 2017 (Q1) მდგომარეობით მხოლოდ ჯამურად აღებულ საშუალო ფასის ცვლილებას მოითვლის. რაც შეეხება მიწოდების ოდენობას, აღნიშნული ტრენდი 2016 წლის ბოლო მეოთხედის ჩათვლით განუხრელად იზრდებოდა, რასაც ეკონომ ფართების ფასებზე უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა. მართალია, ფასების საერთო ტრენდში ეს არ აისახა, მაგრამ მიწოდების თანმიმდევრულ ზრდას დაბალი სეგმენტის ფართებზე ფასების ფარდობითი კლების გათვალისწინებით ტრანზაქციების საერთო ზრდაზე დადებითი ფაქტორის როლი უნდა შეესრულებინა (ეს ჩვენს განტოლებაშიც აისახა და სტატისტიკური მნიშვნელობა აჩვენა).

ჩვენს მიერ მოყვანილი ფაქტორული ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაშრომით წარმოდგენილი ჰიპოტეზა მასზედ, რომ თბილისის საბინაო ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციების ცვლილება კვლევაში მოყვანილი ფუნდამენტური ფაქტორებით განისაზღვრება ამავე ნაშრომით წარმოდგენილი *მრავალცვლადიანი ავტორეგრესული ტესტის თანახმად* დადებითად დასტურდება. აქედან, გაწვავებული ტრენდირების შედეგად ვასკვნით, რომ თუკი უახლოეს მომავალში (2017 წლის მეორე-მესამე მეოთხედები) ამავე ანალიზში მოყვანილი ფაქტორების მაგალითზე არსებული ტენდენციები შენარჩუნდა, ტრანზაქციების ახალი ციკლი დადებითი გახდება და უკვე მესამე მეოთხედის მწკრივებზე საგრძნობ ზრდას აჩვენებს. აქვე ავღნიშნავთ, რომ იმდენად, რამდენადაც ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანალიზი მიხნად ფაქტორულ გავლენას ისახავდა, ხოლო პროგნოზირების ნაწილში თვისებრივი სახით შემოიფარგლა, აქ წარმოდგენილი მიგნებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დანარჩენი ფაქტორების გათვალისწინებით, 2017 წლის დეკემბრამდე საერთო ტრანზაქციების ოდენობა ჯამში დადებით ტენდენციას შეინარჩუნებს. რაც შეეხება პროგნოზის რაოდენობრივ მხარეს, ის კვლევის შემდგომი ნაწილია და მოცემული ანალიზით გათვალისწინებული არ გახლავთ.

დასკვნა

დასასრულს შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თბილისის საბინაო ბაზარზე მიმდინარე ტრანზაქციების ტრენდზე არსებითი გავლენა რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა: ესენია იპოთეკური განაკვეთების ცვლილება, მიწოდების ოდენობა და საერთო უმუშევრობის დონე. თუ გავითვალისწინებთ ქვეყანაში შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობას, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო ეკონომიკური ზრდის პირობებში საქართველოში უმუშევრობის დონის დამატებით შემცირებას უნდა ველოდოთ, რაც, საპროცენტო განაკვეთების შემცირების ფონზე ტრანზაქციების დინამიკაზე დადებითად იმოქმედებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მიწოდების ცვლილება, რომელიც 2017 წლის პირველ მეოთხედში მნიშვნელოვანი კლების გათვალისწინებით ფასების სტაბილურობას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, ბაზრის

„გაგრილების“ პრობებში 2017 წლის მესამე და მეოთხე კვარტალში ტრანზაქციების ზომიერ, თუმცა დადებით ცვლილებას უნდა ველოდოთ. ამრიგად, თბილისის საბინაო ბაზარი დღეის მდგომარეობით, კაპიტალდაბანდების მომგებიან ალტერნატივად რჩება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერაია ნ. 2015. *თბილისის უძრავი ქონების ბაზრის მიკროეკონომიკური ანალიზი*. თბილისი: თსუ.
2. ლომიძე ნ. 2013. *პოსტსაბჭოურ საქართველოში მშენებლობის განვითარების ტენდენციები*. თბილისი: თსუ.
3. პაპავა ლ. 2013. *ეკონომიკური კრიზისი და „ომის პარადოქსი“*. თბილისი.
4. სილაგაძე ა. 2016. *საქართველოს ეკონომიკა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პრობებში*. თბილისი: თსუ.
5. ადსრულების ეროვნული ბიურო. 2017.
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი. 2014.

7. თბილისის მუნიციპალიტეტის #13.02.295 განკარგულებით შექმნილი კომისია. 2016.
8. მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის #140 დადგენილება. 2008.
9. როსსტატი. 2016.
10. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს წლიური ანგარიში. 2016.
11. საქართველოს ეროვნული ბანკი. 2016.
12. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემთა ბაზის რეესტრი. 2017.
13. საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული ბიურო. 2017.
14. საქართველოს სტატისტიკის ბიურო „საქსტატი“. 2017.
15. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. 2017.
16. ცენტრალური სადაზვერვო ბიურო. აშშ, 2016.
17. Асаул А. 2013. *Экономика Недвижимости*. Санкт-Петербург: Питер.
18. Павлова М. 2008. Факторы, влияющие на рынок жилья. *Вестник Самарского государственного экономического Университета*, 11(49): 79-83.
19. Стерник Г. Некоторые Закономерности Соотношения Темпов Роста Цен, Объёма Спроса, Предложения и Сделок на Рынке Недвижимости (22.10.2008). <http://realtymarket.ru/metodi-eskie-materiali/Sternik-G.M.-Sternik-S.G.-NEKOTORIE-ZAKONOMERNOSTI-SOOTNOSHENIYA-TEMPOV-ROSTA-CEN-OBEMA-SPROSA-PREDLOJENIYA-I-SDELOK-NA-RINKE-NEDVIJIMOSTI.html>
20. Christensen I. 2011. Mortgage Debt Procyclicality in the Housing Market. Financial Stability Department. *Bank of Canada Review*. 35-42.
21. Colliers Georgia. Tbilisi Residential Market Analysis. 2016.
22. European Mortgage Federation. 2015.
23. Forbes Georgia. July 2017.
24. Greenspan A. July 2005. Federal Reserve Board's semiannual Monetary Policy Report to the Congress. <https://www.federalreserve.gov/boarddocs/hh/2005/july/testimony.htm>
25. Holt J. 2009. A Summary of the Primary Causes of the Housing Bubble and Resulting Credit Crisis. *The Journal of Business Inquiry*. Utah: Utah Valley University.
26. ISET Policy and Economic Research Institute. 2017.
27. Neal M. June 19, 2015. A cross-Country Comparison of Homeownership Rates. <http://eyeonhousing.org/2015/06/a-cross-country-comparison-of-homeownership-rates/>
28. PMCG Consulting, #74/17.06.2016.
29. Vassilev A. 2016. *Tbilisi Residential Real Estate Analysis, Price Change Dynamics*. Tbilisi.

Analysis of Sales Factors on the example of Tbilisi Real Estate Market

Alexander Vassilev, MA

Georgian Institute of Public Affairs, Tbilisi, Georgia

Recently, developments in the housing markets in general, and transactional changes for the residential sector, have received considerable attention from economists and monetary policy makers. Obviously, housing wealth is an important part of the net worth of the private sector and housing related expenses represent an important part of household expenditures. Therefore, such macroeconomic variables like housing prices, rents and mortgage interest rates might have a significant effect on demand and inflation and play an important role in transmission mechanisms of monetary policy.

Besides, various episodes of boom and bust in house prices in various developed (and developing) economies have drawn attention to their role in determining ongoing business cycles of corresponding economies; besides, they carry serious implications for the overall inflationary processes as well as considerable impact for the supply side of the national economy. For example, the link between housing markets and the rest of the economy operates primarily through the effects of house price fluctuations as they represent the main source of fluctuations in housing wealth. Variety of factors might be the primary cause of housing price changes – occurring independently both from demand and supply sides. To name the few, one may highlight the impact of such considerable factors like interest rates change, fiscal policy impact, demographic changes, household income, etc.

The final product (like an end product) of construction market, here considered as one square meter of a residential area, is directly bound to such factor changes like price, interest rate change, overall mortgage amount (outstanding), household income, unemployment level and supply rate of residential units. Changes of the mentioned factors (under the framework of the current analysis) stimulates the overall transaction trend and yields both investment losses and opportunities. As it takes time to implement housing investment projects the supply side of the market is relatively insensitive to the factorial change on short and medium term time series which subsequently gives rise to considerable changes in subsequent quarters. Besides there might be certain constraints due to regulatory factors, residential market and transaction trends. However, based on empirical analysis, the so called “Walrusian” equilibrium is never achieved and market clearance in this sector is only partially attained. Hence, an increase in property prices permits both households and investors to borrow more to finance consumption and investment – the mechanisms which may flow into propagation of the monetary impulses to the economy. Thus, in case of expansionary phase, they face improved financing conditions, which in turn stimulate higher credit availability, higher demand and higher asset prices. In phases of contraction, however, the process is reversed. Falling property (here – residential estate) prices undermine the quality of households’ and investors’ balance sheets and translate into negative – depressive trend for the overall economy. Just for the case of other economic branches, expansionary and contractionary processes cannot be automatically regulated by fiscal or monetary interventions, however, no matter how protracted the lags, the role of the government might be crucial. As housing market is one of the most considerable sectors of a national economy, transactional trends regulated by the highlighted factors may exercise considerable effect on the functioning and stability of the whole economy, therefore timely assessment and tracking of the sector related processes give hand both to the right, timely implementation of healthy policy interventions and also good opportunity for investments to exploit the existing niches for portfolio diversification and appropriate capital gains.

The ongoing article represents the summarizing part of Tbilisi residential market analysis specifically dedicated to both exogenous and endogenous factors effecting the overall transactional trend; it is aimed at determining the current business cycle for the residential real estate sector for the city and based on fundamentals, implies further attempt to forecast the trend direction for subsequent quarters of the year (Q II, Q III). At the same time, based on real data calculations, the inference drawn from the report spills the light to investment opportunities for the field and thus might be of certain value for investment related decisions applicable for the time.

მენეჯმენტის მეთოდების საჯარო მმართველობაში გამოყენების
შესაძლებლობები და შედარებითი ანალიზი

მიხეილ აბაშიშვილი, დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

სტატიაში განხილული მენეჯმენტის მეთოდები, ნაჩვენებია როგორ ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მენეჯერული აზროვნება უხსოვარი დროიდან თანამედროვე ეპოქამდე. მენეჯერული აზროვნების განვითარება და მენეჯმენტის მეთოდების სირღმისეული შწავლება განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, ვინაიდან ქვეყანა ჯერ კიდევ იმყოფება მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან დემოკრატიული (არა ფასადური) მმართველობისკენ გადაქმნის პროცესში.

საქართველოში დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა დაიწყო იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ავტორიტარულ მმართველობას ემსახურებოდნენ. მათ, როგორც პროფესიონალებს, აქვთ მართვის გამოცდილება, მაგრამ ეს გამოცდილება დემოკრატიის პირობებში ეფექტიანად ვეღარ მუშაობს. მეორე მხრივ, ახალგაზრდა კადრებს, რომელთაც თითქოსდა აქვთ სათანადო ცოდნა, არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება და ამის გამო შესაძლოა დაუშვან საბედისწერო შეცდომები.

აღნიშნული სირთულეების დაძლევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობას წარმოადგენს მენეჯმენტის მეთოდების ფუნდამენტური სწავლება, მათი თვისებების ყოველმხრივი ანალიზი, რაც დაეხმარება ქვეყნის ერთგულ და პატიოსან საჯარო მოხელეებს აირიდონ ის შეცდომები, რომლებიც თან ახლავს საჯარო მმართველობის პროცესს.

ამ თვალსაზრისით სტატიაში გაანალიზებულია ტეილორის, ფაიოლის, ვებერის, მეიოს, მაკგრეგორის, დრუკერისა და მასლოუს შეხედულებები მენეჯმენტისა და მენეჯერის პიროვნების შესახებ. ჩამოყალიბებულია ის მოთხოვნები, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს თანამედროვე მენეჯერმა და ლიდერმა ორგანიზაციის ეფექტიანი და ეფექტური მართვის მიზნით.

საძიებო სიტყვები: მენეჯმენტი, მენეჯერული აზროვნება, ლიდერობა, ავტორიტარული მმართველობა, დემოკრატიული მართვა, საბაზრო ეკონომიკა, გუნდური მუშაობა, ცოდნის ადამიანი.

შესავალი

„მნიშვნელობა არა აქვს, რა ფერის არის კატა, მთავარია, იგი თავგს იჭერდეს“

ჩინური ანდაზა

როდესაც ქვეყნის პოლიტიკური წყობილება იცვლება ავტორიტარულიდან დემოკრატიული-სკენ, ხოლო ეკონომიკური ურთიერთობები ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან – საბაზრო ეკონომისკენ, საკმაოდ რთულია უზრუნველყოფილ იქნეს ე.წ. ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნის როგორც სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობა, ისე ბიზნეს ურთიერთობების მომგებიანი ფუნქციონირება, ვინაიდან ახალი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას თავდაპირველად იწყებენ ის ადამიანები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ ავტორიტარულ მმართველობას ემსახურებოდნენ და მათ, როგორც პროფესიონალებს მართალია აქვთ მართვის გამოცდილება, მაგრამ ეს გამოცდილება ეყრდნობა მმართველობის ავტორიტარულ სტილს და მეთოდებს, რაც ახალ პირობებში ეფექტიანად ვეღარ მუშაობს. მეორე მხრივ, ახალგაზრდა კადრებს, რომელთაც თითქოსდა აქვთ სათანადო ცოდნა (უმეტესად ზედაპირული) დემოკრატიული მმართველობისა და საბაზრო ეკონომიკის მართვის მეთოდების შესახებ, არ აქვთ პოლიტიკური და სამეწარმეო გამოცდილება და ამის გამო შესაძლოა დაუშვან ისეთი საბედისწერო შეცდომები, რაც ამუხრუჭებს ქვეყნის განვითარებას და შეიძლება დაღუპვის პირას მიიყვანოს კიდევ ჯერ კიდევ სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე ქვეყანა.

განსაკუთრებით დიდია სწრაფი გარდაქმნების განხორციელების ცდუნება და ამ გზაზე შესაძლოა დაირღვეს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ფუნდამენტური პრინციპები, რაც მოხდა კიდევ საქართველოში. ანალოგიური ვითარებაა ბიზნესის მართვის სფეროშიც.

ამ რეალობის შესაბამისად, ხელშესახებ პრობლემად დგას მენეჯმენტის ხარისხის საკითხი როგორც საჯარო, ისე ბიზნეს ორგანიზაციებში. მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების, მიდგომათა ერთობლიობისა და გაგების მამამთავრის, პეტერ დრუკერის თქმით, მენეჯმენტი გაცილებით მეტია, ვიდრე კონკრეტული გადაწყვეტილებები ამა თუ იმ წარმოქმნილი პრობლემის გადასაჭრელად. იგი ზოგადი ადამიანური ფასეულობების, ქცევის, ინტელექტუალური მოთხოვნისა და საზოგადოებრივი წყობის მომცველი დისციპლინაა, რომელიც საზრდოობს ეკონომიკით, ფსიქოლოგიით, მათემატიკითა და ფილოსოფიით.

თანამედროვე ლიდერი, წარმატებული მენეჯერი, რომელიც დირექტივებს კი არ იძლევა, არამედ მართავს - ყალიბდება პიროვნებებისგან, რომლებიც მუდმივად მიიღებენ სიახლისაკენ, მუშაობენ და ცხოვრობენ ე.წ. „ხერხის“ პრინციპით (ცდილობენ მიიღონ სასურველი, მაგრამ აქტიურად გასცემენ კიდევ) და ცდილობენ, სწავლის, პროაქტიურობის, ჯანსაღი კომუნიკაციის, იდეების გენერირების/გაზიარების/ხორცშესხმის გზით მიაღწიონ არა მხოლოდ პირად, არამედ საერთო, საზოგადო მნიშვნელობის შედეგებს.

სწორედ ასეთ ადამიანს აქვს უკვე სრული უფლება, იქონიოს ლიდერობის ამბიცია, სურდეს მართოს სხვა ადამიანები, ორგანიზაცია, მისი რესურსები, მიიღოს სტრატეგიული, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და გადადგას რიგ შემთხვევაში გაბედული ნაბიჯები, რაც განასხვავებს მას ჩამორჩენილი, ხისტი და სწორხაზოვანი მმართველებისაგან.

ლიდერი, წინამძღოლი - ეს არის პიროვნება, რომელიც წინ უძღვის ადამიანების გარკვეულ ერთობლიობას საერთო მიზნისაკენ. ამავე დროს ლიდერი - ეს თანამოაზრეა, თანამშრომელია, რომელიც გაცილებით დიდი პასუხისმგებლობით და ვალდებულებებით არის დატვირთულია, ვინაიდან სწორედ ის გახლავთ მთელი შედეგებზე პასუხისმგებელი; ამასთან, ფლობს რელევანტურ ცოდნასა და გამოცდილებას, რითაც დამსახურებულად იკავებს წინამძღოლის ადგილს. ეს მომენტი ერთ-ერთი საკვანძოა და მნიშვნელოვანი, ვინაიდან ნათლად ჩანს - ხელმძღვანელი იმსახურებს თანამდებობას, ხოლო საკუთარი ქმედებებითა და გადაწყვეტილებებით უკვე - მოიპოვებს ნდობასა და ავტორიტეტს.

ლიდერი - სამართლიანად მკაცრი, მომთხოვნი, მაგრამ არა დასჯაზე ორიენტირებული მმართველია. მისი ამოცანაა, შეარჩიოს სათანადო პიროვნებები, იმუშავოს არსებული ადამიანური რესურსის გაჯანსაღებაზე, შეკრას გუნდი, რომელთან ერთადაც ხალისით და დიდი მოტივაციით იმუშავენ საერთო, მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად, გახდის რა ორგანიზაციის მიზნებს ყველასათვის გასაგებს და მისაღებს.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე, გუნდური მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი განმაპირობებელი სწორედ თანამედროვე ლიდერის არსებობაა ორგანიზაციაში. ადამიანის, რომელიც მართავს, მაგრამ არა - ცალსახად „რკინის ხელით“, არც მხოლოდ პირადი შთაბეჭდილებების თუ ემოციების გავლენით. ადამიანის, რომელიც ცხადად აღიქვამს ორგანიზაციის თუ ცალკეული თანამშრომლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობს, მაქსიმალურად გააძლიეროს და გამოიყენოს პირველი (საერთო ინტერესების სასიკეთოდ) და დაძლიოს მეორე და რომელსაც აქვს თანამედროვე მენეჯერული აზროვნება.

მენეჯერული აზროვნების განვითარება

მენეჯერული აზროვნების ჩამოყალიბება რეალურად, უწყვეტად მიმდინარე ევოლუციურ პროცესს წარმოადგენს. იგი მოძრავია, მოქნილი, განვითარებადი, განახლებადი, კვალდაკვალ მიყვება ზოგადი ეკონომიკურ-პოლიტიკური გარემოს ცვლილებებს, აყალიბებს ახალს, ან/და ცვლის, აკორექტირებს არსებულ მიზნებსა და ამოცანებს.

მენეჯმენტის წარმოშობა სულაც არ განაპირობა თანამედროვე მსხვილი ორგანიზაციების წარმოშობამ. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღიგვამდე უზარმაზარი საქმეები კეთდებოდა ადამიანთა ორგანიზების გზით. ეგვიპტელები პირამიდებს აგებდნენ; ებრაელებმა შეძლეს ეგვიპტელთა მონობიდან თავის დაღწევა, რომაელებმა გზები და მილსადენებიც კი გაიყვანეს; ჩინელებმა 1500 მილის სიგრძის კედელი ააშენეს მტრისაგან თავის დასაცავად. წარმოდგენელია ყოველივე ამის მიღწევა მმართველობითი, მენეჯერული ცოდნისა და საშუალებების გარეშე. მენეჯერული ცოდნის აღმოცენება უკავშირდება ძვ.წ.აღ. მეხუთე ათასწლეულს და მოიცავს განვითარების ხუთ პერიოდს - ხუთ მმართველობით რევოლუციას:

- პირველი მმართველობითი რევოლუცია უკავშირდება ძველ შუმერებში დამწერლობის აღმოცენებას, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე და გამოიწვია სავაჭრო ოპერაციების, საქმიანი მიმოწერისა და კომერციული გააანგარიშებების, გარიგებების მწარმოებელი, განსაკუთრებული კასტის შექმნა.
- მეორე მმართველობითი რევოლუცია მოიცავს ძვ.წ.აღ. 1792-1750 წლებს. ეს გახლავთ ბაბილონის მეფის, ჰამურაბის მოღვაწეობის პერიოდი, რომელმაც შეადგინა კანონთა კრებული (მოიცავდა და აწესრიგებდა სახელმწიფო მართვის წესებს და რეგულაციებს). ეს იყო საერო-ადმინისტრაციული რევოლუცია.
- მესამე, საწარმო-სამშენებლო რევოლუცია თარიღდება ძვ.წ.აღ. 605-562 წლებით. ესაა ნაბუქოდონოსორის მმართველობის ეპოქა, რომლის ძირითადი შედეგი გახლდათ სახელმწიფოებრივი მმართველობის მეთოდების ინტეგრირება წარმოებისა და მშენებლობის სფეროს საქმიანობის კონტროლსა და რეგულირებასთან.
- მეოთხე, მმართველობითი რევოლუციას ახლდა კაპიტალიზმის ჩასახვა და ევროპული ინდუსტრიული პროგრესის დაწყება (XVII – XVIII საუკუნეები).
- მეხუთე, ბიუროკრატიული რევოლუციის (XIX საუკუნის დასასრული და XX საუკუნის დასაწყისი) საფუძველია რაციონალური ბიუროკრატიის კონცეფცია, ხოლო შედეგი - მსხვილი იერარქიული სტრუქტურების ფორმირება, შრომის დანაწილება და ა.შ.

რეალურად, სწორედ მეხუთე ეტაპზე დაიწყო მეცნიერულ დონეზე მენეჯმენტის პრინციპების შემუშავება/მიღების პროცესი ე.წ. კლასიკური სკოლის სახით, რომელსაც ახასიათებდა სამი ძირითადი მიდგომა: მეცნიერული მენეჯმენტი, ადმინისტრაციული მენეჯმენტი და ბიუროკრატიული მენეჯმენტი.

კლასიკური სკოლის ფუძემდებლებად ითვლებიან **ფრედერიკ ტეილორი** და **ანრი ფაიოლი**, რომელთაც, მიუხედავად დღევანდელი გადმოსახედიდან მათი ზოგი შეხედულებების მიუღებლობისა, უდიდესი როლი შეასრულეს მენეჯმენტის პრინციპების შესწავლასა და თანამედროვე ცნებებისა და მიდგომების ჩამოყალიბების გზაზე.

მათი ნააზრევი, მიდგომები, პრინციპები ძირითადად დღეს მოძველებულია და მიუღებელიც კი არის, ვინაიდან ახასიათებთ მკაფიოდ გამოხატული ნაკლოვანებები:

- ორგანიზაციებში ადამიანური რესურსის მიჩნევა მიზნის მიღწევის ერთ-ერთ რიგით ფაქტორად;
- პერსონალის მართვის მრავალფეროვანი, მოქნილი მიდგომების, იდეოლოგიის ჩამოუყალიბებლობა;

- პერსონალის ინტერესების ორგანიზაციის ინტერესებისადმი არაჯანსაღი დაქვემდებარება;
- ერთპიროვნული გადაწყვეტილებები;
- ხელმძღვანელის მორჩილება მხოლოდ მოვალეობის გამო;
- ადამიანური რესურსის გადამზადების დახარჯული რესურსების დანახარჯად მიჩნევა;
- ადამიანური რესურსების მართვის რგოლის დაბალ საფეხურად აღქმა.

ტეილორს სჯეროდა, რომ ეკონომიკური წახალისება საუკეთესო მოტივია. მოსამსახურეები კარგად იმუშავენ, თუკი მაღალ პროდუქტიულობას მაღალი ხელფასები მოჰყვება, მაღალ პროდუქტიულობას კი, პირიქით, კარგი ანაზღაურების შედეგად მიაღწევენ. გასაკვირი არ არის, რომ იგი მკაცრად გააკრიტიკეს ადამიანების მანქანებად მიჩნევის გამო. და მაინც, როგორც აღვნიშნეთ, ამ საქმეში მისი წვლილი მნიშვნელოვანი იყო. დრუკერი ტეილორს მიაწერს „უზარ-მაზარ გავლენას, რომელმაც მშრომელთა მასები არნახულ დონემდე აიყვანა განვითარებულ ქვეყნებში“.

ტეილორი ორიენტაციას აკეთებდა მოსამსახურეების შრომითი პროდუქტიულობის ზრდაზე, ხოლო ფაიოლი ორგანიზაციას განიხილავდა მთლიანობაში ეფექტურობისა და მომგებიანობის თვალსაზრისით. მან შექმნა მენეჯმენტის საფუძვლიანი თეორია და გვიჩვენა მისი უნივერსალური ბუნება. ადმინისტრაციულ თეორიაში ფაიოლის მთავარი წვლილი გადმოცემულია ნაშრომში „ზოგადი და ინდუსტრიული მენეჯმენტი“, სადაც მან პირველად განსაზღვრა მენეჯმენტის ფუნქციები, ანუ როგორც თვითონვე უწოდა, „სამენეჯერო საქმიანობა“. მისივე აზრით, მენეჯერის ფუნქციებია:

- დაგეგმვა => პროგნოზირება, სათანადო გეგმის შემუშავება
- ხელმძღვანელობა => ორგანიზაციის რგოლების ისე ამუშავება, რომ გეგმა შესრულდეს
- კოორდინირება => ორგანიზაციის გამართულად ფუნქციონირებისა და წარმატებისათვის ყველა მიმდინარე საქმიანობის ჰარმონიული ერთიანობა
- კონტოლი => გეგმის მიდევნების ზედამხედველობა და გადაცდომების აღმოფხვრა

ამ ფუნქციების შესასრულებლად ფაიოლიმ შეიმუშავა მენეჯმენტის 14 წესი, რომელიც გახდა კიდევაც მისი „სავიზიტო ბარათი“.

მიუხედავად საერთო, კომპლექსური მიდგომის მოძველებულობისა, ფაიოლის პრინციპები და მოსაზრებები დღესაც ითვლება სად აზრად და ბევრ ორგანიზაციაში წესდების დონეზეც კი გახლავთ გათვალისწინებული.

კლასიკური მენეჯმენტის სკოლის ასევე საყურადღებო წარმომადგენელია **მაქს ვებერი**, რომლის „ბიუროკრატიული მენეჯმენტის“ სტრუქტურა საგრძნობი პროგრესი გახლდათ და დამსახურებულად მოაპოვებინა კიდევაც ავტორს „ორგანიზაციული თეორიის მამის“ სახელი.

ბუნებრივია, გარკვეული წინსვლის მიუხედავად, კლასიკური სკოლის ნაკლოვანებები (გამოხატული ადამიანური ფაქტორის დაკნინებით) განაპირობებდა ადამიანების ურთიერთობების შესასწავლად მიმართული მოძრაობის წარმოშობას. მეოცე საუკუნის 20იანი წლებიდან ფსიქოლოგიამ საგრძნობლად იმძლავრა მენეჯმენტში. ამ მიმართულების ლიდერად კი სოციოლოგი და ფსიქოლოგი **ელტონ მეიო** გვევლინება, რომელსაც ეკუთვნის არაერთი საინტერესო ნაშრომი ინდუსტრიული საზოგადოების პრობლემების შესახებ. მის სახელს აგრეთვე უკავშირდება ილინოისის შტატში, კომპანია ვესტერ ელექტრიკ ჰოლთორნ-ში ჩატარებული, ფართოდ ცნობილი, მრავალწლიანი (1927-1932 წწ) ექსპერიმენტით, რომლითაც ცხადად დადასტურდა პერსონალის პროდუქტიულობაზე ფიზიკურის გარდა სოციალური ფსიქოლოგიური ფაქტორების გაცილებით დიდი გავლენა.

„ჰოტორნის ეფექტმა“ დიდი ასახვა ჰპოვა მენეჯერულ აზროვნებასა და პრაქტიკაზე. უკვე მომეტებული ყურადღება მიექცა თანამშრომლებს, მათ მოთხოვნებს, საჭიროებებს. ისინი უკვე აღარ იყვნენ უბრალოდ, „ჭანჭიკები“ - მათი ქცევა შესწავლის საგანი გახდა.

ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური მეცნიერებების განვითარებამ კიდევ უფრო დახვეწა და გააუმჯობესა ადამიანთა ქცევების შესწავლის მეთოდები. ამით დასაბამი მიეცა მართვის „ბიჰევიორისტული“ (ინგლ. Behavior - ქცევა) სკოლის შექმნას, რომელიც 50-იანი წლებიდან აქტიურად შეიჭრა მართვის მეცნიერებებში.

თავისი არსით ბიჰევიორიზმი გულისხმობს ადამიანთა ქცევების შესწავლას და მისი მთავარი მიზანია დაადგინოს, გააანალიზოს და შეისწავლოს პერსონალის ქცევის მამოძრავებელი მოტივები და ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულების განმსაზღვრელი ფაქტორები; თავის მხრივ, სწორედ ეს ფაქტორები უნდა იქნას გათვალისწინებული, ადამიანური რესურსის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებისათვის.

თანამედროვე მენეჯმენტი - მაკრეგორი და დრუკერი

მენეჯერული აზროვნების განვითარება ძირითადად ევოლუციური პროცესია, რომელიც უწყვეტად მიმდინარეობს და ორიენტირებულია როგორც მსოფლიო ეკონომიკურ-პოლიტიკური პანორამის ცვლილებებზე, ისე ორგანიზაციათა მიზნებზე, სტრატეგიასა და ამოცანებზე. როგორც კი იცვლება ორგანიზაციის მიზნები და სტრატეგია, მაშინვე იცვლება კონკრეტული ამოცანები და შესაბამისად იცვლება მართვის სტრუქტურა და მეთოდები. მენეჯმენტი თავისთავში მუდმივი განახლებადობის თვისებას შეიცავს. მენეჯმენტის განვითარების ეტაპები გვაჩვენებს, რომ იგი დამოკიდებულია გარემო პირობებისა და, პირველ რიგში, საზოგადოების განვითარებაზე.

ერთ-ერთი პირველი, ვინც აღნიშნულ ფაქტორებზე და საერთოდ, ადამიანის ბუნებაზე გაამახვილა ყურადღება, გახლდათ **დუგლას მაკრეგორი**, რომლის მტკიცების მიხედვით, მნიშვნელოვანი ცვლილებების მიუხედავად, მენეჯერების უმრავლესობა ვერ გაცდა ტრადიციულ „საზღვრებს“ და მათი მხრიდან მართვის ძირითად პრინციპებად მოიაზრება მკაცრი კონტროლი, იძულება და დასჯა/მუქარა. ამას მაკრეგორმა პირობითად თეორია X უწოდა. მისი განსაზღვრის პარალელურად მაკრეგორმა წამოაყენა თეორია Y, როგორც ინდივიდუალური და გუნდური ინტერესების ერთიანობა (ნაცვლად ტრადიციული შეხედულებებისა).

მოცემული თეორიების ძირითადი მახასიათებლებია:

თეორია X:

- ადამიანთა უმრავლესობას ურჩევნია, მართონ, არ სურს პასუხისმგებლობის აღება და ესწრაფვის უსაფრთხოებისა და სიმშვიდის გარანტიებს;
- ადამიანთა უმრავლესობა ორიენტირებულია პირად წარმატებასა და კეთილდღეობაზე;
- ადამიანთა უმრავლესობა, საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო, საჭიროებს სისტემატურ კონტროლს, მითითებას, სამუშაოს შესრულების იძულებასა და დასჯის მუქარას.

ბუნებრივია, ამ თეორიის მიმდევარი მენეჯერი არაჯანსაღ გარემოს ქმნის ორგანიზაციაში.

თეორია Y:

- საშუალო ადამიანი, სათანადო პირობებში არა მხოლოდ არ ერიდება პასუხისმგებლობის აღებას, არამედ ისწრაფვის კიდევ მისკენ. მზად არის წინამძღოლიც იყოს;
- ბევრ ადამიანს ახასიათებს გამჭრიახი მიდგომა ორგანიზაციული პრობლემის გადაჭრისას და მათი გონებრივი პოტენციალი არ არის სრულად გამოყენებული (ანუ მეტია შესაძლებელი);
- „გარე“ კონტროლი და დასჯის მუქარა არ არის ორგანიზაციული მიზნების მიღწევის ერთადერთი საშუალება. ხშირ შემთხვევაში, ადამიანი თვითმართვისა და თვითკონტროლის გზით ახორციელებს საკუთარ თავზე აღებულ ვალდებულებებს.

თეორია Y -ის მიმდევარი მენეჯერი ხალისიან, პროდუქტიული მუშაობისთვის შესაფერის გარემოს ქმნის, სადაც მუშაობა სასიამოვნო და ნაყოფიერია.

ბიპვეიორისტული მენეჯმენტის სკოლის წიაღში აღმოცენდა ადამიანური ურთიერთობების მოძრაობა. ამ უკანასკნელის კონცეფცია დამყარებულია შემდეგ ძირითად პუნქტებზე:

- ყოველი ადამიანი განსხვავებული, გამორჩეული სოციალური არსებაა, რომელიც არა მხოლოდ მუშაობს, არამედ - ცხოვრობს ორგანიზაციაში. განსხვავდება მასტიმულირებელი და მამოტივირებელი ფაქტორებიც. შესაბამისად, ეფექტური ხელმძღვანელი უნდა აღიარებდეს ამას და მიუდგეს ორგანიზაციას, როგორც სოციალურ სისტემას.
- გუნდური / საერთო ინტერესი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ინდივიდუალური
- ფორმალური სტრუქტურის განსაკუთრებით მკაცრად მიდევნება/აღქმა ხშირად უსიამოვნოდ აღიქმება და უკუშედეგს იძლევა

როგორც ვხედავთ, ადამიანური ურთიერთობების სკოლას ახასიათებს პიროვნებათაშორისი ურთიერთობების, განწყობების გამოყენება მათივე მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და შრომის მწარმოებლურობის დონის ასამაღლებლად. ამავე დროს, მართვის პროცესში პერსონალის კვალიფიკაციისა და პოტენციალის გათვალისწინება დასაქმებისას.

უმთავრესი ნაკლი, რაც ყველა ზემოთჩამოთვლილ მიმართულებას გააჩნდა, იყო ის, რომ ყველა მეცნიერი/მკვლევარი თვლიდა, რომ შექმნა უნივერსალური მიდგომა, პრინციპი, რაც „მოერგებოდა“ ყველა ორგანიზაციულ ფორმას.

მმართველობითი აზროვნების ევოლუციაში გარდამტეხი ფიგურაა **პეტერ დრუკერი**. იგი თამამად შეიძლება დასახელდეს მეოცე საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან თეორეტიკოსად, რომელმაც შექმნა და უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მენეჯმენტი, როგორც საქმიანობის სფერო. დრუკერმა მოახდინა მენეჯერის ფუნქციის სისტემატიზება და პირველმა განაცხადა, რომ საწარმოს ყველაზე უფრო ძვირფასი რესურსი არის მენეჯერი - ბიზნესის ელიტა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს საწარმოს საქმიანობაში.

პეტერ დრუკერის ზოგიერთი პრაქტიკული მოსაზრება ეფექტიანი მენეჯმენტის პრინციპების შესახებ მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

მენეჯმენტი და მენეჯერი

- მენეჯმენტი არის ისეთი ინტეგრირებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს და ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ წყობას და ინტელექტუალურ მოთხოვნებს, რომელსაც კვებავს ეკონომიკა, ფსიქოლოგია, მათემატიკა, პოლიტიკური

თეორია, ისტორია და ფილოსოფია. მოკლედ, რომ ვთქვათ, მენეჯმენტი არის ლიბერალური ხელოვნება.

- მენეჯმენტი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე წოდებისა და პრივილეგიის გამოყენება, გაცილებით მეტი, ვიდრე „საქმეების კეთება“. მენეჯმენტი ეხება ადამიანებს და მათ ცხოვრებას.
- უვარგისი მენეჯმენტი. თუ კორპორაციაში გადამწყვეტი ხმა ეკუთვნის მენეჯერს, რომელიც არავის წინაშე არ არის პასუხისმგებელი და რომელსაც არავინ აკონტროლებს, მაშინ ასეთი მმართველობა არის დაუსაბუთებელი, უსამართლო, უკონტროლო და უპასუხისმგებლო (რომელიც აუცილებლად კრახით დამთავრდება).
- მენეჯერის ამოცანა არის გახადოს ადამიანები ეფექტიანები, ხოლო მათი სისუსტე - უმნიშვნელო. ეს მთლიანად ეხება როგორც მენეჯერის ბოსს (ბოსი – ბოსს, აშშ-ში პატრონი, მეპატრონე, მეწარმე, მფლობელი, უფროსი), ისე მის ხელქვეითებს.
- მენეჯერის დამოკიდებულება თანამშრომლისადმი. ის, ვინც აქცენტს უფრო თანამშრომელ-თა სუსტ მხარეებზე ამახვილებს და არა მათ ძლიერ მხარეებზე, არასდროს არ უნდა დაინიშნოს მენეჯერის თანამდებობაზე.

პეტერ დრუკერი ასაბუთებს, რომ ე.წ. „ორგანიზაციის მართვის ერთი სწორი ფორმა“ არის გუნდი და გუნდური მუშაობა, ამ დროს დრუკერი „ადამიანური ურთიერთობების სკოლის“ იდეოლოგიების გამზიარებელია და “ხალხის მართვის ერთ სწორ გზად” სწორედ ადამიანურ ურთიერთობებს და გუნდურობას მიიჩნევს.

მიუხედავად იმისა, რომ „ერთ სწორ ორგანიზაციასთან“ ძალიან ახლოს არის გუნდი და გუნდური მუშაობა, იგი მაინც არ არის ერთი სწორი ორგანიზაციის ფორმა, პეტერ დრუკერი თავის მომდევნო წიგნში „მენეჯმენტის გამოწვევები 21-ე საუკუნეში“ აღიარა რომ ცდებოდა, როდესაც ამას ამბობდა, საკუთარ აღიარებას ის აბრაჰამ მასლოუს მიაწერს, „რამდენიმე წლის შემდეგ აბრაჰამ მასლოუმ აჩვენა, (მასლოუ მენეჯმენტის შესახებ) რომ ორივე მაკგრეგორი და დრუკერი ძალიან ცდებოდნენ, მან საბოლოოდ დაასკვნა, რომ სხვადასხვა (განსხვავებული) ხალხი უნდა იმართებოდეს სხვადასხვანაირად (განსხვავებულად). მასლოუს მტკიცებულება არის ძალიან შთამბეჭდავი. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ძალიან ცოტა ადამიანმა მიაქცია მას ყურადღება“.

პეტერ დრუკერმა გააკრიტიკა მართვის მოძველებული, ხისტი სტილს, რომელიც ე.წ. ეკონომიკური ადამიანისათვის იყო დამახასიათებელი და თვლის, რომ მენეჯერს შეუძლია შექმნას ქცევისა და აზროვნების ახალი მოდელი და პირადი მაგალითის საშუალებით დაამკვიდროს იგი საზოგადოებაში.

დასკვნა

მენეჯმენტი - ინტეგრირებული დისციპლინაა, რომელიც მოიცავს/აერთიანებს საყოველთაო ღირებულებებს, ადამიანთა ქცევას, საზოგადოებრივ წყობას და ინტელექტუალურ მოთხოვნებს. ეფუძნება რა ეკონომიკას, ფსიქოლოგიას, მათემატიკას, პოლიტოლოგიას, ისტორიას და ფილოსოფიას.

მენეჯმენტი გაცილებით მეტია, ვიდრე თანამდებობა და პრივილეგიები. იგი ეხება და ცვლის ადამიანებს და მათ ცხოვრებას.

მენეჯმენტი უვარგისია, თუ ორგანიზაციაში გადამწყვეტი ხმა მენეჯერისაა, რომლიც არავის წინაშე არაა პასუხისმგებელი და არ კონტროლდება. ასეთი მმართველობა უსამართლოა, უკონტროლო, უპასუხისმგებლო და განწირულია კრახისთვის.

მენეჯერის ამოცანაა, გაზარდოს ადამიანების ეფექტიანობა და იმოქმედოს დადებითად მათ სისუსტეზე. ის, ვინც აქცენტს თანამშრომლების მხოლოდ სუსტ მხარეებზე აკეთებს, ვერასოდეს შეძლებს კარგი შედეგების მიღწევას. ის ვერ „აანთებს“ კოლეგებს მოტივაციით, ვერ ჩაუნერგავს მათ კორპორატიული ეთიკის, ქცევის საფუძვლებს და ვერ იქნება ლიდერი მათთვის.

ეფექტური ხელმძღვანელი კითხულობს, რა უნდა გაკეთდეს, რა არის სასარგებლო ორგანიზაციისთვის, საერთო ინტერესებისთვის - იღებს რა აუცილებელ ინფორმაციას ყველასაგან, ვისგანაც ეს შესაძლებელია.

კარგი მენეჯერი გეგმავს და თვლის სამომავლო ქმედებებს, იღებს პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებებზე და უზრუნველყოფს სწორ და ეფექტურ კომუნიკაციას. მისი ძალისხმევა მიმართული და ფოკუსირებულია შესაძლებლობებზე და არა ხისტად - პრობლემებზე. შედეგები სწორედ ამ შესაძლებლობების გამოყენებით მიიღწევა და არა მხოლოდ უკვე დამდგარი პრობლემების თუნდაც წარმატებით გადაჭრით.

მენეჯერი ცხადად უნდა ხედავდეს დაგეგმვისა და გრძელვადიანი გეგმის არსებობის სასიცოცხლო მნიშვნელობას. დრუკერის მიხედვით: „ისინი, ვინც დღეს მუშაობენ ხვალინდელ პრობლემებზე და ამ გზით ამზადებენ საკუთარ თავს და ორგანიზაციას ახალ გამოწვევებისათვის არცთუ ისე შორ მომავალში ლიდერულ პოზიციებს დაიკავებენ, ხოლო ის, ვინც აღნიშნულს გადადებს, უკან დარჩება და სავარაუდოდ ვეღარც ვერასდროს შეძლებს გაცდენის ანაზღაურებას“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსმენის კულტურას - „კარგი მენეჯერი ჯერ ისმენს და შემდეგ ლაპარაკობს“ (დრუკერი). სწორედ სათანადო ყურადღებაა მენეჯერის, როგორც გუნდის წინამძღოლის საქმიანობის ქვაკუთხედი, რომელზეც თამამად შეიძლება დაშენდეს ორგანიზაციის მომავალი.

მენეჯმენტის თეორიაში ცნობილი მაქსიმის თანახმად „მენეჯმენტი აკეთებს საქმეებს კარგად, ლიდერობა აკეთებს კარგ საქმეებს“. **ხოლო ჩვენ უნდა გავაკეთოთ კარგი საქმეები კარგად.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბადათურია გ., ბადათურია ო. 2009. *სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში*. თბილისი: ოცდამეერთე.
2. Drucker P. 1993. *The Practice of Management*. New York: HarperCollins Publishers, Inc.
3. Drucker P. 1995. *Innovation and Entrepreneurship: Practice and Principles*. New York: Routledge Classics.
4. Drucker P. 2002. *Managing in the Next Society*. New York: St.Martin's Press.
5. Drucker P. 2014. *The Executive in Action*. New York: HarperCollins,
6. Heller R., & Hindle T. 1998. *Essential Manager's Manual*. Singapore: DK Publishing, Inc

7. Keuning D. 1998. *Management. A Contemporary Approach*. London: Pitman Publishing.
8. Mescon M., Albert M., Khedouri F. 1994. *The Basis of Management*. New York: Harpercollins College Div.
9. Thompson A.A.Jr., Strickland A.J. III. 1994. *Strategic Management. Concept & Cases*. New York: McGraw-Hill/Irvin.

Opportunities and Comparative Analysis of Management Methods in Public Administration

Mikheil Abashishvili, PhD student

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

The article discussed the methods of management. It shows formation and development of the managerial thinking from the Ancient times to modern era. The development of managerial thinking and fundamental teaching of the management methods is especially relevant in the countries of young democracy, including Georgia since the country is still in the process of transition from the administrative-command system to a democratic governance.

It is noteworthy that namely those politicians who not long ago served the authoritarian governance started building a democratic state. As high professionals, they have a great managerial experience, but this experience cannot function efficiently in the conditions of democracy. On the other hand, young politicians who seem to have appropriate knowledge do not have any political experience what can cause fatal errors.

One of the essential requirements to overcome these difficulties is the fundamental teaching of management methods, comprehensive analysis of their characteristic features that will help the country's loyal and honest public servants avoid mistakes of public administration.

From this point of view, the views of Taylor, Fayol, Weber, Mayo, McGregor, Drucker, Maslow about management and the personality of a manager are analyzed in the article. The requirements that modern managers and leaders should necessarily meet for effective management of the organization are formulated and meticulously discussed in the article.

Managers have to understand that management is an integrated discipline involving / combining universal values, human behavior, legal order and intellectual requirements. It is based on economics, psychology, mathematics, political science, history and philosophy. Management is much more than the position and privileges. It deals with people and their lives. Management is unsuitable if the manager's opinion is decisive and nobody has a right to control it. Such governance is unjust, uncontrollable, irresponsible and doomed to failure. The task of a manager is to increase the efficiency of people and to act positively on their weaknesses. The one who focuses on only the weaknesses of the staff will never be able to achieve good results. He/she cannot "lighten" the colleagues with motivation, cannot inculcate the principles of corporate ethics and behavior in them and cannot be a leader for them. An effective supervisor is interested in queries and challenges which are most essential for an organization's success, for the common goals. He/she receives the necessary information from everyone, from whom it is possible.

A good manager plans and thinks about future actions, takes responsibility for decisions and ensures correct and effective communication. His/her efforts are focused not on the difficulties of the existing problems, but opportunities to solve them. The results are achieved by using these capabilities and not only by successfully solving problems.

A manager has to understand clearly the vital importance of planning and long-term plans. According to Drucker: "Those who are working on tomorrow's problems and are preparing themselves and the organization for new challenges will take the leading positions in the future, and those who will postpone it will probably lag behind and never be able to reimburse the backlog".

Most essential is the culture of listening: "A good manager first listens and then speaks" (Drucker). It is precisely the cornerstone of a manager's role as the head of the team that can boldly organize the future of the organization.

According to the well-known maxim in the management theory, "management makes things right, leadership makes the right things". We must do right things right.

საქართველოს საავადმყოფო დაწესებულებათა მოქმედების თავისებურებები საბაზრო
ურთიერთობების ლიბერალიზაციის პირობებში

ოთარ გერზმავა, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ანა თეგეთაშვილი, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

რომან ბოლქვაძე, დოქტორანტი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

ნინო გერზმავა, პროფესორი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სფეროში მოხდარი არასასურველი ტენდენციების კვლევის შედეგები საქართველოს ეკონომიკის თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირების, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელების პროცესში. ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, რომლის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემები, რომელთა დაძლევა ზედმიწევნით გამწვანებულია.

უგულველყოფილია არა მხოლოდ სამედიცინო საქმიანობის, არამედ ზოგადად ბიზნეს წარმოებისათვის აუცილებელი ეთიკური პრინციპები, რომელიც გულისხმობს პაციენტისა ხარისხიანი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - დასაბუთებული დახმარების გაწევას, მის სრულ ინფორმირებულობას, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, ახალი ფასეულობების შეთავაზებასთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის ამტკიცებას და სხვ. მასიურად აღინიშნება საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის თქმა უმწეო პაციენტებისათვის. მასიურად ვლინდება შრომის კოდექსის შეუსრულებლობა, პერსონალის დაუსაბუთებელი განთავისუფლება და სხვ.

ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი კერძო საავადმყოფო დაწესებულებები მწვავე კონკურენ-ტულ ბრძოლაში მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, არაიშვიათად იყენებენ ბიზნესის სხვა სფეროებში დამკვიდრებულ მავნე მეთოდებს, რომელთა აღმოფხვრა სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში სერიოზულ ზიანს აყენებენ როგორც მთლიანად სისტემას, ასევე ცალკეულ პაციენტებს.

შესავალი

ჯანდაცვის სისტემა წარმოადგენს იმ სფეროს, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სამკურნალო-პროფილაქტიკური, ფარმაცევტული, სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი დაწესებულებების ერთობლიობას, არამედ სახელმწიფოს ეკონომიკის ყველა უწყებრივ და დარგობრივ დონეს. იგი, აგრეთვე, მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიასთან, შრომის დაცვასთან, სოციალურ პროგრამების განხორციელებასთან და სხვ. საზოგადოების მიერ იგი აღიქმება, როგორც ცხოვრების დონისა და ხარისხის აუცილებელი შემადგენელი, რომელიც მთავარ როლს თამაშობს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაში, უზრუნველყოფს შრომითი რესურსების კვლავწარმოებასა და ხარისხს, ქმნის ბაზას სოციალურ-ეკონომიკური ზრდისათვის.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია შეიქმნა მოსახლეობის ადექვატური სტაციონარული დახმარებით უზრუნველყოფის საქმეში. ამჟამად ქვეყანაში მოქმედი 270 საავადმყოფოდან 262 გაკერძოებულია. ამასთან, მწვავე კონკურენტულ გარემოში მკვეთრად მცირდება მომსახურების ნაკლებად მომგებიანი სტაციონარული საწოლების ფონდი (მაგალითად, ზოგადი თერაპიაში, პედიატრიაში, კონსერვატიულ გინეკოლოგიაში, გერიატრიაში, ნევროლოგიაში, ტრავმატოლოგიაში, ორთოპედიაში, ინფექციურ პათოლოგიაში და სხვ.), რომლებიც მოითხოვენ პაციენტთა ხანგრძლივ დაყოვნებას და ძვირადღირებული კვლევისა და მკურნალობის მეთოდების ნაკლებ გამოყენებას. ამასთან, ახალ პირობებში კერძო სტაციონარების და ფარმაცევტული ბიზნესის

ინტერესები კონცენტრირებულია მძიმე ავადმყოფების მომსახურებაზე და არა დაავადებათა პროფილაქტიკაზე.

ამის გამო ერთის მხრივ, იზრდება საზოგადოების პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები, მეორეს მხრივ - კიდევ უფრო აუარესებს ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის ინდიკატორებს. საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ბიუჯეტი ძირითადად იხარჯება არა პროფილაქტიკაზე, არამედ მოზღვავებული პაციენტების ძვირადღირებული და არაიშვითად უშედეგო ქირურგიული მკურნალობის დასაფინანსებლად.

კვლევის მიზანი: სტაციონარული დაწესებულებების მოქმედების თავისებურებების შესწავლა ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების ლიბერალიზაციის პირობებში და მიღებული შედეგების საფუძველზე სათანადო, მეცნიერულად დასაბუთებული წინადადებების შემუშავება.

სამუშაოს ამოცანები

- მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ძირითადი მახასიათებლების დინამიკაში შესწავლა (1999-2015 წწ. მონაცემებით);
- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ხელმისაწვდომი სტაციონარული დახმარებით უზრუნველყოფაზე მიმართული ღონისძიებების სამედიცინო და სოციალურ-ეკონომიკური ეფექტურობის შეფასება;
- ჯანდაცვის სტრატეგიების მოდელის ფორმირების მსოფლიო გამოცდილების ანალიტიკური განზოგადება ქართული სინამდვილისთვის.

კვლევის მასალა და მეთოდოლოგია

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ზოგადი ეკონომიკური თეორია, საბაზრო ეკონომიკისა და ჯანდაცვის ადმინისტრირების შესახებ სხვადასხვა მკვლევართა სამეცნიერო გამოკვლევები და შრომები. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ზოგადი მეცნიერული მეთოდები, მათ შორის: შედარებითი, სტრუქტურული, ექსპერტული, მონოგრაფიული, აგრეთვე კონკრეტულ სოციოლოგიური, ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზის, სტატისტიკური, გრაფიკული და ფაქტორული ანალიზის ჩათვლით.

კვლევის ინფორმაციული ბაზას წარმოადგენდა საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და ეკონომიკის სამინისტროების, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა, საკანონმდებლო აქტები, ევროკომისიის, მსოფლიო ბანკის, ევროპის სტატისტიკის სააგენტოს პუბლიკაციები და ოფიციალურმა დოკუმენტები, ქართ-ველი და უცხოელი მკვლევარების სამეცნიერო მონოგრაფიები, სტატიები ჯანდაცვის პოლიტიკის თეორიისა და პრაქტიკის სფეროში.

საინფორმაციო ძიების პროცესში გამოყენებულია როგორც ინტერნეტით მოძიებული მასალები, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული ლიტერატურა, რომლის საფუძველზეც გაკეთდება ინფორმაციული მიმოხილვა.

ამა თუ იმ პრობლემაზე საზოგადოების ზეგავლენის განსაზღვრის მიზნით ჩატარდა მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლა საავადმყოფო მომსახურების რეფორმის ეფექტურობის შესახებ. გამოკითხვა წარმოებდა სპეციალურად შემუშავებული ანკეტების საფუძველზე. შერჩეულ იქნა გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტატული ნაწილი, რისთვისაც გამოვიყენებთ დაკვირვებათა აუცილებელი რაოდენობის განმსაზღვრელ კრიტერიუმს:

ასევე შევისწავლეთ სტაციონარებში მომუშავე სამედიცინო დაწესებულებების პერსონალისა და მოსახლეობის გარკვეული კატეგორიის საზოგადოებრივი აზრი სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობის შესახებ.

მიღებული კვლევის მასალა ცალკეული ბლოკების მიხედვით დამუშავდა და შედეგები სტატისტიკური კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე შეფასდა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით. გამოთვლილ იქნა ფარდობითი სიდიდეები: ექსტენსიური, ინტენსიური მაჩვენებლები (P მათი დამაჯერებლობა $P \pm TM$), აგრეთვე გამოყენებულ იქნა შესადარებელ მაჩვენებლებს შორის განსხვავების სარწმუნოების კრიტერიუმი $T - 95\%$ -იანი ალბათობით ($T = 2$); ნიშნებს შორის კავშირის ხასიათის განსაზღვრის მიზნით, ამავე დროს, გამოყენებულ იქნა კორელაციური ანალიზის მეთოდი, კერძოდ, განისაზღვრა მოვლენათა შორის კავშირი კორელაციის კოეფიციენტის გამოთვლის საფუძველზე კვადრატების წესით – პირსონის ფორმულა. ასევე გამოვიყენეთ დისპერსიული ანალიზის მეთოდი.

კერძო საავადმყოფო დაწესებულებათა მოქმედების თავისებურებები ზოგიერთ ქვეყანაში

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაფართოების და პაციენტთა დაკმაყოფილების საკითხები სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. ევროპის ქვეყნებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაფართოების ინიციატივების შემუშავებასა და დანერგვას საფუძველი ძირითადად XX საუკუნის 80-იან წლებში ჩაეყარა და ამ პერიოდიდან ხორციელდება მრავალ ქვეყანაში. მოქალაქეთა ეს უფლება დაცული და ასახულია სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში, შეთანხმებებში (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, UDHR, 1948; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ICCPR, 1966; კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ, CHR, 1997 და სხვ.) და საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის: გაეროს (UN), ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), იუნესკოს (UNESCO), ევროსაბჭოს (COE), ევროკავშირის (EU) და სხვ. დოკუმენტებში, ასევე ეროვნულ (საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“ და სხვა).

ჯანდაცვის რეფორმების სოციალური ეფექტურობის შეფასების პროცესში უპირატესობა ენიჭება მრავალ განზომილებას, რომელთა შორის წამყვანია მოსახლეობის ჯანმრთელობის ამსახველი მაჩვენებლები, ეკონომიკური ინდიკატორები, სამედიცინო და ფარმაცევტული მომსახურების ეფექტიანობა, მათი ხელმისაწვდომობა, უსაფრთხოება, თანასწორობა და სხვ. პ. ტვეტმანის აზრით (2014) გარდა მოცემული განზომილებებისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და არჩევანის უფლება. დიდი ბრიტანეთის ჯანმრთელობის დეპარტამენტი დამატებით ამახვილებს ყურადღებას პაციენტთა გამოცდილების შესწავლაზე, ხოლო ევროკომისია - პაციენტთა დაკმაყოფილებაზე.

ი. კომაროვი (2012, 2016) ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში მწვავედ რჩება მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო და ფარმაცევტული დახმარების მიწოდების პრობლემა, ვინაიდან წამოიჭრა სათანადო სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებული არა მხოლოდ ფინანსური, არამედ გეოგრაფიული, ინფორმაციული და ფსიქოლოგიური დაბრკოლებები. ავტორის აზრით არ უნდა არსებობდეს ისეთი ჯანდაცვის სისტემა, როდესაც პაციენტი უარს იღებს სამედიცინო მომსახურებაზე ან ვერ შეიძენს სამკურნალწამლო საშუალებას რაიმე ნიშნით დისკრიმინაციის გამო ან გადაუდებელ მომსახურებაზე ფინანსური შესაძლებლობის არქონის გამო.

ეკონომიკურ და სოციალურ მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მცირე ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი უძველესი და ყველაზე გავრცელებული ფორმაა. თანამედროვე მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა გამოცდილება ნათლად ამტკიცებს ნებისმიერ ეკონომიკაში მაღალგანვითარებული და ეფექტიანი მცირე და საშუალო მეწარმეობის არსებობის აუცილებლობას. ეკონომიკის ეს სექტორი წარმოადგენს იმ მძლავრ რგოლს, რომელსაც შემდგომში მნიშვნელოვნად ეფუძნება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარება. ზოგიერთ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესი აწარმოებს მშპ-ის ნახევარზე მეტს. აშშ-სა და გერმანიაში მცირე ბიზნესის სფეროში იქმნება მშპ-ის 50-52%, იაპონიაში – 52-55%, საფრანგეთში – 55-62%, დიდ ბრიტანეთში – 50-53%, იტალიაში - 57-60%, ევროკავშირის ქვეყნებში – 63-67% (ნ. ქარქუზაშვილი, 2015).

გლობალური მასშტაბით კერძო სამედიცინო და ფარმაცევტული დაწესებულებები შეადგენენ ცალკეული ქვეყნების ჯანდაცვის რესურსების 20-80%-ს მათი უმეტესობის ფინანსური და პროფესიული საქმიანობა ზედმიწევნით მკაცრად რეგულირდება სახელმწიფოს მიერ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კერძო სამედიცინო დაწესებულებათა სოციალური პასუხისმგებლობის ამალგების პრობლემას, ფასების, მიწოდებული სერვისების უსაფრთხოების და ხარისხის კონტროლს, პერსონალის კვალიფიკაციის დონეს და ეთიკური ნორმების დაცვას და სხვ. უმეტესწილად ჯანდაცვის სფეროში მოქმედი დაწესებულებები არამომგებიანია, რაც აგრეთვე რეგულირდება კანონმდებლობით.

მიუხედავად იმისა, რომ პაციენტის განხილვა კლიენტის რანგში პირველად დადგენილი იქნა დიდი ბრიტანეთის პაციენტთა ქარტიით (1990), რომელშიც წარმოდგენილია როგორც პაციენტთა უფლებები, ისე მომსახურების სტანდარტები, რისი მოლოდინიც პაციენტებს უნდა ჰქონდეთ. პაციენტთა ქარტია მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: ხელმისაწვდომობა, მოლოდინის დრო, თავაზიანობა და პატივისცემა, ინფორმაციის მიწოდება და ჩივილი (მომხმარებლის უკმაყოფილების შემთხვევაში).

სამედიცინო მომსახურების ხარისხზე და პაციენტზე, როგორც მომხმარებელზე მიდგომების აქცენტირება ევროპაში გაგრძელდა მომდევნო წლებშიც. კერძოდ, 1997 წელს დიდ ბრიტანეთში გამოიცა დოკუმენტი სადაც ასახულია მთავრობის ხედვა ჯანმრთელობის ეროვნულ სამსახურებთან მიმართებით. დოკუმენტი ასახავს ისეთ საკითხებს, როგორცაა: სამედიცინო სამსახურების მიმართ არათანაბარი ხელმისაწვდომობა, ხარისხის გაუმჯობესების კრიტერიუმების განსაზღვრა გარკვეული ნოზოლოგიებისათვის, მათ შორის გულის იშემიური დაავადებისთვის, ინსულტისათვის და სიმსივნეებისათვის. საბოლოო ჯამში, ქვეყანაში შეიქმნა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურებზე სახელმწიფო ზედამხედველობის ახალი მყარი სისტემა, რომელიც წარმატებით მოქმედებს დღემდე.

საქართველოში მოქმედი სტაციონარული დაწესებულებების დახმარების მოქმედების თავისებურებები საბაზრო ურთიერთობების მოქმედების პირობებში

სახელმწიფო ვალდებულებათა შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების უზრუნველყოფაზე მიმართული პოლიტიკის განხორციელებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქვეყნის კონსტიტუციაში, ამ უფლების დაფიქსირება, მისი ეფექტური დაცვა მოითხოვს მიზანმიმართული, კომპლექსური სტრატეგიების განხორციელებას და დამოკიდებულია პოლიტიკურ ნებაზე, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე, სხვა უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების სიმლიერესა და ძალისხმევაზე.

კვლევის შედეგები, რომლებიც შეეხება სახელმწიფო რეგულირების მნიშვნელობას ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფის საქმეში ადასტურებს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ამ სფეროს თავისებურებების გაუთვალისწინებლობა ნაცვლად მდგომარეობის გაუმჯობესებისა საგრძნობლად ზღუდავს როგორც სამედიცინო და სამკურნალწამლო მომსახურეობის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას, ასევე გაწეული დახმარების ხარისხს.

საქართველოში კერძო სამედიცინო დაწესებულებათა და ფარმაცევტული ბიზნესის სწრაფმა და ხშირად დაუსაბუთებელმა გაფართოებამ, უცხოური ინვესტიციების ზრდამ, დარგის ზოგიერთი მიმართულებების თითქმის სრულმა მონოპოლიზებამ (განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური ინსტრუმენტული და ლაბორატორიული კვლევების განხორციელების საქმეში, ფარმაცევტულ ბიზნესში და სხვ.) განაპირობა მხოლოდ მაღალ მოგებაზე ორიენტირებული სამედიცინო საქმიანობის სწრაფი განვითარება. ამასთან, თითქმის სრულიად იქნა უგულველყოფილი თანამედროვე ბიზნესის განვითარების ძირითადი პოსტულატი, რომელიც გულისხმობს მომხმარებლისთვის ახალი ფასეულობების შეთავაზებასთან ერთად **ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას**.

მიუხედავად მთელი რიგი პროგრესული ცვლილებებისა, ჯერ კიდევ უარყოფითი დამოკიდებულებაა ჯანდაცვის სისტემის მიმართ, როგორც სამედიცინო მომსახურების ხარისხის, ასევე ამ სფეროში საზოგადოებრივი რესურსების გადანაწილების და მათი ადმინისტრირების თვალსაზრისით.

საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყნების გამოცდილება (მათ შორის აშშ, იაპონია, ევროპის ქვეყნები და სხვ) მიუთითებს, რომ ამ სფეროს კოორდინაციის და მართვის საკითხებში სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილ იქნას ისეთი დემოკრატიული ღირებულებების დაცვა, როგორცაა პაციენტებისა და მათი გარკვეული ჯგუფის მოთხოვნები, თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა და სხვ.

ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყნის განვითარების მოკლე ისტორიულ პერიოდში გამოიკვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და საავადმყოფო დაწესებულებათა მიერ მიწოდებული სამედიცინო სერვისებით სარგებლობის რადიკალური განსხვავება მდიდარ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში. დადგენილია, რომ ადამიანის განათლება, სოციალური სტატუსი, ფინანსური მდგომარეობა სერიოზულ გავლენას ახდენს როგორც მის ჯანმრთელობის შენარჩუნების შესაძლებლობაზე, ასევე სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაზე.

მიუხედავად საქართველოში არსებული არასახარბიელო ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობისა, ქართულმა სახელმწიფომ სხვა მრავალ სტრატეგიებს შორის, სწორედ ჯანდაცვის სექტორის პრივატიზაცია აირჩია. უკვე 1994 წლიდან დაიწყო სტომატოლოგიური და ფარმაცევტული დაწესებულებების სრული პრივატიზაცია. 1995 წლიდან შეიქმნა მყარი საკანონმდებლო ბაზა კერძო სამედიცინო სადაზღვევო კომპანიების ამოქმედებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით დაიწყო ამბულატორიულ-პოლიკლინიკური და სტაციონარული დაწესებულებების პრივატიზაცია. ამასთან, ისევე როგორც სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებში სახელმწიფომ მკვეთრად შეზღუდა საკუთარი მოვალეობები კერძო სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაციაზე.

საქართველოს ეკონომიკის თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირებამ, მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობაზე მიმართული ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებამ უდაოდ ხელი შეუწყო საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადა-

წყვეტას, არსებული პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას, ამასთან, კვლევის პროცესში დადგინდა, რომ ჯანდაცვის სფეროს სპეციფიკა მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას, რომლის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წარმოიქმნება პრობლემები, რომელთა დაძლევა ზედმიწევნით გაძნელებულია.

ქვეყანაში არსებული მრავალრიცხოვანი კერძო საავადმყოფო დაწესებულებები მწვავე კონკურენტულ ბრძოლაში მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, არაიშვიათად იყენებენ ბიზნესის სხვა სფეროებში დამკვიდრებულ მავნე მეთოდებს, რომელთა აღმოფხვრა სახელმწიფოს ჩაურევლობის პირობებში სერიოზულ ზიანს აყენებენ როგორც მთლიანად სისტემას, ასევე ცალკეულ პაციენტებს.

გასათვალისწინებელია, რომ სხვა სფეროებისაგან განსხვავებით ჯანდაცვის სექტორი არა მხოლოდ უზრუნველყოფს პაციენტის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას სამედიცინო სერვისების მიწოდებით, არამედ თვითონ ახორციელებს მოთხოვნილების ფორმირებას დამატებითი სერვისების მიღებაზე, რაც ხელს უწყობს სერიოზული ფინანსური დარღვევებს და კორუფციულ გარიგებებს, რამაც მასიური ხასიათი მიიღო. კერძოდ:

- დაუსაბუთებელი სამედიცინო დანიშნულებების, მათ შორის ქირურგიული ოპერაციების, კონსულტაციების, სამკურნალო პრეპარატების დანიშვნის, და სხვა სამედიცინო მანიპულაციების ჩატარებას, რაც არა მხოლოდ აძვირებს გაწეულ დახმარებას, არამედ ხშირად აყენებს პაციენტს მორალურ და ფიზიკურ ზიანს;
- კორუფციული გარიგებები ერთის მხრივ პირველადი ჯანდაცვის (მათ შორის სასწრაფო დახმარების) და რაინებში განლგებულ კლინიკებსა და კერძო სადაზღვევო და ფარმაცევტულ კომპანიებს, სპეციალიზირებულ კლინიკებს შორის, როდესაც პაციენტს ეზღუდება შესაძლებლობა თვითონ შეარჩიოს სტაციონარული დაწესებულება;
- კორუფციული გარიგებები ფარმაცევტული კომპანიებსა და საავადმყოფოებს და სხვ.

საქართველოში 1995-2015 წწ. გატარებული სტაციონარული მომსახურების რეფორმების საწყისი ეტაპები ითვალისწინებდა ეკონომიკურად გამართული, მომხმარებელზე ორიენტირებული, სადაზღვეო პრინციპებთან მჭიდროდ დაკავშირებული სისტემის შექმნას, რაც ხელს შეუწყობდა მისი მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას და ხელმისაწვდომობას. ჰოსპიტალური სექტორის ტოტალური პრივატიზაციის პროცესში (რომელშიდაც აქტიური მონაწილეობა მიიღო ქვეყანაში მოქმედმა ფარმაცევტულმა და სადაზღვევო კომპანიებმა) მკვეთრად შემცირდა საწოლთა საერთო ფონდი სარაიონო საავადმყოფოებში (26.2 დან 1991 წელს 11.0 მდე 2015 წელს), გამოხატულად გააუარესა სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. ნაცვლად 200-300 და მეტ საწოლიანი სარაიონო საავადმყოფოებისა, რომელთა სტრუქტურაში შედიოდა პოლიკლინიკები საკმარისად მძლავრი დიაგნოსტიკური განყოფილებებით, ჩამოყალიბდა 30-50 საწოლიანი სტაციონარები, რომელთა უმეტესობა უზრუნველყოფს მხოლოდ სასწრაფო და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას.

რეფორმის ფარგლებში პრივატიზებული და ახლად გახსნილი საავადმყოფოების დიდი ნაწილის მესაკუთრეებმა თითქმის მთლიანად გააუქმეს ხანგრძლივი დაყოვნების თერაპიული საწოლები და აქცენტი გადაიტანეს პაციენტებისათვის გაცილებით ძვირადღირებული ქირურგიული და სპეციალიზირებული დახმარების მიწოდებაზე. კვლევამ დაადასტურა, რომ მსხვილი სტაციონარები, რომელთა ნაწილის (განსაკუთრებით უცხოელი) მესაკუთრეთა ბიზნეს ინტერესებში აშკარად შედის მხოლოდ საქმეში ჩადებული ინვესტიციების სწრაფი ამოღება და მაქსიმალური მოგების მიღება პაციენტთა მოზიდვის მიზნით იყენებენ მეთოდებს, რომლებიც აშკარა კრიმინალურ ხასიათს ატარებენ.

ამასთან, უგულველყოფილია არა მხოლოდ სამედიცინო საქმიანობის, არამედ ზოგადად ბიზნეს წარმოებისათვის აუცილებელი ეთიკური პრინციპები, რომელიც გულისხმობს პაციენტისა ხარისხიანი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია - დასაბუთებული დახმარების გაწევას, მის სრულ ინფორმირებულობას, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, ახალი ფასეულობების შეთავაზებასთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის ამღლებას და სხვ. მასიურად აღინიშნება საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის თქმა უმწეო პაციენტებისათვის. მასიურად ვლინდება შრომის კოდექსის შეუსრულებლობა, პერსონალის დაუსაბუთებელი განთავისუფლება და სხვ.

როგორც დასტურდება ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მონაცემთა ანალიზით, პაციენტთა უმეტესობა დაგვიანებით მიმართავს სტაციონარს მიუხედავად სახელმწიფო დაპირებებისა, რომ ასეთი მომსახურების ხარჯი პროგრამის ფარგლებში დაიფარება მთლიანად ან ნაწილობრივ. პაციენტებს არ სჯერათ დაპირებული პრივილეგიებისა და ჰოსპიტალიზაციაზე თანხმდებიან მდგომარეობის მხოლოდ უკიდურესად დამძიმების შემთხვევაში.

ზოგიერთი პოსტსაბჭოური ქვეყნების სტაციონარულ ქსელში ნაწარმოები ქირურგიული ოპერაციების დინამიკა (ყოველ 100 ათას მოსახლეზე)

ქვეყნები	1990	2000	2010	2011	2012	2013	2014
აზერბაიჯანი	...	1032.01	1528.7	1621.73	1804.28	1813.3	1864.78
საქართველო	3478.68	1569.83	3019.35	3195.39	3689.38	4222.63	5488.41
ყაზახეთი	4828.83	3331.38	3782.92	4312.55	4304.33	4319.97	4323.32
ყირგიზეთი	2973.65	3036.38	3059.74	3089.38	3114.35
მოლდავეთი	5092.63	4627.06	4573.13	4633.92	4697.52	4970.34	4898.38

წყარო: [European Health for All database](#)

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემები გვაუწყებს მხოლოდ საქართველოში, და ისიც ჯანდაცვის სისტემის ტოტალური გაკერძოების პროცესში ადგილი აქვს სტაციონარული ექიმების ქირურგიული აქტივობის თითქმის ორმაგ ზრდას, რაც პირდაპირ მიუთითებს შორს წასული პათოლოგიის გახშირებაზე, არამედ, რაც არანაკლებ საგანგაშოა - დაუსაბუთებელი ოპერაციების გახშირებაზე.

დაგვიანებული ჰოსპიტალიზაცია განპირობებულია არა მხოლოდ პაციენტის უნდობლობით პირველადი ჯანდაცვის სისტემაში მომუშავე პერსონალის მიმართ, არამედ თვითმკურნალობის ფართო გავრცელებით, რასაც ხელს უწყობს ძლიერმოქმედი ტკივილგამაყუჩებლების, სპაზმოლიტიკების, ჰორმონალური პრეპარატების და სხვ. თავისუფალი გაყიდვა (არასრული მონაცემებით, ამ ჯგუფის პრეპარატების და ანტიბიოტიკების ხვედრითი წილი ქვეყანაში გაყიდული მედიკამენტების ღირებულების 70%-ს შეადგენს). მაგალითად, აჭარის რეგიონში პაციენტების 27,1%, რომელთაც დაგვიანებით (24 საათი და მეტი) ჩაუტარდათ სასწრაფო ქირურგიული ოპერაცია იღებდნენ პრეპარატებს, რომლებიც შეიძინეს ექიმის დანიშნულების გარეშე აფთიაქის მუშაკების რჩევით.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში მინიმუმამდეა დაყვანილი სასამართლო პრაქტიკა საექიმო შეცდომებთან, მათ შორის პაციენტის სტაციონარში გარდაცვალებასთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლო წარმოებაში მიიღება საქმეები, სადაც უნდა ფიგურირებდეს გარდაცვლილის გაკვეთის ოქმი და სათანადო საექსპერტო დასკვნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ცდილობს სასწრაფოდ გაწეროს დამძიმებული პაციენტი, არსებული კანონმდებლობით კი გარდაცვლილის გაკვეთა ხდება მისი ახლობლის თანხმობით, გასაგებია, რომ ამით ხელი შეეწყობს არა მხოლოდ დანაშაულის დაფარვას, არამედ მოსახლეობის უნდობლობას არსებული კანონმდებლობის გამართულობის შესახებ. საკმარისია აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი 270 სტაციონარიდან მხოლოდ რამდენიმეს გააჩნია პროზექტურა, სადაც შესაძლებელია პათოლოგო-ანატომიური გაკვეთის წარმოება. ამასთან მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში ეს პრაქტიკა აუცილებელია.

საავადმყოფოში გარდაცვლილთა სასექციო გამოკვლევათა ხვედრითი წილი ზოგიერთ ქვეყნებში

ქვეყნები	1990	2000	2010	2011	2012	2013	1014
ევროპის რეგიონი	36.59	28.99	27.94	27.64	27.31	27.72	27.18
საქართველო	33.8	13.4	0.6	1.0	3.1	0.9	0.5
ბელარუსი	58	48	52	47.8	44.7	43.7	41.5
უნგრეთი	37.83	39.64	38.48	38.43	37.74
ყაზახეთი	63.6	58.8	60.7	60.6	60.03	63.9	57.2
მოლდავეთი	71.3	69.4	80.7	78.1	75.6	75.2	76.4
სლოვაკეთი	41.7	19.5	28.53	28.4	28.7	30.75	28.43

წყარო: [European Health for All database](#)

საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა სამეანო-გინეკოლოგიურ დაწესებულებებში, სადაც მიუხედავად სახელმწიფო დაფინანსებისა ფაქტობრივად ჩამოილია ორსულთა და მელოგინეთა მეთვალყურეობა. დამატებითი მოგების მიღების მიზნით მასიურად ხორციელდება საკეისრო კვეთები, რომელთა რიცხვი ბოლო წლების მანძილზე კატასტროფულად პროგრესულად იზრება.

საკეისრო ოპერაციების ხვედრითი წილი ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში
(ყოველ 1000 ახალშობილზე)


ქვეყნები	1990	2000	2010	2011	2012	2013	2014
----------	------	------	------	------	------	------	------

მთლიანად ევროპის რეგიონი	...	191.06	244.76	249.86	253.78	259.67	260.86
ავსტრია	...	167.63	282.48	283.18	288.35	287.85	292.96
აზერბაიჯანი	14.2	25.79	137.32	147.44	167.22	169.84	182.8
ბელარუსი	...	166.9	229.86	240.46	253.24	265.7	270.61
ჩეხეთი	76.11	128.92	224.88	232.73	243.86	248.72	254.37
დანია	...	153.3	214.35	211.63	211.81	221.5	213.63
ესტონეთი	...	145.17	203.35	201.99	199.99	200.8	199.84
ფინეთი	135.52	157.8	161.43	161.79	161.9	157.96	157.74
საფრანგეთი	...	178.76	210.25	209.96	208.42	207.66	208.04
საქართველო	38.1	87.4	310.65	347.21	366.99	371.09	385.39
გერმანია	304.96	308.88	308.89	306.58	308.15
ისრაელი	...	136.97	174.91	169.6	164.13	159.12	161.31
ყაზახეთი	46.41	68.37	135.32	146.15	152.03	151.27	157.34
ყირგიზეთი	30.54	38.59	67.37	69.82	77.08	92.55	97.55
ლატვია	70.44	149.74	229.51	229.8	223.7	208.97	199.39
მოლდავეთი	52.62	75.48	138.9	145.81	158.34	170.5	183.58
შვედეთი	164.39	162.15	162.97	165.57	169.22
უკრაინა	57.11	104.4	158.37	158.15	161.78	168.88	...
ინგლისი	...	196.57	238.64	241.97	243.31	251.08	251.87

წყარო: [European Health for All database](#)

თუ 1991 წელს ყოველი 1000 ახალშობილიდან მხოლოდ 3.8% იზადებოდა საკეისრო კვეთის შედეგად, 2000 წლიდან (როდესაც დაიწყო სამეანო სამსახურის პრივატიზება) ეს მაჩვენებელი გაიზარდა 8.3% - მდე, 2005 წელს - 19.5%-მდე, 2010 წელს 31.1%-მდე. 2015 წელს კი მიაღწია 39.5%-ს (ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპაში). ანალოგიური სიტუაცია აღინიშნება ე.წ. მინი-აბორტების წარმოებაშიც, მათ შორის 15 წლამდე გოგონებში. ნათელია, თუ რა ზიანს აყენებს არა მხოლოდ ახალშობილს, დედას, არამედ ზოგადად, ქვეყნის დემოგრაფიულ პოტენციალს არსებული მდგომარეობა იმის გათვალისწინებით, რომ საექსპერტო დასკვნით აღნიშნული ოპერაციების ნახევარზე მეტის ჩატარება დაუსაბუთებელია.

საქართველოში სამშობიარო სახლების პრივატიზება და საკეისრო ოპერაციების ზრდის ტენდენციები



წყარო: [European Health for All database](#)

სტაციონარული დაწესებულებების ტოტალურმა გაკერძობამ იმდენად დიდი ზიანი მიაყენა ზოგიერთი მიმართულების განვითარებას, რომ მდგომარეობის გამოსწორებას არა ერთი წელიწადი დასჭირდება. მაგალითად, 2015 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა „მსოფლიოს პერსპექტიული განვითარების გეგმა“, რომელიც ძირითადად გათვლილია განვითარებადი ქვეყნებისათვის, მაგრამ მიღებულია საქართველოშიც. ამ დოკუმენტის მიხედვით შესასრულებლად დაგეგმილ 17 მიზანსა და 169 ამოცანათა შორის საკმარისად დიდი ნაწილი საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში უკვე ხორციელდებოდა ათწლეულების მანძილზე, მაგრამ ფაქტობრივად შეწყდა უკანასკნელ პერიოდში, ვინაიდან არ შედის კერძო სამედიცინო-გინეკოლოგიური დაწესებულებების ინტერესებში. მაგალითად, ამ გეგმის მიხედვით საქართველოში 2030 წლისათვის დაგეგმილი სახელმწიფო სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის უზრუნველყოფას, რაც მიღწეული იყო ჯერ კიდევ წინა საუკუნის 90-ან წლებში, თუმცა შემდგომში მნიშვნელოვნად შეიზღუდა.

მიღებული მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სტაციონარულ დაწესებულებათა გაკერძობამ, მაქსიმალურ და სწრაფ მოგებაზე ორიენტიციამ, დამატებითი ინვესტიციების (განსაკუთრებით უცხოური) მოზიდვის ტენდენციამ ძირეულად შეცვალა ტრადიციული მიდგომები სამკურნალო პროცესის წარმართვაზე. მეპატრონე მაქსიმალურ შეღავათებს უწესებს კლინიკაში მომუშავე მაღალი რეპუტაციის მქონე სპეციალისტებს, რომლებიც ძირითადად იზიდავენ პაციენტებს, აწარმოებენ მაღალტექნოლოგიურ ოპერაციებს და სხვა მანიპულაციებს და იღებენ ზედმიწევნით მაღალ ანაზღაურებას.

გასაგები მიზეზების გამო კლინიკების წამყვანი ექიმები შეადგენენ ჯგუფს, რომელიც კლინიკის პატრონის ხელშეწყობით, რომელიც ნაკლებად არის დაინტერესებული ხელი შეუწყოს მოსალოდნელი ახალგაზრდა კონკურენტების პროფესიულ ზრდას, შეუწყოს ხელი მათ დამოუკიდებელ მუშაობას. ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ ახალგაზრდები ძირითადად დაკავებული არიან რუტინული მუშაობით, იღებენ შრომის

ანაზღაურებას. მათ არ გააჩნიათ სათანადო მორალური და პროფესიული ზრდის ხელშეწყობაზე მიმართული სტიმულები, რაც კონფლიქტური სიტუაციების და კადრების მაღალი დენადობის მიზეზი ხდება.

კერძო სამედიცინო დაზღვევის განვითარება საქართველოში რეგულირდება 1995 და მომდევნო წლებში მიღებული კანონებით. 2015 წლის მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 14 სადაზღვევო კომპანია, აქედან სამედიცინო დაზღვევის მიმართულებით რეალურად მუშაობს მხოლოდ ათი, დანარჩენი ოთხი (ალდაგი, ტაო, კოპენბური და კამარა) დაკავებულია სხვა სადაზღვევო საქმიანობით. მიუხედავად ამისა, ჯანმრთელობის დაზღვევის წილი საკმარისად დიდია და შეადგენს ქართული სადაზღვევო ბაზრის 42.4%-ს. ქართული კერძო სამედიცინო სადაზღვევო ბაზრის მოცულობა აღწევს 160 მილიონ ლარს. მართალია, მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 535505 ადამიანს, მაგრამ ყურადსაღებია, რომ კორპორაციული დაზღვევის ბაზარს უკავია 95%, მაშინ, როდესაც საცალო დაზღვევის ბაზარს მხოლოდ 5%.

ეს გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ არა მხოლოდ სიმწიფეებს, განპირობებულს ქვეყნის არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობით, არამედ იმითაც, რომ კორპორაციული დაზღვევით გაერთიანებულია ის კონტინგენტი, რომელიც უფროსი ასაკის მოსახლეობისაგან განსხვავებით ნაკლებად მოითხოვს ძვირადღირებული სერვისების დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით ერთ დაზღვეულზე საშუალო სადაზღვევო პრემია თვეში შეადგენდა მხოლოდ 26 ლარს.

დამატებითი მოგების მოზიდვის მიზნით სამედიცინო სადაზღვევო კომპანიები ფლობენ როგორც საავადმყოფო დაწესებულებებს, აგრეთვე ფარმაცევტულ ბიზნესს. ამასთან კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სახელმწიფო საერთოდ არ რეაგირებს სიტუაციაზე, როდესაც სამედიცინო პერსონალი ვალდებულია მისცეს პაციენტს მიმართვა სპეციალიზირებული მკურნალობის, გამოკვლევების ან მედიკამენტების შეძენაზე მხოლოდ კორპორაციის მფლობელობაში მყოფ სტრუქტურებზე.

საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილის ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის გამოხატულმა შეზღუდვამ, განპირობებულმა ფინანსური პრობლემებით სერიოზული გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამსახველი ინდიკატორების გაუარესებაზე. ამის გათვალისწინებით 2013 წლიდან ქვეყანაში ამოქმედდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც ამჟამად მოცულია მოსახლეობის 90%, და ფაქტობრივად სოციალური დამაბულობის განმუხტვის დამცველ სარქველს წარმოადგენს.

საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, უზრუნველყოფს გეგმიურ და გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონარულ დახმარებას სამშობიარო დახმარების და ქირურგიულ მომსახურების ჩათვლით, და ასევე მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფებისთვის (დიაბეტი, ონკოლოგია და სხვ.) საბაზისო მედიკამენტების ღირებულების დაფინანსებას.

ზოგიერთი ქვეყნების მოსახლეობის პირდაპირი ხარჯების წილი, გაწეულ სამედიცინო დახმარებაზე

ქვეყნები	2000	2010	2011	2012	2013	2014
სასომხეთი	77.35	55.87	47.05	54.57	53.69	53.51
ავსტრია	15.07	16.58	16.68	16.34	16.24	16.15

აზერბაიჯანი	63.27	69.18	69.83	69.02	71.06	72.08
ბელარუსი	14.01	19.85	26.64	19.46	30.69	32.03
ბელგია	20.54	17.93	18.73	17.78	17.85	17.81
დანია	14.67	13.19	12.82	12.44	12.89	13.36
ესტონეთი	19.93	18.57	17.56	19.15	20.26	20.72
ფინეთი	22.32	19.31	18.81	18.04	18.19	18.23
საფრანგეთი	7.1	7.45	6.69	6.51	6.35	6.34
საქართველო	82.51	69.11	64.89	62.41	61.05	58.58
გერმანია	11.83	13.75	13.78	13.83	13.2	13.2
ჰოლანდია	8.98	5.27	5.42	5.42	5.23	5.22
თურქეთი	27.65	16.31	15.44	15.84	16.77	17.75
უკრაინა	44.05	40.5	43.64	41.98	43.09	46.22
ინგლისი	10.99	9.61	9.3	9.46	9.55	9.73
ევროპის რეგიონი	25.79	25.51	25.64	25.59	26.37	26.57

წყარო: [European Health for All database](#)

საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოხმედებამ ხელი შეუწყო სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფინანსური ბარიერების შემცირებას (თუ 2012 წ. მოსახლეობის პირდაპირი დანახარჯები შეადგენდა 76% 2015 წ. მან იკლო 58% -მდე). ანალოგიური დინამიკა შეინიშნება ჰოსპიტალურ მომსახურების ხარჯებთან დაკავშირებით, კერძოდ, 2015 წელს სახელმწიფო დაფინანსების წილმა (55%) პირველად გადააჭარბა ჯიბიდან გადახდებს (45%), რასაც უკავშირებენ საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებას.

მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯები ბოლო წლებში გაორმაგდა და მიაღწია 900 მლნ.ლარს მოსახლეობის მიერ საკუთარი ჯიბიდან გაწეული ხარჯების წილი განუყრელად მატულობს (2014 წლის მონაცემებით იგი შეადგენს 1720 ათას ლარს), რაც დაკავშირებულია მედიკამენტების ფასების განუყრელ ზრდასთან. ამას ადასტურებს ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებიც. მართალია გამოკითხულთა 80 % მიიჩნევს რომ საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის შემოღებამ ხელი შეუწყო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ, იმავდროულად მიუთითებს, რომ ეს სისტემა ზღუდავს პაციენტის მიერ ექიმის თავისუფალი არჩევანის უფლებას, მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს სამედიცინო ხარჯებს, არ ითვალისწინებს შეღავათებს ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენისას და სხვ.

დასკვნები

1. ჩატარებულმა კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყნის განვითარების მოკლე ისტორიულ პერიოდში გამოიკვეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის და საავადმყოფო დაწესებულებათა

მიერ მიწოდებული სამედიცინო სერვისებით სარგებლობის რადიკალური განსხვავება მდიდარ და სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში.

- ქართული კერძო სამედიცინო სადაზღვევო ბაზრის მოცულობა აღწევს 160 მილიონ ლარს. მართალია, მოსარგებლეთა რაოდენობა შეადგენს 535505 ადამიანს, მაგრამ ყურადსაღებია, რომ კორპორაციული დაზღვევის ბაზარს უკავია 95%, მაშინ, როდესაც საცალო დაზღვევის ბაზარს მხოლოდ 5%. კორპორაციული დაზღვევით გაერთიანებულია ის კონტინგენტი, რომელიც უფროსი ასაკის მოსახლეობისაგან განსხვავებით ნაკლებად მოითხოვს ძვირადღირებული სერვისების დაფინანსებას. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის მონაცემებით ერთ დაზღვეულზე საშუალო სადაზღვევო პრემია თვეში შეადგენდა მხოლოდ 26 ლარს.
- სოციოლოგიური კვლევის შედეგებით გამოკითხულთა 80 % მიიჩნევს რომ საყოველთაო სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევის შემოღებამ ხელი შეუწყო სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ, იმავდროულად მიუთითებს, რომ ეს სისტემა ზღუდავს პაციენტის მიერ ექიმის თავისუფალი არჩევანის უფლებას, მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს სამედიცინო ხარჯებს, არ ითვალისწინებს შეღავათებს ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენისას და სხვ.
- რეფორმის ფარგლებში პრივატიზებული და ახლად გახსნილი საავადმყოფოების დიდი ნაწილის მესაკუთრეებმა თითქმის მთლიანად გააუქმეს ხანგრძლივი დაყოვნების თერაპიული საწოლები და აქცენტი გადაიტანეს პაციენტებისათვის გაცილებით ძვირადღირებული ქირურგიული და სპეციალიზირებული დახმარების მიწოდებაზე. კვლევამ დაადასტურა, რომ მსხვილი სტაციონარები, რომელთა ნაწილის (განსაკუთრებით უცხოელი) მესაკუთრეთა ბიზნეს ინტერესებში აშკარად შედის მხოლოდ საქმეში ჩადებული ინვესტიციების სწრაფი ამოღება და მაქსიმალური მოგების მიღება პაციენტთა მოზიდვის მიზნით იყენებენ მეთოდებს, რომლებიც აშკარა კრიმინალურ ხასიათს ატარებენ.
- უგულველყოფილია არა მხოლოდ სამედიცინო საქმიანობის, არამედ ზოგადად ბიზნეს წარმოებისათვის აუცილებელი ეთიკური პრინციპები, რომელიც გულისხმობს პაციენტისა ხარისხიანი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია -დასაბუთებული დახმარების გაწევას, მის სრულ ინფორმირებულობას, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღწევას, ახალი ფასეულობების შეთავაზებასთან ერთად სოციალური პასუხისმგებლობის ამალგებას და სხვ. მასიურად აღინიშნება საჭირო სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარის თქმა უმწეო პაციენტებისათვის. მასიურად ვლინდება შრომის კოდექსის შეუსრულებლობა, პერსონალის დაუსაბუთებელი განთავისუფლება და სხვ.
- ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაში არსებული სოციალური უთანასწორობა და არათანაბარი ხელმისაწვდომობა მოითხოვს ისეთი სტრატეგიების შემუშავებას, რომლებიც ხელს შეუწყობენ არსებული დისბალანსის შესუსტებას, პაციენტთა უფლებამოსილების და ინფორმირებულობის დონის ამალგებას მათი რეალური საჭიროებების გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გერზმავა ო. (2017). *საზოგადოებრივი ჯანდაცვა და მენეჯმენტი*. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისი: თბილისი.
- ვერულავა თ. (2016). *ჯანდაცვის პოლიტიკა*. სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის. თბილისი.
- კოპალეიშვილი ნ. (2005). *მოკვდაობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე*. დისერტაცია. თბილისი

4. ლომინაძე დ. (2010). საქართველოს ჯანდაცვის ბაზრის ანალიზი. *ეკონომიკა*. თბილისი, #7-9.
5. ლომინაძე დ. (2010). საქართველოს სამედიცინო მომსახურების ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. *ეკონომიკა*. თბილისი, #7-9.
6. სულაბერიძე ვ. (2004). *დეპოპულაცია და საქართველოს დემოგრაფიული უსაფრთოება*. ავტორეფერატი. თბილისი.
7. Callahan D. (2002). How much medical progress can we afford? Equity and the cost of health care // *Journal of Molecular Biology*. V. 319, № 4: 885- 890.
8. Cookson R., Dawson D. (2006). Hospital competition and patient choice in publicly funded health Care. *The Elgar Companion to Health Economics*. Edward Elgar Publishing: 221-232.
9. European Mortality Database (2007,2010, 2015) HFA, MDB, mortality by cause, age and sex, updated / WHO, Europe.
10. Faragher E.B., Cass M., Cooper C.L. (2005). The relationship between job satisfaction and health: a meta-analysis. *Occupational and Environmental Medicine*. V. 62, №2: 105-112.
11. Hendrie D., Boldy D. (2002). Hospital services and case mix in Western Australia. *Australian Health Review*. 25 (1):173-88.
12. International Labour Organization (ILO) (2011). LABORSTA Internet. Economically Active Population,
13. James W.H. (2014). Monitoring reproductive health in Europe: what are the best indicators? *Human Reproduction*. Vol. 22: 1197-1199.
14. Sloane KM., Sloane B.L., Harder KK. (2008) *Introduction to Health Delivery Organizations. Functions and Management*. Chicago: Health Administration Press.
15. WHO Regional Office for Europe. Health 2020: the European policy for health and wellbeing. Copenhagen, WHO Regional Office for Europe, 2012 (<http://www.euro.who.int/en/what-we-do/health-topics/health-policy/health-2020>, accessed 12 November 2012).
16. World Health Organization. The World Health Report 2013- Health System: Improving Performance (Geneva: WHO, 2014). Retrieved October 2004 from www.who.int/whr

Features of the Functioning of Georgian Hospitals in the Conditions of Liberalization of Market Economy

Otar Gerzmava, Professor

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Ana Tegetashvili, PhD student

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

Roman Bolkvadze, PhD student

Summary

The article deals with the field consequences of unfavorable trends at the Health care system to the free market-oriented small business. The specificity of the health sector requires a special approach which arises in the case of problems related to market economy.

Ignoring of ethical principles not only for business in general, but in Health care system to achieve with minimal costs of medical services with minimization of effectiveness of the quality and social response create less values of the offering. New business realities in Georgian Hospital Care System stimulated increasing of helpless patients who massively needed medical Care.

The current number of private institutions in the hospital acute competitive struggle in order to obtain the maximum profit are often used by businesses in other areas of the established negative methods, which eliminate the non-interference of the state in terms of serious damage to the system as a whole, as well as individual patients.

Measurement is central to the concept of quality improvement; it provides a means to define what hospitals actually do, and to compare that with the original targets in order to identify opportunities for improvement.

In new realities, the principal methods of measuring hospital performance must be regulatory inspection, public satisfaction surveys, third-party assessment, and statistical indicators, most of which have never been tested rigorously. Evidence of their relative effectiveness comes mostly from descriptive studies rather than from controlled trials. It is clear, that the effectiveness of measurement strategies depends on many variables including their purpose, the national culture, how they are applied and how the results are used.

Inspection of hospitals measures minimal requirements for the safety of patients and personnel; it does not foster innovation or information for consumers or providers. Surveys usually address what is valued by patients and the general public. Standardized surveys measure specific domains of patient experience and satisfaction. There are also standardized surveys that reliably measure hospital performance against explicit standards at a national level.

Third party assessments may include measurement by standards, by peer review or by accreditation programs. ISO standards assess compliance with international standards for quality systems, rather than hospital functions per se. Peer review is generally supported by clinical professions as a means of self-regulation and improvement, and does not aim to measure the overall performance of hospitals.

Accreditation programs are managed by independent agencies in several countries. They focus on what may be improved rather than on failures, and are oriented toward the patient, the clinical procedures, outcome and organizational performance. These programs require substantial investments, and there is ample evidence that hospitals rapidly increase compliance with published standards and improve organizational processes in the months prior to external assessment.

There is less evidence that this brings benefits in terms of clinical process and patient outcome. Statistical indicators can suggest issues for performance management, quality improvement and further scrutiny; however, they need to be interpreted with caution. Much of the current evidence on the

effectiveness of performance indicators is based on observational or experimental data. Some experience suggests that indicators such as guidelines to standardize management of common conditions may reduce length of stay and episode costs without detriment to clinical outcome.

ხარისხის მენეჯმენტის საკითხები მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის

თამაზ მაჩიტაძე, დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

მომსახურების სფეროს ორგანიზაციების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მათ მიერ იმ პრინციპების გააზრებაზე, რაც საფუძვლად უდევს ხარისხის მართვის სისტემის შექმნას.

ამ პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესი არის - მართვისადმი სისტემური მიდგომა, რაც აქტუალურია მომსახურების სფეროს ყველა ორგანიზაციისათვის.

სტატიაში განხილულია ტიპობრივი მომსახურების პროცესის შემდეგი ეტაპები: მარკეტინგის პროცესი; მომსახურების დაგეგმვის პროცესი; მომსახურების გაწევის პროცესების შემუშავება; რესურსებით უზრუნველყოფა; მომსახურების გაწევა; მომსახურების გაწევის ხარისხის კონტროლი; მომსახურების შემდგომი სერვისი.

აღნიშნულია, რომ ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად დაიგეგმოს ორგანიზაციის საქმიანობა, სწორად განაწილდეს და იმართოს არსებული რესურსები. აგრეთვე, მოხდეს ორგანიზაციის პრესტიჟის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების მეტი გამჭვირვალობა; ხარჯების ოპტიმიზაცია, მომსახურების კულტურის ამაღლება; საქმიანობის სტანდარტიზება და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის გამარტივება.

წარმოდგენილ სტატიაში განხილულია ხარისხის მენეჯმენტის საკითხები მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის.

საძიებო სიტყვები: მომსახურების სფერო, ხარისხის მართვა, ხარისხის მართვის სისტემა, ხარისხის კონტროლი, მომსახურების პროცესი.

შესავალი

თანამედროვე პირობებში მომსახურების სფერო გვევლინება, როგორც სამეურნეო საქმიანობის კომპლექსი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მომსახურების შეთავაზების გზით, შესაბამისად გადამწყვეთ მნიშვნელობას იძენს ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში. ხარისხის მართვა კომპლექსური მიდგომის ნაყოფია, რაც მოიცავს მართვის პროცესების სრულ ციკლს, ხარისხის დაგეგმვიდან მის კონტროლამდე. ხარისხის მართვის სისტემა გვევლინება ერთგვარ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ბაზარზე ორგანიზაციის პოზიციების გაუმჯობესება. დღეისათვის მომსახურების სფეროს ორგანიზაციები უპირველეს პრიორიტეტად ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებას მიიჩნევენ, მომსახურების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფისათვის ხშირად იყენებენ კომპლექსურ მიდგომას, რაც ხშირად სხვადასხვა მოდელებისა და სტანდარტების გამოყენას გულისხმობს, კერძოდ ისინი იყენებენ ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს, გეგმავენ შიდა პროცედურებს, იქმნება ხარისხის მართვის შიდა სამსახურები, ხდება თანამშრომლების პერმანენტული გადამზადება და ანხორციელებენ ხარისხის კონტროლს მომსახურების გაწევის პროცესში.

ხარისხის მენეჯმენტის საკითხები მომსახურების სფეროს ორგანიზაციებისთვის

ქართული ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი მომსახურების სფეროს ორგანიზაციების წარმატება დიდწილად დამოკიდებულია მათ მიერ იმ პრინციპების გააზრებაზე, რაც საფუძვლად უდევს ხარისხის მართვის სისტემის შექმნას. ამ პრინციპებიდან უმნიშვნელოვანესი არის - მართვისადმი სისტემური მიდგომა, რაც აქტუალურია მომსახურების სფეროს ყველა ორგანიზაციისათვის. თუ მომსახურების სფეროს ორგანიზაციას გააზრებული აქვს საკუთარი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება და ეთანხმება ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფციას, მაშინ იგი მიზანმიმართულად განიხილავს მომსახურების

ხარისხის გაუმჯობესების ძირითად მიდგომებს. არსებობს ასეთი მუშაობის ორი ძირითადი მიმართულება: ხარისხის მართვა მომსახურების შემუშავების და წარმოდგენის (გაწევის) პროცესში. ხარისხის საყოველთაო მართვის კონცეფცია არ გულისხმობს მხოლოდ სტანდარტების მკაცრი ჩარჩოებით შემოფარგვლას. მნიშვნელოვანია მოხდეს მუშაობის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების გააზრება ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ხშირ შემთხვევაში, მომსახურების ხარისხის კონტროლი შესაძლებელია მხოლოდ მომსახურების გაწევის პროცესის გაკონტროლების გზით. არ არის რეკომენდირებული მხოლოდ საბოლოო შედეგის კონტროლზე დაყრდნობა; ხარისხის საჭირო დონის უზრუნველსაყოფად, მომსახურების გამწევი ორგანიზაციების სრული უმრავლესობისათვის, აუცილებელია, რომ გააჩნდეთ თავად მომსახურებების და მათი გაწევის პროცესის დეტალური აღწერილობები. როგორც პრაქტიკა გვაჩვენებს, დღესდღეობით, მათი უმრავლესობა არ ან ვერ აკონტროლებს მომსახურების გაწევის პროცესის შესაბამისობას წინასწარ განსაზღვრულთან.

აუცილებელია ისეთი სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც საშუალებას მისცემს ორგანიზაციას, რომ მუდმივად მიიღოს ინფორმაცია მომსახურების ხარისხზე, მის კონკურენტ-უნარიანობასა და ღირებულებაზე. აქვე უნდა ჩავთვალოთ მომსახურების გაწევის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის სავარაუდო გზები. აუცილებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის, პერსონალისა და სპეციალური ფირმების (რომლებიც ემსახურებიან მაგალითად: შიდა აუდიტს, კონტროლს, ხარისხის კონტროლს) აზრის გათვალისწინება.

უნდა მოხდეს მომსახურების ხარისხისათვის ისეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორებიცაა: პერსონალის სწავლება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება, მართვის თანამედროვე ფილოსოფიის დანერგვა, პერსონალის ჩართულობა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და კონტროლის პროცესებში, ორგანიზაციის პოზიტიური იმიჯის შექმნა.

ხარისხიანი სამუშაოსთვის თანამშრომლების ფინანსური წახალისების სისტემის შემუშავება და დანერგვა, სადაც, გამომუშავებული თანხის (ხელფასის) მნიშვნელოვანი ნაწილი პირდაპირ კავშირში იქნება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხთან და მთლიანობაში, ორგანიზაციის მიერ ნაჩვენებ მომსახურების ხარისხთან. ასეთი სისტემის არსებობის პირობებში, ყოველი თანამშრომელი დაინტერესებული იქნება არა მხოლოდ იმით, თუ თავად როგორ ასრულებს სამუშაოს, არამედ იმითაც, თუ რამდენად კარგად მუშაობენ მისი კოლეგები, რათა თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს საკუთარი პასუხისმგებლობის წილი სხვათა ფინანსურ მდგომარეობაში.

განვიხილოთ, ტიპობრივი მომსახურების პროცესის ეტაპები. თითოეული ქვე-პროცესის ჩარჩოებში უნდა განისაზღვროს შესასრულებელი სამუშაოების სია და მათთვის საჭირო დანახარჯები.

1. მარკეტინგის პროცესი - უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელიც შედგება მომსახურების საჭიროებების გამოვლენისა და მათი სტიმულირებისაგან. მომსახურების ბაზრისადმი ეფექტური მიდგომა შეიცავს დაკვირვებებსა და კვლევებს საჭირო ინფორმაციის შესაგროვებლად. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს:

- მომხმარებელთა საჭიროებების და მოლოდინების იდენტიფიცირებას, მათი დამოკიდებულებებისა და განწყობების გამოვლენას შეთავაზებული მომსახურების მიმართ;
- დამატებითი მომსახურებების განსაზღვრას;

- კონკურენტების საქმიანობის ანალიზს;
- მომსახურებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზის გაანალიზებას, ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან და წესებთან შესაბამისობის დადგენას.

ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, მნიშვნელოვანია მოხდეს მომსახურების მოკლე აღწერა. ეს უკანასკნელი აფიქსირებს სამომხმარებლო საჭიროებებს და ორგანიზაციის შესაბამის შესაძლებლობებს. მომსახურების მოკლე აღწერა ქმნის საფუძველს პროდუქტის სამომავლო განვითარებისათვის.

2. მომსახურების დაგეგმვის პროცესი - მოიცავს მომსახურების გაწევის სპეციფიკაციების დაზუსტებას ორგანიზაციის საერთო მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით. მომსახურების სპეციფიკაცია განსაზღვრავს თავად მომსახურებას, რომელიც უნდა იქნას წარმოდგენილი (გაწეული). მომსახურების გაწევის სპეციფიკაცია განსაზღვრავს იმ საშუალებებსა და მეთოდებს, რომლებიც უნდა იქნან გამოყენებულნი კონკრეტული

მომსახურების გასაწევად. ხარისხის მართვის სპეციფიკაცია განსაზღვრავს მომსახურების შეფასების მეთოდებს. სპეციფიკაციის შემუშავება - ეს არის ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთმოქმედი პროცესები პროექტირების ყველა ეტაპზე.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა განსაზღვროს მომსახურების პროექტი და უზრუნველყოს, რომ ყველამ, ვინც ჩართულია პროექტირების პროცესში, გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობის დონე მომსახურების ხარისხის მიღწევის საქმეში. დეფექტების აღმოფხვრა საწყის ეტაპზე (პროექტირების ეტაპზე) ბევრად უფრო იოლი და იაფია ვიდრე კორექტირება მომსახურების გაწევის პროცესში.

3. მომსახურების გაწევის პროცესების შემუშავება - შესაძლებელია წარმატებით განხორციელდეს ცალკეულ სამუშაო ეტაპებად პროცესების დაყოფის გზით, იმ მეთოდზე დაფუძნებით, რომელიც აღწერს ყოველი ეტაპის მუშაობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი სამუშაო ეტაპების ურთიერთკავშირს, როგორებიცაა:

- მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მომხმარებლებისათვის;
- შეკვეთის მიღება;
- მომსახურების და მისი გაწევის პროცესისათვის შესაბამისი მდგომარეობის შექმნა.

მომსახურების გაწევის ტექნოლოგიური პროცესის დეტალური სურათი შესაძლებელია გამოჩნდეს მთლიანი პროცესის ასეთი დაყოფის გზით.

4. რესურსებით უზრუნველყოფა - ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის და ხარისხის სფეროში დასახული მიზნების მიღწევისათვის, მომსახურების სფეროს ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ორგანიზაცია აუცილებელი და საკმარისი რესურსებით. უპირველეს ყოვლისა, ადამიანური რესურსებით, აგრეთვე, საჭირო აღჭურვილობითა და ტექნიკით, თითოეული დაგეგმილი პროცესის შესრულების გრაფიკის შესაბამისად, რათა ხელი არ შეეშალოს მომსახურების შექმნის რომელიმე ეტაპს.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ეფექტური კომუნიკაციის დამყარება საკუთარ თანამშრომლებს და მომხმარებლებს შორის. პერსონალი, რომელსაც გააჩნია პირდაპირი კონტაქტი მომხმარებლებთან, არის მომსახურების შესახებ ინფორმაციის უმნიშვნელოვანესი წყარო. (მომხმარებლებისათვის)

5. მომსახურების გაწევა - მომსახურების გაწევის პროცესი შედგება მომსახურების გამწევ ორგანიზაციაში განხორციელებული პროცესებისაგან.

6. მომსახურების გაწევის ხარისხის კონტროლი - იგი მოიცავს: მომსახურების გაწევის პროცესის გაანალიზებას და ყველა არსებითი პროცესის შემოწმებას, რათა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი ტენდენციები და მომხმარებლების უკმაყოფილება; პერსონალის მიერ თავის საქმიანობის თავადვე გაკონტროლებას; სამომხმარებლო შეფასება გვევლინება მომსახურების ხარისხის საბოლოო წერტილად. ამრიგად, მომხმარებლების უკმაყოფილების დონის მუდმივი გამორკვევა და გაანალიზება ორგანიზაციათა პრაქტიკული საქმიანობის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს. ასევე, მომსახურების საბოლოო ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია მასთან (მომსახურებასთან) დაკავშირებული პროცესების უწყვეტი შეფასების პრაქტიკაში დანერგვა. ამისათვის, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ უნდა შექმნას ინფორმაციის შეგროვების და გავრცელების სისტემა.

7. მომსახურების შემდგომი სერვისი - ეს არის მომსახურების შემადგენელი ნაწილი, რომელიც აუცილებლად უნდა შესრულდეს მომავალში, რამეთუ მასზე დიდწილად არის დამოკიდებული ორგანიზაციის რეპუტაცია.

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციისთვის რეალური წარმატება მოაქვს არა უშუალოდ პროდუქციასა თუ მომსახურებას, არამედ მათი გაწევის პროცესს.

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვის ეფექტი:

ხარისხის მართვის სისტემის დანერგვას ორგანიზაციებისათვის მოაქვს არაერთი უდაო სარგებელი:

არსებობს ხარისხის მართვის სისტემის დამნერგავ ორგანიზაციებში ანალიტიკოსების მიერ ჩატარებული არაერთი კვლევა, მათი შედეგების მიხედვით: ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა საშუალებას იძლევა, რომ უფრო ეფექტურად დაიგეგმოს ორგანიზაციის საქმიანობა, სწორად განაწილდეს და იმართოს არსებული რესურსები.

ხარისხის მართვის სისტემა გვევლინება ერთგვარ ინსტრუმენტად, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ბაზარზე ორგანიზაციის პოზიციების გაუმჯობესება. იგი (ხარისხის მართვის სისტემა) მმართველებისთვის წარმოადგენს იმ ინსტრუმენტს, რომლის დახმარებითაც ისინი შეძლებენ მართვის ფუნქციის ეფექტურად განხორციელებას.

საქართველოში, დღეისათვის, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი მომსახურების დონის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.

ამრიგად, თანამედროვე დროში, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებმა, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით, სწორად უნდა გამოავლინონ სამომხმარებლო საჭიროებები და უზრუნველყონ თავიანთ ორგანიზაციებში ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა ISO9000 სერიის სტანდარტების შესაბამისად.

შედეგად წარმოქმნილი უპირატესობები არის:

- ორგანიზაციის პრესტიჟის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე;
- ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების მეტი გამჭვირვალობა;
- მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, ხარჯების ოპტიმიზაცია, მომსახურების კულტურის ამაღლება;

- მომსახურების სფეროს ორგანიზაციების საქმიანობის სტანდარტიზება, ერთმა-ნეთთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის გამარტივება და სხვა.

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე დროში, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებმა, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მიზნით, სწორად უნდა გამოავლინონ სამომხმარებლო საჭიროებები და უზრუნველყონ თავიანთ ორგანიზაციებში ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა ISO9000 სერიის სტანდარტების შესაბამისად. საქართველოში, დღეისათვის, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი მომსახურების დონის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. შედეგად წარმოქმნილი უპირატესობები არის: ორგანიზაციის პრესტიჟის ამაღლება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესების მეტი გამჭვირვალობა; მუშაობის ეფექტურობის ამაღლება, ხარჯების ოპტიმიზაცია, მომსახურების კულტურის ამაღლება; მომსახურების სფეროს ორგანიზაციების საქმიანობის სტანდარტიზება, ერთმანეთთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან კომუნიკაციის გამარტივება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Ellis A, Kaufenstein M. 2004. *Dienstleistungsmanagement - Erfolgreicher Einsatz von prozessorientiertem Service Level Management*. Morlenbach, Germany: Urheberrechtlich Geschütztes Material.
2. Nini M. 2011. *Systemisches Dienstleistungsmanagement*. Wiesbaden, Germany: Springer International Publishing AG.
3. Schibany A., Berger M. 2007. *Forschung, Entwicklung und Innovation im Dienstleistungssektor*. Wien, Austria: Technologie Information Politikberatung.
4. Просветов Г. 2009. *Управление в сфере услуг: задачи и решения*. Москва: Альфа-Пресс.

Quality Management Issues for Service Field Organizations

Tamaz Machitidze, PhD

Georgian Technical University, Tbilisi, Georgia

The success of the service field organizations depends on their understanding of the principles that are based on the creation of a quality management system. The most important of these principles is the systemic approach to management which is relevant for all organizations of the service sector.

The article discusses the following stages of the typical service process: marketing process; service planning process; service delivery processes; providing resources; service activities; control of quality of service; service after delivery.

In modern times, the service sector organizations have to correctly identify consumer needs and ensure the quality management systems in their organizations in compliance with ISO9000 series standards. Nowadays, organizations of service sector in Georgia should ensure the compliance of their service level with international standards.

It is noted that introduction of the quality management system allows to more efficiently organize the activities of the organization, to distribute and manage the existing resources. The following also became possible: increase of the prestige of the organization at national and international level; more transparency of the ongoing processes in the organization; optimization of costs; increase of service culture; standardization of activities and simplification of communication with administrative bodies.

The article discusses quality management issues for service field organizations.

ადამიანური კაპიტალის მდგომარეობა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები საქართველოში
დემურ გიორხელიძე, პროფესორი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

აბსტრაქტი

კვლევა საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში წარმოების ფაქტორების წვლილის შეფასებას ეხება. წარმოების ფაქტორები გაანალიზებულია უკანასკნელი 20 წლის პერიოდისათვის. აღნიშნულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორს სახელმწიფო ინვესტიციები (უცხოურ ინვესტიციებთან ერთად) წარმოადგენდა, მაგრამ მიხედვად მისი დადებითი შედეგისა, სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება მიღწეული არ იქნა. მოსახლეობის რიცხოვნობის რადიკალური კლების ფონზე, რაც ამ წლების განმავლობაში მოხდა, ტრადიციული საწარმო ფაქტორების – შრომისა და კაპიტალის წვლილის ისეთნაირი ზრდა, რომ გავლენა მოახდინოს ეკონომიკის ზრდის დაჩქარებაზე, ვერ მოხერხდება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამჟამად საქართველოს ეკონომიკა პოტენციურის ზღვართან ახლოს ფუნქციონირებს და არსებულის ფონზე ეკონომიკური ზრდის რეზერვი უმნიშვნელოა. ამდენად აქცენტის გაკეთება იმ საწარმოო ფაქტორზე, რომელიც ეკონომიკის გრძელვადიან ზრდასა და განვითარებას უზრუნველყოფს, აუცილებელია. ნაჩვენებია, რომ დღეის მდგომარეობით საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში ადამიანური კაპიტალის (მისი აღიარებული განმარტებით) წვლილი არ ფიგურირებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების მიმართულებით სერიოზული პრობლემები არსებობს. ამ მდგომარეობის დაძლევისათვის კვლევაში მოხაზულია მოქმედებების ის სფერო, რამაც ეკონომიკური ზრდის ტემპში ადამიანური კაპიტალის წვლილის გაზრდასა და განვითარებას, ადამიანური კაპიტალის მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევას უნდა შეუწყოს ხელი. კვლევის პროგრამის ფარგლებში, შემდგომ კვლევებში, კლებადი მოსახლეობის ფონზე, მთავარი ყურადღება საქართველოსათვის ადამიანური კაპიტალის შემცველი ეკონომიკური ზრდის მოდების დამუშავებას დაეთმობა იმ მიმართულებით, რაც წინამდებარე კვლევაშია მოხაზული.

საძიებო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი, პროდუქტიულობა, ეკონომიკური ზრდა, სამეცნიერო კვლევები, დამუშავებები

"ეკონომიკური ზრდა ხდება მაშინ, როცა ადამიანები იღებენ რესურსებს და გარდაქმნიან მათ უფრო ღირებული წესით"
პოლ რომერი


შესავალი

საქართველოს სინამდვილეში, სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებში (Research and Development, R&D) დასაქმებულთა დონის შეფარდება დასაქმების საერთო დონესთან მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მაჩვენებელს. ასეთი მდგომარეობის მიზეზი არის ის, რომ საქართველოს ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის დაგროვება ფიზიკური კაპიტალის დაგროვების გვერდით ეფექტს წარმოადგენს: შრომის ერთეულზე კაპიტალის ზრდასთან ერთად, შრომის ერთეულზე ადამიანური კაპიტალი იზრდება, მაგრამ ადამიანური კაპიტალის ეს ზრდა მომუშავეთა არაიდიდ ჯგუფებშია კონცენტრირებული. ამ ფიზიკურ კაპიტალზე მომუშავენი აგროვებენ მეტ ადამიანურ კაპიტალს, – მათზე მუშაობით ისინი სწავლობენ პრაქტიკაში, მაგრამ ეს არ არის R&D-ს, როგორც ეკონომიკის სექტორის

განვითარებისა და მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგი. საქართველოში ადამიანური კაპიტალი არ წარმოადგენს პირდაპირი ინვესტიციების შედეგს, არამედ ფიზიკური კაპიტალის შექმნისგან წარმოქმნილი ექსტერნალია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020“ ადამიანური კაპიტალის პრიორიტეტული განვითარებაზეა საუბარი, სტრატეგიის მიღებიდან სამი წლის შემდეგაც კი უმაღლესი განათლებისა და კვლევების დაფინანსება მშპ-ს 0,5%-ს არ აღემატება, ამიტომ მოსალოდნელია, რომ არასრული დაფინანსების ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც, რაც პრობლემურს ხდის მშპ-ს სწრაფი ზრდის პერსპექტივას.

ეკონომიკურ ზრდაში წარმოების ფაქტორები წილის შეფასება

წინა წლებში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენდა (ნახ. 1). ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა შემსრულებლებიც, ძირითადად, ტენდერში გამარჯვებული უცხოური კომპანიები იყვნენ საკუთარი სპეციალისტებითა და ტექნიკით. მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისით ამ ინვესტიციებმა (პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად) მიუხედავად იმისა, რომ დადებითი როლი შეასრულა, ვერ უზრუნველყო სტაბილური ეკონომიკური ზრდა და ეკონომიკური ზრდის შედეგები საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილზეც ვერ აისახა. ამ ეკონომიკურმა ზრდამ ვერც უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლებების შემცირებაზე მოახდინა არსებითი გავლენა და ვერც კონკურენტუნარიანობის ამაღლების და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის საფუძვლები შექმნა. The Global Competitiveness Report 2016–2017-ის თანახმად (გვ. 184), GCI-ის მიხედვით საქართველო 138 ქვეყანას შორის 59-ე ადგილს იკავებს, რაც არ არის მაღალი მაჩვენებელი, თუმცა ახლოა 2017 წლისათვის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით „საქართველო 2020“ დასახულ მიზნობრივ მაჩვენებლთან (58-ე ადგილი).




ნახ. 1. სახელმწიფო ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა: g – ზრდა, INVG – სახელმწიფო ინვესტიციები და Y – ნომინალური GDP.

ბუნებრივია, როცა ქვეყნის ეკონომიკის მშპ-ს საერთო მოცულობა 14 მლრს აშშ დოლარის მიდამოშია, საწარმოო ფაქტორებიდან ჩვეულებრივი შრომა და კაპიტალი ეკონომიკური ზრდის მთავარი მასტიმულირებელი და მამოძრავებელი ფაქტორების ფუნქციას ვერ შეასრულებს. ჩვეულებრივ (ტრადიციულ) შრომაზე აქცენტირება არასწორია რამდენიმე მიზეზით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობის ნახტომისებური

კლება მოხდა [1992 წელს მოსახლეობის რაოდენობა 5,4874 მლნ კაციდან (მოსახლეობის მაქსიმუმი საქართველოსათვის) 2016 წლის ბოლოს 3,7204 მლნ კაცამდე შემცირდა, - კლებამ 1,7767 მლნ კაცი შეადგინა]. მეორე ის, რომ უახლოესი 20 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის კლების ტენდენცია შენარჩუნებული იქნება. ამის გამომწვევი მიზეზი მოსახლეობის საკმარისად მაღალი მიგრაციაა დემოგრაფიული ფაქტორთან ერთად რასაც ძირითადად განაპირობებს ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა. ამდენად, მოსაზრება „რაც მეტია მოსახლეობის რიცხოვნობა, მით მეტი ადამიანი იქნება დაკავებული R&D სექტორში“, - საქართველოს პირობებში არ და ვერ იმუშავებს ადამიანური რესურსის კლების გამო.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში სამუშაო ძალის წილი ეკონომიკის განვითარებაში უარყოფითი ტენდენციით ხასიათდებოდა. მაგალითად, 2016 წელს ეკონომიკურ ზრდაში შრომის წილმა დაახლოებით (-2,6%) შეადგენდა. საერთო ფაქტორული პროდუქტიულობის (Total Factor productivity, TFP), - ანუ ეკონომიკური ზრდის ნაწილის, რომელიც შრომის ან კაპიტალის ზრდას არ უკავშირდება, - საშუალო წლიური ზრდის ტემპი 2.8%-ს შეადგენს, რაც თავისთავად დაბალი მაჩვენებელი არის, თუმცა ნაკლებია 2017 წლისათვის დასახულ მიზნობრივ მაჩვენებელზე (3%) (იხ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“)

კაპიტალის აღრიცხვაში გარკვეული პრობლემების არსებობის მიუხედავად, არსებული მონაცემები მისი შეფასების საშუალებას მაინც იძლევა (იხ. ნახ. 2 და ნახ. 3).



ნახ. 2. კერძო და საერთო შეფასებული კაპიტალი და მშპ. KR - რეალური კაპიტალია KR_P - კერძო სექტორის რეალური კაპიტალი, Y_sa - სეზონურად შესწორებული ნომინალური მშპ.





Fig. 3. შეფასებული კაპიტალის კვარტალური მშპ-ს თანაფარდობა. KR_G - სახელმწიფო სექტორის რეალური კაპიტალი; KR_P - კერძო სექტორის რეალური კაპიტალი, Y_sa - სეზონურად შესწორებული ნომინალური მშპ.

ეკონომიკური ზრდის კაპიტალის მიმართ დაბალი ელასტიურობის გამო, კაპიტალი ვერ იქნება ეკონომიკის გრძელვადიანი სწრაფი ზრდის საფუძველი, თუმცა ეკონომიკურ ზრდაში, კლებადი ზღვრული მწარმოებლურობის კანონის შესაბამისად, თავის კუთვნილ წვლილს შეიტანს. ნახ. 4-ზე მოცემულია ეკონომიკურ ზრდაში წარმოების ცალკეული ფაქტორების წვლილი.




ნახ. 4. წვლილი ზრდაში: TFP - საერთო ფაქტორული მწარმოებლურობა; L - შრომა; Kg – სახელმწიფო კაპიტალი; Kp – კერძო სექტორის კაპიტალი; g – ზრდა.

როგორც ჩანს, ეკონომიკურ ზრდაში ადამიანური კაპიტალის (მისი აღიარებული განმარტებით) წვლილი არ ფიგურირებს. ეს არც არის გასაკვირი – ადამიანური კაპიტალი დღემდე ოფიციალურად არ აღირიცხება და მისი ფორმირება-განვითარებისთვის ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული, თუმცა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პირველი ნაბიჯები გადაიდგა (გაიხსნა ტექნოპარკი, განხორციელდა ინოვაციური პროექტების შერჩევა „სილიკონის ველიდან“ (აშშ) მოწვეული მენეჯერების მეშვეობით და ა.შ.).

საქართველოში ადამიანური კაპიტალის, როგორც გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის და განვითარების უზრუნველმყოფი უმთავრესი ფაქტორის მნიშვნელობის გააზრება საკმარისად ადრე მოხდა (გიორხელიძე, 2003: 56; 136): „თანამედროვე ეკონომიკის განვითარებისათვის საჭიროა არა წარმოების საშუალებების უპირატესი ზრდა, არამედ გრძელვადიანი ინვესტიციები მეცნიერებაში, განათლებაში, ადამიანის ჯანმრთელობაში“. ტრანსფორმაციის პროცესის ურთულესი სცენარით განვითარებამ ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარებისათვის სერიოზული პრობლემები შექმნა, რამაც ბიზნესის საქმიანობის წარმოებისა და შესაბამისად ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ უმთავრეს ფაქტორებად არასაკმარისად განათლებული სამუშაო ძალა და ფინანსებზე ხელმიუწვდომობა ჩამოაყალიბა (ნახ. 5). გარდა ამისა, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მაკროეკონომიკის ცენტრალური პრობლემა – ფულის მასისა და ეკონომიკის მოცულობის შეუსაბამობის პრობლემა – გადაუჭრელი რჩება: მონეტიზაციის კოეფიციენტი (M2/GDP) არ აღემატება 18%-ს, მაშინ, როცა მთელს მსოფლიოში სხვა ტენდენციაა – მონეტიზაციის კოეფიციენტი დაახლოებით ერთის ფარგლებშია. აღნიშნული პრობლემა კაპიტალის ბაზრის არარსებობისა და ფინანსური ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის გამო ფინანსებზე ხელმიუწვდომობის პრობლემას ქმნის. ამასთან, არაეფექტური სახელმწიფო ბიუროკრატია, პოლიტიკის არასტაბილურობა და ინოვაციებისადმი არასაკმარისი უნარი სერიოზულ ხელიშემშლელ ფაქტორებად ჩამოაყალიბდა. ამიტომ ეკონომიკის ინოვაციურ განვითარებაზე (Inovation-driven) გადასვლამდე საკმაო მანძილია გასავლელი – ჯერ-ჯერობით, 30 ეკონომიკასთან ერთად მეორე ეტაპზე (Efficiency-driven) ვიმყოფებით (იხ. GCR-ის მოხსენება, გვ. 38).

მაგრამ ინოვაციების მატარებელი ადამიანია! ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და თანდათანობით მის ძირითად საწარმოო ფაქტორად გადაქცევის გარეშე შეუძლებელია ისეთი მძიმე პრობლემებიდან თავის დაღწევა, რაც სიღარიბეს, მაღალ უმუშევრობასა და მიგრაციას უკავშირდება.



ნახ.5. ბიზნესის წარმოებისათვის უმრავლესი პრობლემური ფაქტორები
 წყარო: World Economic Forum, Executive Opinion Survey 2016 (p. 184).

როგორ შეიძლება გამოშვების ზრდის ტემპში ადამიანური კაპიტალის წვლილის გაზრდა და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად გადაქცევა? გამომდინარე არსებული მდგომარეობიდან, ეკონომიკური ზრდის მოდელის შექმნისას საწარმოო ფუნქციაში გასათვალისწინებელია მთლიანობაში ეკონომიკაში ადამიანური კაპიტალის საშუალო დონე ლუკასის (Lucas (1988)) ანალოგიურად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ „ლუკასის ეკონომიკა“ აუცილებლად ეფექტური არ არის, რაც ზუსტად შეესაბამება საქართველოს ეკონომიკას. ჩვენ ვიწყებთ არაეფექტურობიდან! საწარმოო ფუნქციაში ინოვაციური ფაქტორის შეტანა ექსპონენციალური მამრავლის სახით, რომლის ხარისხის მაჩვენებელში ინოვაციური საქმიანობისგან მშპ-ს ნაზრის მახასიათებელი პარამეტრი იქნება, რაიმე არსებითი შედეგის

მომტანი არ იქნება: ადამიანური კაპიტალის განუვითარებლობის გამო, ინოვაციები უმცირესი რაოდენობითაა და ამდენად მისი გავლენა უმნიშვნელო იქნება მაშინაც კი, თუ ინოვაციურ ფაქტორზე არ გავრცელდება კლებადი უკუგების კანონი. იგივე შეიძლება ითქვას საწარმოო ფუნქციაში ადამიანური კაპიტალის შეტანის თაობაზეც. ადამიანური კაპიტალის დაბალი ტემპით ზრდისას, პარამეტრი, რომელიც გამოშვების ზრდის ტემპში ადამიანური კაპიტალის წვლილს განსაზღვრავს, ნულისაკენ მიისწრაფვის და მასში ჩადებული ინვესტიციების დაბალი უკუგების გამო, გამოშვების სტაბილურ ნამატს ვერ უზრუნველყოფს. მაგრამ ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებიდან უკუგებასა და მისი განხორციელების მომენტს შორის დროითი ლაგის არსებობა, სტაბილურად ზრდადი ფიზიკური კაპიტალისა და ჩვეულებრივი შრომის პირობებში გამოშვების ზრდის წინაპირობას ქმნის. ამდენად, ჩვენ ვეჯახებით რეალურ პრობლემას, რომელიც წინმსწრები ტემპით უნდა გადაიჭრას: ეს არის მთლიანობაში სახელმწიფო პოლიტიკის და კერძოდ, მთავრობის ეფექტურობის საკითხი. ინოვაციური და ადამიანური კაპიტალის ფაქტორების ამოქმედება აპრიორი მაღალი პროფესიონალიზმისა და პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფო ბიუროკრატის არსებობასა და ინსტიტუციონალურ გარდაქმნებს გულისმობს, რომლებიც ქმნიან ეფექტურ ინსტიტუტებს და იღებენ განვითარებაზე და პროგრესზე ორიენტირებულ ეფექტურ გადაწყვეტილებებს. მოდელი ამ ფაქტორსაც უნდა ითვალისწინებდეს და მართვის ეფექტურობის, როგორც წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის წინმსწრები ტემპით განვითარებას ვარაუდობს. ადამიანური კაპიტალის ფორმირება და განვითარება კი შოკური ხასიათის ქმედებებს მოითხოვს, პირველ რიგში სახელმწიფო დაფინანსების ზრდის მიმართულებით. საწყის ეტაპზე, სანამ პოლიტიკის სრულად ამოქმედება მოხდება, 2-3 წელიწადში განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება, როგორც გათვლები უჩვენებს, მშპ-ს 5%-მდე, ხოლო შემდეგ, ეტაპობრივად, მშპ-ს 10%-მდე უნდა გაიზარდოს. საქართველოს მასშტაბის მქონე ქვეყნისათვის ფულის დაბანდების უკეთესი გზა, ვიდრე ადამიანური კაპიტალის ფორმირებასა და განვითარებაში ინვესტირებაა, არ არსებობს. შედეგების მიღება რეალურ დროში შეიძლება, რადგან ეკონომიკა მთლიანობაში ძლიერ არაწრფივი სისტემაა და დიდი ალბათობით მოსალოდნელია, რომ ზემოაღნიშნული მიმართულებით გადადგმული მძლავრი საწყისი იმპულსები, სისტემის არაწრფივი რეაგირების გამო, სასურველ შედეგებამდე იმაზე ადრე მიგვიყვანს, ვიდრე ეს ინერციულ აზროვნებას, წრფივი აზროვნების შეზღუდულ ჰორიზონტებს შეუძლია დაინახოს.

დასკვნა

კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ წარმების ტრადიციული ფაქტორების, როგორებიცაა შრომა და კაპიტალი, ექსტენსიური ან თუგინდ ინტენსიური ზრდით, საქართველოს ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერსპექტივაში ნაკლებ სავარაუდოა. აუცილებელი ხდება პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარებისაკენ იქნება მიმართული. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მოდელის შექმნისას გათვალისწინებული უნდა იქნას მოსახლეობის რიცხოვნობის კლების ტენდენცია და საქართველოს ეკონომიკის არაეფექტურობა. მოდელში ლუკასის ანალოგიურად, ადამიანური კაპიტალის საშუალო დონის გათვალისწინება აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორხელიძე დ. 2003. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკი თანამედროვე პრობლემები. თბილისი.
2. Lucas R. 1988. On the Mechanism of Economic Development. Journal of Monetary Economics. Vol. 22, No. 1.
3. The Global Competitiveness Report. 2016–2017.

State of Human Capital and Problem of Economic Growth in Georgia

Demur Giorkhelidze, Professor

Grigol Robakidze University, Tbilisi, Georgia

The research is concerned with evaluation of share of production in economic growth of Georgia. It shows that human capital (according its established definition) takes no part in growth. This indicates serious problems in formation and development of human capital in Georgia. A plan of actions is outlined, which could increase share of human capital in economic growth and turn it into major factor of development.

Comparison of employment level in scientific Research and Development (R & D) with overall level of employment is significantly lower in Georgia than in developed countries with the corresponding indicator. In Georgian economics, accumulation of human capital is side effect of the accumulation of physical capital: with the growth of capital per unit of labor, increases human capital per unit of labor, but this increase of human capital is concentrated in small groups of employed people. More human capital is accumulated by working with the physical capital– working on them they are learning in practice, but R&D is not result of developed economic sector and purposeful politics. Human capital is not result of direct investments, but an externality from the creation of physical capital. Notwithstanding the fact that prioritized development of human capital is declared in the Social-economic development strategy of Georgia “Georgia 2020”, after three years from drafting the strategy, financing of higher educational system and researches in not more than 0.5 % of GDP, so it is expected that tendency of incomplete financing persists, which troubles prospective of the GDP growth.

How can the human capital be increased in the growth rate of output and make it as a main driving factor of development? According to the current situation, while creating the model in production function, average level of human capital should be considered in economic as a whole, similar to Lucas (1988), indicating that "Economy of Lucas" is not necessarily effective, which exactly corresponds to the Georgian economics. We are starting with inefficiency! Bringing of innovative factor into the production function in the form of exponential multiplier, the quality indicator of which will be the parameter of GDP growth from innovative activity, will not give sufficient result: Lack of innovations, which is the result of undeveloped human capital, will bear insignificant impact if Law of diminishing returns will not be spread on innovative factor. The same may be said concerning the bringing human capital in production function. Apparently, during the growth of human capital at a low pace, the parameter, which determines the contribution of human capital in the growth rate of production, goes down to the zero and due to the low diminishing returns from the investments put into it, is not able to provide a stable increase in output. Thus, the existence of a time lag between input from investment in human capital and the moment of its implementation, in the case of steadily rising physical capital and ordinary labor, creates a precondition for growth of output. And we are facing to a real problem that needs to be addressed at the preceding pace: this is the issue of state policy and in particular the effectiveness of the government. Activation of innovative and human capital factors implies the presence of state bureaucracy with high professionalism and responsibility, and institutional transformations, which create effective institutions and make effective decisions orientated on development and progress. This factor should be considered in the Model as well and should imply the development of management efficiency as one of the most important factors in production in preceding rate. Formation and development of human capital requires shocking actions, first of all, increase in state financing. At the initial stage, unless the politics is fully implemented, funding for education and science in 2-3 years, as the calculations show, is to be increased up to 5% of GDP, and then gradually, up to 10% of GDP. The best way of investment in a country like Georgia is investment in formation and development of human capital. Since the economy is a strong non-rectilinear system, it is likely that the potential initial impulses taken towards the above-mentioned direction, due to non-rectilinear response, will lead to an unprecedented result before it can be seen by inertial, limited range of rectilinear thinking.